გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№7

2014

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2014 წლის 14 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on February 14, 2014 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ზურაბ ტიელიძე
ჯემალ ქირია
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Zurab Tielidze
Jemal Kiria
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
David Chochishvili
Zurab Chkhikvadze
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

ი/მ - ნინო სულხანიშვილი
ტელ: 599 748 763
E-mail: ninosulkhanishvili@ymail.com

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

ვიანორ ახალაია - *„კაჩკარი“, ენათა ევროპული ქარტია და ენობრივი სიტუაცია საქართველოში – 7*
მარიამ კობერიძე - *ხმაბაძვითი შინაარსის ლექსიკა სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში – 14*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *გვარები, შტო-გვარის სახელები და მათი კლასიფიკაცია ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით – 17*
მარიკა შერაზადიშვილი - *რა უნდა ვიცოდეთ სამეცნიერო ტექსტების ენისა და სტილის შესახებ – 21*
თეა ხაბალაევი - *ფრაზეოლოგია მ. ცვეტაევას პოეზიაში* (რუსულ ენაზე) *– 24*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

თამარ გოგოლაძე - *სოფრომ მგალობლიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობის ისტორიიდან – 26*
მარინე ცერცვაძე - *ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნებული ისიდორე მანწკავას წერილი „საბრალდებო ოქმი“ – 29*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ცირა ბაქრაძე - *თვითაღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში – 33*
მზია გოგიაშვილი - *ბუნების გაცნობის პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლამდელ ასაკში – 38*
რუიზან მექვაბიძე, ზურაბ ზურაბაშვილი - *საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმების კვადაკვალ: სტუდენტის როლი სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში* (ინგლისურ ენაზე) *– 40*
ბექა ტოლიაშვილი - *ფსიქოლოგიური კრიზისი გარდამავალ ასაკში – 45*
ნელი ჭამპურიძე, ნათია ცოტნიაშვილი - *ზნეობრივი აღზრდის საკითხები პირველ ქართულ პედაგოგიურ პრესაში – 47*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

მაია აზმაიფარაშვილი - *აგროტურიზმის განვითარების რეგიონული პერსპექტივები – 50*
ალექსანდრე იაშვილი - *ოლიმპიური მოძრაობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში – 54*
თინათინ მშვიდობაძე - *კომპიუტერული პროგრამების ეფექტურობა უცხო ენების შესწავლისას – 59*
გიორგი მძინარაშვილი - *შეჯიბრთან დაახლოებული წვრთნის ოპტიმალური მეთოდების გამოყენება ახალგაზრდა გორელ მოჭიდავეებთან მუშაობის პროცესში – 62*
გიორგი მძინარაშვილი - *სპორტის გაკვეთილი და მისი ხარისხის ამაღლების სასურველი პირობები – 64*
ზურაბ ტიელიძე - *საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენის შესახებ (მეწყერები და ღვარცოფები) – 66*
მარიამ უბირია - *სტრესის ანუ ზოგადი ადაპტაციური სინდრომის თანამედროვე თეორია* (რუსულ ენაზე) *– 71*
პაატა ქურდაძე - *დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვის მიზეზი – 74*

ბიზნესი და მართვა

ლია ბიბილაშვილი - *განახლებადი ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით – 76*
ლია ბიბილაშვილი - *დროისა და სტრესის მენეჯმენტი – 79*
დავით ბიძინაშვილი - *ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფინანსური შედეგები – 82*
გიული გიგუაშვილი - *შიდა ქართლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები – 84*
თამარ მაკასარაშვილი, ნინო ორჯონიკიძე, ლია ნადირაძე - *საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის მართვა - ბოლონიის პროცესის თანამედროვე გამოწვევები – 90*
ნათელა მარტინენკო - *სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა – 94*
ლალი სადაღაშვილი, ნანული ქოქაშვილი, მარინე ბუზიაშვილი - *საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ასპექტები – 100*
ლალი სადაღაშვილი, ხალიანა ჩიტაძე, როინ ქობლიანიძე - *კვერცხის ბიზნესში აღრიცხვისა და გადასახადების საკითხები – 103*
ლალი სრესელი - *ბიზნესის განვითარების პრობლემები შიდა ქართლის რეგიონში – 106*
გელა შაქარაშვილი - *ხუდონხესის პროექტის ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები – 109*
თეა ხორგუაშვილი, თინათინ ტატულაშვილი - *დაკრედიტების პრინციპებისა და მექანიზმის განსაზღვრისათვის – 116*
თინა ჯოლბორდი, მზია რამიშვილი - *ფინანსური მენეჯმენტის სწავლების ბუღალტრული ასპექტები – 119*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

იოსებ ბაინდურაშვილი - *ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოში – 122*
ივანე ბალახაშვილი - *საქმისწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში – 127*
კარლო ბზიშვილი - *საპროცესო ძირითადი უფლებები – 131*
იოსებ გაბარაევი - *დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება – 134*
მარიამ ინდუაშვილი - *ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები – 138*
დავით კვერნაძე - *ხელისუფლების დანაწილება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპი – 142*
მალხაზ ლომსაძე - *საკასაციო გასაჩივრება სისხლის სამართლის პროცესში – 146*

CONTENTS

Linguistics

Vianor Akhalaia – *"KACHKARI", THE EUROPEAN CHARTER AND LINGUAL SITUATION IN GEORGIA – 7*
Mariam Koberidze – *VOICE IMITATIVE VOCABULARY IN THE STORIES BY SOPROM MGALOBLISHVILI – 14*
Nikoloz Otinashvili – *SURNAMES, FAMILY NAMES AND THEIR QUALIFICATION ACCORDING TO THE HISTORICAL AND MODERN VIEWPOINT – 17*
Marika Sherazadishvili – *WHAT WE NEED TO KNOW ABOUT A SCIENTIFIC TEXT LANGUAGE AND STYLE – 21*
Tea Khabalaevi – *PHRASEOLOGY AT M. TSVETAEVA'S POETRY* (in Russian) *– 24*

Literature

Tamar Gogoladze - *FROM THE HISTORY OF SOPROM MGALOBLISHVILI AND NIKO NIKOLADZE'S RELATIONSHIPS – 26*
Marine Tsertsvadze - *ISIDORE MANTSKAVA'S LETTER "INDICTMENT PROTOCOL" PUBLISHED IN THE JOURNAL "KAVKASIONI" – 29*

Education

Tsira Bakradze – *SELF UP-BRINGING AND ITS ROLE IN THE FORMATION OF A PERSON – 33*
Mzia Gogiashvili – *PEDAGOGICAL – EDUCATIVE IMPORTANCE OF THE NATURE STUDIES FOR THE CHILDREN UNDER THE SCHOOL AGE – 38*
Ruizan Mekvabidze, Zurab Zurabashvili - *FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: THE STUDENT'S ROLE IN THE PRODUCTION OF LEARNING OUTCOME* (in English) *– 40*
Beka Toliashvili – *PSYCHOLOGICAL CRISIS IN TRANSITIONAL AGE – 45*
Neli Champuridze, Natia Tsotniashvili – *THE QUESTIONS OF MORAL UP-BRINGING IN THE FIRST GEORGIAN PEDAGOGICAL PRESS – 47*

Exact and Natural Sciences

Maia Azmaiparashvili – *REGIONAL PERSPECTIVES OF AGRARIAN TOURISM DEVELOPMENT – 50*
Aleksandre Iashvili – *THE STEPS OF FORMATION AND DEVELOPMENT OF THE OLYMPIC MOVEMENT IN GEORGIA – 54*
Tinatin Mshvidobadze – *THE EFFICIENCY OF COMPUTER PROGRAMS FOR STUDYING FOREIGN LANGUAGES – 59*
Giorgi Mdzinarashvili – *USING OLYMPIC METHODS OF TRAINING IN THE PROCESS OF WORKING WITH GORI WRESTLERS – 62*
Giorgi Mdzinarashvili – *SPORTS LESSON AND DESIRABLE CONDITIONS OF IMPROVING ITS QUALITY – 64*
Zurab Tielidze – *ABOUT SOME OF THE GEORGIAN NATURAL DISASTERS (LANDSLIDES AND LANDSLIPS) – 66*
Mariam Ubiria – *MODERN THEORY OF STRESS OR GENERAL ADAPTATION SYNDROM* (in Russian) *– 71*
Paata Kurdadze – *THE REASON OF THE EARTH'S MOVING AROUND THE AXIS – 74*

Business and Management

Lia Bibilashvili – *PERSPECTIVES OF IMPROVING RENEWING ENERGETICS CONSIDERING THE REQUIREMENTS OF NATURE PROTECTION – 76*
Lia Bibilashvili – *TIME AND STRESS MANAGEMENT – 79*
Davit Bidzinashvili – *INNOVATIVE ECONOMICS AND ITS FINANCIAL RESULTS – 82*
Giuli Giguashvili – *PRIORITIES OF SHIDA KARTLI STRATEGIC DEVELOPMENT – 84*
Tamar Makasarashvili, Nino Orjonikidze, Lia Nadiradze – *QUALITY MANAGEMENT IN EDUCATION – MODERN CHALLENGES OF BOLOGNA PROCESS – 90*
Natela Martinenko – *INNOVATIVE POLICY OF THE STATE – 94*
Lali Sadaghashvili, Nanuli Kokashvili, Marine Buziashvili – *ASPECTS OF THE GEORGIAN TAXING SYSTEM FORMATION – 100*

Lali Sadaghashvili, Khaliana Chitadze, Roin Koblianidze – *QUESTIONS OF ACCOUNTING AND TAXING IN EGG BUSINESS – 103*
Lali Sreseli – *PROBLEMS OF BUSINESS DEVELOPMENT IN SHIDA KARTLI REGION – 106*
Gela Shakarashvili – *ECONOMICAL AND POLITICAL ASPECTS OF KHUDONI HYDRO POWER PLANT PROJECT – 109*
Tea Khorguashvili, Tinatin Tatulashvili – *FOR DEFINING PRINCIPLES AND MECHANISM OF CREDITING – 116*
Tina Jolbordi, Mzia Ramishvili – *ACCOUNTING ASPECTS OF TEACHING FINANCIAL MANAGEMENT – 119*

Social Sciences and Law

Ioseb Baindurashvili – *STATE SUPERVISING OF THE LOCAL SELF GOVERNMENT IN GEORGIA – 122*
Ivane Balakhashvili – *BUSINESS PROCESSING AT ADMINISTRATIVE ORGAN – 127*
Karlo Bzishvili – *PROCESSING GENERAL RIGHTS – 131*
Ioseb Gabaraevi – *DEMOCRACY AND CIVIL SOCIETY – 134*
Mariam Induashvili – *MECHANISMS OF HUMAN RIGHTS PROTECTION – 138*
Davit Kvernadze – *AUTHORITY SHARING AS THE FUNDAMENTAL PRINCIPLE OF DEMOCRATIC STATE – 142*
Malkhaz Lomsadze – *CASSATION APPEAL IN CRIMINAL LAW PROCESSING – 146*

ლინგვისტიკა
Linguistics

„კაჩკარი“, ენათა ევროპული ქარტია და ენობრივი სიტუაცია საქართველოში

ვიანორ ახალაია, პროფესორი

გერმანიაში მცხოვრებ ლაზთა ჯგუფმა მედია სივრცეში, ინტერნეტით გაავრცელა ლაზი ინტელექტუალების მიმართვა ,,თურქეთისა და საქართველოს ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებისადმი“, სადაც ნათქვამია: ,,ლაზების ენობრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ზოგიერთი არაკეთილგანწყობილი პოლიტიკური თუ პოპულისტური რიტორიკა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის დღიდან ისმოდა და მიღებულ იქნა სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკად. ბოლო წლებში ამ საკითხის ირგვლივ კიდევ უფრო ინტენსიურმა დისკუსიამ ლაზების აღშფოთება გამოიწვია, მიაღწია რა ყოვლად მიუღებელ ზომებს. საქართველო, ოფიციალური განცხადებით, მეგრელ-ლაზ ხალხს არ განიხილავს ავტონომიურ, ცალკე ელემენტად, არამედ მას განიხილავს ქართველი (ან გურჯი) ერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, ლაზურ ენას კი ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტად. საქართველოს სახელმწიფოს ქართველისტების თეზისებით ნაკვები ეს საქმიანობა უკიდურესად აწუხებს მთელ ლაზ ხალხს, საქართველოს მიმართ კი უარყოფით განწყობას აჩენს.“

ამ მიმართვასა და მასთან დაკავშირებულ საგანგაშო ტენდენციებზე ქართულ პრესაში აღინიშნა. დეკლარაციის შინაარსი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია და გაუგებარიც. უცნაურია იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისათვის (მათ შორის ლაზებისათვის) არც მეცნიერებს, არც საქართველოს ხელისუფალთ თუ ჩვეულებრივ მოქალაქეებს არასოდეს უთხოვიათ, ქართველებად გამოეცხადებინა თავი. ამის არც საჭიროება არსებობს და არც უფლება აქვს ვინმეს, ასე მოიქცეს; ამავდროულად, ყველა მეცნიერს აქვს უფლება, თავისი კვლევის შედეგების მიხედვით ესა თუ ის საზოგადოება მიიჩნიოს ქართველად, თურქად...

კიდევ უფრო გაუგებარია მათი საუბარი მეგრელებისა და სვანების კულტურული ავტონომიის აუცილებლობის შესახებ. ისმის კითხვა: როდის აქეთ გახდა ლაზთა ეს მცირე ჯგუფი სვანებისა და მეგრელების უფლებათა დამცველი? მით უმეტეს, თუ ისინი ყოველივე ზოგადქართველურს ემიჯნებიან? (ყველა სიახლე, 15-21 მაისი, 2013 წ) ამ დეკლარაციის უკან შეიძლება იდგნენ ქართველი ერისადმი, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალები, რომელთა რიგში მოვიაზრებთ გერმანიაში მოსახლე ლაზების ერთ ჯგუფს და მათ ლიდერს - გერმანიაში ლაზთა საზოგადოება ,,კაჩკარის“ დამაარსებელს ვოლფგანგ ფოიერშტაინს. (,,კაჩკარი“ ლაზეთში (ჭანეთში) პარხლის ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალის სახელწოდებაა). ჩემი აზრით, ეს მიმართვა დაკავშირებულია გახმაურებულ ,,ენათა ევროპულ ქარტიასთან“, რომელიც 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს: ,,ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“. ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს, აქვე ხელი მოეწერა ,,ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებების კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში, კერძოდ, ქარტია და კონვენცია ითხოვს: სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისაგან განსხვავებული ავტოქთონი, აბორიგენი ეთნიკური თუ ეროვნულ-კულტურული საზოგადოებებისათვის უმცირესობების სტატუსის მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას. კონვენციის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია: უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოების ენა მოცემულ რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების ენად გამოცხადდება, თუკი სახელმწიფოში ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები ამ რეგიონში დღესაც უმრავლესობაში არიან, ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, თუკი, ამავე დროს, მათ ეს სურთ. კონვენცია არ იძლევა ეროვნული უმცირესობის ცნების განმარტებას იმ პრაქტიკული მოსაზრების გამო, რომ მოცემულ ენაზე შეუძლებელი იქნებოდა იმგვარი ფორმულირების შემოთავაზება, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო დაუჭერდა მხარს. ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას. ქარტია არ იძლევა ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებასაც.

ჩვენს სახელმწიფოს შეუძლია თავად განსაზღვროს რომელი ეთნოსის წარმომადგენლები არიან ჩვენს ქვეყანაში ეროვნული უმცირესობა და რომელი არა. რადგან შეუძლებელია ისეთ ქვეყანაში, სადაც ამდენი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, ყველა თავ-თავის ენაზე ეწეოდეს საქმისწარმოებას, ყველას სახელმწიფომ გაუხსნას ბაგა-ბაღები და სკოლები.

აფხაზეთის გარდა, ყველა ეთნოსს, რომელთა წარმომადგენლები ცხოვრობენ საქართველოში, მეზობელ სახელმწიფოებში (თავის ისტორიულ სამშობლოში) აქვთ სრული საშუალება სახელმწიფო ენის გასავითა-

რებლად. მიუხედავად ამისა, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს და სხვებს საქართველოში აქვთ ეროვნული სახელმწიფო სკოლები და ყველა სხვა კულტურული დაწესებულებანი. აფხაზების გარდა ჩვენს ქვეყანაში არ არიან ეროვნული უმცირესობები, არსებობს მხოლოდ ეროვნული სათვისტომოები, არავითარი შეფერხება მათ ცხოვრებას, ეროვნულ განვითარებას საქართველოში არასოდეს ჰქონია და არ ექნება. გერმანიაში ცხოვრობს 6 მილიონზე მეტი თურქი, მაგრამ ეროვნული უმცირესობის სტატუსი არ გააჩნიათ. (ქართული გაზეთი, 10-17 ნოემბერი, 2005)

როგორც ვხედავთ, ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად საქართველოში ენობრივი მრავალფეროვნებაც არსებობს. ქართული ენა მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად, მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს. ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები, კერძოდ, რუსული (სლავური ჯგუფი), სომხური, ბერძნული, ოსური (ირანულ ენათა ჯგუფი); აზერბაიჯანული მიეკუთვნება თურქულ ენობრივ ჯგუფს ალათაურ ენათა ოჯახში.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ იმ 4 რეგიონზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული უმცირესობათა წარმომადგენლები: აფხაზები (აფხაზეთი), ოსები (სამხრეთ ოსეთი), აზერბაიჯანელები (ქვემო ქართლი) და სომხები (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლიდან - წალკის რაიონი). ქვემოთ მოხმობილი მონაცემები აღებულია წიგნიდან: კახა გაბუნია, ლალი ეზუგბაია, ჭაბუკი ქირია, ენობრივი სიტუაცია საქართველოში, თბ., 2010.

1. აფხაზები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობენ მდ. ენგურიდან მდ. ფსოუმდე, შავი ზღვის გაყოლებაზე. 1989 წლის გამოკითხვის მიხედვით, მათი რიცხვი 100 000 აღწევდა (მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, დისპერსიული განსახლების ადგილების ჩათვლით); დღეს მათი რიცხვი თითქმის განახევრებულია (საომარი მოქმედებებისა და მიგრაციული პროცესების შედეგად).
2. ოსები ცხოვრობენ შიდა ქართლში - ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე რამდენიმე სოფელში სამხრეთ საქართველოსა და კახეთში. საკმაოდ დიდი ნაწილია დისპერსიულად განსახლებული საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. 1989 წლის აღწერის მიხედვით, მათი რაოდენობა 165 000-მდე აღწევდა. კონფლიქტების შედეგად, დღეს ოსურენოვანი მოსახლეობის რიცხვი უაღრესად შემცირებულია.
3. აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლსა (საქართველოს სამხრეთი ნაწილი) და შიდა ქართლში სახლობენ. აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუნდაც ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფი ზოგადად განათლებას იღებენ განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში - ქართულად, ქვემო ქართლში - აზერბაიჯანულად).
4. სომხები ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან წალკის რაიონში არიან კომპაქტურად განსახლებულნი (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი). უმცირესობათა შორის ისინი II ადგილზე არიან აზერბაიჯანელების შემდეგ.

კონტაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული განსახლებები, როგორიცაა რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზდები, ებრაელები, ასირიელები, აგრეთვე ჩრდილოეთ-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდიები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა. (გაბუნია, ეზუგბაია... 2010)

ვიდრე ,,კაჩკარსა“ და ფოიერშტაინის მოღვაწეობას მივუბრუნდებით, საჭიროდ ჩავთვალეთ ქართველური ენების - სვანურის, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისა და ქართველურ ენობრივ ველში მათი ადგილის საკითხს როგორც ისტორიული (ტრადიციული), ისე დღევანდელი ვითარების ფონზე შევეხოთ.

ქართულ და უცხოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მეგრულის, ლაზურის (ჭანურის), სვანურის ურთიერთმიმართება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ზანური ქართულ და სვანურ ენებთან ერთად ქმნის ქართველურ ენათა ჯგუფს, რომელიც შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 363). მასალა აქ და ქვემოთაც მოყვანილია წიგნიდან: ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბ. 2004. ზანური, იგივე კოლხური, ანუ მეგრულ-ჭანური ზოგ მკვლევარს მიაჩნია ერთიან, ერთ ენად, როცა ზოგი მას ორ დამოუკიდებელ ენად თვლის. ამ უკანასკნელი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში თავდაპირველად, ჩანს, დიდი როლი ითამაშა უპირველესად ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მეცნიერულმა ავტორიტეტმა. კერძოდ, 1910 წ. სერიაში ,,მასალები იაფეტური ენათმეცნიერებისა, ll” გამოვიდა ნ. მარის ,,ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით". (ნ. მარი, 1910), რასაც მოჰყვა იმავე სერიაში (lll) დაბეჭდილი ი. ყიფშიძის ,,დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ". (ი. ყიფშიძე, 1911), ხოლო შემდეგ მისივე მონოგრაფია ,,მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით" (ი. ყიფშიძე, 1914).

ზემოთ დასახელებული შრომების სათაურშივე ფიგურირებს ,,ჭანური (ლაზური) ენა, ,,მეგრული (ივერიული) ენა". ამას კი, ეტყობა, ხელი შეუწყო ჭანურის შესახებ პირველი გრამატიკული მიმოხილვის ავტორის, გეორგ როზენის შრომამ ,,ჭანური ენის შესახებ" (გ. როზენი, 1844). ნ. მარი თავის შრომაში შენიშნავდა: ,,ჭანურ ენას დამოუკიდებლობას აძლევს ის, რომ მას აქვს თავისი კილოკავები და თქმები, იმ მრავალფეროვნებასთან ერთად, გაერთიანებული რომ არიან ერთობით ან ლინგვისტური ნორმების ერთიანობითაო" (ნ. მარი, 1910, გვ. XVl). გ. როზენსავე ეკუთვნის მეგრულის ფრაგმენტული სახის მიმოხილვა, რომელიც მოცემულია სვანურის და აფხაზურის გრამატიკულ დახასიათებათა გვერდით. ამ წიგნის სათაურია ,,ოსური გრამატიკა გამოკვლევებითურთ მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ " (გ. როზენი, 1846).. მეგ-

რულს აქ სულ 9 გვ. ეთმობა და, მიუხედავად მწირი ცნობებისა, რაც ამ მცირე მოცულობის ნარკვევში იყო, საოცარია გ. როზენის ინტუიცია, როცა იგი წერს: ,,ჩემი კვლევა-ძიება უეჭველად ცხადყოფს, რომ ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტად ახლო მდგომი კილოებია ერთი ენისა, რომელიც ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია მივიჩნიოთ კოლხურად. ეს ენა სამწერლობო ენად არასოდეს ქცეულა; ლაზური სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ლაზი და მეგრული ტომები გაითიშნენ; სამხრეთით დარჩენილზე ჯერ ბერძნულმა, შემდეგ თურქულმა მოახდინა გავლენა, კიდევ უფრო დიდი იყო ქართულის გავლენა მეგრულზე; ქართული იყო ეკლესიის, სკოლისა და მწერლობის ენა ... ამიტომ განსაცვირებელია, რომ ჭანურისა და მეგრულის გრამატიკა თითქმის მთლიანად ეთანხმება ერთმანეთს და სიტყვებიც მეტწილად იმდენად არ შორდებიან, რომ ნათესაობა არ იგრძნოს კაცმაო" (გ. როზენი, 1846, გვ. 47,) ციტირება და მისი თარგმანი მოგვყავს: (არნ. ჩიქობავა, 1965. გვ. 146). სწორედ ,,გ. როზენის მასალა ამოსავალი იყო შემდგომში ჭანურის შესწავლისას ჰრ. აჭარიანისა და ნ. მარისათვის", - შენიშნავენ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 146). ჩანს მხოლოდ მასალა და არა გ. როზენისეული ნათლად თქმული ,,ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტად ახლომდგომი კილოებია ერთი ენისაო". მართლაც, ჰრ. აჭარიანს ჭანური (ლაზური) ცალკე ენად მიაჩნია: სათაურშია გატანილი ,,ლაზური ენა" (ჰრ. აჭარიანი 1899), ისე როგორც მეგრული ალ. ცაგარელს, რომელთანაც ,,მეგრული ენა" აგრეთვე შრომის დასახელებაშიც ფიგურირებს (ალ. ცაგარელი, 1880). ს. ჟღენტი თავისი ,,ჭანურის ტექსტების" ,,შესავალში" საგანგებოდ შენიშნავდა (ს. ჟღენტი, 1938, გვ. XIII-XIV), რომ ნ. მარის მიერ ,,ჭანურის ცალკე ენად გამოცხადება უთუოდ ჭანური მეტყველების მასალების სიმცირიდან გამომდინარეობდა". ა. კიზირია თავის ,,ზანურ ენაში" (ა. კიზირია, 1979) ზანურის დიალექტური დიფერენციაციის სესახებ წერს, ,,ზანური მოიცავს ორ დიალექტს - მეგრულსა და ჭანურს; მეგრულში ორი კილოკავია გამოყოფილი (ზუგდიდურ-სამურზაყანული ჯვარული თქმით და სენაკური მარტვილურ-ბანძური თქმითურთ), ხოლო ჭანურში (ლაზურში) - სამი კილოკავი (ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური ბულეფურ-ართაშენული თქმითურთ)". გ. კარტოზიას ,,ლაზური ტექსტების" (გ. კარტოზია, 1993) ანოტაციაში ვკითხულობთ: ეს წიგნი ,,ლაზური ტექსტების" (გ. კარტოზია, 1972)... გაგრძელებაა. იგი შეიცავს ლაზური დიალექტების ტექსტობრივ მასალას. ტექსტებში ასახული ლაზურის სამივე კილოკავი: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული" ან კიდევ: ,,წინამდებარე ტექსტები მოიცავს ლაზური დიალექტის სამივე კილოკავს - ხოფურს, ვიწურ-არქაბულს, ათინურ-ართაშენულს, ხუთივე ლაზური პროვინციის ორმოცდაათამდე სოფლის მკვიდრის მეტყველებაა ფიქსირებული" (გ. კარტოზია, 1993ა, გვ. 368-369). ერთი სიტყვით, გ. კარტოზია, რომელსაც ჭანური არა მარტო საქართველოში მცხოვრებ ჭანებთან უკვლევია, არამედ ადგილობრივ, ლაზურ პროვინციებში, ჭანურს (ლაზურს) დიალექტად მიიჩნევს. ამ ბოლო დროს კი მასთან ვხვდებით ტერმინს ზანური ენები, რომლებშიც გაერთიანებულია მეგრული და ლაზური: ,,უბრალო დამატების ბრუნვად მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითის (მეგრულში) და სახელობითის (ლაზურში) წარმოჩენა ზანურ ენებში სახელზმნური შესიტყვებისათვის ტენდენციათა რეალიზაციის შედეგია" (გ. კარტოზია, 1996, გვ. 121). აქ ვფიქრობთ გასათვალისწინებელია თვით ჭანთა თვითშეგნება. აი, რამდენიმე ნიმუში:

პროფ. ი. ყიფშიძეს ჭანეთში მოგზაურობისას ორთახოველი აბდულა ეუბნებოდა თურმე: ამ ორმოცი წლის წინათ კიდევ იფიცებოდნენ: ,,დადიანი ვარ დოღურას, მაფა ვარ დოღურას" ...(ი. ყიფშიძე, 1937, გვ.177). 1917 წელსვე 35 წლის მუჰამედ ე. ქელენჯი-ზადესაგან ი. ყიფშიძეს ჩაუწერია: დიდედამ მითხრა, ,,ქელენჯი ოღლი ახმეტ-აღა პაპული სკანიშენ მიგნაფუნ-ქი, ჩქიმი ჯვეშეფე დო მეგრელეფე ჯუმალეფე ტერენ, ემუშენ ჰალა ჭიმი ადეთეფე აწიათი ვიქიფთ!" ,,პაპაშენისაგან, ახმეტ-აღაქელენჯი-ოღლისაგან გამიგონია, რომ ჩვენი წინაპრები (,,ძველები") და მეგრელები ძმები ყოფილან. ამიტომაც ახლა ზოგ ადათებს ვასრულებთ, ,,ვიქმთ" (ი. ყიფშიძე, 1939). სოხუმის მაზრის ს. ცხარაში მცხოვრები, ვიწურ-არქაბული კილოკავის წარმომადგენლისაგან ჩაწერილ ტექსტშია: ჩქიმი ჯვეში პაპულეფე მენგრელი ტეს ,,ჩემი წინაპრები (,,ძველი პაპები") მეგრელები იყვნენ (ჩიქ, II, 83.).

ხოფური კილოკავის მატარებელ ჭანთაგან კი ასეთი საუბარია ჩაწერილი: ჭანი ამბობს, რომ იგი სტუმრად ოჩამჩირეში თურქთან არ მივა, რადგანაც ,,მეგრილიშა მეხთასნა, კაი აწონენ, მუშენი? მუშენი დო ნენა ართა ენ დო მჯვეშ ჯუმა მუში ენ ,,მეგრელთან რომ მივა, მოეწონება (ზედ ,,კარგად მოეწონება"). რატომ და ენა ერთია და ძველი მისი ძმა არის" (ასათ, გვ. 201-203). ცხადია, ჭანთა და მეგრელს შორის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მათი თვითშეგნებიდანაც მოდის, ესეც უნდა მოწმობდეს, რომ ჭანური და მეგრული ერთი ენის დიალექტია. მართალია, გ. კლიმოვი აღნიშნავდა, რომ ,,ამ ბოლო დროს სტრუქტურული ფაქტორებიდან ამოსვლით (უმთავრესად ჩვეულებრივი თანხვედრით მეგრულსა და ჭანურში) ხშირად სულ 3 ქართველურ ენას მიიჩნევდნენ - ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს. ოღონდ არაფერი რომ არ ეთქვათ ამ თვალსაზრისის სტრუქტურულ კრიტერიუმთა ნებისმიერობის შესახებ, სოციოლოგიური თვალსაზრისით მოიპოვება საფუძველი, გამოიყოს ქართველურ ენათა ოთხი შემადგენელი ნაწილი - მეგრულისა და სვანურის დამოუკიდებელ ერთეულებად გამოცალკევებისა (ნ. მარი, კ. დონდუა, გ. დვეტერსი, გ. წერეთელი). ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ურთიერთგაგების უქონლობა მეგრელებსა და ჭანებს შორის. მათ შორის ერთიანი ეთნიკური თვითშეგნების არქონა, აგრეთვე, მათი ორიენტაცია სხვადასხვა სალიტერატურო ენაზე (პირველთათვის ესაა ქართული, მეორეთათვის - თურქული) (გ. კლიმოვი, 1979, გვ. 102 - დაყოფა ჩვენია - ვ.ა.).

ჯერ კიდევ 1936 წ. არნ. ჩიქობავა თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში ,,ჭანურის გრამატიკული ანალიზი" საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ,,ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა და გურულს... ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად, ლექსიკითაც კი, ჭანური და

მეგრული, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვინემ გურული და ხევსურული“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 3).

სხვაგან კი არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, რომ ძირთა შესატყვისობა საკმაოდ მტკიცე ფონეტიკურ წესებს ემყარება, როგორც პროფ. ა. ცაგარელმა და აკად. ნ. მარმა გამოარკვიეს, ჭანური და მეგრული იძლევა ერთნაირ შესატყვისობას (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 188). ამასვე იმეორებს იგი სხვა შრომაშიც (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ 6), სადაც ნაჩვენებია, რომ ქართულის ზანური შესატყვისაობანი მეგრულსა და ჭანურში ერთი და იგივეა.

გ. კლიმოვის თვალსაზრისი, რომ ჭანებსა და მეგრელებს ,,ენობრივი ურთიერთგაგება“ არა აქვთო, სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია შემდეგნაირად: ,,ის, რომ ამ დიალექტზე მეტყველთ გარკვეულად უჭირთ ერთმანეთის გაგება, ამაში არაფერია უცნაური: როგორც ამას ჯერ კიდევ ნ. მარი შენიშნავდა, სხვადასხვა კილოკავზე მოლაპარაკე ჭანებსაც ზოგჯერ არ ესმით ერთმანეთისაო, ასეთი რამ კი მძლავრი დიალექტური დიფერენციაციის დროს ხდება ხოლმე; ენათმეცნიერების ისტორიამ ბევრი ასეთი ფაქტი იცის: ცნობილია იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილიდანაც (ამის ნიმუშად, მაგალითად, სვანური ენის ლენტეხური და ბალსზემოური დიალექტების ურთიერთმიმართებაც იკმარებოდა; ჩვენს თვალწინაა ქართული ენის ინგილოური დიალექტის ვითარებაც)“ (გ. ბურჭულაძე, 1996. გვ. 322; გ. ბურჭულაძე, 1996ა. გვ. 140). ჭანებსა და მეგრელებს შორის ,,ერთიანი თვითშეგნების არქონაო“, რომ შენიშნავს გ. კლიმოვი, ესეც არაზუსტი გამოდგა. იხ. ზემოთ თვით ჭანთა გამონათქვამები ცხრაასიანი წლების დასაწყისსა და შემდეგ, მოგვიანებით. ასევე არაზუსტია მისივე თვალსაზრისი, რომ ჭანებს დღეს ორიენტაცია თურქულ ენაზე აქვთო. ,,მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ჭანების ერთი ნაწილი საქართველოში ცხოვრობს, სხვა კი თურქეთის შემადგენლობაშია. ჩვენთან მცხოვრებ ჭანებს კი, როგორც ცნობილია, ორიენტაცია ქართულ ენაზე აქვთ და არა თურქულზე. ხოლო ის ფაქტი, რომ სარფსგაღმა ჭანებს ორიენტაცია თურქულ ენაზე აქვთ, ხომ იძულებითია. ცნობილია, რომ ჭანური ისტორიულმა ძნელბედობამ მოსწყვიტა თავის დედა-სამშობლოს“ (გ. ბურჭულაძე, 1996, გვ. 322; გ. ბურჭულაძე, 1996. გვ. 141).

და ბოლოს, თითქმის ყველა გამოჩენილი მკვლევარი ქართველური ენებისა - ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა - ჭანურსა და მეგრულს ერთი, ზანური ენის ორ დიალექტად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, მაგალითად, ჯერ კიდევ 1928-34 წლებში ა. შანიძე რომ შენიშნავდა:

,,მეგრულის სახელწოდებით ჩვენ ავღნიშნავთ <u>ერთსა და იმავე ენის ორსავე კილოს</u> (<u>კილო</u> აქ დიალექტის მნიშვნელობითაა - ვ. ა.): რიონის მეგრულს (რომელიც საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, უმთავრესად მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს და რომელიც საკუთრივ მეგრულის სახელით არის ცნობილი) და ჭოროხის მეგრულს (რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოყოლილი, უმთავრესად ჭოროხის მარცხენა მხარეს, და რომელიც ჩვეულებრივ ჭანურისა ან ლაზურის სახელით არის ცნობილი). საკუთრივ მეგრული და ჭანური ერთურთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები“ (ა. შანიძე, 1957, გვ. 312, შნს. 3; დაყოფა ავტორისეულია, ხაზგასმა ჩვენი - ვ.ა.).

მოგვიანებით კი იგი თავის ,,ეტიმოლოგიურ შენიშვნებში“ (ა. შანიძე, 1976) ერთგან სვამს საკითხს ,,როგორი ვითარებაა სვანურსა და კოლხურში?“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 52) და შემდგომ მსჯელობს:

,,კოლხურს თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ მეგრულში...“, შემდეგაა ,,ჭანურს თუ მივმართავთ, ვნახავთ ...“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 58) და ბოლოსკენ: ,,... ცხადია, რომ ყველაზე სრულად ფუძე წარმოდგენილია ძველ ქართულში ... შემდეგ კოლხურში ... ხოლო სვანურში ...“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 58).

ამდენად, როცა ვსაუბრობთ ენათმეცნიერთა ტრადიციულ მიდგომაზე, ქართველური ენობრივი სამყაროს ლინგვისტური სტატუსისადმი ტერმინში იგულისხმება სამი ან ოთხი ენა.

ამ თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ ქართველურ ენებს წინ უძღოდა ერთი საერთო წინაპარი ენა, ანუ საერთო-ქართველური ენა, რომლის წიაღში ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური გამოიყოფოდა დიალექტების სახით. დიალექტთა შორის, ცხადია, არსებობდა განსხვავებანი, მაგრამ ურთიერთგაგებინებას ეს ხელს არ უშლიდა, დროთა განმავლობაში სხვაობა გაიზარდა, თუმცა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი არ გაუწყვეტიათ (ქედ. 2007)

ეს შეხედულება გააკრიტიკა და ზოგად ქართული ენისა და მისი დიალექტების თეორია წარმოადგინა ენათმეცნიერთა ნაწილმა. ისინი სვანური და ზანური ენების სტატუსს ერთგვარ ,,საფრთხედ“ მოიაზრებენ. მართალია, სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში ქართული სამეცნიერო სპექტრის ერთი ნაწილისა და ევროპელი ,,ქართველოლოგების“ დებულებები (პროექტები) სახიფათოა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის, რამაც უკვე ჰპოვა ასახვა საერთაშორისო სამეცნიერო-საცნობარო ველში, კერძოდ, მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით, საქართველოში აზერბაიჯანელებთან, ასირიელებთან (აისორები), აფხაზებთან, ბაცბებთან, ბერძნებთან, ოსებთან, სომხებთან, ურუმებთან (კათოლიკე ბერძნები), ქართველ ებრაელებთან და ქურთებთან ერთად ეროვნულ უმცირესობებად, არაქართველებად წარმოდგენილნი არიან მეგრელები, ლაზები, სვანები... ანალოგიური სიტუაციაა მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის გვერდზეც, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებ-გვერდებზე და სხვა. (ნაჭყებია, 2009)

მაინც რა თვალსაზრისს გვთავაზობენ ,,დიალექტების“ თეორიის მომხრეები? მათ პოზიციას თ. გვანცელაძის წიგნიდან ამონარიდით შეიძლება გავეცნოთ:

,,არ არსებობს არც სამი და არც ოთხი ენა; დიგლოსის პირობებში ქართველები ლაპარაკობდნენ ერთადერთ ქართველურ, ზოგად-ქართველურ ენასა და ათეულობით დიალექტზე; ზანური (მეგრული, ლაზური) და სვანური (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური და ჩოლურული) კილოები ამ სა-

ერთოეროვნული ენის ისეთივე ტერიტორიული მიკროვარიანტებია, როგორიც არიან: ქართველური, კახური, იმერული, აჭარული, ხევსურული, თუშური, ფერეიდნული, ტაოური, მაჭახლური და სხვანი“ (გვანცელაძე, 2006). გამოთქმული მოსაზრება, ავტორის თქმით, ემყარება რამდენიმე სერიოზულ საფუძველს:

1. ვიზიარებთ საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებამდე გავრცელებულ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რომლის თანახმად ქართველი ერი ერთადერთენოვანია.
2. ბევრმა ქართველოლოგმა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა იმის დასაბუთება, რომ ეთნიკურ ქართველებს სამი ან ოთხი ენა გვაქვს (დეკლარაცია-განცხადებებს დასაბუთებად ვერ მივიჩნევთ).
3. დასახელებული შვიდი სამეტყველო ერთეული დანარჩენი ქართული დიალექტებისაგან არ განსხვავდება იმაზე მეტად, ვიდრე გერმანული, ფრანგული, არაბული, სომხური, ჩინური ენების დიალექტები ერთმანეთისაგან.
4. ენათმეცნიერებას არ მოეპოვება ზუსტი და შესამოწმებელი კრიტერიუმი ენის დიალექტებისაგან გასამიჯნავად. საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყდება ისტორიული ტრადიციის, ეთნოსისა და მისი სახელმწიფოს კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, ზოგჯერ (დაპყრობილი ქვეყნების შემთხვევაში) წამყვან როლს დამპყრობლის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ინტერესები ასრულებს. არცთუ იშვიათად კონკრეტული ენობრივი სახესხვაობის ენად გამოცხადების საფუძვლად უდევს მკვლევრის პირადი ამბიციაც.
5. გერმანელმა გ. როზენმა 1844-46 წლებში მეგრული, ლაზური და სვანური ენებად მიიჩნია ქართული ისტორიული ტრადიციის, ქართველი ერის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების გაუთვალისწინებლად. ეს ზერელე დასკვნა შემდგომში თავის ინტერესებისათვის წარმატებით გამოიყენა ჯერ მეფის რუსეთმა, მერე კი მისმა იდეოლოგიურმა მემკვიდრე საბჭოთა კავშირმა. ამ ინტერესთა დასაკმაყოფილებლად ორივე იმპერიამ გააქტიურა ბრძოლა მეცნიერებისა და განათლების სფეროებში, რათა დანერგილიყო სამეცნიერო ,,თვალსაზრისი სამი ან ოთხი ქართველური ენის“ არსებობის შესახებ. ცარიზმის ბრძოლას ამ მიმართულებით ნაკლები შედეგი ჰქონდა: ორი-სამი ენათმეცნიერის გარდა, რომელთაგან ზოგი დიდხანს მერყეობდა (ა. ცაგარელი, ნ. მარი), ეს მოსაზრება არავის გაუზიარებია. სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ შემლო XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ტოტალურად გაემტკიცებინა თვალსაზრისი სამი ან ოთხი ,,ქართველური ენის“ არსებობის შესახებ“. (გვანცელაძე, 2006)

მეფის რუსეთის მცდელობას მეგრული ინტერესების გაცოცხლებაზე, აი, რა შედეგი მოჰყვა:

1878-1901 წლებში კავკასიის სახალხო განათლების მზრუნველად მუშაობდა კირილე პეტრედ ძე იანოვსკი. პირველი, რაც იანოვსკიმ გააკეთა, იყო ის, რომ სრულიად განდევნა ქართული ენა სასწავლებლებიდან. ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სერგეი მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა მზის სინათლეზე გამოიტანეს განათლების თავკაცის ბნელი მიზნები. 90-იანი წლებიდან კი იგი უფრო ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგა. კაცი, რომელიც ყოველივე ქართულს ებრძოდა, მეგრელთა ,,ინტერესების“ „დამცველად“ მოგვევლინა.

პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი დაიქირავა იანოვსკიმ და რუსულზე დაყრდნობით მეგრული ,,ანბანი“ შეაქმნევინა. 1899 წელს ქართველთა მასწავლებელმა თადა აშორდიამ ასევე რუსულზე დაყრდნობით კვლავ შექმნა მეგრული ანბანი - ,,დედა-ნინა“.

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“ წერდა: ,,1899 წელს დაიბეჭდა ,,მინგრელსკაია აზბუკა“, რომელიც სამეგრელოს სკოლებში მიუღიათ ამა სასწავლო წლიდან, როგორც სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად მეგრელი ბავშვებისათვის. დამახინჯებულია რუსული ასოები, გ, კ, ტ, ჩ და სხვა ასოებისათვის რაღაც კუდები მიუბამთ. ეს კუდები, როგორც შემდგენელი განმარტავს, ვითომ მეგრული ენის განსაკუთრებულ ხმებსა ნიშნავს“. ამ ანტიქართულ ღონისძიებას ის შედეგი მოჰყვა, რომ პროვოკაციული წიგნის შექმნისათვის მეგრელებმა თადა აშორდია სასიკვდილოდ სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს და ამით სამუდამოდ ამოაგდებინეს გულიდან იანოვსკის ,,განმანათლებლური იდეებისადმი“ ერთგულებისა და მსახურების გრძნობა. რამდენად უხერხულია და საკამათო, რომ საბჭოთა პერიოდში გაბატონებული თეორია ,,ქართველურ ენათა“ შესახებ, რომლის მიხედვით ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელი ენებია, საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად ჩავთვალოთ, ეს მკითხველისთვის მიგვინდია. დასმულ პრობლემაზე მსჯელობისა და დასკვნის გამოტანისას მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. სამწუხაროდ, ივიწყებენ, რომ ამ თეორიის უკან ჩვენი თითქმის ყველა გამოჩენილი ენათმეცნიერი იდგა, რომელსაც ცნობილ ქართველოლოგთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს დღესაც.

ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: ,,ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მომმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (სოციოლინგვისტური) თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 36).

ჩვეულებრივ განმარტავენ, რომ ქართველური ჯგუფის წევრების კლასიფიკაციისას ენობრივი ნიშანთვისებების, ანუ ლინგვისტური კრიტერიუმების გარდა, გასათვალისწინებელია ეთნო-ლინგვისტური ფაქტორებიც, რომლის იგნორირება, გაუთვალისწინებლობა კატეგორიულად დაუშვებელია. საკმარისია თვალის ერთი გადავლებაც კი საქართველოს პოლიტიკური რუკის ცვლილებებზე IX-XIX საუკუნეების მანძილზე, რათა ნათლად წარმოჩნდეს ის ზეგავლენები, რაც შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოს ეთნიკური კუთხეების მცხოვრებთა როგორც სულიერ წყობაზე, ასევე ყოფა-ცხოვრებაზე, მსოფლმხედველობასა და მეტყველებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ძველი წყარო საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავ-

ლეთშიც (სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) მიგვანიშნებს, საეკლესიო, სალიტერატურო და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მხოლოდ ერთი ენის გამოყენებაზე, როგორც საერთო-სახალხო ზოგადეროვნულ ენაზე. ამ ენაზე ითარგმნა IV-V საუკუნეებში წმ. წერილი. სავარაუდოა, რომ იმდროინდელი ენა (ძველი ქართული ენა) ერთნაირად გასაგები იყო ყველა ქართული ტომისათვის: წინააღმდეგ შემთხვევაში ლაზ-ეგრისელი მრავალი დიდი საეკლესიო მოღვაწე (იოანე ლაზიდან ჭყონდიდელების ჩათვლით) უთუოდ შეძლებდნენ წმ. წერილის თარგმნას თავიანთი მრევლისათვის, მაგრამ მათ უკეთ უწყოდნენ თითოეული ქართველური ტომის ღვაწლი საეკლესიო-სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბების საქმეში...

მრავალი მოწინავე ქვეყნის ლიტერატურის ისტორია, საეკლესიო ენა, მწიგნობრობა ვითარდებოდა და ვითარდება ტომობრივ-კუთხური მიმართულებით. საბედნიეროდ, მსგავსი პროცესები ჩვენს ისტორიას არ ახსოვს: საუკუნეების განმავლობაში ტომობრივ-გეოგრაფიული განკერძოებულობის მიუხედავად, საეკლესიო და საერო ლიტერატურა არსებითად იყო ერთიანი ქართული: მნიშვნელობა არ ჰქონდა საქართველოს რომელ კუთხეში იქმნებოდა ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ტომის წარმომადგენელი იყო მისი ავტორი...

მეტყველება, რომელიც არ ემსახურება სახელმწიფოებრივ გაერთიანებას როგორც ურთიერთობის ოფიციალური საშუალება, არაა სამწიგნობრო; მაშინ ის დიალექტია; მაგრამ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით გაუმართლებლად გვეჩვენება მეგრულის, ლაზურის, სვანურის, ერთი მხრივ, და ქართლურის, კახურის, იმერულის, აჭარულის, ხევსურულის, ფშაურის: მეორე მხრივ, ერთი ტერმინით, დიალექტით სახელდებაც (ნაჭყებია, 2009, გვ. 27-28).

ქართველური ენობრივი სამყაროს კლასიფიკაციის საკითხზე მსჯელობა შეიძლება ამგვარი სახით დავასრულოთ. ვფიქრობთ, არ არსებობს საფუძველი, რომ სვანურისა და ზანურის (კოლხურის) ლინგვისტური თვალსაზრისით ენებად აღიარება ეროვნული ერთიანობის წინაშე მდგომ საფრთხედ მოიაზრებოდეს. ჩანს ბოლომდე გაუაზრებელი შიში: ვაითუ ზანურ-სვანურის კვალიფიცირება ენად სახიფათო აღმოჩნდეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ქართველთა სალიტერატურო ენა მრავალი საუკუნეა იქმნება ამ კუთხური მეტყველების მფლობელთა მიერაც და ეს სამწიგნობრო ენა ეფუძნება მთელ ქართველურ ენობრივ მასალას: შესაბამისად, მეგრელები, ლაზები და სვანები დიდი სამწიგნობრო კულტურის მქონე ენის პატრონები, ქართველი ერის, სახელმწიფოს ნაწილნი არიან და მათი მთავარი ენა - დედაენაა - ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ქართული ენა. ყველას, მათ შორის სვანებს, მეგრელებს და ლაზებს ერთი სააზროვნო ენობრივი სისტემა გვაქვს - ეს არის ქართველური, ქართული ენობრივი სისტემა;

დავუბრუნდეთ სტატიის დასაწყისში წარმოდგენილ ლაზთა საზოგადოება ,,კაჩკარსა“ და ვოლფგანგ ფოერშტაინს. გერმანიაში რამდენიმე წლის წინ, ამ ქვეყანაში მაშინდელი ელჩის მაია ფანჯიკიძის მეშვეობით ჩემ ხელთ მოხვდა ფოიერშტაინისა და ,,კაჩკარის“ ეგიდით ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა. მხოლოდ მოხსენებათა სათაურების დასახელებაც კი საკმარისია, თუ რა ანტიქართულ საქმიანობას ეწევა ეს ვაიმეცნიერი და მისი საზოგადოება. აი, ესენიც: ,,მეგრული და ლაზური: დიალექტი, ენა თუ სამწერლობო (სალიტერატურო) ენა“. ,,მეგრული ლიტერატურის ერთი საუკუნე. ავტორისეული კითხვა მეგრულ და გერმანულ ენებზე“. მეორე მოხსენებას თანაავტორიც ჰყავს, ვინმე ნესტან შანავა (ქართველოლოგი). საინტერესოა ფოიერშტაინის მესამე მოხსენების სათაურიც ,,სომხური დასახლებების კვალი მეოცე საუკუნის ართვინისა და ერზრუმის ვილაეთებში“.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვეცა სათანადო პასუხი, რაც მათთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. ამაზე დაწვრილებით სხვა დროს.

მცდარია არსებული თვალსაზრისი, თითქოსდა გერმანიაში ლაზთა საზოგადოება ,,კაჩკარის“ დამაარსებელი ვოლფგანგ ფოიეშტაინი და მისნაირი ფსევდომეცნიერები ეყრდნობიან საბჭოთა პერიოდში გაბატონებულ თეორიას ,,ქართველურ ენათა“ შესახებ და საქართველოს დაშლა-დაქუცმაცულობის მოსურნე პრორუსულ-იმპერიულ ძალებს. ამ ძალებში პატკანოვის, ვოსტორგოვისა და ჰიუიტის გვერდით დასახელებულია: თ გამყრელიძე, ა. ონიანი, ი. გიპერტი, კ. გაბუნია და სამი წერტილია დასმული. ვინ იგულისხმება ამ სამ წერტილში? ვინ თვლის, რომ სვანური და ზანური (მეგრულ-ჭანური) ენებია? - კითხულობს პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი და იქვე პასუხობს, თან გვაფრთხილებს: (მკითხველს ვთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნოს) - ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი როგავა, ქეთევან ლომთათიძე, თინათინ შარაშენიძე, გივი მაჭავარიანი და მრავალი და მრავალი სხვა; ე.ი. ყველა ის მეცნიერი, ვისაც მეოცე საუკუნეში რაიმე გაუკეთებია ქართველური ენების შესწავლის საქმეში (გოგოლაშვილი, 2007). ამ მეცნიერების პოზიცია ქართველური ენების გაგების საკითხში არამეცნიერულია? ისინი არიან ,,საქართველოს დაშლა-დაქუცმაცულობის მოსურნე პრორუსულ-იმპერიული“ ჯგუფის წევრები? ამ კითხვების დასმაც კი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად მიგვაჩნია.

ქართველ მეცნიერებს საბჭოთა იდეოლოგიის წლებშიც ეყოთ პიროვნული ღირსება და ჭეშმარიტი მეცნიერული იდეებისადმი ერთგულება, რომ პოლიტიკურ კონიუქტიურას არ აჰყოლოდნენ და ამით გადაერჩინათ ქართული ენათმეცნიერება. ამ საკითხზე 2007 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა შეხვედრა და დისკუსია, რომელსაც ესწრებოდნენ: მეუფე ანანია (ჯაფარიძე), ა. ქურდიანი, ლ. ეზუგბაია, მ. მანჯგალაძე, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, დ. მელიქიშვილი, გ. კვარაცხელია, ზ. ჭუმბურიძე, თ. უთურგაიძე, ნ. ქუთელია, კ. გაბუნია, ჭ. ქირია, ი. ჩანტლაძე, მ. ბერიძე, მ. ჩუხუა, ვ. შენგელია, გ. ცოცანიძე, კ. კაკიტაძე... დისკუსიის მასალები გამოქვეყნდა კრებულში: ქართველური ენები და დიალექტები (ერთი სამეცნიერო პოლემიკის გამო), სადაც ცალსახად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ ტ. ფუტკარა-

ძის, თ. გვანცელაძისა და მათ თანამოზიარეთა შეხედულება მცდარია, არ არის დამყარებული მეცნიერულ არგუმენტაციაზე, აკადემიურ მსჯელობაზე...

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა და სალიტერატურო ენა საქართველოს ყოველი კუთხისა და ყველა ტომის უთვალავ თაობათა ერთობლივი შრომის ნაყოფია. ეს ჩვენი საერთო ენა და საერთო კულტურაა. ამ რწმენას განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს ჩვენი ფესვების ერთობის, ჩვენი საერთო გენეტიკური წარმომავლობის შეგრძნებაა, რაც ყველაზე უკეთ სწორედ ენაშია გამოხატული და ენის ყველა შრესა და ყველა მონაკვეთში იგრძნობა. ჩვენი ერთიანობისა და ერთსულოვნების დასტურია ის ფაქტი, რომ არცერთ ქართველ ტომს არასოდეს უცდია შეექმნა ცალკე საკუთარი ანბანი, საკუთარი სალიტერატურო ენა, საკუთარ კუთხურ ენაზე ეთარგმნა საეკლესიო წიგნები. ეს ქართველ ტომთა ერთიანობისაკენ სწრაფვის მკაფიო გამოხატულებაა (ჭუმბურიძე, 2007).

მაშასადამე, ჩვენთვის ქართული, სვანური და ზანური (კოლხური) უდავოდ ენებია, რომლებიც საერთო ქართველური ფუძე ენის დიალექტებად დიფერენცირების შედეგად წარმოიშვნენ, მეცნიერულად სადავო მხოლოდ ფუძე-ენის დიფერენცირების თარიღია.

ლიტერატურა:

1. კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია საქართველოში, თბ., 2010;
2. არნ. ჩიქობავა, 1952 - არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952
3. ნ. მარი. 1910 – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестомотиею и словарем, С. – Пб., 1910.
4. ი.ყიფშიძე, 1914 – И.Кипшиде, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.- Пб., 1914,წგ-ში: ი.ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
5. გ. როზენი, 1844 – G. Rozen, über dit spracht der saren, berlin, 1844.
6. არნ. ჩიქობავა, 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
7. ალ. ცაგარელი, 1880 – Ал. Цагарели, Мингрельские этюды, Первы выпуск; Второй выпуск, С.П.б., 1880.
8. ს. ჟღენტი, 1938 - ს. ჟღენტი, შესავალი, წგ-ში: ჭანური ტექსტები, არქაბული კილო, თბ., 1938.
9. ა. კიზირია, 1967 – А. И. Кизириа, Занский язык – АН СССР, IV, Иберийскокавказские яз., М., 1967.
10. გ. კარტოზია, 1993 - გ. კარტოზია, ბოლოსიტყვაობა, - წგ-ში: გ. კარტოზია. ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993.
11. გ. კარტოზია, 1996 - გ. კარტოზია, მეგრულის -ნი (ინი) ,,რომ“ კავშირის გენეზისისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბ., 1996.
12. გ. კლიმოვი, 1979 – Г. А. Климов, Картвельские языки, - კრ: языки Азии и Африки, III, М., 1979.
13. გ. ბურჭულაძე, 1996 – Г. Т. Бурчуладзе, Писмо в редакцию, საენათმეცნიერო საუბრები, V, თბ., 1996.
14. ა. შანიძე, 1957, - ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. I, ქართული ენისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1947.
15. ქედ, 2007, - ქართველური ენები და დიალექტები (ერთი სამეცნიერო პოლემიკის გამო), თბ., 2007.
16. თ. გვანცელაძე, 2006, - ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
17. ბ. ჯორბენაძე, 1989, - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
18. მ. ნაჭყებია, 2009, - მ. ნაჭყებია, სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში, თბ., 2009.

რეზიუმე

სტატიაში მოთხრობილია გერმანიაში ლაზთა საზოგადოება „კაჩკარის“ დამაარსებელ ვოლფგანგ ფოიერშტაინზე, მის დაუფარავ, აღვირახსნილ პროპაგანდაზე საქართველოს მიმართ და მასთან დაკავშირებულ საგანგაშო ტენდენციებზე, ენათა ევროპულ ქარტიაზე, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს დებულებების კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უფლებების სფეროში. აქედან გამომდინარე ფოიერშტაინი ცდილობს ლაზური, მეგრული და სვანური ეროვნული უმცირესობების ენებად ჩათვალოს, რაც თავშივე მცდარია, არ არის დამყარებული მეცნიერულ არგუმენტაციაზე, აკადემიურ მსჯელობაზე. ნაშრომში წარმოდგენილია ქართველური ენების - ზანურის (მეგრულ-ლაზური) და სვანურის ურთიერთმიმართება და ქართულ ენობრივ ველში მათი ადგილი როგორც ისტორიული (ტრადიციული), ისე დღევანდელი ვითარების ფონზე.

“KACHKAR”, THE EUROPEAN CHARTER AND LINGUAL SITUATION IN GEORGIA

Vianor Akhalaia, Professor

RESUME

The article tells the story about Wolfgang Feuerstein**,** a founder of the Lazi society in Germany - *Kachkar,* also about his open propaganda against Georgia and its related alarming tendencies, and about European Language Charter, which is a guide of regulation collection in the fields of national and linguistic rights. Hence it follows that, Feuerstein is trying to consider Laz, Svan and Megrelian as languages of national minorities, which is initially wrong and is not based on scientific facts and on academic discussion. The paper presents the Kartvelian languages - Zan (Megrelian & Laz) and Svan interaction and their place in Georgian linguistic field not only on the historical (traditional) background, but also on the background of current situation.

ხმაბაძვითი შინაარსის ლექსიკა სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში

მარიამ კობერიძე, პროფესორი

ქართული ენაში საკუთარი ლექსიკის ერთ-ერთი დიდი ნაწილი ხმაბაძვითი სიტყვებია. მათი სახელდება ძირითადად ხმის გამომცემ მოძრაობებსა და მათს წყაროსთანაა დაკავშირებული. ,,ხმაბაძვა ანუ იმიტაცია სწორედ ამ მსგავსების პირობით ხარისხზე მიგვანიშნებს, თორემ თავისთავად მსგავსება, როგორც ობიექტური მოვლენა, ფაქტი, ამ მომენტს, ცხადია, არ გულისხმობს, ანდა - უფრო ზუსტად - აუცილებლობით არ გულისხმობს" (შ. აფრიდონიძე, 1993, გვ. 92).

ხმაბაძვითი სიტყვები სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში დიდი ოსტატობით და ზომიერებით არის გამოყენებული ფრაზის აგებისას, გარკვეული სიტუაციებისა და კონტექსტის ჩვენებისას, თავისი გმირების ქმედებების, განცდების გამოსახატავად.

ხმაბაძვითი სიტყვები წარმოდგენილია ფუძის გაორმაგებით. მაგ.: ,,ეს ადგილი უყურებდა დიდს, განიერს და ათასფერად აჭრელებულს ხეობას, სადაც მოიკლაკნებოდა დღესაც **ჩხრიალ-ჩხრიალით** მთიური მდინარე"(6); ,,აგერ **რუხრუხით** ჩამოჰყვა წვიმა სერის ხეობას"(17).

ხმაბაძვით სიტყვებში ვხვდებით ფუძის გაორმაგებას ხმოვნის მონაცვლეობით. მაგ.: ,,გულმა **ბაგა-ბუგი** დაუწყო"(57); ,,ზურგს ჰკიდიათ ხბოს გუდები, რომელშიც **ხრაგა-ხრუგი** გაუდის მონარჩენი პურის ნახორხლებს"(445); ,,საქოლავთან რომ ამოვიდნენ, შემოგვესმა ცხენის **თქარათქური**"(63); ,,ათაში ერთხელ თუ **ჟღავიჟღუვში** და ერთად არეულ კითხვაში ეფროსინე ვერას გაიგებდა"(90); ,,წაღებზე ისეთნაირს ქუსლებს აკეთებინებდა, რომ სულ **ბაკაბუკით** დადიოდა"(188).

ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით გაორმაგებულ ფუძეებს ზოგჯერ ენაცვლება გაუორმაგებელი, **-უნ,-ან,-ინ,-იალ,-ილ** სუფიქსდართული ფუძე.

-უნ დაბოლოებიანი ხმაბაძვითი სიტყვებია: ,,ხელებს მტვრევა და **ტკაცუნი** (←ტკაცატკუცი) დააწყებინა"(12); ,,სწორედ გაიწონა შუაღამე, რომ **ლაწუნი**(←ლაწალუწი) მოესმა"(12); ,,აგერ შემოესმა ყრუ ხმაურობა, ტალახში მომავლის ფეხის **ჭყაპუნი** (←ჭყაპაჭყუპი) (18); ,,თხისტვინა წამოუვარდა, შეიქმნა ჭიდაობა და **ბღლაძუნი** (← ბღლაძაბღლუძი) (201); ,,შორს შემოესმა შოლტის **ტლაშუნი** (←ტლაშატლუში) (440).

-ან დაბოლოებიანი ხმაბაძვითი სიტყვებია:,,ამ დროს მოისმა **ლაწანი**"(352); ,,ამასობაში ი ჩემი ცოდვით სამსე ფოტორო აკი მოიმზღვლა და შიგ **ყვლაპანი** მივიღე"(360).

-ინ დაბოლოებიანი ხმაბაძვითი სიტყვებია: ,,თვითეულს სიტყვას **ჯლოყინით** და დიდის გაჭირვებით ამბობდა"(8); ,,კიდევ რამდენიმე მეზობელი შეიყარა ამ თოფის ხმაზედ და იყო ერთი სიცილი და **კიჟინი**" (12); ,,შემოვარდა ჯერ უფროსი შვილი **ქლოშინითა**"(529).

ზოგჯერ ავტორი წინადადებაში ერთდროულად იყენებს, როგორც **-ინ,** ისე **-ან** სუფიქსიან წარმოებას: ,,ღამის მთევლები ჯერ **შეაღიღინა,** მერე აამღერა და ბოლოს გაუგებარს **ყაყანს** მოაყოლა"(23).

-იალ , -ილ სუფიქს დაბოლოებიანი ხმაბაძვითი სიტყვებია: ,,ციხიდან შემოესმა ყრუ **ხრიალი** და აფორიაქებული ყვავების **ჩხავილი**"(17); ,,სოფელში ყრუ ხმა იდგა საქონლის **ბღავილისა** და მამლების **ყივილისა**" (32).

ხმაბაძვითი ანუ ონომატოპოეტური ზმნების სტრუქტურა მეტ-ნაკლები სიზუსტითა და დეტალიზაციით შესწავლილია ა. შანიძის (1953), ვ. თოფურიას (1959), ს. ჟღენტის (1960), ფ. ერთელიშვილის (1970), ბ. ფოჩხუას (1974), ლ. სანიკიძის (1976), ქ. დათუკიშვილის (1990) და სხვათა ნაშრომებში. განსაკუთრებით, ეს ეხება რედუპლიკაციის გზით მიღებულ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ახასიათებთ ნაყარი ფუძის თავკიდური ან ბოლოკიდური თანხმოვნის ჩანაცვლება, ხმოვანთა მონაცვლეობა, თანხმოვნის ჩავარდნა....

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ,,ხმაბაძვითი სიტყვების ძირითად მასას" ე. წ. ,,პირველადი მასდარები" წარმოადგენს. ,,ისინი ზმნისაგან არ იწარმოება, პირიქით თვითონ არის ამოსავალი ზმნის წარმოებისას: შრიალი-შრიალებს, ბიბინი-ბიბინებს, გუგუნი და გუგუნებს, შრიალი, ბიბინი, გუგუნი და მისთ. სიტყვები პირველადი მასდარებია, მოქმედების აღმნიშვნელი პირველადი სახელები. ესა გაორკეცებული ან მარტივი ხმაბაძვითი ფუძეები"(არნ. ჩიქობავა, 2008, გვ, 80).

სოფრომ მგალობლიშვილი ხშირად იყენებს ასეთ ფორმებს ზმნათა წარმოებისას. მაგ.: ,,ცალკერძ სიცხისაგან შეწუხებული ქვემძრომნი **სისინებდნენ** (←სისინი), ჭრიჭინები გამალებით **ჭრიჭინებდნენ** (←ჭრიჭინი), მწყერნი, ეს ,,პურის მტერნი" აშფოთებულნი **ჭუკჭუკებდნენ** (←ჭუკჭუკი) (7); ,,ჭოტის უცნაური სიმღერა ყურში **ჩაჰზუზუნებდა** (←ზუზუნი) (30); ,,ისხდნენ ბაბიას დერეფანში და

ჯიჯინებდნენ (←ჯიჯინი) სხვადასხვა საგნებზე"(58); ,,სულ ჟრჟოლამ აიტანა, გააცივა, სულ კბილს კბილზე **აჩახუნებდა**" (←ჩახუნი) (58).

სოფრომ მგალობლიშვილის მოთრობებში გამოყენებული ხმაბაძვითი სიტყვებიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები:

ადამიანის მეტყველების გამომხატველი სიტყვები: ,,თვითეულს სიტყვას ჯლოყინით და დიდის გაჭირვებით ამბობდა"(8); ,,მხოლოდ გიგოლა ვერ ეუბნებოდა ბანს, რაღაც ჩახრინწიანებულის ხმით და **ამოლუღლუღებით** წარმოსთქვა ამინ" (58); ,,ისხდნენ ბაბაის დერეფანში და **ჯიჯინებდნენ** სხვადასხვა საგნებზე" (58); ,,ჩემო ქეთე, **წუწუნს** ნუ მოჰყვები-მეთქი, ნუ!" (471); ,,მხიარულის ხმით **შეჰღაღადა**" (537); ,,რას **წიკვინებდი** ადამიანო, შენი ხმა სოფელ გარეთ გამოდიოდა" (390).

ადამიანის არამეტყველი ხმიანობა: ,,მის **ფშვინვა-ხვნეშა** ისეთ ქარს აყენებდა ხოლმე, რომ ქოთნის სანთელს უკან გასწევდნენ, არ გააქროს ისიხისაგან აყენებულმა ქარმაო" (136); ,,როცა გაჯავრდებოდა შეგირდებზე, **ჰქუხდა** მისი ხმა მეხივით" (136); ,,-შენ იცი, ვინა ვართ?-**შესჭყივლა** ყვინჩილამ" (142); ,,ისეთი **გადიხარხარა** ბურნუთის კოლოფმა, რომ კინაღამ კუჭი ამოუვარდა" (159); ,,ღამის მთევლები ფეხზედ წამოდგნენ, ყველგან შეწყვიტეს **ჟივილ-ხივილი"** (26); ,,დაეცა აქ და **ამოიქაქანა**" (57); ,,ედიშერის ხსენებამ გული აუმღვრია, ფიქრებს გაერთო და **ზუზუნს** მოჰყვა" (58); ,,ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ერთი გახარებული, **სიცილ -კიჟინით** შემოვარდა" (462); ,,იმდენს **იღრიალებდა**, **იქაქანებდა,** რომ მთელს სოფელს ერთად ჰყრიდა"(474); ,,კუთხიდან შემოესმა **ბზუკუნი** და **სლოკინი**" (440).

ადამიანის განცდების გამომხატველი ხმა: ,,იმ ცხონებულს სულ **კანკალი** დააწყებინა და ჟინისაგან სულ **კაწკაწი** გაუდიოდა" (63); ,,კბილები **აუძაგძაგდა** ალექსის რძლის ხსენებაზედ" (75); ,,კლასში შიშით **ბაბანსა** და შეწუხებას იმ ოხერის გაკვეთილზე, ისევ თავის მორიდება სჯობიანო"(198); ,,სასიამოვნოდ დაუწყო გულმა **რაკ-რაკი**"(376); ,,სალომეს ხმა ეცნო, **ცახცახმა** აიტანა და გული **აუფართხალდა**"(464).

ადამიანის ნახელავის ხმა: ,,ამობობღდა ჯირკვებზედ და, როგორც უნდა ჩამოვიდეს სიმინდში, **გაიჭექა,** ისე მოიზღვა და **რეხვა** გასძვრა ჯირკვებზედ"(12); ,,ყვინჩილამ ისეთი სილა **გაუჭახუნა** საბრალო ორსოპოლს" (131); ,,კუთხიდან შემოესმა **ბზუკუნი და სლოკინი".**

ადამიანის მიერ **ადგილის მონაცვლეობისა და სიარულის დროს გამოცემული ხმა:** ,,ხალხში **ჩოჩქოლი** ჩამოვარდა"(50); ,,დადიოდა **ზლაზვნით,** როგორც კურტაკაკიდებული რაჭველი"(136); ,,რომელიც ალალისაგან დარეტიანებული ჩიტივით **ფარფატით** შევიდა თავის სადგომში"(167); ,,ეს რომ წაიკითხა ზედამხედველმა, **წაიტორტმანა** და მაგიდასთან სკამზე ჩაჯდა"(179); ,,კედლის იქით **ჭყაპანი** მოიღო"(186); ,,ეს უქმად **ლაყუნიც** მოსწყინდა" (485); ,,**მიაჩლატუნებდა** მამის შეჯღანილის ჩუსტებს" (488); ,,**ფრიალ-ფრიალით"** გააქანა წინ წითელი დროშა" (690); ,,მსმენელებმა მორთეს **ხარხარი**" (289); ,,სადგურის ჟანდარმები ხმლების **ტლაკუნით** ზარმაცად **გამოპრაკუნდნენ** პლატფორმაზე" (536).

ფრინველების ხმიანობის ხმა: ,,მაშინღა ანება ცხვარს თავი და **ყრიალ-ყრანტალით** მიაშურა ციხის სივრცეს" (510); ,,ფრთებს იკორტნიდენ, ხტოდნენ, **ყიყინებდნენ**" (535); ,,მწყრებმა **ჭუკ-ჭუკი** იწყეს" (440).

ცხოველთა ხმიანობის ხმა: ,,ჩავარდა სოფელში ხმაურობა, საქონლის **ბღავილი, ხვიხვინი** ცხენთა" (378).

ცხოველთა ფეხის ხმა: ,,ვინ არიან, ვეჟო, რომ ასე **თქარათქურით** მოდიან? -იკითხა ედიშერმა" (13).

სტიქიურ მოვლენათა ხმა: ,,სიო არხევდა პურს, **აბიბინებდა"(7);** ,, უეცრად ისე **დაიჭექა,** დედამიწამ სულ **ზრიალი** გაიღო"(17); ,,დემეტრეს დუქანში ყოველ მხრივ ტეხვრა ქარი **შეზუზუნებდა**"(488); ,,არ ეპუებოდა წვიმის **შხაპუნსა"(536).**

წყლის ხმიანობა: ,,აქვე **გამოჩუხჩუხებდა** წყარო" (223); ,,ძირს, ბილიკს იქიდან უფსკრულია, სადაც მორბის, **მოჰღრიალებს,** როგორც მშიერი ლომი, პატარა ლიახვი" (508); ,,უკვდავების წყარომ " ნელ-ნელა მორთო **ჩხრიალი**" (685).

საკვები პროდუქტების მიღების ხმა: ,,დაიჭერენ ხმელა პურს და **ხრაპი-ხრუპი** წვენისა, იმათი დამტვრეულის კოვზებისაგან ზეცას ისმის"(40).

უსულო საგნების ხმიანობა: ,,ამ დროს იმის ოთახის კარმა **ჩხაკანი** მოიღო" (505).

ტრანსპორტის მოძრაობის ხმა: ,,ეკიპაჟების და ფაეტონების **ზრიალი**" (460); ,,მოსდევს ურემი ურემს მძიმედ, **ჭრიჭინით"** (213).

ხმაბაძვითი ფუძეები სტრუქტურის მიხედვით მკაფიოდ არაა გამიჯნული სხვა, არახმაბაძვითი ფუძეებისაგან. ესა თუ ის სიტყვა შესაბამისად სხვა ჯგუფში შეიძლება მოექცეს. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, არ ჩანს უშუალო კავშირი სიტყვის მნიშვნელობასა და სიტყვის აგებულებას შორის (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 100). მაგ.: ერთდროულად გამოხატულია ადამიანისა და ცხოველისათვის ან ფრინველისა და ცხოველისათვის დამახასიათებელი ხმიანობა: ,,**ჩაიკისკის-ჩაიღრუტუნა** ისიხიმ"(166). ცხოველთა ხმიანობა გადატანით გამოყენებულია ადამიანზე: ,,ელისაბედს კი ძლიერ არ მოეწონა ისიხის ამგვარი

ჭიხვინი"(166); ,,შეგირდები სწერდნენ, ერთი ისეთი **შეჰყროყინა,** თქვენ ნუ მომიკვდებით"(135); ,,ბევრჯერ ტყიულ-უბრალოდ ჩაივლიდა ხოლმე **ღრიალი**"(474); ,,ჩაინაცვლეს მტრედებმა კაკლის დაბლა ტოტებში, ამოუშვეს კრუტუნ-ღრუტუნი ძილმორეული ბავშვივით"(353).

სოფრომ მგალობლიშვილი მოთხრობებში ხშირად იყენებს ხმაბაძვითი სიტყვებისაგან ნაწარმოებ - ებ სუფიქსიან ზმნებს. მაგ.: ,,იქამდე **ილაქლაქებდა,** მინამ მოწყალებას არ მიიღებდა სახლის პატრონისაგან"(492); ,,საბრალო ილო ძლივს **დაბაჯბაჯებდა**"(492); ,,ნენე **ზუზუნებდა**" (505); ,,სწორედ ამ დროს შემოვიდა ყაზარა დიდის ჯოხით, უცნაურის ღიპით, უცნაურად **ხვნეშოდა** და **ბუზბუზებდა"**(488); ,,სირცხვილის ცეცხლი მთლად სწვამდა და **აჟორჟოლებდა**" (487).

ამრიგად, სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში გამოყენებული ხმაბაძვითი შინაარსის ლექსიკა აღებულია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან და მიუთითებს ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ თავისებურებებზე.

ლიტერატურა:

შ. აფრიდონიძე, ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში, წიგნი მეათე, თბ., 1993.
ქ. დათუკიშვილი, რედუპლიკაცია ქართულ ენაში (საკანდიდატო დისერტაცია), ავტორეფერატი, თბ., 1990.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, ქესს, I, თბ., 1959.
ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970.
ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ., 1951.
ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში: იკეწ, III, თბ., 1976.
ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960.
ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2008.

რეზიუმე

სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობების ენა გამოირჩევა ფრაზის აგების თავისებურებით, დიალოგის გადმოცემის გარკვეული ხერხებით, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის უხვად და მარჯვედ გამოყენებით.

სოფრომ მგალობლიშვილი დიდი ოსტატობით და ზომიერებით იყენებს ხმაბაძვით ლექსიკას. ხმაბაძვითი სიტყვის სახელდება ძირითადად ხმის გამომცემ მოძრაობებსა და მათს წყაროსთანაა დაკავშირებული.

ავტორის მიერ გამოყენებული ხმაბაძვითი ლექსიკიდან შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები: ადამიანის მეტყველების გამომხატველი სიტყვები, ადამიანის არამეტყველი ხმიანობა, სტიქიურ მოვლენათა ხმა, ადამიანის ნახელავის ხმა, ადამიანის განცდების გამომხატველი ხმა, ფრინველებისა და ცხოველების მიბაძვის ხმა, წყლის ხმიანობა, ცხოველთა ფეხის ხმა, საკვები პროდუქტების მიღების ხმა, ცხოველთა ხმიანობის ხმა. ასეთ ჯგუფებად დაყოფა პირობითია, რადგან ერთი და იგივე ხმაბაძითი სიტყვა სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფში შეიძლება მოხვდეს. არც ხმაბაძვითი ფუძეების სტრუქტურაა მკაფიოდ გამიჯნული სხვა, არახმაბაძვითი ფუძეებისაგან.

VOICE IMITATIVE VOCABULARY IN THE STORIES BY SOPROM MGALOBLISHVILI

Mariam Koberidze, Professor

RESUME

The language of Sophrom Mgaloblishvili's stories has several peculiarities, such as the certain way of constructing the phrase, definite means of rendeving the dialogue and vast and skillful use of the phraseology and vocabulary characteristic to the Georgian dialect.

Onomatopoeic words are also skillfully, but guite cavefully used in Sophrom Mgaloblishvili's stories. The kind of words are mainly connected wits soundmaking movements and their sources.

The following contextual groups can be pointed out from the onomatopoeic words used by the author: words expressing human speech, non-verbal human noises, desester sounds, sounds caused by human actions, voices expressing human emotions, immitatig bird and animal sounds, sounds made by water, animal footstep sounds heard while eating, noises made by animals. The division of those sounds into groups is guite formal, as one and the same onomatopoeic word may belong to guite different contextual group. Neither the structure of the onomatopoeic word roots is distinctly edged from other non-onomatopoeic word roots.

გვარები, შტო–გვარის სახელები და მათი კლასიფიკაცია ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოში გვარ–სახელებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრის ფავნელის (ფავლენიშვილის) სიგელშია იგი ფიქსირებული (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984). გვარმა, როგორც მემკვიდრეობითმა სახელმა, დღევანდლამდე მოაღწია, თუმცა იგი ყოველთვის ცვლილებას განიცდიდა.

სოციალური და პოლიტიკური ქარტეხილების მიზეზით, მტერთა თავდასხმები და, აქედან გამომდინარე, მკვიდრი მოსახლეობის აყრა–გადასახლება, მიგრაცია ხშირად ახალ გვარ–სახელებს წარმოქმნიდა.

გვარები იგივე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა წარმოშობა პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია.

გვარების დიდი ჯგუფი ჩვენს სინამდვილეში ისტორიულ და დღევანდელი თვალსაზრისით არის ეპონიმური, ე.ი. წარმოქმნილია წინაპრის სახელისაგან, გეოგრაფიული ან მეტსახელისაგან. ბევრი ასეთი სახელი გვხვდება გვარის შემადგენლობაში როგორც ფუძის სახით, ისე სრული ფორმით ან კნინობითად. მათ დართული აქვს, –ძე, –შვილი, –ელი, –ური, –ვა, –ია და სხვა მაწარმოებლები.

გვარის შემადგენლობაში შესული ზოგიერთი სახელი, განსაკუთრებით დიალექტური, საგრძნობლად შესწავლილია ან აღარ იხმარება, ამიტომ ასეთი სახელებისაგან წარმოქმნილი გვარების მნიშვნელობის დადგენა საგანგებო ენათმეცნიერული კვლევის გარეშე შეუძლებელია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გვარების წარმოება, წარმოშობის ისტორია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მათ შესწავლას ართულებს დროთა განმავლობაში მომხდარი სხვადასხვაგვარი ცვლილება, მათ შორის პოლიტიკური, როცა ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია და უისტორიო ხალხის წარმომადგენლები არა მარტო ტერიტორიას, კულტურულ ღირებულებებსაც გვედავებიან და თავიანთ საკუთრებად აცხადებენ.

გვარი ლექსიკურად პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) ერთეულია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩამოთვლილია გვარის რამდენიმე მნიშვნელობა, ესენია: 1. გვარი (გვარისა) მემკვიდრეობითი, საგვარეულო სახელწოდება, ჩამომავლობა; 2. ჯიში, მოდგმა; 3. პირველყოფილ თემურ წყობილებაში საზოგადოებრივი ორგანიზაცია; 4. დიდი მოცულობის ცნება; 5. გვარი – გრამატიკული კატეგორია (ტერმინი), ზმნის ერთ–ერთი ფორმა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2010).

სახელი და გვარი სხვადასხვა ცნების გამომხატველია. აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ „ჩვეულებრივ საუბარში ლუარსაბი სახელია, თათქარიძე გვარი“ (შანიძე, 1973). სახელი და გვარი ორივე არსებითი სახელია, ორივე საკუთარი სახელი, რომლებიც მიემართება ადამიანს. მაგრამ გვარ–სახელი სტრუქტურულად წარმოადგენს მსაზღვრელ–საზღვრულს, კომპოზიტს, სადაც ერთი ცნება მოიაზრება და ეს ტერმინი გვარ–სახელი არ უდრის გვარს, ამ კომპონენტთა სემანტიკური კავშირით.

ისტორიულად ქართული მემკვიდრეობითი სახელი მარტო გვარ–სახელი არ იყო. მემკვიდრეობით სახელებს მიეკუთვნება დიდი ოჯახების განაყოფები, რომელთა რაოდენობა ნებისმიერ დიდ ოჯახებში შეიძლება ათზე მეტიც იყოს.

ზემო ქართლის ხეობებში – ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, ლიახვის ხეობებში ჩაწერილი ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ასეთი ლექსიკა სახელდება, როგორც

ოჯახის განაყარი, ნათესავი, შტო–გვარი. ივანე ჯავახიშვილს ერთ თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში მოჰყავს ასეთი განმარტება: „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ საგვარეულო სახელების გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებით სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ განმასხვავებელი სახელწოდება შემდეგში გვარის სახელადაც კი ქცეულა“ (ღლონტი, 1986).

გვარის ასეთ დანაყოფებს, რომლებიც გვარის გვერდით საუკუნეობით ფუნქციონირებდნენ, საფუძველს ცნობილი, გამორჩეული პირები უყრიდნენ. ეს შტო–გვარები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ყოველთვის, მათ შორის დღესაც, შეგვიძლია ვისაუბროთ მეორეული გვარების შესახებ და გამოვყოთ ის, როგორც გვარის პარალელური ანთროპონიმული სისტემა.

ცნობილი ენციკლოპედისტი (XVIII ს.) იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ მოგვითხრობს ზემო ქართლის წარჩინებული გვარების შესახებ. მათ შორის მაჩაბელთა გვარზე წერს: „აწ არიან მაჩაბელნი მოსახლეთ: ზაალისშვილები, რევაზისშვილები, ბორტისშვილები, ბარძიმის შვილები, ზაზასშვილები, ბეღელასშვილები“ (ი. ბაგრატიონი, აღწერა, 1997).

ამათგან ყველა ზემოთ ხსენებულ პირს დიდი წვლილი მიუძღვის მშობლიური კუთხის ლიახვის ხეობის წინაშე. ზაალი იყო ცნობილი ფეოდალი, რომელმაც დაასახლა ლიახვის ხეობა, სოფელ საბაწმინდიდან წამოიყვანა თავისი ყმები და სოფელ თამარაშენში დაასახლა. რევაზ მაჩაბელმა ხეობის მთელი რიგი ციხე–სიმაგრეები მიუვალი გახადა მტრისათვის.

ასევე იყვნენ ბორტი, ბარძიმ და ზაზა მაჩაბლები.

ხეობაში ძირითადად –იან სუფიქსიანი შტო–გვარები გვხვდება, მაგრამ როცა ლაპარაკია ამა თუ იმ გვარის შტო–გვარის ერთ კონკრეტულ წარმომადგენელზე, ზემოხსენებული ტიპის წარმოებას (–ან სუფიქსიან სახელს) კიდევ დაერთვის მრავლობითის –თ სუფიქსი და ვღებულობთ ასეთ ფორმებს: ზაალიანთი, რევაზიაანთი, ბორტიშვილი – ბორტიაანთი, ბარძიმისშვილები – ბარძიმაანთი, ზაზასშვილი – ზაზაანთი, ბეღელასშვილი – ბეღელაანთი.

მეთვრამეტე საუკუნეში არის შედგენილი სამაჩაბლოს დავთარი, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდი 254). დავთარი უთარიღოა, მაგრამ იქ მოხსენებული პირების მიხედვით მისი დათარიღება ამ საუკუნით შეიძლება, თანაც იქ მოლაშქრეთა სიაა ჩამოწერილი. აღნიშნულ დავთარში ერთ–ერთი მაჩაბელი ბადურიშვილად არის მოხსენიებული. ჩანს, ბაადურ მაჩაბელმა სათავე დაუდო ახალ ფეოდალურ გვარს. ასევე დავით მაჩაბელი ალხაზიშვილად არის ჩაწერილი, რომელიც დიდ სახლთან გაყრილია და სოფელ ქურთაში ცხოვრობს. ახალი გვარ–სახელი წინაპრის მიხედვით ხეობის ტოპონიმიაშიც არის ასახული.

იოანე ბაგრატიონის შრომაში ასევე გვხვდება გვარი ფავლენისშვილი, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელ ერედვში. მათგან ჩაწერილი მასალებით მათ შტო–გვარი იყო თემურაზიაანთი, ასევე მათი ბიძაშვილები იყვნენ იორამაანთი.

ხეობის შტო–გვარების შინაასობრივი პლანი სხვადასხვაგვარია, რომელთა კვლევა სამომავლო საქმეა, მაგრამ აქ აღსანიშნავია ზედმეტი სახელებისაგან შემდგარი ლექსიკური ფონდი, რომლებიც გადმოგვცემენ პიროვნების სოციალურ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ასეთი დაყოფით ვიღებთ შტო–გვარებისაგან საგნობრივ სქემას. არსებითი სახელებისაგან: აბაზა, აბეზა, აკუა, ბაბე, ბალი, ბალა, ბარნა, ბაცანა, ბატა, შაშკირა, ბეთა.

ზედსართავი სახელებისაგან: მაღალი, გორგალი, დაბალი, დორბლიანი, დონდლო, თოხლო, ტრაბახა...

რიცხვითი სახელებისაგან: ორშაურა, ცხრაბიჭა, ხუთკუნჭულა...

ზმნებისაგან: გამაძღე, ყავყავა, მყეფარა, ჩააფურთხე...

რთული შტო–გვარები: ბელტიყლაპია, ბუზიყლაპია, კაციჭამია, ღვინითქვლეფია, ღორმუცელა...

გვარებისა და შტოგვარების ანალიზისას უნდა დავეყრდნოთ იმ აზრს, რომ ანთროპონიმები რთული სოციალური მოვლენაა, რომელიც, მართალია, გვხვდება ისტორიულ წყაროებში, მაგრამ ის მაინც კონკრეტულ სოციალურ პირობებში ფუნქციონირებს. ისინი ატარებენ გარკვეულ ინფორმაციას და ისეთი მეთოდი უნდა ავირჩიოთ, რომელიც სრულიად უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს.

როგორი იყო ანთროპონიმული მოდელი ქსნის ხეობაში? ამაზე პასუხს იძლევა „1774–81 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა“. აღნიშნულ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში პიროვნებები მოხსენებულნი არიან როგორც სახელითა და გვარით, ისე სახელით, მამის სახელითა და გვარ–სახელით.

მაგალითად 1774 წელს მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკად მდინარე ჭურთულას ხეობაში ცხოვრობდნენ დორეული თარიმანის შვილი ბერი და გოგია.

დორეული პაპუნას შვილი მღთისია კაცია

დორეული ჩიტის შვილი ივანე (ჯავახიშვილი, 1967).

აქ კარგად ჩანს, რომ წინაპართაგან უპირატესობა ენიჭებოდა მამაკაცს, როგორც ოჯახის უფროსსა და გვარის მეთაურს. აღწერაში პირველად დასახელებული გვარია, მეორე მამის სახელი, ბოლოს კი შვილები საკუთარი სახელებით არიან ჩაწერილები. ნათესაობითში დასმული სახელის ბრუნვის ნიშანი აღნიშნავდა, თუ ვისი ჩამომავალი იყო ესა თუ ის პირი. მართალია ეს თანხმოვანი დაკარგულია და იგი თითქმის ყველა დოკუმენტშია დაცული, რომელიც აქ მიმოვიხილეთ.

რაც შეეხება ზემოხსენებული შტო–გვარის მაწარმოებელ –ანთ ბოლოსართს „ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერებში“ დაცულია, როგორც გვარის მაწარმოებელ მრავლობითობის აღმნიშვნელი ფორმანტი. მაგალითად, პავლიაანთ ბერის შვილი გიორგი და ლუარსაბ.

პავლიაანთ ივანეს შვილი ელო, ბერი და ზურაბ, სეხნია, საბა.

პავლიაანთ გამიხარდის შვილი კაცია.

ჩანს, რომ –ანთ, როგორც მაწარმოებელი აფიქსი, ტრადიციულად დაცულია როგორც გვართა, ისე შტო–გვარების წარმოებისას. ამისი მაგალითი კი გამოვლინდა საველე მასალების ჩაწერის დროს. მაგალითად, სოფელ ერედაში შტო-გვარებია: ბერიაანთი, ბეჭიაანთი, ბერიძიაანთი.

სოფელ მორბედაანთში: ჯავახიაანთი, ალექსაანთი, მათიაანთი, მოსეაანთი.

სოფელ ახმაჯში: მაჭარაანთი, როსტომაანთი, რევაზიაანთი, ნიკაანთი, ქუმელაანთი, მალუაანთი, მთიელაანთი...

ჩანს, რომ ქართული და ქართველური დიალექტები გვარ–სახელთა და შტო–გვარების საწარმოებლად ერთსა და იმავე მოდელს იყენებს ისტორიულად და დღევანდელი ვითარებით, რაც იმისი დასტურია, რომ საერთო ქართული ძირი მუდამ არსებობდა და მან დღევანდლამდე მოაღწია. თუმცა ბევრი საკითხი გამოვლენას ელის, რაც ჩვენი ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხი გახდება.

ლიტერატურა:

1. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 18.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ახალი რედაქცია, II, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2010, გვ. 152.
3. შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973, გვ. 98.
4. ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 43.
5. ბაგრატიონი ი., შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. თბ., 1997, გვ. 26.
6. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967, გვ. 184-185.

რეზიუმე

საქართველოში გვარ–სახელს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, ყოველივე ეს კი მთელ რიგ ისტორიულ დოკუმენტებშია ფიქსირებული.

გვარები იგივე საკუთარი სახელებია, ოღნდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა წარმოშობა პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია. გვარი ლექსიკურად პოლისემური (მრავალმნიშვნელობიანი) ერთეულია. სახელი და გვარი სხვადასხვა ცნების გამომხატველია. მართალია, ისინი ორივე არსებითი სახელია, რომლებიც მიემართება ადამიანს, მაგრამ გვარი სტრუქტურულად წარმოადგენს მსაზღვრელ–საზღვრულს, კომპოზიტს, სადაც ერთი ცნება მოიაზრება და ეს ტერმინი გვარ–სახელი არ უდრის გვარს, ამ კომპონენტთა სემანტიკური კავშირით.

ისტორიულად ასევე მემკვიდრეობითი სახელი იყო დიდი ოჯახების განაყოფები, რომელთა რაოდენობა ნებისმიერ დიდ ოჯახებში შეიძლება ათზე მეტიც იყოს.

ზემო ქართლის ხეობებში ჩაწერილი ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ასეთი ლექსიკა სახელდება, როგორც ოჯახის განაყარი, ნათესავი, შტო–გვარი.

გვარის ასეთ დანაყოფებს, რომლებიც გვარის გვერდით საუკუნეობით ფუნქციონირებდნენ, საფუძველს ცნობილი, გამორჩეული პირები უყრიდნენ.

ეს შტო–გვარები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ყოველთვის, მათ შორის დღესაც, შეგვიძლია გამოვყოთ, როგორც გვარის პარალელური ანთროპონიმული სისტემა.

ზემო ქართლში მაჩაბელთა ცნობილი გვარის შტო–გვარებია: ზაალაანთი, რევაზიაანთი, ბორტიაანთი, ბარძიმიაანთი, ზაზაანთი, ბეღელაანთი... ფავლენიშვილთა შტო-გვარებია: თეიმურაზიაანთი, იორამაანთი.

ქსნის ხეობაში ანთროპონიმიული მოდელის შესახებ პასუხს გვაძლევს „1774–81 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა“. ამ დოკუმენტში კარგად ჩანს, რომ წინაპართაგან უპირატესობა ენიჭებოდა მამაკაცს, როგორც ოჯახის უფროსს და გვარის მეთაურს. აღნიშნულ დოკუმენტებში –ანთ ბოლოსართი აწარმოებს გვარის მრავლობითობას. მაგალითად პავლიაანთი, გიგაურიაანთი, ხოკრიაანთი...

–ანთ ბოლოსართი ასევე აწარმოებს შტო–გვარებს, რისი ფაქტებიც გამოვლინდა საველე მასალების ჩაწერის დროს. მაგალითად, სოფელ ერედაში შტო-გვარებია: ბერიაანთი, ბუჯიაანთი, ბერიძიაანთი. სოფელ მორბედაანში: ჯავახიაანთი, ალექსაანთი, მათიაანთი, მოსეაანთი, მიხაანთი...

ჩანს, რომ ქართული და ქართულენოვანი დიალექტები გვარ–სახელთა და შტო–გვართა საწარმოებლად ერთსა და იმავე მოდელს იყენებს ისტორიულად. ბევრი საკითხი კი ამ მიმართებით გამოვლენას ელის, რაც ჩვენი ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხი გახდება.

SURNAMES, FAMILY NAMES AND THEIR QUALIFICATION ACCORDING TO THE HISTORICAL AND MODERN VIEWPOINT

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

Georgian surnames have a long history which are fixed in many historic documents.

Surnames were mainly derived from proper names, from additional second names and the existence of them were due to practical necessity. Lexically surnames have polysemantic meaning. Names and surnames have quite different ideas. Though they are both nouns and refer to a human being, but it is the surname which is structurally the composite i.e. the main part which expresses the surname of a person.

In historic and heritable terms, names had a great meaning to separate big families from each other, to divide them into corresponding numbers.

According to the ethnographic material existed in Zemo Kartli Gorge such lexical units are considered as relatives, close relatives or families separated from their surnames.

The division of such surnames which were functioned centuries beside main surnames, were based by famous distinguished people.

These relative – surnames were moved from generation to generation and even today we can distinguish parallel anthropologic system among them.

In Zemo Kartli for example the relative surnames of the famous surname of Machabeli are: Zaalianti, Revaziaanti, Bortiaani, Bardzimaanti, Zazaanti, Bedeliaanti etc.

The relative surnames of Pavlenishvili are Teimuraziaanti, Loramaanti.

In Ksani Gorge, we can find an answer about anthropologic model in the document named “Statistical description of Ksani Gorge in 1774-81”. In this material we can clearly see that superiority was always given to a man as a supporter of the family and finally their names defined the surnames of the families. In the given document suffix –ant propuced the surnames. For example Pavliant, Gigauriant...

-Ant suffix produces the relative surnames as well. Such facts can be seen in the village of Ereda while visiting it and came across the surnames of Beriaant, Buchiaant or in the village of Morbeda: Javakhiant, Aleksaant, Matiaant, Moseaant, Mikhaant.

As we see historically the same suffixes were used to produce Georgian surnames. But still there are a lot of problems which should be discussed in this regard.

რა უნდა ვიცოდეთ სამეცნიერო ტექსტების ენისა და სტილის შესახებ

მარიკა შერაზადიშვილი, სრული პროფესორი

სამეცნიერო ტექსტის შექმნისას ერთნაირი სირთულეები გვხვდება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ სამეცნიერო ცოდნის რომელ სფეროსთან გვაქვს საქმე. ეს რთული, მაგრამ აუცილებელი პროცესია. ჩარლზ დარვინი ამბობდა: ,,მეცნიერს ბედნიერი ცხოვრება ექნებოდა, მას რომ მწერლობაც არ მოეთხოვებოდეს". წერა მკვლევრისაგან მოითხოვს სიტყვასთან სიღრმისეულ მუშაობას, დაწერილის ანალიზის, დახვეწის უნარს. სამწუხაროდ, სტუდენტებს პროფესიული ინფორმაციის ზეპირი სახით გაცვლა, ე.წ. დიალოგიზებული ან პოლილოგიზებული ურთიერთობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე სამეცნიერო ტექსტის შექმნა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამეცნიერო ტექსტის წერილობითი მხარე პირველადია, ზეპირი, საპრეზენტაციო - მეორეული.

სტილისტურად ნეიტრალური ტექსტი არ არსებობს, ნებისმიერი ტექსტი ამა თუ იმ სტილს მიეკუთვნება. ჩვენთვის საინტერესო სამეცნიერო სტილი გამოხატვის წერით ფორმაზეა ორიენტირებული. სამეცნიერო სტილი (იგივე მეცნიერების ენა, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ენა, სამეცნიერო ურთიერთობის ენა, სამეცნიერო ლიტერატურის სტილი და ა.შ.) ფუნქციური სტილის ხუთი სახეობიდან: პუბლიცისტური, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, სასაუბრო, მხატვრული - ერთ-ერთია.

ფუნქციური სტილის ყოველი სახეობა ერთნაირად იგება: ყველას აქვს ცენტრი, სადაც თავმოყრილია ამა თუ იმ სტილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები (ლექსიკური საშუალებები, სინტაქსური კონსტრუქციები) და პერიფერია, სადაც ნებადართულია მცირე ,,დოზით" სხვა სტილის ელემენტების გამოყენება. ოფიციალურ-საქმიანი სტილისაგან განსხვავებით, თანამედროვე სამეცნიერო სტილი უფრო გახსნილია, გამჭოლი, განიცდის რა სხვა სტილთა გავლენას, ამავდროულად ის თავად მოქმედებს სტილის სხვა სახეობებზე, ამრავალფეროვნებს მათ ახალი ცოდნით და გამოხატვის საშუალებებით.

სამეცნიერო სტილის აღმოცენება სამეცნიერო ცოდნის სხვადასხვა სფეროს ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ანტიკურ პერიოდში სამეცნიერო სტილი მხატვრულ სტილს უახლოვდებოდა. ბერძნები - პითაგორა და პლატონი, რომელი ლუკრეციუსი მოვლენათა ემოციურად აღმქმნელი მეცნიერი მოაზროვნეები იყვნენ. სამეცნიერო სტილი მხატვრულს ალექსანდრიულ პერიოდში (ძვ.წ.აღ.III-I ს.ს.) გამოეყო, როდესაც ბერძნულმა ენამ კულტურულ მსოფლიოზე გავლენა მოიპოვა და სწორედ ამ ენაზე დაიწყო სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება. მოგვიანებით ეს ტერმინოლოგია ლათინურიდანაც შეივსო, როცა შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში, ლათინური მთელი დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ენად იქცა. ერთი მხრივ, ეს მოსახერხებელი იყო, რადგან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შეეძლოთ გასცნობოდნენ ერთმანეთის ნაშრომებს, მეორე მხრივ, ეს ხელს უშლიდა თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში სამეცნიერო სტილის ჩამოყალიბებას. აღორძინების ხანაში მეცნიერები ესწრაფიან, სამეცნიერო ნაშრომი ჩამოაყალიბონ ზუსტად, მოკლედ, ემოციების გარეშე, უარს ამბობენ მხატვრულ ელემენტებზე. სამეცნიერო პროზის ეტალონი ხდება ნიუტონის ,,ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისების" მშრალი, მკაცრად ლოგიკური გადმოცემა. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან სამეცნიერო ინტერესების სფერო ჰუმანიტარულიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკისაკენ ინაცვლებს. მე-18 საუკუნის დასასრულიდან თხრობა ხდება უფრო მეცნიერული და თანამედროვე, წარმოგვიდგენს არა მხოლოდ შედეგს, არამედ ამ შედეგამდე მიმავალ გზასაც. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მეცნიერების ენა ჯერ კიდევ არ იყო მხატვრული ლიტერატურის ენისგან მკვეთრად გამიჯნული და ცალკე ფუნქციურ სტილად ჩამოყალიბებული.

ამრიგად, სამეცნიერო ენა, როგორც ფუნქციური სტილის შემადგენელი ნაწილი, შედარებით გვიანდელი მოვლენაა, მისი ფორმირება და სრულყოფა ჯერაც არ დასრულებულა. სამეცნიერო სტილის ნორმათა ცოდნა სამეცნიერო სფეროში წარმატებული ურთიერთობის აუცილებელი პირობაა.

სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელია:

- **განზოგადება** - აბსტრაქტული და განზოგადებული მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების ფართოდ გამოყენება. მაგალითად, მართი კუთხის მოპირდაპირე გვერდს ჰიპოტენუზა ჰქვია. აქ საუბარია არა კონკრეტული სამკუთხედის კონკრეტულ ჰიპოტენუზაზე, არამედ - ყველა არსებულ და შესაძლებელ შემთხვევაზე;

- **ხაზგასმული ლოგიკურობა,** რომელიც აზროვნების მკაცრი ლოგიკურობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარეობს და მჭიდროდ უკავშირდება თხრობის თანამიმდევრულობას, მტკიცებითობას, არგუმენტირებულობას, შედეგობითობას;
- **ტერმინთა სიზუსტე** - განსაკუთრებული ტერმინოლოგიის გამოყენება სამეცნიერო სტილისათვის მისი ჩამოყალიბების გარიჟრაჟზევე იყო დამახასიათებელი, როცა ის ჯერაც არ გამოირჩეოდა სხვა სტილისაგან;
- **აზრობრივი სიზუსტე** - მოცემული კონტექსტისათვის ყველაზე შესაფერისი სიტყვის ან გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენებით აზრის ადეკვატურად და ერთმნიშვნელოვნად გადმოცემა;
- **სიცხადე** -სამეცნიერო ენის შინაარსობრივი მხარის სირთულე მოითხოვს გადმოცემის სიცხადეს და სიმარტივეს, დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციის მიწოდების გასაიოლებლად. „სამეცნიერო ტექსტის ენის მთავარი ღირსება სიცხადეა, სამეცნიერო ნაშრომის კარგი ენა შეუმჩნეველი უნდა იყოს მკითხველისათვის, შესამჩნევი უნდა იყოს მხოლოდ აზრი“ [1;2002].
- **სტანდარტულობა, სტერეოტიპურობა** - აქ იგულისხმება მყარი ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქციები, აბზაცის აგების განსაზღვრული მოდელი;
- **ლაკონურობა** - ტექსტის ლექსიკური, სტრუქტურული და საინფორმაციო ზედმეტობისაგან გათავისუფლება;
- **ობიექტურობა** - წარმოდგენილი მასალა სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს, არ უნდა შეიცავდეს სუბიექტურ შეფასებას. ,,ეს არის თხრობა, სადაც ავტორი და მისი შეფასება უკანა პლანზე გადადის, წინა პლანზე თვით პროცესია [2;2005].
- **პირველი პირის მრავლობითში ხმარება** - ავტორისეული ,,მე“-ს ხმარების შეზღუდვა. დღემდე აქტუალურია საკითხი - სამეცნიერო ტექსტში ვიხმაროთ ,,მე“ თუ ,,ჩვენ“. ეს, ძირითადად, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ეხება, რადგან ტექნიკურ მეცნიერებებში ლაბორატორიული ექსპერიმენტი და აღმოჩენები ერთპიროვნულად იშვიათად გვხდება;
- **ექსპრესიულობა** - მისი კომუნიკაციური ამოცანაა, სამეცნიერო სიტყვა გახადოს დამაჯერებელი და გამომსახველობითი.

აქვე უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე - სამეცნიერო სტილი ერთი მთლიანობაა თუ იყოფა სხვადასხვა დონის ვარიანტებად? ყოველ ფუნქციურ სტილში გამოიყოფა ქვესტილი. ჩვენთვის საინტერესოა: საკუთრივ სამეცნიერო (აკადემიური), სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-საქმიანი, სამეცნიერო-საინფორმაციო, სამეცნიერო-საცნობარო, სამეცნიერო-მემუარული, სამეცნიერო-პუბლიცისტური, სამეცნიერო-ფანტასტიკური.

ცალკე უნდა გამოვყოთ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, რომლის მიზანია საზოგადოების სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება, არასპეციალისტებამდე გასაგები ფორმით სპეციალური ცოდნის მიტანა. მეცნიერების პოპულარიზაციის დიდ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ დიდრო წერდა. იგი გამოთქვამდა სურვილს, ავტორებს შეექმნათ საკუთარი ნაშრომების ,,გასაგები“ ვარიანტები, რაც მათ ყველასთვის მისაწვდომს გახდიდა. ამერიკელი მწერალი კ. ვონეგუტი წერდა: ,,თუ მეცნიერი ვერ შეძლებს, აუხსნას რვა წლის ბავშვს, რას საქმიანობს, ის შარლატანია“.

ჰუმანიტარული პროფილის სპეციალისტებს (პედაგოგებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს) უნდა შეეძლოთ მეცნიერული თეორიის პოპულარული ენით გადმოცემა არასპეციალისტებთან - მოსწავლეებთან, პაციენტებთან საუბრისას. იგივე ითქმის ტექნიკური პროფილის სპეციალისტებზე - ინჟინრებს უხდებათ ურთიერთობა დამკვეთთან, მწარმოებელთან, მომხმარებელთან. საჭიროა, მათ გასაგები ფორმით შეეძლოთ საკუთარი სამეცნიერო მიღწევების მიტანა პოტენციურ ინვესტორამდე, მარკეტოლოგამდე, მომხმარებლამდე.

ამრიგად, სამეცნიერო სტილის ქვესტილთა შემდეგი სახეები შეიძლება გამოვყოთ:

- საკუთრივ სამეცნიერო ქვესტილი (სამეცნიერო სტატია, დისერტაცია, მონოგრაფია, მოხსენება);
- სამეცნიერო-სასწავლო (სახელმძღვანელო, მეთოდური სახელმძღვანელო, პროგრამა, ამოცანათა და სავარჯიშოთა კრებული, სალექციო კონსპექტი);
- სამეცნიერო-პოპულარული, სამეცნიერო-პუბლიცისტური (ნარკვევი, წიგნი, ლექცია, სტატია);
- სამეცნიერო-საცნობარო (ლექსიკონი, კატალოგი);
- სამეცნიერო-საქმიანი (ტექნიკური დოკუმენტაცია);
- სამეცნიერო-მემუარული (ისტორიული ცნობა, მეცნიერის ბიოგრაფია).

ლიტერატურა:
1. Лингвистический энциклопедический словарь, М. 2002, стр. 709;
2. Костомаров В. Г., Язык в действии, М. 2005, стр. 287.

რეზიუმე

სამეცნიერო ენა, როგორც ფუნქციური სტილის შემადგენელი ნაწილი, შედარებით გვიანდელი მოვლენაა, მისი ფორმირება და სრულყოფა ჯერაც არ დასრულებულა. მისთვის დამახასიათებელია: განზოგადება, ხაზგასმული ლოგიკურობა, ტერმინთა სიზუსტე, აზრობრივი სიზუსტე, სიცხადე, სტანდარტულობა, სტერეოტიპურობა, ლაკონურობა, ობიექტურობა, პირველი პირის მრავლობითში ხმარება, ექსპრესიულობა.

ყოველ ფუნქციურ სტილში გამოიყოფა ქვესტილი. სამეცნიერო სტილის ქვესტილთა შემდეგი სახეები შეიძლება გამოვყოთ:

- საკუთრივ სამეცნიერო ქვესტილი (სამეცნიერო სტატია, დისერტაცია, მონოგრაფია, მოხსენება);
- სამეცნიერო-სასწავლო (სახელმძღვანელო, მეთოდური სახელმძღვანელო, პროგრამა, ამოცანათა და სავარჯიშოთა კრებული, სალექციო კონსპექტი);
- სამეცნიერო-პოპულარული, სამეცნიერო-პუბლიცისტური (ნარკვევი, წიგნი, ლექცია, სტატია);
- სამეცნიერო-საცნობარო (ლექსიკონი, კატალოგი);
- სამეცნიერო-საქმიანი (ტექნიკური დოკუმენტაცია);
- სამეცნიერო-მემუარული (ისტორიული ცნობა, მეცნიერის ბიოგრაფია).

WHAT WE NEED TO KNOW ABOUT A SCIENTIFIC TEXT LANGUAGE AND STYLE

Marika Sherazadishvili, Professor

RESUME

Scientific language, as a part of a funcional style, is a relatively recent phenomenon, its formation and development is not finished yet. It is characterized by: a generalization, emphasized logicality, accuracy of terms, semantic accuracy, clarity, standardizing, stereotyping, laconism, objectivity, using the first-person in plural, expressivity.

A sub-style is separated in each functional style. We can indicate the following sub-styles from sientific styles:

- A scientific sub-style itself (Scientific article, thesis, monography, report);
- Scientific and training (guide, methodology manual, programme, collection of problems and exercises, lecture synopses);
- Popular scientific, scientific-journalistic (Essay, books, lectures, articles);
- Scientific reference (dictionary, directory);
- Business Scientific (technical documentation);
- Scientific memoirs (historical reference, a scientist's biography).

ФРАЗЕОЛОГИЯ В ПОЭЗИИ М. ЦВЕТАЕВОЙ

Теа Хабалаеви, *приглашённый специалист*

В богатой фразеологии русского языка заложены большие синонимические возможности, что служит основой для стилистического её использования.

Особенно многообразны приёмы использования фразеологических оборотов в художественной литературе. Писатели используют фразеологию не только в том виде, как она существует в языке, но и в изменённом виде, обновляя семантику, структуру и экспрессивно-стилистические свойства фразеологических оборотов. Создаются новые смысловые оттенки, появляется новое художественное качество фразеологизмов, обогащаются связи слов. «Фразеологическое творчество писателей выражается прежде всего в обновлении привычных для слов контекстов, в которых эти слова обычно выступают» (Дубинский И. В 1983).

М. Цветаева очень ценит слово, умеет обнаружить в нём все его смысловые возможности, расширить семантические границы слова и его связи с другими словами. Нередко в поэзии М. Цветаевой встречаются приёмы авторской обработки фразеологических оборотов, придания им новых оттенков, свежих, весьма разнообразных красок. Сюда относится обновление семантики, изменение или расширение лексического состава .

Учитывая семантическую многогранность и стилистическую выразительность фразеологических единиц, М. Цветаева широко использует в поэзии приём семантического преобразования фразеологизмов. При этом наблюдается наполнение фразеологического оборота новым содержанием, замена закреплённого в языке значения другим, либо употребление фразеологического оборота и как фразеологического сочетания и как свободного, индивидуальное образование оборотов по аналогии с существующими в языке фразеологизмами.

Очень часто в поэзии М. Цветаевой встречается использование элементов фразеологизма в качестве единиц свободного употребления. Например:

***

...Низостью двуединой
<u>Золота и середины.</u> (3.283) Ср. « золотая середина»

***

Как даже Елене за красным
ужином
<u>В глаза</u> не дерзалось своим
рабам... Ср: «посмотреть в глаза»

***

<u>Было дружбой, стало службой</u>
Бог с тобою, брат мой волк. (3.166)
Ср: «не в дружбу, а в службу»

Сталкивая слова со значениями, полученными из фразеологического употребления, и омонимичные или слова со свободным значением, М. Цветаева показывает не разобщённость омонимов в языке, а их смысловую связь. Например:

***

Пушкин, Пушкин, Пушкин – имя
<u>Благородное – как брань</u>
<u>Площадную</u> – попугай
- Пушкин? Очень испугали! (3.284)

***

Друг, я люблю тебя <u>свыше</u>
<u>Мер</u> – и чувств.
Друг, я люблю тебя <u>свыше</u>
Слышь- и- встань. (3.254)

В последнем примере слово «свыше» выступает в контексте то как предлог, то как наречие. Лексическая самостоятельность и наполненность этого слова возрастает от начала стихотворения к его концу.

Нередко Марина Цветаева использует приём развития мотива, заданного фразеологизмом, на базе которого возникает развёрнутая метафора. В этой связи интересно метафорическое «преобразование» фразеологического оборота «дитя любви»:

***

Каждый стих – дитя любви,

Первенец – у колен
На поклон ветрам – положенный.
Сердцу – ад и алтарь,
Сердцу – раб и позор.
Кто – отец? Может царь,
Может – царь, может - вор. (3.132-133)

В других случаях М. Цветаева использует лишь общий образ или содержание фразеологизма. Например:

***

Узнаю тебя, смерть,
Как тебя не зови:
В сыне – рост,
В сливе – червь,
Вечный третий в любви. (3.279)

В данном примере обыгрывается значение фразеологизма «третий лишний», но используется Мариной Цветаевой только один компонент – «третий». Тем не менее общая семантика этого слова становится необычайно ёмкой, она уже определяется значением всего фразеологизма «третий – лишний».

Нередко М. Цветаева использует лексические повторы отдельных элементов фразеологизмов. Элемент фразеологизма, выделенный лексическим повтором, способствует выявлению внутренней формы словосочетания, так как оказываясь сильнее других элементов, он несколько отделяется от них, сцепление элементов ослабевает и сочетание становится более свободным. Например:

***

Ох, брадатые авгуры!
Задал, задал бы вам бал
Тот, кто царскую цензуру
Только с дурой рифмовал... (3.281)

Таким образом, наряду с лексическим преобразованием фразеологических единиц Марина Цветаева широко использует в своей поэзии и приём семантического преобразования фразеологизмов. В результате этого происходит наполнение новым содержанием фразеологической единицы, замена значения, которое закрепилось в языке, другим; употребление фразеологического оборота и как свободного, и как фразеологического сочетания. Семантически преобразовывая семантические единицы, М. Цветаева указывает на смысловую связь омонимов в языке, на возростание лексической самостоятельности и наполненности какого-либо компонента фразеологической единицы от начала стихотворения к его концу и на возникновение развёрнутой метафоры на базе фразеологизма. Всем этим М. Цветаева ещё и ещё раз подчёркивает семантическую многогранность и стилистическую выразительность фразеологических единиц.

ЛИТЕРАТУРА:

1. Шанский Н. М., Фразеология современного русского языка, М., 1993
2. Дубинский И.В. О смысловых изменениях фразеологических единиц в контексте. – Сарат. универ. 1983. стр. 72
3. Цветаева М. Стихотворения, Поэмы. Библиотека Русской поэзии. Санкт Петербург, 1996

ფრაზეოლოგია მ. ცვეტაევას პოეზიაში

თეა ხაბალაევი, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

მოცემულ ტექსტში განხილულია მ. ცვეტაევას ფრაზიოლოგიზმები. იგი თავის პოეზიაში ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ გარდაქმნასთან ერთად ფართოდ იყენებს ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ გარდაქმნას. ამის შედეგად ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულების ახალი შინაარსით დატვირთვა, მნიშვნელობის სეცვლა. ამ ცვლილებების შედეგად მ. ცვეტაევა მიუთითებს ომონიმების შინაარსობლივი კავშირის შესახებ. აგრეთვე ხაზს უსვავს ლექსიკური დამოუკიდებლობის გაზრდას, ფრაზიოლოგიზმების საფუძველზე გაშლილ მეტაფორის შექმნაზე. ამით პოეტი გამოკვეთს ფრაზიოლოგიური ერთეულების სემანტიკურ მრავალ წახნაგობასა და სტილისტიკურ გამოსახველობას.

PHRASEOLOGY AT M. TSVETAEVA'S POETRY

Tea Khabalaevi, Specialist by contract

RESUME

In the text given below are discussed the phrasal verbs used by M .Tsvetaeva. In her poetry she uses semantic transformation of phrasal verbs together with transformation of phraseological units to lexical. Due to this transformation phraseological units gain new meanings. M. Tsvetaeva indicates the connection between the meanings of homonyms, she also emphasizes the increase of lexical self-sufficiency. In this way poetess outlines semantic multi-facets and stylistic expressions.

ლიტერატურა
Literature

სოფრომ მგალობლიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობის ისტორიიდან

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

სიახლეებითა და, ამავე დროს, სირთულეებით აღინიშნა 1890-იანი წლები ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილისა (1851-1925) და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) ცხოვრებაში.

გორის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგმა ს. მგალობლიშვილმა, ეროვნულ საკითხებზე სასწავლებლის ინსპექტორ ბელიაევთან შეჯახების გამო, 1890 წელს დატოვა გორი და, ეგზარქოს პალადის განჩინებით, დაინიშნა ფოთში გურის-სამეგრელოს ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნად. 1897 წელს ს. მგალობლიშვილი გადაჰყავთ თბილისში, სრულიად საქართველოს სინოდალურ კანტორაში.

1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. ჩვეული ენერგიულობით მოეკიდა ნიკო ნიკოლაძე პრაქტიკულ საქმიანობას. მტერიც ბევრი გაუჩნდა. 1912 წელს ყალბი ბრალდების საფუძველზე იგი გადააყენეს თანამდებობიდან, თუმცა მადლიერმა ქალაქმა და მისმა თვითმმართველობამ ნიკო ნიკოლაძეს დაუნიშნა მუდმივი პენსია.

სწორედ 1894-1909 წლებია ამ ორი ადამიანის საინტერესო ურთიერთობისა და აქტიური მიმოწერის პერიოდი, რომელსაც ჩვენ რამოდენიმე წერილი მივუძღვენით (იხ. თ. გოგოლაძე „ძიებანი და ეტიუდები", 2008). აღნიშნული პერიოდების მიმოწერიდან შემონახულია ნიკო ნიკოლაძის 15 წერილი (ერთი - საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ არქივში ფ.167, 6 წერილი - [1896-1908 წ.წ.] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში - ფ. 15870, 15876, 15869; 8 წერილი, [1909-1914წ.წ.] და ს. მგალობლიშვილის 2 წერილი - ლიტ. მუზ. ფ. 3984 [1904 წ.) სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ნიკოლაძე მანამდეც იცნობდნენ ერთმანეთს. სწორედ სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებმა შემოგვინახა ინფორმაციები ნიკო ნიკოლაძის აქტიურ საქმიანობაზე „კრებულსა" და „დროებაში":

„ჟურნალ „მნათობს" მიემატა მეორე ჟურნალი „კრებული", რომელიც გამოვიდა 1891 წლიდან. უმთავრესი თანამშრომელი, სულის ჩამდგმელი და მიმართულების მიმცემი იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ახლად ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან. „კრებულისა" და ნიკოლაძის გარემო შემოიკრიბნენ მაშინდელი მწერლები და მთლად მაშინდელი ინტელიგენცია. „კრებულში" მუდამ იბეჭდებოდა ნაშრომნი აკაკისა, მამია, გურიელისა, გ. წერეთლისა, ს. მესხისა. თვით ნ. ნიკოლაძე სკანდელის ფსევდონიმით განუწყვეტლივ სწერდა როგორც „კრებულში", ისე „დროებაში". ახალგაზრდობა წარმატებით კითხულობდა მის ნაწერებსა. როცა „კრებული" დაარსდა, ილია ჭავჭავაძე დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ. „საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ ილია მიჩუმდა. „კრებული" გამოვიდა თუ არა, ნიკოლაძემ აიძულა თანამშრომელი გამხდარიყო. ყოველ კვირა გარბოდა თურმე ნიკოლაძე დუშეთში, ან საგურამოში და ართმევდა ლექსებს" (მგალობლიშვილი, 1938).

ფოთში სოფრომი აქტიურად ჩაება ქართველი სამღვდელოების პატრიოტულ საქმიანობაში. აქვე ამთავრებს მოთხრობას „მეკვლე“, გიორგი წერეთლის მიწვევით თანამშრომლობს „კვალში“ და აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს სერიით „დღიური ბიძია თომასი“. სატირით შეზავებული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭირბოროტო საკითხების გამომზეურებითა და ეგოიზმის, უმოქმედობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებით. ამ წერილებს თურმე დიდი აურზაური გამოუწვევია. „ერისთავები ყალყზე დადგნენ, ჩვენ ვართ შიგ აღწერილიო“ და „კვალს“ ხელმოწერა შეუწყვიტეს. ფოთის პერიოდთანაა დაკავშირებული ს. მგალობლიშვილის წერილი „წყალდიდობა ფოთში“, რომელიც „ივერიაში“ ქვეყნდება 1895 წელს.

ეპისკოპოს გრიგოლთან ერთად სოფრომი იბრძვის ქართული ენის დაცვისათვის. ს. მგალობლიშვილი ფოთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრშია. ერთ სტატიაში, „წერილი ფოთიდან“, იგი წერს:

„არა მგონია, რომელიმე ქალაქში იყვეს იმდენი წარმოდგენები, რაც ჩვენს მიყრუებულ ფოთში, კვირაში სულ უკანასკნელი სამჯერ მაინც არის წარმოდგენა“ (გოგოლაძე, 2008).

წარმოდგენებში აღებული ფულით უნდა დახმარებოდნენ ფოთის სამკითხველოს მშენებლობას. ს. მგალობლიშვილი აყენებდა საკითხს, რომ შეექმნათ ერთიანი სალარო, შემდეგ გადაეწყვიტათ ამ სალაროდან აღებული ფულით სტუდენტებისა თუ ქალაქის მშენებლობისათვის დახმარების გაწევა.

„...ნიკო ნიკოლაძისათვის ფოთში გადასვლა საკმაოდ უცნაური იყო. კრიტიკულ-პუბლიცისტიკური მოღვაწეობის ზენიტში ასული ნ. ნიკოლაძის წასვლა ფოთში ქალაქის თავად სხვადასხვაგვარად იყო გაგებული და შეფასებული... მაგრამ თუ კარგად ჩავწვდებით ნ. ნიკოლაძის ნაწერების ნამდვილ აზრს და სწორად გავითვალისწინებთ იმ ატმოსფეროს, რომელშიც იგი 90-იანი წლებში მოექცა, გაკვირვებას საფუძველი მოესპობა.

თავის ერთ ბროშურაში („ჩემ პოლიტიკაზე“) ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ „მიუწვდომელ ოცნების, ბრმა მიმბაძველობის მაგიერ მიზნად ყოველთვის მქონია ჩემი ქვეყნის მორიგი საჭიროების შესწავლა, დაკმაყოფილება.“ (გამეზარდაშვილი, 1978)

სწორედ პრაქტიკული საქმიანობისაკენ სწრაფვით ხასნის მკვლევარი ქართველი საზოგადო მოღვაწის ფოთის პერიოდს, მით უმეტეს, რომ ნ. ნიკოლაძე ამავდროულად, არ წყვეტდა ინტელექტუალურ საქმიანობას.

და აი მიმოწერაც, რომელიც სხვადასხვა ფონდებსა და საცავებშია გაფანტული, ერთგვარად ააშკარავებს ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას, მის საქმიანობას ქალაქ ფოთის, როგორც საქართველოს ერთ, მოწინავე ქალაქად, გარდასაქმნელად.

ორი წელიც არ გასულა ნ. ნიკოლაძის ქალაქის თავად დანიშვნიდან და წინააღმდეგობებიც გაჩნდა, 1896 წელს სანკტ-პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში იგი ს. მგალობლიშვილს სევდით აცნობებს, რომ თანაშემწეც არ გამოადგა, იმატა საჩივრებმაო.

1904 წლის 11 აგვისტოს სოფრომის წერილის პასუხად (რომელსაც აცნობებს, რომ „რაღაც სიყალბე „რაპორტით“ ვინმე „ახალგაზრდა ბერისა“ გაბათილებული იქნა), ნიკო ნიკოლაძე დიდ მადლიერებას გამოხატავს:

„იცოდე ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ და გარდაუხდელად არ დავტოვებ ამ დავალებას და მთელი ფოთი, მთელი ეს მხარე სამუდამოდ დაგიმადლებს, ამ კეთილი საქმის დაცვას“. (ნიკოლაძე, წერილი ლ. არქ., დ. 167, №1, ერთეული №1).

1904 წელს მიწერილ ბარათში ნიკო ნიკოლაძე ყვება იმ წინააღმდეგობებზე, რაც მას შეხვდა ფოთის სობოროს მშენებლობისას.

ნიკო ნიკოლაძე წუხს, სობოროს კურთხევის დაგვიანებას და იმედოვნებს, რომ იქნებ 23 აპრილს შედგესო კურთხევა.

განსაკუთრებით გამწვავდა ნიკო ნიკოლაძეზე თავდასხმები 1910 წლიდან, ამას ერთი წერილიც მოწმობს, რომელშიც გამოხატულია ღრმა გულისტკივილი, ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი რომ გრძნობს. წერილი, რომელიც 1910 წლის 20 დეკემბრით თარიღდება, მოგვყავს სრულად:

„ძვირფასო ძმაო სოფრომ!

შენი წერილის პასუხათ გატყობინებ, რომ დღეს მოვაწერე ხელი და სხვა გამგეობის წევრებსაც მოვაწერინე ესტატე ნიკოლოზის ძის ხორბალაძის დანიშვნაზე ჩვენი ელექტრონის სტანციის ტეხნიკოსათ, იმედი მაქვს, შენს თავდებობას არ შეარცხვენს და ერთგულათ ემსახურება ქალაქსა. დიდათ მოხარული ვარ, რომ ნელ-ნელა და ცოტა-ცოტა ჩემიანებიც სწავლობენ ტეხნიკას და შესაძლო ხდება მათი

დანიშვნა ამგვარ ადგილზე. ნინო და შენი ყმაწვილები სიყვარულით მომიკითხე. შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

P.S. მართლა! იქნებ იცნობდე ვინმეს „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში? თუ ძმა ხარ, განგებ ნახე და უთხარი, რას ჩამციებიან? ხომ ხედავ, ხმას არ ვიღებ, როცა ცილს მწამებენ და ცრუობენ ჩემი ქალაქისადმი სამსახურის საქმეებზე. ეხლა პირადათ ჩემზეც დაუწყიათ ცილის წამება, გუშინწინდელ ნომერში, ვითომ „ოხუნჯობად“ დაუბეჭდიათ, ვითომ ხუმრობა - სააზნაურო ფულიდამ მიუციათ ნიკო ნიკოლაძისათვის 12 000 მანეთიო!!! ნუთუ არ იციან, რომ ხუმრობასაც, ოხუნჯობასაც რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს, მსგავსება მაინც უნდა გააჩნდეს სინამდვილესო? ცოტაა განა ჩვენში უტვინო ვაჟბატონი, ვისაც ეს სიცრუე მართალი ეგონება? ხომ მოსვენება აღარ მექნება მთხოვნელისაგან და მოვალეებისაგან, რომელნიც უამისოთაც 9/10 ჩემი დროისა მუდამ მართმევენ? თუ ძმობა გწამდეს აუხსენი მაგ რედაქციას, რომ ამ ჩემი 50 წელზე მეტი საზოგადო მოღვაწეობის განმავლობაში ჩემს დღეში არც ერთხელ არც ერთი ჩვენი ქართული დაწესებულებათაგან ან ადამიანებისგან არც მითხოვია, არც მიმიღია, არამცთუ შემწეობა და დახმარება, თუნდა 12 გროშისა და ნურც შემდგომად მომიძღვოს ბედმა ისე, რომ ქართველების გამოსულობისა და მოთავეობისათვის ხელი გამეწვდინოს ხალხისა და საზოგადოებისათვის საზრდოს და დახმარების სათხოვნელად! რა წამიერად აზვიადებენ ჩემ ვითომ ანგარებისმოყვარეობას მაგ ვაჟბატონები, როცა ბევრი მაგალითი უნდა ჰქონდეთ თვალწინა. რომ მქონია ან შემძლებია სხვაგან 12, 15, 18 და 20 ათასი მანეთის ჯამაგირი წელიწადში და ამ ჯამაგირს არ დავხარბებივარ, მირჩევნია ჩვენი ქვეყნის სამსახური, ან სრულიად უანგაროთ, ან სამჯერ თუ ოთხჯერ ნაკლებ ფასათ? ნუთუ იმ მოსაზრებით, რომ სტამბა ჩამივარდა ხელში, ადამიანმა ერთიანად უნდა აიღოს ხელი და უსინდისოდ ცილისწამებას შეუდგეს? მესმის, სოცდემოკრატები მდევნიან თავიანთ გაზეთებში და წრეებში იმ მოსაზრებით, ვითომ მომავალ კენჭისყრაზე სახელმწიფო საბჭოში დეპუტატის ასარჩევათ ეჭვობენ, მათი მეტოქე და მოცილე ვიქნები, როგორც მშიერ ძაღლს, აყროლებული ძვლის მხვრელს, ეშინია გამვლელმა ეს ძვალი არ წამართვასო და ჰგონია, რომ ადამიანსაც მისი ძვალი ეხარბება, სოციალ-დემოკრატებსაც ესე ჰგონიათ, რომ დეპუტატობის საძიებლად გამოვალ ასპარეზზე! ეს მათი შეცთომა გასაგებია, მაგრამ ფედერალისტებს რა მოლანდებიათ? რა უნდათ ჩემგან? ვისი ეშინიათ? მადლობა ღმერთს, არვის ვებრძვით და გინდაც ვებრძოლო, ნუთუ სიცრუით და ცილის წამებით უნდა მიპასუხონ? ნუთუ ამდენი ხანია ვერ მიმხვდარან, რომ ამ იარაღს მოკლე ფეხი აქვს? შენი ჭირიმე, ეს აზრები აუხსენ რედაქციას და სთხოვე თავი დამანებოს. დიდად დამავალებ ამ თხოვნის შესრულებით.

შენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე“.

(საქ. ლიტ. მუზეუმის ფ. 15 874).

ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია. ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი იმდენად დიდია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე გარდაცვალებამდე. რომ ყოველი ახალი მიკვლეული მასალა ცხადყოფს და ამდიდრებს მას. თავად მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები უფრო აზუსტებს ამას:

„მეტად ძნელია ამ დიდი კაცის შესახებ წერა და ისეთ ვიწრო ფარგლებში, როგორც ამ შემთხვევაში გვიხდება. ამას უნდა ვრცელი ადგილი, რომ ყოველ მხრივ მოხდეს მისი შეფასება, რადგან ეს მარტო პიროვნების მოღვაწეობის ანგარიში არ იქნებოდა, არამედ საზოგადოებრივი გაკვეთილი, ჩვენი ტკივილის აღქმა და ქართული ენერგიისადმი უდიდესი რწმენის დადასტურება. (ვ. კოტეტიშვილი, 1965).

ჩვენი სტატიის მიზანიც სწორედ ეს იყო, რამდენიმე შტრიხით შეგვევსო ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის ფოთის პერიოდი.

ლიტერატურა:

1. გამეზარდაშვილი დ. ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 216-217;
2. გოგოლაძე თ. ძიებანი და ეტიუდები, თბ., 2008, გვ.144;
3. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, თბ., 1965, გვ. 465;
4. მგალობლიშვილის ს., მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 60-61.

რეზიუმე

ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და ჟურნალისტის ცხოვრების ერთი პერიოდი დაუკავშირდა ქალაქ ფოთს. 1894 წლიდან მოყოლებული განმტკიცდა მეგობრობა და მიმოწერა ამ ორ ადამიანს შორის, რაც ძირითადად ეხება სამღვდელოებისა

თუ საერო პირების ურთიერთობებს, ფოთის პორტისა და სობოროს მშენებლობის პროცესებს. მიმოწერა დაცულია საქართველოს ლიტერატურული არქივისა და გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში და წარმოადგენს 17 წერილს (რომელთაგან 15 ნიკო ნიკოლაძისაა, 2 სოფრომ მგალობლიშვილისა). ამ წერილებიდან ზოგიერთი დაიბეჭდა „ძიებანსა და ეტიუდებში“, ზოგის ნაწყვეტები ქვეყნდება პირველად.

1910 წელს მოწერილ წერილში ნიკო ნიკოლაძე გამოთქვამს ღრმა გულისტკივილს ფოთში მისი საქმიანობის მიმართ გამოთქმული ეჭვების გამო და ცხადყოფს, თუ როგორ გულადად და თავდადებით იღვწის იგი საზოგადო საქმისათვის.

ფოთის პერიოდი ნიკო ნიკოლაძისათვის წარმოადგენდა მისი პრაქტიკულ საქმიანობაში ერთგვარ გამოცდას. ამ თვალსაზრისით მოპოვებული ახალი მასალები ამდიდრებს დიდი საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის ბიოგრაფიას.

FROM THE HISTORY OF SOPROM MGALOBLISHVILI AND NIKO NIKOLADZE'S RELATIONSHIPS

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

One period of life of a journalist, public writer and public figure - Soprom Mgaloblishvili was connected to town Poti. From 1894 the friendship between him and Niko Nikoladze became stronger and their written correspondence became frequent. Their letters concerned the relationships of priesthood and secular persons, the processes of building Poti harbor and Soboro. Their correspondence (16 letters, out of which 14 belongs to Niko Nikoladze and 2 to SopromMgaloblishvili) is kelp in the archives of Georgian Literature and in the funds of Giorgi Leonidze Literary State Museum. Some of these letters were published in "Research and Sketches", and some extracts are being published for the first time.

In one of the letters written in 1910 Niko Nikoladze expresses deep grief about the doubts concerning his affairs in Poti and clarifies how openly and devotedly he struggles for the social affairs.

This period of his life is a kind of examination to his practical work. From this point the newly found materials enriches the biography of Niko Nikoladze-a great public man.

ემიგრანტულ ჟურნალ ,,კავკასიონში“ გამოქვეყნებული ისიდორე მანწკავას წერილი „საბრალდებო ოქმი“

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

სტატიაში ვასრულებთ იმ პოლემიკის მიმოხილვას ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონის“ რამდენიმე ნომრის ფურცლებზე რომ გაიშალა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის, „ჯაყოს ხიზნები“, გარშემო და მკითხველთა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ რედაქციამ საშუალება მისცა ყველა თანამშრომელს თავისი შეხედულება შეუზღუდავად გამოეთქვა.

წინა სტატიაში განვიხილეთ ვლადიმერ ბაქრაძისა და ვიქტორ ნოზაძის შეფასებები, მიხეილ ჯავახიშვილის ამ რომანს რომ ხვდა წილად.

ამჯერად განვიხილავთ ისიდორე მანწკავას პოლემიკურ წერილს „საბრალდებო ოქმი“, რომელშიც არაერთი სერიოზული ბრალდებაა გამოთქმული რომანის ავტორის მისამართით. ეს შეფასებები რადიკალურად განსხვავდება ყველა იმ უამრავი შეფასებიდან, რაც კი რომანს რგებია წილად. გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნია, რომ „ჯავახიშვილის ნაწერებში ყველაზე მეტი კამათი წილად ხვდა „ჯაყოს ხიზნებს“ [3, გვ. 122]. თითოეული კრიტიკოსი თავისებურად აღიქვამს რომანს, მის პერსონაჟებს, ასაბუთებს საკუთარ ავტორიტეტულ აზრს.

ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილებში რომანისა და მისი პერსონაჟების შეფასებები ორად გაიყო. ჩვენ აღარ გავიმეორებთ ვლადიმერ ბაქრაძის და ვიქტორ ნოზაძისეულ შეფასებებს, რადგან ეს პოლემიკური წერილი უკვე განვიხილეთ წინა სტატიაში. ამჯერად ვიხილავთ მხოლოდ ისიდორე მანწკავას წერილს. დასაწყისშივე გვინდა აღვნიშნოთ-მიგვაჩნია, რომ კრიტიკულ წერილებში არსებული შეფასებებიდან ყველაზე ამომწურავი, ობიექტური და ორიგინალური შეფასებები ისიდორე მანწკავასია. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში აკრძალული იყო ქართველი მკითხველისათვის, არადა არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ემიგრანტი ავტორები წერდნენ ქართულად და ქართველი მკითხველისათვის.

ისიდორე მანწკავა მიიჩნევს, რომ პოლემიკაში მონაწილე ყველა ავტორი ცდება და პირველ რიგში თამარ ვარდანიძე (ამ ფსევდონიმით დაბეჭდა ვიქტორ ნოზაძემ თავისი პოლემიკური წერილი და ძალიან გაასაიდუმლოა ავტორის სახელი და გვარი. თუ რატომ, გურამ შარაძე არაფერს აღნიშნავს). მივყვეთ ავტორის მსჯელობას: ის, რომ რომანის ყველა შემფასებელი ცდება, მაგრამ ან ცდება „გულწრფელად,“ იმ ამბების შეფასებაში, ან ყველა შეგნებულად აყალბებს ფაქტებს.

ის ფაქტი, რომ მიხეილ ჯავახიშვილს სურს აღწეროს პირუთვნელად, რაც „ბოლშევიკურ საქართველოში“ ხდება, მაგრამ „არ გამოსდის“, თავის დროზე გრიგოლ რობაქიძემაც აღნიშნა: რომ მიხეილ ჯავახიშვილი არის „შეშინებული მწერალი“, რომელიც თერთმეტჯერ გაიყვანეს დასახვრეტად და მეთორმეტედ სახლში გამოუშვეს. ამ განწყობით დაიწერა რომანი „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც სწორედ ამის გამო არის ყალბი, არადამაჯერებელი და მასში დახატული ყველა პერსონაჟიც უარყოფითი.

გრიგოლ რობაქიძის აზრს იზიარებს ისიდორე მანწკავაც. მასაც მიაჩნია,რომ „ჯაყოს ხიზნებში“ მიხეილ ჯავახიშვილი შეეცადა დაეხატა ის დიდი პოლიტიკური ამბები, რომელიც მოხდა საქართველოში გუშინ, და მოხდა რა? რუსის ჯარმა დაიკავა „ქართული მიწის ყოველი მილიმეტრი“ [1, გვ. 324], მაგრამ როგორ დაწეროს ეს მიხეილ ჯავახიშვილმა? ვინ მისცემს ამის უფლებას? ავტორიც ცდილობს „რომანის ეს ნამდვილი ჩონჩხი შინაგან კლასიკურ წინააღმდეგობების ყალიბში შეკუმშოს....სოციალური საღებავებით გააშაოს“. [1, გვ. 324] სინამდვილეში კი კარგად ჩანს, მწერალი აყალბებს სიტუაციას, თითქოს ეს რუსის ჯარმა კი არ დაიკავა საქართველო და კერძოდ თეიმურაზის მამული, არამედ ვიღაც ნაშინდარელმა ჯაყომ თავისი ბიჭებით. ეს კი ისეთი თვალშისაცემი სიცრუეა, რომ რომანს ყველა ღირსებას უკარგავს. ვხედავთ, რომ ავტორის მთელი ძალისხმევა სიცრუის დამალვას ემსახურება. სწორედ ეს იწვევს კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობას - რომელი ტიპია დიდი ხელოვნებით დახატული და რომელი „მოჭორილი“. ზუსტია ისიდორე მანწკავას შეფასება: „ეს იმას ჰგავს, როცა პეტრეს სურათი გინდა დახატო და მარტო ცხვირზე გამოსული მეჭეჭი გადაიღო, დანარჩენი ტანი კი გააშავო, თითქოს პეტრე არ არსებობს“ [1, გვ. 325].

შალვა ამირეჯიბის აზრით კი „ის რასაც ბოლშევიზმი ჰქვიან „ჯაყოს ხიზნებში“ თამამად არის აღწერილი. ავტორმა მას სასტიკი სარკე აუყუდა წინ. ამაში ჯავახიშვილი უდაოდ ნიჭიერია“ [2, გვ. 85].

გრიგოლ რობაქიძე კი ასე მსჯელობს, რომ ჯავახიშვილს ჰქონდა „დიდი ნიჭი თხრობისა“, მოყოლისა, რომ იმაზე უარესებიც მომხდარა, რაც ასახულია რომანში, მაგრამ ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია და ეს რომანიც შეიძლებოდა ყოფილიყო ხელოვნების ნიმუში, სინამდვილეში კი რომანში ხელოვნება კოჭლობს. ამის მიზეზი ბოლშევიზმია, რომელიც „ნთქავს ყოველგვარ სახეობას“, „ბოლშევიზმი მზის დაბნელებაა“. მიხეილ ჯავახიშვილი ამის დამალვას ცდილობს, მან ქედი მოუხარა ბოლშევიზმს ამ (და არა მარტო ამ) რომანში. გრიგოლ რობაქიძე განიცდის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიხეილ ჯავახიშვილი, „დიდი ნიჭით დაჯილდოებული“, 1937 წელს დახვრიტეს სხვებთან ერთად.

არსებობს აზრი - ასე რომ არ დაეწერა, მიხეილ ჯავახიშვილი რომანს ვერ გადაარჩენდა, ვერ დაბეჭდავდა; რომ ჯობს სულ არაფრის თქმას, გლახად თქმა, თუ ამ სიგლახეში ცოტა რამ სიმართლეა, მაგრამ კატეგორიულია ისიდორე მანწკავას შეფასება -„ეროვნული ცხოვრების დახასიათების დროს ასე არ იქცევიან“ [1, გვ. 327]. ეს ობიექტური შეფასებაა, რადგან, ვფიქრობთ, რომ თუმცა ჩვენ სულ სხვა სოციალურ პირობებში ვცხოვრობთ, რაც მოხდა რომანში ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ „ნაწარმოები დღეს ცოცხალია იმის გამო“, რომ ის პრობლემა, რაც რომანშია ჩადებული, დღესაც აქტუალური პრობლემაა.

უმძიმეს ბრალდებებს უყენებს ის. მანწკავა რომანის ავტორს: „როცა ავტორი შეეცდება, რომ დაწეროს, თითქოს ჯაყომ შინაგანი ძალების დახმარებით გაიმარჯვა, ეს სიყალბეა, ესაა ენერგიული ცდა 1918 წლის 21 მაისიდან ჩვენი ისტორიის ახალი და მეტად საინტერესო თავი ამოშალო, ჩვენს სახელმწიფოებრივ მკვდრეთით აღდგომას ფეხი დაადგა“ [1. გვ. 328]. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ ორჯერ გამოსცა რომანი. ეს ყველაფერი ახალი მთავრობის წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან რომანში

კარგად ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილის ცდა - დაგვაჯეროს, რომ ყოველივე მომხდარის წინაპირობა თეიმურაზმა თვითონ შექმნა თავისი ნაშრომებით. და რა გამოდის? - ჩვენი ინტელიგენცია თვითონ იმზადებდა იმ ტრაგედიას, რომელიც მას თავს დაატყდა 1921 წელს, და ამ ბრალდებას ავტორი ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმეორებს.

შალვა ამირეჯიბიც დაახლოებით ამ აზრისაა, არც მას ესმის თეიმურაზის ასეთი უმოქმედობის მიზეზი: „შეიძლება მითხრან, რომ ასეთ ყოფაშია სწორედ საქართველო, დიახ! მაგრამ საქართველო იბრძვის“ [2, გვ. 87].

ისიდორე მანწკავა პერსონაჟების დახასიათებას ჯაყოდან იწყებს და მიიჩნევს, რომ სიყალბე იწყება ჯაყოდან და ყველა პერსონაჟი ამ სიყალბის დაფარვას ემსახურება. სტატიის ავტორი ცდილობს გაერკვეს რომანი მართლაც ჩვენი ცხოვრების შინაგან ვითარებას პირუთვნელად ასახავს, თუ მთელი რომანი ისტორიული ფაქტების გაყალბება და დამახინჯებაა: „რანაირად მოხდა, ამ აქტუალურ ლიტერატურულ ნაგავში ამოგორდა მთავარი თვისებებით სწორი და მართალი, მარა განზოგადების მხრივ, ყალბი ჯაყო?“ [1, გვ. 325] კითხულობს ავტორი.

რაში შეცდა მიხეილ ჯავახიშვილი? იმაში, რომ დახატა რა ქართველი ხალხის ტანზე გამოსული ეს მეჭეჭი, ამ მეჭეჭს არარსებული შინაგანი სოციალური ბაზა გამოუნახა. სინამდვილეში კი საქართველოში არავითარი სოციალურ-პოლიტიკური ძალების შეჯახება არ მომხდარა. ეს მოხდა რუსეთში და ჯაყოც და ყველა ისიც, ვინც საქართველოს დასაპყრობად მოდის, კომბლებით თუ იარაღით, რუსეთის რევოლუციამ „ამოაგორა“. კრიტიკოსი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა, რომანში განვითარებულ ამბებს რუსი ავტორი რომ ყავდეს. მოიშველიებს რა „ტიტველ ისტორიულ ფაქტებს“, დაასკვნის, რომ ჯაყო „საგარეო ინტერვენციის ნაშიერია“, რომლებსაც როცა უცხო ძალის წინაშე ვმარცხდებოდით, საგარეო უცხო ძალებთან ერთად „სისირულეში მოყავდათ დამპყრობის ყველა სამიზნო გეგემები“. სწორედ ჯაყოა ისტორიულად განზოგადებული ტიპი ყველა იმ „პატიოსანი გვამებისა“, რომლებიც თავისებური მეთოდებით ებრძოდნენ ქართველ ხალხს, იმის მიხედვით, თუ რანაირ პირობებში უხდებოდათ მოქმედება, ამიტომ „ჯაყოს ათასი სახე აქვს გენეალოგიაში“ [1, გვ. 327].

ისიდორე მანწკავა მეტად საინტერესო შედარებას აკეთებს რუს ჯაყოსა და ქართველ ჯაყოს შორის. ჯაყო რუსეთში შინაური რეაქციაა, ჩვენში -საგარეო ინტერვენცია. აი, სწორედ ამის დამალვას ცდილობს მიხეილ ჯავახიშვილი რომანში, თითქოს თეიმურაზმა გამოჩხრიკა პატარა, სუსტი კნუტი, რომელიც შემდგომში ვეფხვად გადაიქცა და თეიმურაზიც შიშისგან გადაირია. საბოლოოდ კი გამოდის, რომ ეს ჯაყოს შეძახილებმა დააფრთხო, შეაშინა და დაიმონა ქართველი ხალხი, რომ „1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი“ ჯივაშვილის ერთი უბრალო შეძახება ყოფილა. ასე ყოფილა, ასეა დღესაც და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც, ჩვენდა საუბედუროდ. ამის შესახებ აკაკი ბაქრაძე ასეთ დასკვნას აკეთებს - რომანში განვითარებული მოვლენები რომ მხოლოდ თავად-აზნაურობის პრობლემა იყვეს, თავად-აზნაურობა, როგორც კლასი მეოცე საუკუნის დასაწყისში მოისპო, პრობლემა კი დარჩა.

ისიდორე მანწკავას მიაჩნია, რომ რომანის ავტორი ცდილობს დაწეროს, რომ თითქოს ჯაყომ შინაგანი ძალების დახმარებით გაიმარჯვა, ეს კი სიყალბეა, ესაა „ენერგიული ცდა 1918 წლის 21 მაისიდან ჩვენი ისტორიის ახალი და მეტად საინტერესო თავი ამოვშალოთ, ჩვენს სახელმწიფოებრივ მკვდრეთით აღდგომას ფეხი დაადგა“ [1, გვ. 328].

ავტორი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ყოველივე მომხდარის წინაპირობა თვითონ თეიმურაზმა შექმნა თავისი ნაშრომებით. და ეს უდიდესი ცილისწამებაა მთელი ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ. თუ განვაზოგადებთ თეიმურაზის საქციელს, გამოდის, რომ ქართული ინტელიგენცია თვითონვე იმზადებდა იმ ტრაგედიას, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა 1921 წელს.

ისიდორე მანწკავა ერთმნიშვნელოვნად თვლის, რომ სიყალბე იწყება ჯაყოდან და ყველა პერსონაჟი ამ სიყალბის დაფარვას ემსახურება. ვლადიმერ ბაქრაძე და „ვარდანიძის ქალი“ ასე აყენებენ საკითხს: თეიმურაზი -კარგია, ჯაყო-ცუდი. ეს, კი, არ არის პერსონაჟების ობიექტური შეფასება.

იმის შემდეგ, რაც გაარკვევს, რომ ჯაყო არის განსახიერება იმ უცხო ძალისა, რომელიც ძალით შემოიჭრა და დაიმონა მთელი საქართველო, ისისდორე მანწკავა თეიმურაზის პიროვნების გარკვევას ცდილობს. მას მიაჩნია, რომ თეიმურაზი მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ ის ყალბია და „პატოლოგიური ტიპი“. თავი და თავი მისი უბედურებისა ის არის, რომ, ის ცვედანია, ამდენად ის არ არის ნორმალური ადამიანი და ამის დამადასტურებელი ფაქტები რომანში მრავლადაა. რაში დასჭირდა ავტორს არანორმალური პიროვნების დახატვა - კითხულობს კრიტიკოსი და თვითონვე პასუხობს - იმიტომ, რომ ნორმალურ ადამიანს ისე ვერ დაამცირებდა, როგორი დამცირებულიც თეიმურაზია, რომ თეიმურაზის ყველა ნაკლი ავტორის „დამსახურებაა“.

ამავე აზრს იზიარებენ შალვა ამირეჯიბი და გრიგოლ რობაქიძე. მხოლოდ აკაკი ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ავტორი ამ ხერხს იმიტომ მიმართავს, რომ ჩვენი მაქსიმალური აღშფოთება გამოიწვიოს იმ ფაქტების მიმართ, რაც რომანში ხდება.

ისიდორე მანწკავა არ იზიარებს ვარდანიძის ქალის (ვიქტორ ნოზაძის) მიერ თეიმურაზის და ლუარსაბის შედარებას, რომ ორივე პერსონაჟი ქართული ინტელიგენციის ნაწილია.

შალვა ამირეჯიბი ამ შედარებას თავისებურ ფორმას მოუძებნის: თეიმურაზი მოკლებულია იმას, რასაც ილია ჭავჭავაძე „ცით მონაბერ სულს ეძახის“ და რაც არ დაიშურა არც ლუარსაბისათვის, არც დარეჯანისათვის. ამ ფონზე „ჯავახიშვილი განხორციელებული ბოროტებაა, მან იცის მხოლოდ ნაკლი და ადამიანის არც ერთი ღირსება“.

ისიდორე მანწკავას დასკვნა ასეთია: „ხევისთავს არ აქვს არც პიროვნება და არც საზოგადოებრივი მე. იგი არარაობაა“ [1, გვ. 329]. მისი ინტელიგენტად გამოცხადება შეურაცხყოფაა იმ საზოგადო მოღვაწეებისა და ინტელიგენციისა, რომლებიც თავისუფლებას მსხვერპლად შეწირა ცივ ტაიგებში, საპყრობილეებში. მოვა დრო და გაირკვევა-იმედოვნებს ის. მანწკავა, რომ ისტორია „ამ ფაქტებს დაალაგებს....რამდენი გმირობა და თავდადება, როგორი წარმოუდგენელი სიძნელეები და დაბრკოლებები იყო მათ მუშაობაში“. [1, გვ. 329] ამ ხალხის გვერდით თეიმურაზ ხევისთავის დაყენება წარმოუდგენელია. „კუზიანი და მახინჯი ოჯახშიც იბადება, მაგრამ არვის აზრად არ მოსდის მთელი ოჯახი კუზიანად გამოეცხადებინა“ [1, გვ. 332].

ავტორი თავის პოლემიკურ წერილს ბრალდებებით იწყებს და ბრალდებებით ამთავრებს: „ჯავახიშვილი წინასწარ განზრახული გეგმით მუშაობს, გარკვეული მიზანი აქვს... და გზადაგზა არ ინდობს არავის: ქართველი ინტელიგენტიდან ქართველი ქალით გათავებული“. [1, გვ. 335]

არსებობს ცნობილი ჭეშმარიტება, რომ დიდ მწერლებს არ ედავებიან, მათ დაწერეს და ეს უკვე ფაქტია, ასეთი იყო მწერლის ნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკული წერილები იწერება და ყველას საკუთარი აზრის დაფიქსირება სურს. ჟურნალ „კავკასიონის“ ნომრებში გაშლილი პოლემიკა, ვფიქრობთ საქართველოს ბედზე მსჯელობა უფროა, ვიდრე რომანის შეფასება. დრო გავიდა და დროის გადასახედიდან კარგად ჩანს ის შეცდომები, რომლებიც იქნა დაშვებული მეოცე საუკუნის დასაწყისში, თუ პირველი დამოუკიდებლობის წლებში. ქართველი ემიგრანტები მოცილებულნი კი არიან საკუთარ სამშობლოს და არც არავითარი კავშირი არ გააჩნიათ მასთან, მაგრამ მათ აქვთ ერთი უპირატესობა საქართველოში დარჩენილებთან შედარებით - შეუძლიათ აზრის თავისუფლად გამოთქმა, მსჯელობა საკუთარ თუ სხვათა შეცდომების შესახებ, შეუძლიათ გაანალიზება საკუთარი თუ მთავრობის მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯებისა. ისინი იმედოვნებენ, რომ ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი მოაღწევს ქართველ მკითხველამდე და ისტორიის მასალები „მიუდგომელი ისტორიკოსის ხელით“ დალაგდება, და დალაგდება არა მარტო ეს პერიოდი, არამედ მთელი რუსული ოკუპაციის „შავი საუკუნე“, რომლის დროსაც ისიდორე მანწკავა ამჩნევს „ერთ მკვეთრ ნიშნობლივ თვისებას“ ქართველი ადამიანისა - აქტივობა, ეს არის მისი ბუნება და შინაგანი სტიქია, და ამ ფონზე რაც არ უნდა დაბეჯითებით გადავსინჯოთ ისტორიის ყველა საბუთი, თეიმურაზის ტიპაჟის ადამიანი არ ჩანს.

ვიქტორ ნოზაძეც და ისიდორე მანწკავაც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ჟურნალ „კავკასიონს“. ორივე მეტად განათლებული, ნიჭიერი და ყოვლად პატიოსანი პიროვნებაა, მაგრამ ვიქტორ ნოზაძისაგან განსხვავებით ისიდორე მანწკავა ადრე გარდაცვლილა - 44 წლისა, ამიტომ მან ვერ მოასწრო საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

1944 წელს, ქალაქ ზალცბურგთან ახლოს ბად-იშლის საავადმყოფოში გარდაცვლილ ისიდორე მანწკავას ამ სიტყვებით გამოეთხოვა ანდრია დეკანოზიშვილი: „...მას შეეძლო ფრიად თვალსაჩინო ადგილი დაეკავებინა ჩვენს მწერლობაში. რისი დასტამბვა, გამოქვეყნება მოასწრო მან, მგონია, საკმარისი საბუთია ჩემის აზრის დასამტკიცებლად. ისიდორეს ნაწერი ყველა თავისებურია, ორიგინალური, ინდივიდუალური. ქართული ემიგრაციის მძიმე პირობებში ცხოვრებამ მას საშუალება არ მისცა სავსებით გაეშალა მომადლებული ნიჭი“ [1, გვ. 28].

ისიდორე მანწკავა იმსახურებს ჩვენი თაობის ყურადღებას, იმას, რომ მისი ავტორიტეტული აზრი გათვალისწინებული იქნეს იმ ნაწარმოებების შეფასებისას, რომელთა შესახებ მან მოასწრო თავისი ავტორიტეტული აზრის დაფიქსირება.

ლიტერატურა:

1. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003.
2. წერილები მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე, შემდგენელი მ. გიგაშვილი, თბ., 2006.
3. გრიგოლ რობაქიძის კრებული, შედგენილი კარლო ინასარიძის მიერ, მიუნხენი, 1976.

რეზიუმე

სტატიაში ვიხილავთ ისიდორე მანწკავას წერილს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონის“ მეხუთე ნომერში და განიხილავს მიხეილ ჯავახიშვილის რომანს „ჯაყოს ხიზნები“. დასაწყისშივე გვინდა აღვნიშნოთ-მიგვაჩნია, რომ კრიტიკულ წერილებში არსებული შეფასებებიდან ყველაზე ამომწურავი, ობიექტური და ორიგინალური შეფასებები ისიდორე მანწკავასია. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში აკრძალული იყო ქართველი მკითხველისათვის, არადა არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ემიგრანტი ავტორები წერდნენ ქართულად და ქართველი მკითხველისათვის.

ისიდორე მანწკავა იმსახურებს ჩვენი თაობის ყურადღებას, იმას, რომ მისი ავტორიტეტული აზრი გათვალისწინებული იქნეს იმ ნაწარმოებების შეფასებისას, რომელთა შესახებ მან მოასწრო თავისი ავტორიტეტული აზრის დაფიქსირება.

ISIDORE MANTSKAVA'S LETTER "INDICTMENT PROTOCOL" PUBLISHED IN THE JOURNAL "KAVKASIONI"

Marine Tsertsvadze, Professor

RESUME

We discuss the letter of Isidore Mantskava which was printed in the fifth number of the journal "Kavkasioni". The review is made about the novel "Jako's Lodgers". From the beginning we want to mention that from many critical assessments one of the most exhaustive, objective and original one is owned by Isidore Mantskava. This was forbidden for Georgian readers for many years despite emphasizing that emigrant authors were writing in Georgian for Georgians.

Isidore Mantskava should be respected by our generation. His authoritative opinion should be foreseen while evaluating the work on which he expressed his own opinion.

განათლება
Education

თვითაღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში

ცირა ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

თვითაღზრდა ადამიანის ისეთი აქტივობაა, რომელიც მიმართულია საკუთარი პერსონის, საკუთარი „მე“-ს შეცვლისა და სრულყოფისაკენ. იგი არის მიზანმიმართული, შეგნებული და სისტემატიური სრულქმნა საკუთარი თავის მიმართ იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ ჩვენივე პიროვნების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს და პირად იდეალს. მისი საშუალებით ადამიანი იძენს თავისი ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის საჭირო თვისებებს და იცილებს ისეთებს, რომლებიც ხელს უშლის იცხოვროს და იმოქმედოს საჭირო მიმართულებით.

თვითაღზრდა ისევე დაუცილებელია აღზრდისაგან, როგორც თვითცნობიერება – ცნობიერებისაგან. ურთიერთდამოკიდებულება აღზრდასა და თვითაღზრდას შორის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: აღზრდა აღსაზრდელსაც გულისხმობს და აღმზრდელსაც. ე.ი. აღმზრდელის ზემოქმედებას აღსაზრდელზე, თვითაღზრდის შემთხვევაში კი აღმზრდელიც და აღსაზრდელიც ერთი და იგივე პიროვნებაა, იგი საკუთარ თავზეა მიმართული.

თვითაღზრდას არც საბჭოთა პედაგოგიკა უარყოფდა, მაგრამ თვითაღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში არ ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც ახლა არის და ეს იმიტომ, რომ არასოდეს ადამიანის თავისუფალ ნებას, მის ნიჭს, უნარსა და შესაძლებლობებს განვითარების ასეთი პირობები არ ჰქონია.

ახალგაზრდის წარმატებით აღზრდა, მისი ნიჭის, უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური ჩაყენება სოციალიზაციის სამსახურში გაიოლდება, თუ აღმზრდელობით პროცესში ჩავრთავთ თვით აღსაზრდელის მცდელობას – გაიუმჯობესოს და სრულყოს საკუთარი თავი. ამდენად, თვითაღზრდა პიროვნების ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ-გონითი ფორმირებისა და სრულყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ი. სამარინი აღნიშნავდა: „თვითაღზრდა სასიკეთოდ ცვლის და აყალიბებს რა ადამიანს, ამით ყოველნაირად უწყობს ხელს მაღალი ზნეობის პიროვნებად, სოციუმის აქტიურ წევრად მის ჩამოყალიბებას“... [4. 102]

წარმატებული თვითაღზრდით არა მარტო თავად პიროვნებაა დაინტერესებული, არამედ მთელი საზოგადოებაც. ცხადია, ნებისმიერი აღმზრდელობითი ზემოქმედება მხოლოდ წარუმატებელ ძალისხმევად დარჩება, თუ იგი არ ეფუძნება შინაგან საყრდენს ანუ აღსაზრდელის ნებას. ასეთი შინაგანი საყრდენი აღსაზრდელის „მე“-ა. ზუსტად იგივე „მე“ უბიძგებს ადამიანს თვითაღზრდისა და თვითსრულყოფისკენ. თვითაღზრდის უპირველესი **პირობაა თვითონ სუბიექტის დარწმუნება ასეთი ქმედების (თვითაღზრდის) აუცილებლობაში**. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ბავშვი გააცნობიერებს, რომ იგი ფორმირების, ჩამოყალიბების პროცესშია, გაუჩნდება სურვილი გახდეს უკეთესი.

თვითაღზრდა, რომ რეალურ საფუძველზე აიგოს, ცხადია, მარტო იმპულსი – „იყო უკეთესი“ საკმარისი არ არის, იმიტომ, რომ ერთია სურვილი და მეორე – რეალობა. სურვილი რომ რეალობად იქცეს, ამას გარეგანი იმპულსის გარდა, შინაგანი ძალებიც სჭირდება, რომლებიც ასაკისა და განვითარების სტადიების მიხედვით იცვლება. თავდაპირველად ბავშვის მოთხოვნილება - „იყოს უკეთესი“ ნაკლებად დიფერენცირებულია. აქ იგი არსებითად უფროსების მოთხოვნასთანაა დაკავშირებული. როგორც მეტაანალიზი გვიჩვენებს, თვითაღზრდის მოთხოვნილება განსაკუთრებით ძლიერდება მოზარდობის ასაკში, როცა მოზარდები უკვე მოზრდილობის ზღვართან დგანან. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც სხვა ადამიანთა, ისე საკუთარი თავის ცოდნა, სხვა ადამიანებთან კავშირის მოთხოვნილება. ეს როცა საკუთარი თავის შემეცნება სხვა ადამიანებთან შედარების გზით ხორციელდება. ამ დროს ხდება დიდი ძვრები ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ, სოციალურ და გონებრივ განვითარებაში. იწყებს რა ინტენსიურ განვითარებას, თვითცნობიერებას, მოზარდს საშუალება ეძლევა კრიტიკულად შეაფასოს თავისი მოქმედებები, უნარ-ჩვევები, მოთხოვნილებები, რეალური შესაძლებლობებიც და გადამეტებული პრეტენზიებიც. თვითაღზრდის ფორმირება-განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს როგორც ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, ისე ის სოციალური გარემოც, რომელშიც ბავშვს (მოზარდს) უხდება ცხოვრება, ეს საკითხი ადამიანს იმ დროიდან აღელვებს, რა დროიდანაც მან საკუთარი თავის გაცნობიერება დაიწყო, ანუ როცა კითხვა: „ვინ ვარ მე, როგორც ადამიანი?“. ამ საკითხით ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები დაინტერესდნენ. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ სოკრატეს ცნობილი გამოთქმა: „შეიცან თავი შენი“, რომელიც არა მარტო თვითშემეცნებას გულისხმობს, არამედ, გარკვეული აზრით, თვითაღზრდის საჭიროებასაც. როცა სოკრატე საკუთარი თავის შემეცნებას მოითხოვდა ადამიანთაგან, აქ იგი მარტო ცოდნაზე (სიბრძნეზე) კი არ ამახვილებდა ყურადღებას, არამედ სიკეთეზეც ანუ ზნეობაზეც, რამდენადაც მას მიაჩნდა, რომ ცოდნა არის სიკეთის და, საერთოდ, ზნეობის საფუძველი (მცოდნე კაცი არ შეიძლება კეთილიც არ იყოს, ფიქრობდა სოკრატე). თვითაღზრდის ერთიან მოწოდებად ითვლება მარკუს ავრელიუსის „ფიქრებიც“. „სანამ პირში სული გიდგას, ეცადე, როგორც შეგიძლია, კეთილი გახდე და უკეთესი, ასე შეაგონე შენსავე თავს: მე შემიძლია ყოველგვარი ბოროტების, ყოველგვარი სურვილის და საერთოდ, ყოველგვარი ვნებათაღელვისაგან დავიხსნა ჩემი სული; მოიქეც შენივე სულიერი ცხოვრების ჭვრეტად, სიცოცხლე მოკლეა, ამიტომ შენივე სულის სრულყოფას მოახმარე ყოველივე დღე“. [1. 105].

რა უდევს საფუძვლად ისეთ ქრისტიანულ საიდუმლოს, როგორიცაა აღსარება, მონანიება? ცხადია ყოველდღიური დაკვირვება საკუთარ თავზე, საკუთარ ქცევებსა და საქმიანობაზე და არა უბრალოდ დაკვირვება, არამედ თვითკონტროლი, სამართლიანი და დაუფარავი. ქრისტიანობის იდეალია უცოდველი ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანი უძლურია იცხოვროს ცოდვების

გარეშე და როგორც ნაკლოვანი არსება დაზღვეული არ არის ცოდვებისაგან, რომლითაც ადამიანი, სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღე სჩადის.

პიროვნების ფორმირებაში თვითაღზრდის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ბევრი უაღრესად ღირებული და საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული თანამედროვე სწავლულებსაც. თუ ადამიანს სურს იცხოვროს საზოგადოებაში და მოახდინოს საკუთარი პიროვნული თვისებების რეალიზაცია, მან გარკვეული ანგარიში უნდა გაუწიოს კიდეც გარემომცველ სოციალურ გარემოს, თავისი თვითაღზრდა იმ საზოგადოებრივ ნორმებზე, ზნეობრივ პრინციპებსა და იურიდიულ კანონებზე უნდა დააფუძნოს, რომელთანაც მას ის საზოგადოება სთავაზობს, რომლის წევრიც თვითონაა.

ცნობილია, რომ თვითაღზრდას მეტ-ნაკლებად ყოველი ადამიანი მიმართავს, ძლიერი ნებისყოფის იქნება იგი თუ სუსტი. აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ წარმატებას ამ საქმეში ადვილად აღწევენ ისინი, ვინც ძლიერი ნებისყოფით გამოირჩევა, ამიტომაც თვითაღზრდის ეფექტიანობა რომ გაიზარდოს, ნებისყოფის გამომუშავებასა და განმტკიცებაზე ზრუნვაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ბავშვი დასაწყისში იმპულსური ქცევის სუბიექტია და არა ნებელობითი ქცევის. სასკოლო დისციპლინათა შორის არ არის საგანი, რომელსაც დაევალებოდა მოსწავლეთა ნებისყოფის აღზრდა, მაგრამ ეს სულაც არ ათავისუფლებს პედაგოგებს მოსწავლეთა ნებისყოფის აღზრდის ამოცანებისაგან. პრობლემა იკვეთება: როგორ ვაქციოთ ბავშვი იმპულსური ქცევის სუბიექტიდან ნებისმიერი ქცევის სუბიექტად, ანუ, როგორ გამოვუმუშაოთ მას ნებისყოფა. შ. ჩხარტიშვილი წერს: „ყოველ ქცევას, გარდა მიზნით გათვალისწინებული რეზულტატისა, სხვა ისეთი შედეგებიც მოსდევს, რომლისკენაც ქცევის სუბიექტი არაა მიმართული. იმპულსური ქცევის სუბიექტს მხოლოდ ის შედეგები აინტერესებს, რაც მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, დანარჩენი შედეგები კი მისთვის შეუმჩნეველი რჩება“. [5. 242]. ამდენად, შედეგი მისთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს თავისუფლად. რა ობიექტური ღირებულებების შემცვლელია ეს შედეგი, იგი ამაზე არ ფიქრობს. პირველ ხანებში ბავშვის აქტივობას ობიექტური ღირებულებების შექმნის მიზნით გარედან სჭირდება მართვა – უფროსების მხრიდან, ამის გარეშე მას გაუჭირდება გაერკვეს – რაა უფრო ღირებული და რა – ნაკლებად ღირებული, რა უნდა გააკეთოს და რაზე უნდა შეიკავოს თავი, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ერკვევა ღირებულებათა ვარგისიანობაში და თავად იწყებს აქტივობას მათი შექმნის მიმართულებით, თუ გარედან ზემოქმედება ისევ გრძელდება, იგი, ყოველ შემთხვევაში, იძულების ხასიათს კარგავს და რაკი ბავშვი მაინც ბავშვია, მისი ქცევის ძირითად წყაროდ კვლავაც აქტუალური მოთხოვნილება რჩება. ეს უნდა გაითვალისწინოს აღმზრდელმა და ისეთი ქცევების განხორციელება მოსთხოვოს, რომლებიც ერთდროულად იმპულსსაც დაემყარება და ნებისყოფასაც, ანუ აქტუალურ მოთხოვნილებასაც უპასუხებს და ქცევის შესაძლო შედეგების ობიექტურ ღირებულებებსაც გაითვალისწინებს.

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ნებისყოფის თვითაღზრდის სურვილი და რა წარმატებითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, არ შეიძლება ფარულად თუ ღიად არ კონტროლდებოდეს პროცესიც და მოზარდიც. რა უნდა გააკეთოს აღმზრდელმა ამ მიმართულებით? პირველ ყოვლისა, იგი უნდა ესაუბროს მოზარდს ნებისყოფის აღზრდის მნიშვნელობაზე, მოუყვანოს მაგალითები როგორც ძლიერი, ისე სუსტი ნებისყოფის ადამიანების შესახებ. ცხადია, ყოველი ასეთი საინტერესო საუბარი ნებისყოფის თვითაღზრდისათვის განაწყობს მოზარდს.

თვითაღზრდა ადამიანური ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, ფიზიკურით დაწყებული ზნეობრივით დამთავრებული.

ცნობილია, რომ ადამიანის ფიზიკური სიძლიერე არსებითად მასზე და მის ნებისყოფაზეა დამოკიდებული, ნებისყოფაზე იმიტომ, რომ დიდ ფიზიკურ ძალას სისტემატური ვარჯიში და წვრთნა აყალიბებს, რის შედეგად სპორტის ნებისმიერ დარგში შეუძლია მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს. ძლიერი ნებისყოფის ადამიანები ხშირად სასწაულებსაც კი ახდენენ. ზოგჯერ შეუძლებელსაც აღწევენ.

ხშირად, როცა ბავშვის აზროვნების განვითარება უნდათ, ბევრს აკითხებენ, ლექსებს აზეპირებენ, სპეციალურ შემეცნებით საუბრებსაც უტარებენ, მაგრამ თუ ბავშვი ლექსს ან მოთხრობას მექანიკურად სწავლობს, მაშინ იგი აზროვნებას კი არა, მეხსიერებას ივითარებს. გონებრივი განვითარებისათვის ის კი არაა მთავარი რა დაიხსომა, არამედ რა გაიგო. აზროვნება მაშინ იწყება, სადაც ისმება კითხვა: „რატომ არის ეს ასეთი და არა სხვანაირი?“ გონებრივი თვითგანვითარებისათვის აუცილებელია მეხსიერების განვითარებაც და თვითგანვითარებაც. გონებრივ განვითარებას და თვითგანვითარებას, გარდა მეხსიერებისა, სჭირდება ყურადღებაც. ეს

იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა ყურადღების როგორც განვითარება, ისე თვითგანვითარება. ამ შემთხვევაში ყურადღების აღზრდის და თვითაღზრდის ამოცანაა, რომ მოზარდების უნებლიე ყურადღება თანდათანობით ვაქციოთ ნებელობით ყურადღებად, ანუ ისეთ ყურადღებად, რომელსაც თავად მივმართავთ ამა თუ იმ გამღიზიანებლის მიმართ და მივმართავთ მანამ, სანამ ეს საჭიროა. „რატომ უჭირს მოზარდს უნებლიე ყურადღებიდან ნებელობით ყურადღებაზე გადასვლა? იმიტომ, რომ უნებლიე ყურადღება ენერგიის განსაკუთრებულ მობილიზაციას არ მოითხოვს, ის არავითარ დაძაბულობას არ საჭიროებს, მაშინ როდესაც ნებელობითი ყურადღება გარკვეულ დაძაბულობას მოითხოვს სუბიექტისაგან, რაც ბავშვს აშკარად უჭირს“. [3. 195]. სულ სხვა ვითარება გვაქვს დიდ ადამიანებთან. ძლიერი ნებისყოფა მათ საშუალებას აძლევს ყურადღების ისეთი კონცენტრაცია მოახდინონ, რომ სხვა ყველაფერი მათთვის შეუმჩნეველი გახდეს. ნებისყოფაც, მეხსიერებაცა და ყურადღებაც არა მარტო გონებრივ ან ფიზიკურ თვითაღზრდაშია ჩართული, არამედ მორალურ თვითაღზრდაშიც, რომელსაც მოზარდობის ასაკში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

მოზარდის მორალური თვითაღზრდა ძირითადად დამოკიდებულია იმ მორალურ ნაკლოვანებათა დაძლევასა და გადალახვასთან, რომლებზეც მას სხვები – უფროსები თუ თანატოლები უთითებენ. მორალური თვითაღზრდა დიდადაა დამოკიდებული ოჯახზე, სადაც იზრდება ბავშვი, სკოლაზე, სადაც სწავლობს, უფრო ზუსტად კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სული, რა მორალური ატმოსფერო სუფევს იმ ოჯახში და სკოლაში. ზნეობრივი თვითაღზრდა უნდა განხორციელდეს იმ საზოგადოების მორალური ნორმებისა და წესების მიხედვით, რომელშიც ცხოვრობს ესა თუ ის ადამიანი. „ზნეობა ხომ სხვასთან ურთიერთობაზეა გათვლილი და სხვასთან ურთიერთობას აწესრიგებს. არადა, ამ სხვათა გარეშე ადამიანი არ არსებობს“. [1. 18] გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ადამიანს ესთეტიკური თვითაღზრდაც ესაჭიროება. იგი გულისხმობს სინამდვილესთან ისეთი დამოკიდებულების ფორმირებას, როცა იგი აღიქმება როგორც მშვენიერება, როგორც სილამაზე, რომლის მიზანია ესთეტიკური ტკბობა მიანიჭოს ადამიანს. ესთეტიკური გემოვნების განვითარება ესთეტიკურ აღზრდაზეა დამოკიდებული ანუ იმაზე, თუ რამდენად აქვს ადამიანს შეხება კინოსთან, თეატრთან, მუსიკასთან, მხატვრობასთან და ა.შ. ვთქვათ, მოზარდმა ვერ მიიღო სათანადო მუსიკალური განათლება და არც არავითარი სიყვარული კლასიკური მუსიკისადმი არ გააჩნია. არადა, იცის, რომ კლასიკური მუსიკა ბევრს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს და თვითონაც უნდა, რომ ეს სიამოვნება იგრძნოს. თუ ეს მართლაც უნდა, მაშინ, პირველი, რაც მოზარდმა უნდა გააკეთოს, ეს ისაა, რომ ძალით, იძულებით უსმინოს მუსიკას და ეს უნდა გაიმეოროს არა ერთხელ და ორჯერ. როცა ამას გააკეთებს, თანდათან დარწმუნდება, რომ სმენა, რომელიც დახშული ჰქონდა კლასიკური მუსიკის მიმართ, თანდათანობით გაუფაქიზდა. მუსიკა ჯერ ასატანი, მერე კი სასიამოვნო გახდება და იგრძნობს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნების ნებისმიერ დარგზე. „თვითაღზრდა ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს ეხება და შედეგი ყველგან ერთნაირია – რაც უფრო მეტს ვიზრუნებთ თვითაღზრდაზე, მით უფრო სრულყოფილი და სრულქმნილი გახდება ადამიანი“. [6. 8]

მაგრამ არის რამდენიმე ისეთი ადამიანური თვისება, რომლებიც თვითაღზრდის ნამდვილი მტერია. ესაა: თვითდაჯერებულობა, თვითკმაყოფილება, თვითგანდიდება, ანუ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა. სამივე ეს თვისება მოზარდის გაყოყოჩებას, ქედმაღლობას, ამბიციურობას იწვევს. იგი მოზარდს საშუალებას არ აძლევს კრიტიკულად შეაფასოს თავისი თავი, დაინახოს საკუთარი ნაკლი. ასეთი თავდაჯერებულობა და თვითკმაყოფილება თანდათანობით აცილებს მოზარდს თანატოლებს და იწვევს მის ჩამოყალიბებას ეგოისტად და ინდივიდუალისტად.

ამდენად, თვითაღზრდის პრობლემა ყოველთვის აქტუალურ პრობლემათა რიგში იდგა მას შემდეგ, რაც პედაგოგიკის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სისტემატური შეხედულება პიროვნების განვითარების შესახებ. ამ აზრით, თვითაღზრდა ძველი პრობლემაა და მისი თანამედროვე აქტუალობა განპირობებულია იმ მსოფლმხედველობრივი პოზიციებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების შედეგად აღმოცენებული მოთხოვნები.

ლიტერატურა:

1. ავრელიუსი მ., ფიქრები, თბ., 1974.
2. ბრეგაძე ა., რა არის ადამიანი, თბ., 1997.
3. ბოჭორიშვილი ა., ფსიქოლოგია, თბ., 2005.

4. სამარინი ი., მოსწავლეთა თვითაღზრდა, თბ., 1999.
5. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური პედაგოგიკა, თბ., 1984.
6. ჭელიძე ვ., ესთეტიკური სახეები, თბ., 1996.

რეზიუმე

თვითაღზრდა ისეთი აქტივობაა, რომელიც მიმართულია საკუთარი პერსონის, საკუთარი "მე"-ს შეცვლისა და სრულყოფისაკენ.

იგი არის მიზანმიმართული, ადამიანის შეგნებული და სისტემატური სრულქმნა საკუთარი თავის მიმართ იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ ჩვენივე პიროვნების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და პირად იდეალს. მისი საშუალებით ადამიანი იძენს თავისი ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის საჭირო თვისებებს და იცილებს ისეთებს, რომლებიც ხელს უშლის იცხოვროს და იმოქმედოს საჭირო მიმართულებით.

როგორც მეტაანალიზი გვიჩვენებს, თვითაღზრდის მოთხოვნილება განსაკუთრებით ძლიერდება მოზარდობის ასაკში, როცა მოზარდები უკვე მოზრდილობის ზღვართან დგანან. ამ დროს ხდება დიდი ძვრები ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ, სოციალურ და გონებრივ განვითარებაში. იწყებს რა ინტენსიურ განვითარებას – თვითცნობიერებას, მოზარდს საშუალება ეძლევა კრიტიკულად შეაფასოს თავისი მოქმედებები, უნარ-ჩვევები, მოთხოვნილებები, რეალური შესაძლებლობებიც და გადამეტებული პრეტენზიებიც.

ამდენად, თვითაღზრდის პრობლემა ყოველთვის აქტუალურ პრობლემათა რიგში იდგა მას შემდეგ, რაც პედაგოგიკის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სისტემატური შეხედულება პიროვნების განვითარების შესახებ. ამ აზრით, თვითაღზრდა ძველი პრობლემაა და მისი თანამედროვე აქტუალობა განპირობებულია იმ მსოფლმხედვლობითი პოზიციებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების შედეგად აღმოცენებული მოთხოვნები.

SELF UP-BRINGING AND ITS ROLE IN THE FORMATION OF A PERSON

Tsira Bakradze, Associate Professor

RESUME

Self-education is the activity, which is focused on human's own personality, changing and improving his own self.

It is a deliberate, conscious and systematic fulfillment of self-respect in order to achieve a level of our own personal development that meets the needs of public and private ideal. It means that people can gain the necessary qualities for their own life and work, which disturb to live and act as needed.

As analysis shows us, the demand on self-education especially gain at the age of adolescence, when adolescent are in the initial stage of adultness. This is the period when begins human's big changes as in physical and spiritual as in social and mental development. Beginning the intensive development and self-consciousness, an adolescent can critically evaluate his/her actions, skills, demands even his/her real abilities and excessive claims.

Therefore, the self-education problem has always been actual since it formed as a systematical view of a personal development in a pedagogical science. According to this view, self-education is an old problem and its contemporary relevance is conditioned by the ideological position, which is based on the socio - cultural development of emerging requirements.

ბუნების გაცნობის პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლამდელ ასაკში

მზია გოგიაშვილი, აკადემიური დოქტორი

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყოველმხრივი განვითარების საქმეში დიდია ბუნების როლი.

პედაგოგიკის კლასიკოსებმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის აღზრდისათვის ბუნების ცოდნას, ყურადღება გაამახვილეს ბუნების მნიშვნელობის შესახებ. ასეთები იყვნენ ფ. ფრებელი, გ. პესტალოცი. ჟ. რუსო და სხვ.

ფ. ფრებელმა შემოიღო საბავშვო ბაღისათვის ბავშვების მუშაობა ბუნებაში, ბაღში, ბოსტანში. ის ამას უკავშირებდა შრომით აღზრდას. ფრებელი აღნიშნავდა რომ „ბუნებასთან არაფერი ისე არ აახლოებს აღმზრდელსა და აღსაზრდელს, როგორც ორმხრივი მისწრაფება, მეცადინეობა ბუნებაში ან ბუნების საგნებით“.

აღმზრდელობით მუშაობაში ბუნებას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ი. გოგებაშვილი. მისი აზრით, „ბუნების ცოდნა შეადგენს ერთსა უმთავრესს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას“. ამ გენიალურ პედაგოგს ღრმად ესმოდა რომ ზნეობრივი, მორალური აღზრდის უტყუარი საშუალებაა ბუნებისადმი ბავშვების გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება.

სკოლამდელ ასაკში ბავშვებს ბუნებას ვაცნობთ ადრეული ასაკიდან, ძირითადად თამაშსა და დაკვირვების პროცესში, რადგან ამ ასაკში ბავშვები დამოუკიდებლობას მოკლებულნი არიან. ბუნების მოვლენების უშუალო და აქტიური აღქმა აღმზრდელის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. აღმზრდელი უშუალო დაკვირვების შედეგად აცნობს იმას, რაც მათ გარშემოა, რასაც ხედავენ, რაც შეიძლება თამაშში გამოიყენონ. ხელში აიღონ ფოთლები, კენჭები, ყვავილები, რასაც სხვადასხვა მოქმედების დროს მოიხმარენ. ამ ასაკში ბავშვების დაკვირვება ხანმოკლე უნდა იყოს. აღმზრდელი არჩევს ბავშვებისათვის ყველაზე მკვეთრს და მისაწვდომ მასალას, რომლის საშუალებითაც თანდათანობით გააფართოვებს ბავშვის წარმოდგენებს. ბავშვს იზიდავს სიტყვები „ყური უგდე“, „ნახე“, „შეხედე“.

გარდა თამაშისა და დაკვირვებისა, ფართოდ გამოიყენება ბუნების გაცნობისათვის სურათები, ილუსტრაციები, მხატვრული ნაწარმოებები. ბუნებასთან ბავშვის დაახლოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გონებრივ აღზრდას. ამ დროს ბავშვს უნდა მიეცეს ზუსტი, კონკრეტული წარმოდგენები ბუნების შესახებ, რაც საფუძვლად დაედება მომავალში საბუნებისმეტყველო ცოდნას. კონკრეტული ცოდნის ჩამოყალიბება ბუნების შესახებ შეიძლება მხოლოდ გრძნობადი გამოცდილების საფუძველზე. ბუნების მოვლენების სწორად აღსაქმელად აუცილებელია დაკვირვების უნარის განვითარება და დანაწევრებული აღქმის განვითარება. ეს მისცემს ბავშვს ბუნების შესახებ წარმოდგენების დაგროვების საშუალებას, აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას.

ბუნებისადმი ინტერესის აღძვრის მიზნით აღმზრდელი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ კვებავს თევზებს, როგორ უვლის ცხოველებს. სეზონის დამახასიათებელ თავისებურებებს თამაშის პროცესში არკვევს. მაგ.: ბავშვების ფოთლებით თამაშის დროს აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს ფოთოლცვენაზე, დააკვირდნენ ქარს როგორ მიაქვს ფოთოლი. თამაშის პროცესში აცნობს ფოთლის ფერს, სიდიდეს, აწყობს დიდაქტიკურ თამაშს. მათ უნდა მივცეთ კონკრეტული ცოდნა გარემომცველ ბუნების საგნებსა და მოვლენებზე. მიღებულ კონკრეტულ ცოდნათა საფუძველზე გასაგებად განვუმარტოთ ბავშვებს ბუნების ცალკე მოვლენათა შორის არსებული უმარტივესი კავშირი და მკაფიო მაგალითებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ეუფლება ადამიანი ბუნების ძალებსა და სიმდიდრეს. ბავშვები ეცნობიან არაცოცხალ ბუნებაში საგნებსა და მოვლენებს: მზის ჩასვლას, ამოსვლას, მთვარის ამოსვლას, ჩასვლას, დილით და შუადღით მზის ცვალებადობას. ეცნობიან მცენარეებს მიწის ნაკვეთზე, ახლობელ ტყეში, მინდორში ხეებსა და ბუჩქებს, ბუნების დაცვას და ცვალებადობას წელიწადის დროების მიხედვით, მცენარეების ზრდას, ცოცხალ ბუნებაში შინაურ და გარეულ ცხოველებს, მათ მოვლასა და კვებას. ამის განხორციელება ხდება მეცადინეობებზე, ყოველდღიური გასეირნების, თამაშისა და შრომის დროს. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბუნებაში მუშაობის შინაარსი სხვადასხვანაირია.

ბუნებაში საგნებს ბუნებრივი ფორმა, მდებარეობა, ურთიერთმიმართება და ა.შ. გააჩნიათ. ბუნებაში ბავშვის ურთიერთობას საგნებთან შემეცნებითთან ერთად დადებითი ემოციური დატვირთვაც გააჩნია და როცა მიმართებების გაცნობა დადებით ემოციებს უკავშირდება, გაგებისა და დამახსოვრების პროცესიც წარმატებით ხორციელდება. /1.7/

ზამთრის პერიოდში აღმზრდელი ბავშვებს თოვლში თამაშის პროცესის დროს აცნობს ზამთრისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენებს. ასევე გაზაფხულსა და ზაფხულის დროს აღმზრდელი იყენებს დაკვირვებას არაცოცხალ ბუნებაზე (მზე, წვიმა, ცისარტყელა ცაზე). გასეირნების დროს კი ტარდება სხვადასხვა თამაშები ბუნებრივი მასალით.

საბავშვო ბაღის პირობებში ბუნების გაცნობამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებში დაკვირვებულობის, ლოგიკური აზროვნების, სამშობლოსადმი სიყვარულის და ინიციატივის, შემოქმედებითი აქტივობის, დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას, ფიზიკურ და გარე სამყაროს მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ბუნებრივი გარემო, თავისი მრავალფეროვნებით და ნაირგვარობით, ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების უდიდესი ფაქტორია. ბუნებასთან სისტემატური ურთიერთობა მდიდარი საზრდოა, ამ ურთიერთობაში ხდება ბავშვის აზროვნების ფორმირება, იზრდება საღი დამოკიდებულება გარემოსთან. /2.18/

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნების წიაღში თამაში აჯანსაღებს ბავშვის ორგანიზმს, ხდის მას ხალისითა და სიცოცხლით სავსეს. საბავშვო ბაღში ბავშვს უხდება მცენარეებისა და ცხოველების მოვლა-პატრონობა, ეს კი ზრდის ბავშვებში ისეთ თვისებებს, როგორიცაა ფრთხილი დამოკიდებულება, სიყვარული, შრომითი ჩვევა, პასუხისმგებლობის გრძნობა დავალებული სამუშაოსადმი. აგრეთვე უმტკიცებს ბავშვებს ინტერესს ხალისიანი შრომისადმი, უღვიძებს ურთიერთდახმარების გრძნობას და პატივისცემას.

როგორც ვიცით, ბუნების გაცნობისათვის მეცადინეობა ძირითადი ფორმაა. მეცადინეობის მთავარი მიზანია ბავშვმა აითვისოს პროგრამული მასალა. ამისთვის კი გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა მეთოდები: დაკვირვება ცოცხალ ობიექტზე, უფროსების შრომა, დიდაქტიკური თამაში, სურათზე მუშაობა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა და საუბარი. მეცადინეობაზე მიღებულ წარმოდგენებს და ცოდნას ბავშვები იყენებენ ყოველდღიურ მოქმედებაში (თამაშში, შრომაში), გასეირნების დროს, ხოლო მიღებული წარმოდგენები დაკვირვებისას, მეცადინეობის დროს იხვეწება. /3.193/

მაშასადამე, ბავშვებში ბუნების გაცნობა უნდა მიმდინარეობდეს გეგმიანად, სისტემატურად, მთელი წლის განმავლობაში. ბუნების მოვლენებს და ობიექტებს ბავშვი უნდა ეცნობოდეს უახლოეს მშობლურ ბუნებაში და თანდათან გადადიოდეს შორეულზე. ბუნებაში მასალების გაცნობა უნდა მოხდეს მარტივი მასალიდან რთულზე გადასვლით. ბუნების გაცნობას საფუძვლად უნდა დაედოს, განმეორების პრინციპი, ასაკობრივი პრინციპი, სეზონურობის პრინციპი. ბავშვებს ბუნებასთან სიახლოვე, ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვება აძლევს ელემენტარულ წარმოდგენებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შესახებ. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბუნების შესწავლა სხვადასხვანაირად ხდება. /4.33/

ბუნების გაცნობა, მასთან დაახლოება დამოკიდებულია აღმზრდელზე. ამისთვის კი საჭიროა თვითონ აღმზრდელი კარგად იცნობდეს ბუნებას, მეტად გავრცელებულ მცენარეებს, ცხოველებს. იცოდეს რა არის საჭირო მათი მოვლა-პატრონობისათვის, რომელ სეზონზე რომელი ყვავილი ყვავის, იცოდეს ბოსტნეული კულტურების სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნით გამოყენება, რომ ბუნება შემეცნების ძლიერი წყაროა, მის დაცვას და გამოყენებას ადამიანის საკეთილდღეოდ დიდი ყურადღება ექცევა.

ლიტერატურა:

1. დარაშვილი მ., სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან სივრცითი ორიენტაციის ფორმირება მოძრავი თამაშებით. თბ. 1998.
2. ხელაშვილი მ., დაკვირვება ბუნებაზე და მისი ორგანიზაცია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, მეთოდური მითითება, თბ.,1973.
3. საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის. თბ. 2000.
4. ბურე რ.ც., გოდინა გ.ნ., ასწავლეთ ბავშვებს შრომა, მოსკოვი, 1983 /რუსულ ენაზე/

რეზიუმე

ბუნებასთან ბავშვის დაახლოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ჰარმონიული განვითარებისათვის. საბავშვო ბაღის პირობებში ბუნების გაცნობამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებში დაკვირვებულობას, ლოგიკურ აზროვნებას, ინიციატივას, შემოქმედებით აქტივობას. ბუნებასთან სიახლოვე აძლევს ბავშვებს

ელემენტარულ წარმოდგენებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შესახებ, მის დაცვას და გამოყენებას ადამიანების საკეთილდღეოდ.

PEDAGOGICAL-EDUCATIVE IMPORTANCE OF THE NATURE STUDIES FOR THE CHILDREN UNDER THE SCHOOL AGE

Mzia Gogiashvili, Academic Doctor

RESUME

It is important to keep children close to the nature for their harmonic development. Introducing nature in the nursery school encourages child's observance, logical thinking, initiative, creative activities. Affinity to the nature gives a child elements of animate and inanimate nature, its protection and usage for the benefits of people.

FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: THE STUDENT'S ROLE IN THE PRODUCTION OF LEARNING OUTCOME

***Ruizan Mekvabidze**, Professor*
***Zurab Zurabashvili**, Specialist*

Abstract
This paper follows on student engagement as a producer learning outcome. It can be viewed as a response to the national (and international) thiking. In the following discussion, we explore theoretical and practical initiatives in student engagement. We seek to draw attention to the student as consumer in the model of Higher Education (HE). The notion of the student as consumer has driven much change within universities. On one hand , however, a reason for arguing that, as far as the learning process is concerned, students are not well placed to exercise choice, because they do not have the necessary information and tools to use it to do so. On the other hand information provision stated learning outcomes and it is a mechanism for a dominant group who develops statement's understanding of the learning outcomes. But it is interesting how they are expressed it.
In the work is considered the reasons why students are interesting to participate in the study rogramme:
- Students participation to take more responsibility for their learning, thus enhancing their academic experience;
- Students active engagement is the main way through which teacher able to get feedback from the students, helping them to develop and improve all aspects of their knowledge;
- Partnership and collaboration between students and staff creates mutually beneficial learning communities;
- Student engagement in learning and teaching helps to transformational learning that is basis for student's employability;

Key words: Higher education, student a s aconsumer, student's engagement, learning outcome,

Introduction
Higher education reform is a fact of life. Global economic restructuring and fast Information and Communication Technology development are reforming all of society's institutions. Accordingly, the question for institutions of higher education is not whether or not to reform, but whether to reform purpose fully or passively, and if purposefully, towards what end. Sustainability Learning Environment is a social reform movement that is seeking to change the way we learn and conduct our professional and civic lives. Therefore, it could and should be a driving force within higher education reform, but in order to establish such a role, it must extend the students' professional skills and prepare them for labor market as well as our teachers. For promoting student achievement, supporting and building a solid organizational structure at Universities have to solve the main tasks according to keep principles for creation educational frameworks, materials, processes and learning environments that enable effective learning experiences for responsible competitive labor market (Kuh, 2007). From 2005 Georgia is involved in Bologna process and after this moment the curricula of economic education constantly subject to change today (R. Mekvabidze, P. Mekvabidze, 2007)

Student's engagement has enjoyed considerable attention in the literature since the mid-1990s, *its begins from 'student's* involvement' (Astin, 1984). Following on from 'the student experience' and 'teaching' before it, 'student engagement' has become the latest focus of attention among those aiming to enhance learning and teaching in higher education (Mulen, 2000; Markwell 2007). It is not difficult to understand why: literature has established correlations between student involvement in a subset of 'educationally purposive activities', and positive outcomes of student success and development, including academic achievement and social engagement (Berger and Milem, 1999; Kuh, 2007). According to Kuh " Student demonstrates that what students bring to higher education, or where they study, matters less to their success and development than what they do during their time as a student . If student engagement can deliver on its promises, it could hold the magic wand making all of this possible".

Coates (2007) provides a more detailed consideration of engagement which encompasses five engagement scales, namely:

- Active and collaborative learning;
- Participation in challenging academic activities;
- Formative communication with academic staff;
- Involvement in enriching educational experiences;
- Feeling legitimated and supported by university learning communities.

This framework has been translated to form the basis of the National Survey of Student Engagement (NSSE, USA), which is an annual survey of higher educational institutions in the United States and Canada. A sixth aspect of engagement has been introduced by the Australasian Survey of Student Engagement (AUSSE) namely work-integrated learning (the integration of employment-focused work experience into study (Pike, Kuh 2005).

It is interesting **Contextualizing Principles of Student Engagement in Learning and Teaching at the University of Sheffield** (http://www.shef.ac.uk/lets/strategy/projects/studentengagement)

1. There is a commitment to recognize and address barriers to engagement that exist, so that all students can have an equal voice and opportunity to contribute;
2. Students are engaged in decision-making processes and are equipped with sufficient background knowledge to make effective contributions. Students are encouraged to initiate conversations, make suggestions and ask "why?" The learning and teaching environment is receptive to contributions made by students;
3. Regular feedback allows students to review their own academic performance and progress. Through dialogue with staff, students are enabled to set their own learning goals appropriate to their own learning and development needs;
4. Students are encouraged and enabled to learn independently both within and outside their core programme of study;
5. Engagement opportunities are recognized as a means to enhance the development of employability, professionalism and active citizenship in a global context. Students are able to identify and articulate the skills they gain from these opportunities;
6. Opportunities to engage are widely published, accessible and flexible, to meet the needs of all students and staff. Expectations on students and staff are made clear;
7. Students are encouraged to undertake formal roles and are inducted, trained and supported to fulfill these roles. Opportunities also exist for students to contribute more informally at a departmental, Faculty and institutional level, and through the Students' Union;
8. Staff are well-informed about student engagement in learning and teaching, and are appropriately trained in specific roles which support engagement activities;
9. Student engagement in learning and teaching is recognized and rewarded appropriately;
10. Learning and teaching are regularly monitored, reviewed and disseminated.

The points such as 1 and 2 are used at Georgia universities too, but for the mobility students only, which studying programme requires to introduce new subjects that are differences between past and current specialties choosen by student.

Problem idea: The particular importance of these findings to teachers is that when teachers try to find ways to promote students' motivation of learning outcomes

Goals:

- Teaching is to focus classroom activities on reasoning and the evaluation of evidence, thus allowing students the opportunity to develop the ability to formulate and solve problems.
- To empower students, when confronted with a difficulty, to offer conjectures about just what the problem is and how it might best be approached.

- To enable students to clarify and expand on ideas; to demand, as well as to provide, supporting evidence or reasons for comments and opinions; and to determine whether or not an argument is reasonable and a conclusion well-founded.

Motivation : In the present study, it is hypothesized that, student receives positive outcomes by including his/her motivation, engagement, and conceptual learning.

- Can we assess the quality of students' motivation of engagement in curricula transformation for **the production of his/her own learning outcome?**
- **Can we** use in the present study—namely, that learning feathers' correlations are an opportunity to cultivate useful teaching knowledge?
- Can we summarize vast information to help teachers explore issues, answer questions, solve problems, and make decisions how to develop student's competencies and to prepare them for competitive labour market .
- Can we research the Relation Between Academic Engagement and Performance?

Supporting Students' Engagement in curricula transformation for learning outcome

Students do not passively receive and process information. They are active participants in the learning process, constructing meaning in ways shaped by their own prior knowledge and new experiences. Students with a well-developed ability to manage their own learning are able to choose appropriate learning goals, to use their existing knowledge and skills to direct their learning, and to select learning strategies appropriate to the task in hand. While the development of these skills. Therefore, also be regarded as a significant outcome of the learning process. This is particularly so as, once students leave school, they need to manage most of their learning for themselves. To do this they must be able to establish goals, persevere, monitor their progress, and adjust their learning strategies as necessary and overcome difficulties in learning. Therefore, while understanding and developing strategies that will best enhance their learning.

How Teachers Learn to Engage Students in Active Learning and what are the goals of teaching for active engagement in learning?

The educational reform agenda and educational researchers tell us that active engagement in learning is an important goal for students. Can we answer on the questions:

- How do teachers engage students in active learning?
- And, just as importantly, how do teachers learn to help students become actively involved in learning?
- How teachers learn to teach subject matter in ways that actively engage students in
- Learning?

This shift in understanding a new form of learning is an important new direction for teacher learning. Today, it is necessary to examine various approaches to teacher education with the goal of furthering knowledge and understanding of the purpose of teacher education, that promotes the active engagement with ideas that can lead students to make knowledge their own, empower students to acquire a level of understanding that provides them with the flexibility to respond to new situations and serves as the foundation for a lifetime of further learning.

Calls for reform in education have come from many directions, notably from business, where there is a growing demand for employees who can be more intellectually engaged in their work while working more effectively with others, setting group goals and planning how best to reach them; allocating and accepting responsibilities; identifying and solving problems--including interpersonal difficulties--as they arise; acquiring skills and information as they need them; and critically reflecting on their own individual and collaborative performance.

Educational reformers have to believe that teaching for active engagement in learning provides students with many of these skills and dispositions that prepare them to competently meet the challenges and changes occurring in the work place.

For research of impact on student's engagement on learning outcomes there are elaborated and presented two questionnaires (for students and for teachers) that will be the basis of the next step for this suggested research.

Questionnaire for the Academic Personnel

The questionnaire aims to display the tendencies related to the student's involvement in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University.

Name, Surname:

Level of Studies (Bachelor, Master):

Faculty:
Name of the Educational Program:
Academic Year:
1) Is the learning plan easily accessible for your students?
Yes No
If yes, please, specify when do you introduce the learning plan to your students?
Please, specify:
2) Do you introduce the syllabus of your course to your students? Yes No
If yes, please, specify when do you present the syllabuses to your students?
Please, specify the year:
3) From your point of view, what is the level of student's engagement the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) High; b) average; c) low; d) the level of student's engagement equals to 0;
4) From your perspective, how important is it to engage the students in the Curriculum and Syllabuses formation process?
a) Very important; b) important; c) less important; d) Students should not be involved in this process;
5) Did you have an attempt to the engage students in the Curriculum and Syllabuses formation process?
a) Yes; b) no; c) I do not possess necessary tools for leverage to engage students in this process;
6) From your perspective to what degree there is a need of student's engagement in the Curriculum and Syllabuses formation process at Gori State Teaching University?
a) There is a definite need; b) there is a relative need; c) there is no need; d) do not have an answer;
7) From your perspective, to what degree is the Student Union engaged in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) Is actively involved; b) is partly involved; c) is not involved at all; d) Do not know;
8) How would you rate the level of engagement students who are the members of the Faculty Council in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) Positively; b) Somewhat positively; c) Negatively; d) Do not know;
9) Did the students try to engage in the Curriculum and Syllabuses formation process at Gori State Teaching University?
If yes, please, specify the course:
10) From your perspective, to what extent is the information about the Syllabuses accessible for the students?
a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;
11) From your perspective, to what extent is the information about the curriculums accessible for the students?
a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;

Questionnaire for the Students

The questionnaire aims to display the tendencies related to the student's involvement in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University.

Name, Surname:
Level of Studies (Bachelor, Master):
Faculty:
Name of the Educational Program:
Academic Year:
1) From your point of view, what is the level of student's engagement the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) High; b) average; c) low; d) the level of student's engagement equals to 0;
2) From your perspective, how important is it to engage the students in the Curriculum and Syllabuses formation process?
a) Very important; b) important; c) less important; d) Students should not be involved in this process;
3) Did you have an attempt to the engage in the Curriculum and Syllabuses formation process?
a) Yes; b) no; c) I do not possess necessary tools for leverage to engage students in this process;
4) From your perspective to what degree there is a need of student's engagement in the Curriculum and Syllabuses formation process at Gori State Teaching University?
a) There is a definite need; b) there is a relative need; c) there is no need; d) do not have an answer;
5) From your perspective, to what degree is the Student Union engaged in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) Is actively involved; b) is partly involved; c) is not involved at all; d) Do not know;
6) How would you rate the level of engagement students who are the members of the Faculty Council in the Curriculum and Syllabuses formation at Gori State Teaching University?
a) Positively; b) Somewhat positively; c) Negatively; d) Do not know;
7) From your perspective, to what extent is the information about the Syllabuses accessible for the students?
a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;

8) From your perspective, to what extent is the information about the curriculums accessible for the students?
a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;

9) Did you have an attempt to include new course in your curriculum?

Yes No

If yes, please, specify the disciplines and explain your motivation

10) From your perspective, to what extent is the information about the Syllabuses accessible for the students?

a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;

11) From your perspective, to what extent is the information about the curriculums accessible for the students?

a) It is accessible; b) It is relatively accessible; c) It is not accessible; d) Do not know;

LITERATURE:

Kuh, G .D . (2007) How to Help Students Achieve . Chronicle of Higher Education . 53 (41), pp . B12–13Coates, H. 2007. A Model of Online and General Campus-Based Student Engagement, Assessment and Evaluation in Higher Education. 32 (2), pp. 121–141.

R. Mekvabidze, P. Mekvabidze (2007)

Astin, A .W. (1984) Student Involvement: A Developmental Theory for Higher Education. Journal of College Student Development. 25, pp. 297–308.

Mullen, C .A. (2000) Linking Research and Teaching: a Study of Graduate Student Engagement. Teaching in Higher Education. 5 (1), pp. 5–21

Markwell, D. (2007) The Challenge of Student Engagement. Keynote address at the Teaching and Learning Forum. University of Western Australia, 30–31 January

Berger, J .B. and Milem, J .F. (1999) The Role of Student Involvement and Perceptions of Integration in a Causal Model of Student Persistence. Research in Higher Education. 40 (6), pp. 641–664

Coates, H. 2007. A Model of Online and General Campus-Based Student Engagement, Assessment and Evaluation in Higher Education. 32 (2), pp. 121–141.

Pike, G .R. and Kuh, G .D. (2005) A Typology of Student Engagement for American Colleges and Universities. Research in Higher Education. 46 (2), pp. 185–209.

საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმების კვადაკვალ: სტუდენტის როლი სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში

რუიზან მექვაბიძე, პროფესორი
ზურაბ ზურაბაშვილი, სპეციალისტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის თეორიული და პრაქტიკული ინიციატივები და ტენდენციები, რომელიც არსებობს ევროპის მრავალ ქვეყანაში სასწავლო პროგრამების (კურიკულუმის) და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსი) ფორმირების პროცესში სტუდენტების ჩართულობის კუთხით. ჩვენი მიზანია, რომ ყურადღება გავამახვილოთ უმაღლეს განათლებაში არსებულ ისეთ მოდელზე, სადაც სტუდენტი წარმოადგენს მომხმარებელს. ხსენებული მოდელის გათვალისწინებით, სტუდენტი უნდა იყოს ჩართული საკუთარი სასწავლო პროცესის ფორმირების პროცესში და იგი უნდა ფლობდეს იმ საჭირო ინფორმაციასა და უნარებს, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება საკუთარ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.

ფსიქოლოგიური კრიზისი გარდამავალ ასაკში

ბექა ტოლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანს პერიოდულად უხდება შეჯახება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, აღნიშნული სიტუაციები გაჯერებულია სხვადასხვაგვარი ემოციებითა და განცდებით, როგორებიცაა: შიში, მწუხარება, უმწეობა, იმედგაცრუება, მარტოობა.

ამდაგვარი განცდების არსებობა მიუთითებს, რომ ადამიანი ფსიქოლოგიურ კრიზისში იმყოფება.

კრიზისი ფსიქოლოგიაში განისაზღვრება, როგორც მძიმე, გამოუვალი მდგომარეობა, შინაგანი დაძაბულობა, რომელიც გამოწვეულია გარკვეული მიზეზით ან პიროვნული სტატუსის მკვეთრი ცვლილებით.

კრიზისი გარდაუვალი ცხოვრებისეული მოვლენაა, რომელსაც თან სდევს წონასწორობის დარღვევა ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებსა და ადამიანის შესაძლებლობებს შორის. კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩენილ ადამიანებს განსხვავებული აზრები და გრძნობები აქვთ, უმეტესი განცდები, რომელსაც ამ დროს განიცდის ადამიანი, უჩვეულოა და საზოგადოებაც მიუღებლად თვლის მათ, შედეგად ადამიანი სოციალური გარემოსაგან იზოლირებულად გრძნობს თავს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ადამიანის ქცევის თავისებურებების კვლევისა, მაგრამ იმდენად მრავალფეროვანი და რთული შეიძლება იყოს კრიზისის ბუნება თითოეული ადამიანის შემთხვევაში, რომ დღესდღეობითაც აქტუალურია ამ ფენომენის შესწავლა.

კრიზისული სიტუაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლივობით და ინტენსივობით. ფსიქოლოგიაში კრიზისის ორ ტიპს გამოყოფენ. ესენია: განვითარების კრიზისი და ტრავმული კრიზისი.

განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია ფსიქოლოგიური კრიზისის თავისებურებები გარდამავალ ასაკში. ამ პერიოდს, რა დროსაც ხდება ადამიანის ძირითადი ფიზიკური და პიროვნული ფორმირება, შემთხვევით არ მოიხსენიებენ, როგორც „მძიმეს“, „კრიტიკულს“. გარდამავალ ასაკში მოზარდის სისხლში ძალიან დიდი რაოდენობის ჰორმონები ხვდება, განსაკუთრებით ჭარბობს ზრდის ჰორმონი და სასქესო ჰორმონები, შედეგად ორ–სამ წელში ბავშვი ფიზიკურად უფროსს ემსგავსება, აღნიშნული მსგავსება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ კრიზისული სიტუაციების აღმოცენებაში, რაც მოზარდისთვისაა დამახასიათებელი.

მოზარდს აღარ აკმაყოფილებს ის სოციალური სტატუსი, რაც აქამდე გააჩნდა, იგი მოითხოვს (როგორც ცნობიერ, ასევე ქვეცნობიერ დონეზე) მისი გარშემო მყოფებისაგან მისი პიროვნების აღიარებას, იმ სტატუსს, რომელიც უფროსებს გააჩნიათ. მოზარდის სოციალური გარემო – მშობლები, უფროსი და ან ძმა, ნათესავები და ა.შ. ძალიან მძიმედ და გვიან ეგუებიან მოცემულ რეალობას, მიუხედავად ფიზიკური ცვლილებებისა ისინი მოზარდში უფროსს ვერ ხედავენ, შედეგად ხშირად ჩნდება ურთიერთობებში მძიმე, კრიტიკული, პრობლემური, სიტუაციები, რაც ფსიქოლოგიური კრიზისის გაჩენის წინა პირობაა.

გარდამავალ ასაკში კრიზისის მიმდინარეობის ორი ფორმა არსებობს: „დამოუკიდებლობის კრიზისი“ და „დამოკიდებულების კრიზისი“.

„დამოუკიდებლობის კრიზისის“ გამოვლენის ნიშნებია: ნეგატივიზმი, სიჯიუტე, უხეშობა, დაუსაბუთებელი პროტესტის გრძნობა, სხვისი აზრის (მითითების) იგნორირება და ხშირად საღი აზრის საწინააღმდეგო ქმედება, საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებისადმი პროტესტი, უფროსებისადმი უნდობლობა – ეჭვიანი დამოკიდებულება, ღრმა რწმენა იმისა, რომ საკუთარი პრინციპები და შეხედულებები ყოველთვის ჭეშმარიტია.

„დამოკიდებულების კრიზისის“ გამოვლენის ნიშნებია: უსაზღვრო მორჩილება, ბავშვური ინტერესები და ქცევის ფორმები, უფროსებზე დამოკიდებულება, უინიციატივობა, კონფორმიზმი, მოზარდი უმეტესწილად უპირატესობას ანიჭებს სხვის აზრებს და არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა, გადაწყვეტილებებს ვერ იღებს დამოუკიდებლად, ცდილობს არ იყოს გამორჩეული მისი თანატოლებისაგან.

მშობლების უმეტესობისათვის „დამოკიდებულების კრიზისი“ კომფორტული და მისაღებია, რადგანაც მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი რიგზეა და ბავშვთან ჰარმონიული ურთიერთობა, როგორიცაა – „უფროსი–ბავშვი“, მათი სწორი და მართებული მიდგომების დამსახურებაა. მაგრამ, შეიძლება რელურად სიტუაცია აბსოლუტურად სხვაგვარად იყოს. გარდამავალი ასაკის კრიზისის უპირველესი

ფსიქოლოგიური ამოცანაა, რომ მოზარდმა გამოიმუშაოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, იმსჯელოს და მოიქცეს მისი შეხედულებისამებრ, ჩამოუყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობა. ამიტომ, როგორი მისაღებიც არ უნდა იყოს უფროსისთვის „დამოკიდებულების კრიზისის“ ფორმა, „დამოუკიდებლობის კრიზისი“ გაცილებით პროდუქტულია, რადგან საშუალებას აძლევს განვითარების პროცესში მყოფი მოზარდის პიროვნებას გააცნობიეროს და ადაპტაცია მოახდინოს იმ ახალწარმონაქმნების, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი ასაკისთვის. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ახალწარმონაქმნებია:

1) მოზარდის მიერ საკუთარი შინაგანი სამყაროს მიმართ ინტერესის გაჩენა.

11–13 წლებამდე ბავშვისათვის პირველხარისხოვან როლს თამაშობს გარე სამყარო, რომელსაც იგი დიდი ინტერესით შეისწავლის და ცდილობს მეტად შეცნოს მის ირგვლივ არსებული გარემო, შედეგად ბავშვის შინაგანი ემოციები, გრძნობები, ფანტაზია, მთლიანად გარემოთია განპირობებული. გარდამავალ პერიოდში კი ბავშვი იწყებს ინტერესის გამოვლენას საკუთარი შინაგანი სამყაროს მიმართ, აკვირდება საკუთარ განცდებს, აანალიზებს სოციალურ გარემოს და მის ადგილს ამ გარემოში, აცნობიერებს მის პიროვნულ უნიკალურობას;

2) *კრიტიკული აზროვნების მკვეთრი განვითარება.*

მოზარდის აზროვნებას განსაკუთრებული რადიკალური ლოგიკა ახასიათებს, მას ყველა კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი და შეფასება აქვს: სიმართლე ან ტყუილი, დიახ ან არა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის უფროსებისათვის არასასურველი, მოზარდის ცნობიერებისათვის დამახასიათებელი თავისებურება — მაქსიმალიზმი, რომელიც გამძაფრებულ ემოციურ ფონთან შერწყმით, მიზეზია მოზარდის კონფლიქტურობის, იმედგაცრუების, საკუთარი არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების. ამდაგვარი განცდების გაჩენის მიზეზს წარმოადგენს ის ცხოვრებისეული სიტუაციები, ადამიანური ურთიერთობები და, ზოგადად, ცხოვრება, რომელიც იმდენად წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანია, რომ ვერ თავსდება მოზარდის ლოგიკის ჩარჩოებში;

3) ახლო, ემოციური ურთიერთობებისა და უფროსების მიერ აღიარების მოთხოვნილება.

ხშირ შემთხვევებში მოზარდისათვის მეგობრები ოჯახის წევრებზე მნიშვნელოვანი ხდებიან, ამ პერიოდში იჩენს თავს პირველი რომანტიკული სიყვარული, ამ დროს სწავლობენ ადამიანები სიყვარულს და ახლო ურთიერთობების დამყარებას, ამიტომ გარშემო მყოფების აზრს მოზარდისათვის განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გარდამავალი ასაკის კრიზისის მიმდინარეობის დროს, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებების შედეგად, მოზარდს ახალი მოთხოვნილებები უჩნდება: 1) დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი სწრაფვა; 2) ინტერესი საკუთარი გარეგნობის მიმართ; 3) განმარტოების მოთხოვნილება; 4) გამძაფრებული ინტერესი სექსისადმი და სქესთა შორის ურთიერთობებისა; 5) სიხისტე მსჯელობებში; 6) პირადი სივრცის და მისი ხელშეუხებლობის მოთხოვნილება.

ზემოთ აღნიშნული ახალწარმონაქმნებისა და მოთხოვნილებების რეალიზება მოზარდის სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული, ერთი მხრივ, მოზარდი, რომელიც კონკრეტულ პირობებს აყენებს და მოითხოვს, რომ მასთან ურთიერთობები ამ პრინციპებით მოხდეს და მეორე მხრივ, უფროსი, რომელმაც ეს პირობები ან უნდა მიიღოს, ან უარყოს ისინი. უფროსების (მშობლების...) უმეტესობას აღნიშნული პირობების მიღება უჭირთ, ვერ აცნობიერებენ, რომ მოზარდი აღარაა ბავშვი, და მისთვის ახალი უფლებების მიცემა წარმოუდგენლად მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში კონფლიქტი მოზარდსა და უფროსებს შორის გარდაუვალია. მშობლების მეორე კატეგორია აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ იქცევა და მოზარდს განუსაზღვრელ თავისუფლებას აძლევს, რაც უფრო დიდ შეცდომას წარმოადგენს მოზარდის მიმართ, ვიდრე უფლებების შეზღუდვა. საუკეთესო გამოსავალი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს, რომლის ინიციატორი უფროსი უნდა იყოს, მოზარდთან ურთიერთობისას მშობლებმა უნდა დაივიწყონ მათი ძველი სტატუსი (რომლის მიხედვითაც უფროსის მიერ გამოთქმული აზრი კანონია და მისი იგნორირება ბავშვისთვის არ შეიძლება) და დაეხმარონ მოზარდს რთული სიტუაციებიდან გამოსვლის გზების პოვნაში. თუ მოზარდი მიხვდება, რომ უფროსი პატივს სცემს და აფასებს მის აზრს, ანალოგიური პატივისცემის განცდა გაუჩნდება მასაც. შედეგად, ის ბარიერი, რომელიც შეიძლება გაჩნდეს მოზარდსა და მშობელს შორის, თანდათანობით მოიშლება და საფუძველიც გამოეცლება იმ კონფლიქტებსა და პრობლემებს, რომლებიც მოზარდის ასაკობრივი ცვლილებებით არიან განპირობებულნი.

ლიტერატურა:
1. თევდორაშვილი დ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ., 2010.
2. ნარიტსი თ., კრიზისული ფსიქოლოგიის პრაქტიკაში გამოყენება, ტალინი, 2008.
3. Крайг Г., Психология развития, Москва, 2000.
4. Абрамова Г., Возрастная психология, Москва, 2001.

რეზიუმე

ფსიქოლოგიური კრიზისი წარმოადგენს ადამიანისთვის ბუნებრივ და აუცილებელ პროცესს, რათა მან შეძლოს შეეგუოს ან დაემორჩილოს ცვლილებებს. განსაკუთრებით საინტერესოა ფსიქოლოგიური კრიზისის თავისებურებები გარდამავალ ასაკში, ამ პერიოდს, რა დროსაც ხდება ადამიანის ძირითადი ფიზიკური და პიროვნული ფორმირება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში, სოციალურ გარემოსთან ადაპტაციისათვის შესაბამისი უნარების შემუშავებაში.

ნაშრომში ასახულია გარდამავალი ასაკის კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მასთან გამკლავების საშუალებები.

PSYCHOLOGICAL CRISIS IN TRANSITIONAL AGE

Beka Toliashvili, Associate Professor

RESUME

Psychological crisis is needful and natural process for person, to adaptation and subordination changes. The most interesting particularities of psychological crisis occurs in the transition period, at this period, when happening formation one persons main physicality and mentality, its very important of formation persons psychology, for adaptation in social environment.

This essay describes main reasons that's happening at the transitive age, and also describes how we can solve this problem.

ზნეობრივი აღზრდის საკითხები პირველ ქართულ პედაგოგიურ პრესაში

ნელი ჭამპურიძე, *პროფესორი*
ნათია ცოტნიაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

აღზრდის პრობლემურ კვლევას უდიდესი ისტორია აქვს. კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილება საინტერესო მასალას გვაძლევს აღზრდის იდეოლოგიური კვლევისათვის.

ზნეობრივი აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ამ დარგში დაგროვილი გამოცდილების შესწავლას, რასაც არა მარტო ისტორიულ-შემეცნებითი, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

ცნება - „ზნეობას“ სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში შემდეგნაირად განმარტავს: „ზნეობა-ზნეები“, „ზნე-ჩვეულებანი რაიც(ა) საქმე სჭირდეს, კეთილი და ბოროტი ზნე იგი არს“. [1-283]

ზნეობრივი მოტივი ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ყველა ქვეყნის, სახელმწიფოს, ერისა და ეპოქისათვის, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება, როგორც ერთ-ერთ ძლიერ ესთეტიკურ საშუალებას მოზარდი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზნეობრივი მოტივი გვხვდება ჯერ კიდევ ძველ ქართულ მწერლობაში (იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, მისივე „სწავლანი“ ანუ „ქადაგებანი“, დავით გურამუშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვ.

პედაგოგიური აზროვნების განვითარებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა პედაგოგიურმა პრესამ. პირველ ქართულ პრესაში უხვად იბეჭდებოდა მასალები ზნეობრივი აღზრდის პრობლემაზე. უაღრესად საინტერესოა, რომ პედაგოგიკის ეს ძირეული პრობლემა ჩვენში პირველად ,,ნობათის პედაგოგიური დამატების" ფურცელზე დაისვა. ამ პრობლემისადმია მიძღვნილი 1884 წლის პირველ ნომერში ,,წყალტუბოელის" ფსევდონიმით მოთავსებული სტატია ,,ადამიანის აღზრდის საჭიროება და სიძნელე"; ასევე ზნეობრივი აღზრდის პრობლემებია წამოჭრილი იმპერიის სხვადასხვა ჟურნალებში მოთავსებულ წერილებში: გ. გამრეკელის - ,,ორიოდე სიტყვა მოწაფეთა ზნეობაზე" (,,პირველი ნაბიჯი", 1909, №2), შაშფაკის - ,,პანსიონი და სტიპენდია" (იქვე, №4), ტ. ჯაფარიძის - ,,სასულიერო სკოლის შესახებ" (,,სკოლა და ოჯახი", 1916, №13), ა. ღულაძის - ,,ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლაში" (,,ნობათის პედაგოგიური დამატება", 1884, №5-6), ლ. ბოცვაძის - ,,სასაუბრო სახალხო სკოლაზე" („განათლება", 1910, №1), ა. ჭიჭინაძის - ,,რიჟრაჟზე სათქმელი" (იქვე, 1915, №8-9), იპ. ვართაგავას - ,,ნიმუშები ჩვენი დაავადმყოფებისა" (იქვე, 1911, №1) და სხვ.

ზნეობრივი აღზრდის მიზნისა და შინაარსის პრობლემა ქართულ პედაგოგიურ პრესაში ძირითადად განხილულია ქართული, რუსული და ევროპული პედაგოგიური აზროვნების მონაპოვრების შუქზე. მაშინდელ ქართულ პედაგოგიურ პრესას ამშვენებს ი. გოგებაშვილის, ლ. ბოცვაძის, კ. უშინსკის, ლ. ტოლსტოის, ნ. კორფის, ი. კომენსკის, ჰ. პესტალოცის, ჟ. რუსოს და პედაგოგიკის სხვა კლასიკოსთა მადლმოსილი სახელები.

სასულიერო განათლების დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჟურნალმა „მწყემსმა" (1883-1910 წ.), რომელიც გამოდიოდა დავით ღამბაშიძის რედაქტორობით. ერთ-ერთ თავის სტატიაში დავით ღამბაშიძე წერდა: „წერა-კითხვის ცოდნა ჯერ კიდევ არ არის ისე გავრცელებული ჩვენს ხალხში და ამ მიზეზის გამო მეცნიერული თხზულებანი ჯერ იმდენად გავრცელებულნი არ არიან მათ შორის, რომ ისინი გაეცნონ საზოგადოდ აღზრდის დედაზრთა და ცოდნათა! არავითარი განსაზღვრული მიზანი, არავითარი გარკვეული აზრი და საგანი აღზრდისა არ მოეთხოვებათ ჩვენს მშობლებს. მართალია, დღეს ისინი... განმსჭვალული არიან ერთისა და იმავე მხურვალე წადილით, მისცენ როგორმე განათლება შვილებს სკოლაში, მაგრამ ის კი არ იცის, არც ერთსა არა აქვს შეგნებული, რომ სკოლის აღზრდას უნდა მიუძღოდეს გონივრული ოჯახური აღზრდა, რომელიც არის უმთავრესი საძირკველი და საფუძველი სკოლის აღზრდისა" [1, 2] 1891 წელს ჟურნალის ფურცლებზე გაბრიელ ეპისკოპოსის ზნეობრივი აღზრდის შესახებ წერდა: „ყოველთა მცხოვრებთა და მეტადრე კეთილშობილთა, შვილების გაზრდაში ბეჯითი ყურადღება მიქცეული აქვთ მხოლოდ ამას ცდილობენ, რომ თავისა შვილთა ასწავლონ მიხვრა-მოხვრა, კარგი სტყვა-პასუხის მიცემა, თავაზიანად ლაპარაკი და მოქცევა. ერთი სიტყვით, რომელიც არის კარგი დარბაისელი, ამას ეძახიან ჩვენში გაზრდას... ესრეთი გარეგანი ზრდილობა და დარბაისლობა მხოლოდ მაშინ არის მოსაწონი და საქებარი, როდესაც იგი შეუერთდება სულიერსა, შინაგანსა ზრდილობასთან, ე.ი. გულისა და სულის სიკეთესთან. უმთავრესი საქმე შვილის გაზრდაში ის არის ძმაო, რომ შენს ბავშვს გული გაუკეთო, ხასიათი გაუსწორო; თუ კეთილი შინაგანი ხასიათი გაუჩნდა შენს შვილს, მაშინ გარეგანი ზრდილობა თავის თავად მოუვა... თუ გსურს ძმაო შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბედნიერი კაცი, ორი საქმე ასწავლე მას, ორი თვისება დანერგე მის გულში: პირველად ეცადე, რაც შეიძლება შენ შვილს შეაყვარო სიმართლე, მიაჩვიო გულწრფელობას... მეორეც ეცადე და ყოველი ღონისძიებანი იხმარე, რომ შენი შვილი შეეჩვიოს ყოველ საქმეში ბეჯითობას. ე.ი. ყოველი თავისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილი სინდისით ბოლომდის მიიყვანოს... ე.ი. სიმართლესა და ბეჯითობასა ზედა უნდა იყოს დაფუძნებული გამოზრდა შვილთა". [3-12,13]

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ზნეობას მტკიცე სარწმუნოებრივი საფუძველი აქვს. იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიჩნევს „ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად", ხოლო ეკლესია-მონასტრებს „ქვეყნის ფართო წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ზნეობის სათავედ". ენისა და მამულისადმი მისი ჭეშმარიტი გრძნობა მწერალმა გამოხატა თავისი ფასდაუდებელი შემოქმედებითა და მეცნიერული მოღვაწეობით. მას ენა და სარწმუნოება „ეროვნების ბურჯად" მიაჩნია. იაკობ გოგებაშვილმა თავის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ ნაშრომებში ჩამოაყალიბა „ახალი ტიპის ქართველის" აღზრდის პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ქართული წერა-კითხვის სკოლების, სახალხო სკოლების და სახალხო უნივერსიტეტების საშუალებით. დიდ იაკობს, როგორც ქართველ 60-იანელთა გზის მიმდევარს, თავის ცხოვრების მიზნად „მამული, ენა, სარწმუნოება" გაუხდია. იგი შეგნებულად წერდა: „ხოლო ეტიკის, კაცთ-მოყვარეობის შეურყეველი საძირკველი იყო და არის გულწრფელი სარწმუნოება". [4-350] ზნეობრივი სისპეტაკე მიაჩნია გადარჩენისა და ერის სიძლიერის ერთ-ერთ უდიდეს არგუმენტად. მისი აზრით, ერი, რომელიც „სპეტაკი ზნით" ბრწყინავს, მას გათელვა და შემუსვრა არ უწერია. ერს ზნეობრივი „გახრწნილობა" მაშინ მოელის, თუ „სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავის

კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავის მაღალის დანიშნულებისა“. [5-250] დიდმა პედაგოგმა ენისა და მამულისადმი მისი ჭეშმარიტი გრძნობა გამოხატა თავის ფასდაუდებელ პულიცისტურ წერილებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ნაშრომები: „ბურჯი ეროვნებისა“, „იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, როგორც პედაგოგი“, „მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი“, „ხე ნაყოფით იცნობა“ და სხვა.

ზნეობითი აღზრდის პრობლემებს ეძღვნება „ნობათის პედაგოგიურ დამატებაში“ ანდრია ღულაძის წერილი ,,ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლაში“ (1886, №5-6). წერილში ავტორი ადამიანის აღზრდის საკითხში უდიდეს დატვირთვას ანიჭებს მორალს. მას ისტორიის წარმმართველ ძალად და ხალხის ბედის განმსაზღვრელადაც მიიჩნევს.

პირველი ქართული პედაგოგიური პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა ბევრი სტატია, რომლებიც თავიდან ბოლომდე რელიგიურ აღზრდასა და რელიგიურ სწავლებას უჭერდა მხარს. საკმარისია დავასახელოთ საღმრთო სჯულის სწავლების საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები (,,ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884 №5, 6, 7, 8, 9; ,,განათლება“, №1 და სხვ.). „ისტორია გვიმტკიცებს, - წერს ტ. ჯაფარიძე, - რომ ნივთიერმა ძალამ ხალხს ზნეობრივი სილაღე ვერ მისცა. ის ერი, რომელსაც მორალური იდეა არ ჰქონდა ან შესუსტდა, ან სულიერად მოკვდა. ნივთიერ კმაყოფილებასა და ძალმომრეობაზე დამყარებულ უპირატესობას ყოველთვის საფრთხე მოელის და ისტორიული ხანგრძლივობა არ აქვს. რამ დაღუპა ძველი ერები? ბევრმა მიზეზმა, მაგრამ ძირითადად ზნეობრივმა სიკოტრემ. ეს დაღუპავს დღევანდელ დიდ ქვეყნებსაც, რომელთაც აღსასრული ჯერ არ მოსულა. მაგრამ არც ისე შორსაა მათ რომ ჰგონიათ“.

საღმრთო სჯულის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებით შეშფოთებული ერთ-ერთი ავტორი მოითხოვს საჭირო ღონისძიებების გატარებას ,,ამ ძნელი საქმის“ სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ,,საღმრთო სჯულის სწავლება, - წერს იგი, - ნამეტურ პირველ-დაწყებით სკოლებში, ჭეშმარიტად რომ ერთ უძნელეს საქმეს შეადგენს. ამიტომ ამ საგანზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული. ფრიად საჭიროა გამოკვლევა და ჩვენება მისი, თუ რას უნდა ასწავლიდნენ, სახელდობრ ამ საგნიდან სკოლებში და როგორ. რა მეთოდით უნდა გადასცენ და შეასწავლონ ყმაწვილებს ის, რაც საჭიროა“. სწორედ ამ მიზნით, ჟურნალი ,,ნობათის პედაგოგიური დამატება“ საღმრთო სჯულის სანიმუშო გაკვეთილებს ათავსებს თავის ფურცლებზე.

პირველი ქართული პედაგოგიური პრესა მოზარდი თაობის ზნეობრივ აღზრდაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივი საბავშვო საკითხავი ლიტერატურის პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად გამოყენებას. აღნიშნულ საკითხს ეძღვნება შ. ჩიტაძის წერილი - ,,რა გვარი წიგნებია სასურველი მოზარდი თაობისათვის“, რომელიც დაიბეჭდა ,,ნაკადულის პედაგოგიური ფურცლის“ 1905 წლის მე-2 ნომერში. წერილში ავტორი ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეს მიიჩნევს საბავშვო ლიტერატურის მთავარ ამოცანად. ,,მარტო იმ მოძღვრებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ქადაგებს და ასწავლის ცხოვრებისადმი სიყვარულს. ნათელი, მხიარული მოძღვრება უნდა იყოს აღიარებული ერთადერთ სასურველ მოძღვრებად. წიგნმა უნდა შეაყვაროს ცხოვრება, მისი ცუდი მხარეებიც კი, მაგრამ იმოდენა ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მშვენიერებით დაფაროს ბნელი მხარეები. წიგნმა უნდა შეძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე სამყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი საუკეთესო გრძნობებისა და მისწრაფებათათვის."

მართლაც, საბავშვო ლიტერატურის სწორად შერჩევა, მისი მეცნიერულ-პედაგოგიური პრინციპების დადგენა იყო და არის პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი ამოცანა.

ლიტერატურა:

1. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
2. ჟურნალი „მწყემსი“, 1888.
3. ჟურნალი „მწყემსი“, №2, 1891,
4. გოგებაშვილი ი., რჩ. თხზ. ტ. VIII, თბ., 1928.
5. იაკობ გოგებაშვილი, რჩ. თხზ. ტ. III, თბ., 1954.
6. ბასილიძე ი., ძოწენიძე ქ., კუპრაშვილი ს., სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, 2006.

რეზიუმე

ზნეობრივი აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ამ დარგში დაგროვილი გამოცდილების შესწავლას, რასაც არა მარტო ისტორიულ-შემეცნებითი, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

პედაგოგიური აზროვნების განვითარებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა პედაგოგიურმა პრესამ. პირველ ქართულ პრესაში (XIX-ის ბოლო და XX-ის დასაწყისი) უხვად იბეჭდებოდა მასალები ზნეობრივი აღზრდის პრობლემაზე.

მაშინდელ ქართულ პედაგოგიურ პრესას ამშვენებს ი. გოგებაშვილის, ლ. ბოცვაძის, კ. უშინსკის, ლ. ტოლსტოის, ნ. კორფის, ი. კომენსკის, ჰ. პესტალოცის, ჟ. რუსოს და პედაგოგიკის სხვა კლასიკოსთა მადლმოსილი სახელები. პირველი ქართული პედაგოგიური პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა ბევრი სტატია, რომლებიც თავიდან ბოლომდე რელიგიურ აღზრდასა და რელიგიურ სწავლებას უჭერდა მხარს. საკმარისია დავასახელოთ საღმრთო სჯულის სწავლების საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები („ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884 №5, 6, 7, 8, 9; „განათლება“, №1 და სხვ.).

THE QUESTIONS OF MORAL UP-BRINGING IN THE FIRST GEORGIAN PEDAGOGICAL PRESS

Neli Champuridze, Professor
Natia Tsotniashvili, Invited specialist

RESUME

Research of the accumulated experience in moral education takes an important place for successful solution of the tasks in this field. Which has not only historical - informative but also extremely practical - applied importance. Georgian press played a great part in development and implementation of pedagogical thinking. A considerable number of materials on the problem of moral education were printed in Georgian press (at the end of XIX and at the beginning of XX).

That time pedagogical press was enriched by the honorable names of the classic pedagogy: I. Gogebashvili, L. Botsvadze, K. Ushinski, L. Tolstoy, N. Korphy, I. Komensky , J. Pestalozzi , J. Rousseau and others. The first publications in the Georgian press totally supported religious upbringing and religious teachings. It will be enough to Mention the following published letters about the religion (“Pedagogic addition of Nobati “ 1884 №5,6,7,8,9; “Education", № 1, etc.).

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

აგროტურიზმის განვითარების რეგიონული პერსპექტივები

***მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

ტურიზმის თავისებურ, მაგრამ საკმაოდ პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს სოფლის რეგიონებთან დაკავშირებული სახეები: აგროტურიზმი და სასოფლო ტურიზმი. აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულება, XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. სხვადასხვა

ქვეყნებში აგროტურიზმს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით „სოფლის ტურიზმი“ (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhoftourismus", რაც სიტყვასიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც ლათინური წარმომავლობის სიტყვა „აგრო“-დან (agros) და მისგან ნაწარმოები „აგრარული“ – agrarius – სასოფლო-სამეურნეოდან მომდინარეობს. ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით, აგროტურიზმი – „როდესაც ტურისტი ჩამოდის იმ მიზნით, რომ იცხოვროს ადგილობრივი მოსახლესავით, იმუშაოს მასთან ერთად მინდორში, დაამუშაოს მიწა, იკვებოს მასთან ერთად, ანუ გარკვეული დროით გახდეს მასპინძლის ოჯახის წევრი“. როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმი სოფლად დიდ ინდუსტრიული ქვეყნებში ჩამოყალიბდა, სადაც მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის მესამე თაობა წარმოადგენდა. მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – სწორედ ესენი გახლავთ აგროტურიზმის შემადგენელი ძირითადი კომპონენტები. აგროტურიზმის მთავარი მიზანია ტურისტების განთავსების საშუალებანი სოფლად მდებარეობდეს და სწორედ აქედან გამომდინარე ცხოვრების აჩქარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის სურვილს, რომ პერიოდულად მშვიდ, წყნარ გარემოში, ქალაქგარეთ დაისვენოს მან. ვინაიდან, აგროტურისტული მეურნეობები ისტორიული და კულტურული ძეგლების საიხლოვეს გულისხმობს, ტურისტებს ღამის გასათევს სთავაზობს, ადგილზევე იწარმოება საკვები პროდუქტი და შენარჩუნებულია ტრადიციული ტექნოლოგიები. შესაძლებელია ისეთი რეკრეაციული აქტივობის ორგანიზება, როგორიცაა ცხენოსნული ლაშქრობები, ღვინის დაწურვა, ჩურჩხელების ამოვლება, ხილის კრეფა, მეღვინეობის საიდუმლოებების გაცნობა, თაფლის დაგემოვნება და ა. შ. სწორედ ეს არის ტურისტისთვის მიმზიდველი, ვინაიდან ის თვითონ არის ჩართული საქმეში. აგროტურიზმი სწრაფად ვითარდება და მალე, როგორც ჩანს, ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დარგად გადაიქცევა. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ეკოტურიზმის პოპულარობამ აგროტურიზმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი. (ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე, 2011)

საქართველოში ტურიზმის პერსპექტივებზე და, ზოგადად, დარგის მდგომარეობის გასაანალიზებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა. შ. ე.ი. თუ ლოგიკას მივყვებით და არსებულ პოტენციალს გავაანალიზებთ, ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება აგროტურიზმის განვითარება.

სასოფლო ტურიზმი (Rural tourism) არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა საქალაქო არეალების გარეთ, სასოფლო დასახლებებში დასვენებისა და ადგილობრივი ყოფის გაცნობის მიზნით. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები თვითონ სოფლის მცხოვრებლები არიან. სასოფლო ტურებით გათვალისწინებულია ტურისტთა განთავსება ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ და მოწყობილ სახლებში, დასვენება მშვიდ, „პოსტორალურ“ გარემოში, კვება ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით, ადგილობრივი ნაკეთობების შეძენა, სოფლის ცხოვრების გაცნობა და მასში მონაწილეობა. ტურიზმის ეს მიმართულება საქართველოში უკვე სერიოზულად იკიდებს ფეხს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უკვე ბევრი მოსახლეა ჩართული სასოფლო ტურებში, ისინი აქტიურად ახორციელებენ ტურებით გათვალისწინებულ პროგრამას და საკმაო ანაზღაურებასაც იღებენ. ბევრი ასეთი ტურისტული მინიმეურნეობა უკვე აქტიურად მოქმედებს კახეთში, სვანეთში და სხვა მხარეებში. (გ. ხომერიკი, 2008)

საქართველოსათვის უპარატესია: სვანეთის, მთათუშეთის, შავი ზღვის და ბორჯომის, საირმის, წყალტუბოს რეკრეაციული ადგილები, ასევე მიწათმოქმედების საოჯახო ტრადიციული წესის აღდგენა, ნაციონალური კულტურის მიმართულებათა განვითარება და ა. შ. ქართული ეგზოტიკა უცხოელი ტურისტებისათვის, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ ჩვენი ქვეყნის ულამაზესი და რეკრეაციული ადგილების შესახებ, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკის დამატებითი შემოსავლების წყარო. აგროტურიზმის განვითარება უშუალო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი დარგების განვითარებასა და აღდგენაზე. აგროტურიზმის განვითარების ეფექტიანობა განპირობებულია შემოსავლით, რომელიც 1 ჰა. მიწიდან მიიღება. ეს გულისხმობს მიწის უპირატეს გამოყენებას არაშავმიწიან ზონაში ტურისტული მიზნებისათვის, ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ არაშავმიწანიადაგიან ზონაში ბევრია ღირსშესანიშნავი კულტურული ძეგლები. აგრარული ტურიზმის ეფექტიანობა განპირობებულია აგრეთვე აგრარული სფეროს შეღავათიანი კრედიტებით,

აგროსაწარმოებში შემავალი რიგი კომერციული სტრუქტურების შექმნით, კომერციული ბანკების, კერძო პირებისა და უცხოელი ინვესტორების და აგროსფეროში ამ საშუალებების განთავსებით. ამის გარდა სოფლად ტურიზმის განვითარება გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ან ე. წ. ხელსაყრელი რეკრეაციული გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

სასოფლო და აგროტურიზმის განვითარებისათვის მეტად საინტერესო რესურსს წარმოადგენს ქედის რაიონი, როგორც აჭარის მევენახეობის ცენტრი. აქ ყურძნის იშვიათი და უნიკალური ჯიშები მოჰყავთ: ქედის ცოლიკაური, ჯინეში, ჭოდი, შავშური, ხიფათური, კლარჯული, ალიგოტე, ადესა, ხევარდული, მელისკუდა, შავი ყურძენი, სირექი, გორგოული, ჩხავერი. მაღალი ვენახი საკმაოდ მაღალ ზონამდე, ზღვის დონიდან 1200 მ-ზე ვრცელდება. ქედის ღვინის ყველაზე ცნობილი პროდუქტია „ქედის ცოლიკაური“.

საქართველო ღვინის აკვანია, კახეთი კი მის გულს წარმოადგენს, თუმცა ქვეყნის ყველა რეგიონში იწარმოება ღვინო. ღვინის კერამიკული ჭურჭელი „ქვევრი“ შეგხვდებათ თითქმის ყველა ანტიკურ ძეგლთან. ყურძნის რელიეფს ხშირად შეხვდებით ეკლესიის ფასადებზე. ქართველთათვის უდიდეს უპატივცემულობად ითვლება, თუ უარს იტყვით შეთავაზებულ ღვინოზე, რადგან საქართველოში არაა ცუდი ღვინო, არსებობს მხოლოდ კარგი და უკეთესი. განსაკუთრებით საოცარია ღვინო, რომელიც მომზადებულია „გლეხურად“. „მთელს მსოფლიოში არსად ისე კარგად არ ეხამება ადგილობრივი ღვინო ადგილობრივ კერძებს, როგორც საქართველოში“.

კახეთის მხარეს ღვინის ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. კახეთის მეღვინეობის ისტორია ახ. წ. აღრიცხვამდე მე-3-2 საუკუნეებში იწყება და დღემდე მხარის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. საქართველოს ღვინის ქარხნები უმეტესად კახეთშია კონცენტრირებული. მხარეს ღვინის ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. აქ ტურისტებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ: ღვინის დეგუსტაციას, აცნობენ საწარმოო პროცესს, ქართულ ტრადიციებს ამისათვის სპეციალურად მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებში. ღვინის გასინჯვა შესაძლებელია ტრადიციულ ქართულ ოჯახებშიც, სადაც ტურისტს შეუძლია ძველ მარნებში ტურისტულ ქართული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო დააგემოვნოს და გასინჯოს ქართული სამზარეულოს კერძები, ყოველწლიურად იმართება ღვინის ფესტივალი.

კახეთის, შიდა ქართლისა და სვანეთის რეგიონებში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში არსებული ტურისტული რესურსები და შესაბამისი ეკონომიკურ-ბიზნეს პოტენციალი არ არის სათანადოდ ათვისებული. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის, შიდა ქართლისა და სვანეთის რეგიონები უნიკალურია ულამაზესი ბუნებითა და სპეციფიკური ეკოლოგიური სისტემებით, დაცული ტერიტორიებით, სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო წარმოების მრავალსახეობით, ფერმერული პროდუქციის მრავალფეროვნებით, საწარმოო მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, აგრეთვე უმდიდრესი ეკონომიკურ-ეთნოლოგიურ-კულტურული ტრადიციებითა და ძეგლებით.

თუშეთის ტრადიციული ცხოვრების წესი საინტერესოა სასოფლო ტურიზმის მოყვარულთათვის. ძველი თუშური წეს-ჩვეულებები კი შეიძლება ჩამოყალიბდეს უცხოელ, ასევე შიდა ტურისტებისათვის გამართულ სახალხო სანახაობებად. სოფელი დართლო საქართველოს ისტორიულ მხარეს თუშეთს ეკუთვნის, ადმინისტრაციულად კი კახეთს (ახმეტის რაიონს). იგი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, პირიქითა თუშეთში. სოფელი დართლო თუშეთის სავიზიტო ბარათია, იგი გამოირჩევა ციხე-კოშკებით, უნიკალური ტყით, თოვლიანი მწვერვალებით და ა.შ.

ქვემოთ გადმოვცემთ იმ ძირითად კონცეფციებს, რაც უნდა გაითვალისწინოს საქართველომ აგროტურისტული პროდუქტის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე გასატანად:

1. აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების, ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება;
2. ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის. მოუმზადებლობაში ვგულისხმობთ უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნას, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას;
3. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწყები ბიზნესმენები გატაცებულნი არიან მაღალპროცენტიანი მოგების მიღებით. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად;

4. გამოცდილების უქონლობის გამო სირთულეს წარმოადგენს აგროტურისტებისათვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი: სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2-4 კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზაციებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალ-ცალკე: მამაკაცისათვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა ქართველ მასპინძელთან ერთად. დიასახლისისათვის ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას;
5. საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით (კვიპროსი, ბულგარეთი და სხვ.), როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრილებული გლეხის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალიზებული ბაზრობები, აგრეთვე ის ბაზრობები, სადაც მომხმარებლები სჭარბობენ პროფესიონალებს. შეიძლება ითქვას, რომ აგროტურიზმი საქართველოში ისევ და ისევ განვითარების სტადიაში იმყოფება.

საქართველოში აგროტურიზმის პერსპექტივებზე საუბრისას შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბუნება, ისტორიული ძეგლები, მდიდარი ტრადიციები და ადათ-წესები დიდ შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ მათ გამოსაყენებლად საჭიროა გარკვეული, სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება და შესაბამისი ცოდნის მიღება, რაც ადგილობრივ ფერმერებს გაუადვილებს ამ სახის ბიზნესის დაწყებას და შემდგომ განვითარებას.

ფაქტია, რომ აგროტურიზმი უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლებში ადგილობრივ დონეზე, მაგრამ იგი არ შეიძლება განხილულ იქნას რეგიონალური, ეროვნული, ზოგჯერ კი საერთაშორისო კავშირებიდან გამოცალკევებულად. მიუხედავად ძირითადი ამოცანების იდენტურობისა, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიის წინაშე დგანან, როგორც რეგიონალურ და ნაციონალურ დონეზე იქნება ეს ძირითადი გეგმებისა და პროგრამების დამუშავება, აგრეთვე მარკეტინგი და ზოგადი პოლიტიკისა და სტრატეგიის დამუშავება.

ამრიგად, საქართველოს მთლიანად და მის ცალკეულ რეგიონებს აგროტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს. ტურიზმის სფეროში ჩვენი ქვეყნის პოტენციალის დამახასიათებელი ფაქტორებია: მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დიდ ბაზართან - დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე, შესანიშნავი კლიმატური პირობები, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, რომელთა მიმართ ყურადღება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება. არ არსებობს დასვენების ისეთი სახეობა, რომლის შეთავაზება სტუმრისთვისაც არ შეიძლებოდეს საქართველოში. როგორც მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) გენერალური მდივნი ფრანჩესკო ფრანჟიალი აღნიშნავს, „საქართველო მოწოდებულია დიდი ტურიზმისათვის“.

ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2011.
2. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008.
3. ხომერიკი გ., ტურიზმი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008.
4. ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2010.
5. ტურიზმის ინდუსტრია - ka.wikibooks.org
6. http://www.geoeconomic.com/print.php?lp
7. http://www.busnessnews.ge
8. http://www.mof.ge
9. http://www.commersant.ge

რეზიუმე

საქართველოს მთლიანად და მის ცალკეულ რეგიონებს აგროტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს. ტურიზმის სფეროში ჩვენი ქვეყნის პოტენციალის დამახასიათებელი ფაქტორებია: მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დიდ ბაზართან - დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე,

შესანიშნავი კლიმატური პირობები, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, რომელთა მიმართ ყურადღება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება. არ არსებობს დასვენების ისეთი სახეობა, რომლის შეთავაზება სტუმრისთვისაც არ შეიძლებოდეს საქართველოში.

REGIONAL PERSPECTIVES OF AGRARIAN TOURISM DEVELOPMENT

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

Georgia and its regions for the development of agro-tourism has huge potential. The characteristic of our country's potential in the tourism sector include: The world's biggest tourism market - proximity to Western Europe, Excellent climatic conditions, rich cultural heritage, Ancient historical, architectural monuments, Recently, more attention towards them stronger.Georgia has opportunities for all types of recreation to offer tourists.

ოლიმპიური მოძრაობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

საქართველო სპორტული მიღწევებით ცნობილი ქვეყანაა და მსოფლიოში ღირსეული ადგილი უჭირავს.

ამის დასტურია ქართველი სპორტსმენების თვალსაჩინო წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს: 37 ოქროს მედალი ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, 216 ოქროს მედალი მსოფლიოს ჩემპიონატებზე და 201 ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული აქვთ: 358 ვერცხლისა და 414 ბრინჯაოს მედალი.

მოპოვებული წარმატებები განაპირობა უძველესი პერიოდიდან ოლიმპიური იდეების დანერგვამ საქართველოში, რაც ბერძენ–ქართველთა კულტურული კავშირის გაფართოების უშუალო შედეგი იყო.

ანტიკური ხანის საბერძნეთს მრავალ ქვეყანასთან გააჩნდა ანალოგიური კავშირი, მაგრამ ამ ქვეყნების ერთ ნაწილში ოლიმპიურ იდეებს ფართო გასავალი არ ჰქონია, პირველ რიგში იმის გამო, რომ ამ სიახლეს ადგილზე არ დახვდა გავრცელებისათვის საჭირო ნაყოფიერი ნიადაგი. მხედველობაში გვაქვს ხალხის სიყვარული და გატაცება ფიზიკური ვარჯიშებითა და თამაშებით, სპორტული შეჯიბრებების ჩატარების პრაქტიკა, მოსახლეობის სამხედრო ფიზიკური მომზადების ერთიანი სისტემა.

ასეთ ნიადაგზე ოლიმპიური იდეების გავრცელებას წინ ვერაფერი აღუდგებოდა, უფრო მეტიც, ასეთი სპორტული კულტურის მქონე ქვეყანაში ოლიმპიური იდეების გავრცელებითა და სპორტული კავშირებით თავად ბერძნები იქნებოდნენ დაინტერესებულნი. როგორც ბერძნულ-რომაული წყაროები გვიდასტურებენ, საქართველო ამ მხრივ, როგორც იტყვიან, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

პირველ რიგში, ამ წყაროებში ქებითა და ამაღლებული ტონით მოიხსენიება საქართველოში არსებული სპორტული ბაზები, რომლებზეც ასპარეზობანი იყო გაჩაღებული.

იმ მასალათა შორის, რომლებიც საქართველოში ოლიმპიზმის იდეებს ეძღვნება, პირველ რიგში გამოსარჩევია XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის ვრცელი კორესპონდენცია საქართველოს სამხრეთ რაიონის – მესხეთის სოფელ ხიზაბავრიდან, რომელიც გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა 1882 წლის 17 ოქტომბერს (№217).

ი. გვარამაძის ცნობების მიხედვით, „საქვეყნო ოლიმპიური თავგამოჩენილი ვარჯიში“ საქართველოში უხსოვარი დროიდან ტარდებოდა.

ბერძნული ტიპის ვარჯიშობათა გაცნობა ქართველთა მიერ ავტორს შემდეგნაირად ესახება: „არგონავოსანთა შემოსვლისას კოლხეთში 1260 წლის წინ ქრისტეზედ განითქვა ბერძნული ვარჯიშობა, იაზონის თანხმებული გმირებისაგან დაშთენილი: იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯიშებში პირველი იყო „არგიული“, რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე – „ისტმიური“, მესამე – „შივთიური“, მეოთხე – „ნემეიური“, ეს ვარჯიშები შემდგომში ელისელმა იბიტომ გარდააკეთა „ოლიმპიურ ვარჯიშად“.

როგორც ცნობილია, ბერძნული ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა 4–წლიანი ციკლით. ამასთან, წინაოლიმპიური შესარჩვი ტურნირები არ იყო მტკიცედ გამოკვეთილი; მათ სანაცვლოდ დაწესებული იყო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მსურველთა მიწვევა ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რათა მსაჯებს დაედგინათ საასპარეზოდ მათი დაშვების მიზანშეწონილობა. თითქმის იგივე ხდებოდა ძველ საქართველოშიც, ოღონდ აქ შესარჩევი ტურნირები უფრო გამოკვეთილად ჩანდა.

„მთელი სათალახ–ხეობისა და მუსხისა სარბიელი – წერს ი. გვარამაძე – ეს ზველას მინდორ–ვაკე ყოფილა სამ წელიწადს აქ იყრიდნენ თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯიშოდ, ვაჟკაცების გამოსაცდელად და სხვა. დახელოვნებულ სამაციო ზნეობაში. არჩევდნენ თავგმირებს და მეოთხე წელიწადს გარდავიდოდნენ ვანის მთისაკენ ცხრა წყაროს ველობაზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავგამოჩენილი ვარჯიში“.

ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს აჯილდოვებდნენ ზეთისხილის ტოტებით გაკეთებული გვირგვინით. საქართველოში კი, ცხრაწყაროს თამაშებში გამარჯვებულებს აჯილდოვებდნენ ფიჭვის, ან დაფნის და ან ძეწნის ტოტებისაგან გაკეთებული გვირგვინით.

არსებობს ვარაუდი, რომ ძველი ბერძნული ოლიმპიური თამაშებისა და ქართული თამაშების პროგრამა თითქმის იდენტური იყო.

ცნობილია, რომ ოლიმპიურ თამაშებში ერთ–ერთი მთავარი ადგილი ეკავა ჭიდაობას; იგი ბერძნების ყველაზე სასარგებლო ვარჯიშად მიაჩნდათ და ხუთჭიდშიც ჰქონდათ შეტანილი.

ჭიდაობდნენ შიშვლები, ტანზე ქონს ისვამდნენ და გაცრილ ქვიშასაც იფრქვევდნენ.

ცხრაწყაროს თამაშების პროგრამიდან ი. გვარამაძე ჭიდაობას შემდეგნაირად ახასიათებს:

„ჭიდაობა, ჯერ ტანისამოსით და შემდეგ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა, ზეთს წაისვამდნენ წელ–ზემოდ. და წმინდა ქვიშას შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შეძლებოდათ ხელის მოკიდება“.

იგივე ითქმის კრივზეც, ბერძნები ორთაბრძოლებს ატარებდნენ ხელებზე დახვეული თასმებით, რომლებშიც ჩატანებული იყო რკინის ბურთულები, ასევე ყოფილა ცხრაწყაროზეც:

„მჯიღვით ბროლა, მაგარ ტყავის თათამანებს ჩაიცვამდნენ, თითბრით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ–პირში“.

ბერძნული ოლიმპიური თამაშების მსგავსად ცხრაწყაროს თამაშებში შედიოდა რბენა, ცხენოსნობა, ეტლებით რბოლა, ბადროს ტყორცნა, მშვიდოსნობა, შუბის ტყორცნა, მაგრამ ცხრაწყაროს თამაშების პროგრამაში იყო ისეთი სახეობები, რომლებიც არ იყო კულტივირებული ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში. ეს იყო: ბურთაობა, მხარდავერდა, ქალთა, ზოგიერთი ვარჯიშობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა მონაწილეობა რბენაში.

ი. გვარამაძე წერს:

„ქალის გაქცევანი, ჩუმად აქეთა მხარი რაღაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდნენ ერთ–ერთში და რომელიც გაქცევაში ერთის დონითგან მეორე დონეზედ გაიტანდა, ის იმარჯვებდა“.

ბერძენ–ქართველთა სპორტული მოძრაობის კავშირურთიერთობაზე, ი გვარამაძის მიერ მოწოდებული მასალის გარდა, აშკარად მიუთითებენ სხვა ფაქტებიც, ცნობილია, რომ მრავალი ქართველი ათლეტი მონაწილეობდა შავიზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში გამართულ თამაშებში და თავიც უსახელებიათ.

დიდად გაუთქვამთ სახელი კუტაიას (ქუთაისის) მკვიდრთ ბლასტოსსა და კრატინოს, რომლებიც ანაპის ტერიტორიაზე ჩატარებულ საშუალო მანძილზე რბენაში გამარჯვებისათვის დაფნის გვირგვინით დაუჯილდოებიათ. აღნიშნულ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ბერძნები, სინდები და სკვითები.

არისტოტელეს გადმოცემით, ათენელთა შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობდნენ ფაზისელი (ფოთელი) ათლეტები. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დაბა ვანში ჩატარებული გათხრების დროს აღმოაჩინეს ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე IV–III საუკუნეს განეკუთვნება. ამ ქანდაკებით ძველ საბერძნეთში აჯილდოებდნენ გამარჯვებულ ათლეტებს. სავარაუდოა, რომ იგი ეკუთვნოდა რომელიმე კოლხს, რომელმაც ქანდაკება გამარჯვებით დაიმსახურა და მშობლიურ ვანში ჩამოიტანა.

ი. გვარამაძის მიერ ჩატარებული გამოკვლევები გვაძლევს საფუძველს, რომ გაბედულად ვილაპარაკოთ ბერძენ–ქართველთა ფიზიკური აღზრდის სისტემათა ნათესაობაზე, რაც საქართველოში ოლიმპიზმის იდეების გავრცელებაში გამოიხატა.

ცნობილია, რომ 394 წელს ქრისტეს აქეთ ბერძნულ–ილიმპიურ თამაშებს დიდი ზიანი მიაყენა ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსემ, რომელმაც აკრძალა ეს ყველაზე პოპულარული სპორტული ღონისძიება. მას ოლიმპიური თამაშები მიაჩნდა ქრისტიანული მრწამსისათვის მიუღებელ მოვლენად.

გარდა ამისა, VII საუკუნეში მსოფლიოს მე–6 საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე ქრისტიანული სახელმწიფოების მეფეებს ეკრძალებოდათ თავიანთ ქვეყნებში ბერძნული ოლიმპიური თამაშების მსგავსი ღონისძიებების ჩატარება.

მსოფლიოს VI საეკლესიო კრების დადგენილების შესრულება სავალდებულო იყო ქრისტიანული საქართველოსათვისაც, რადგან ქრისტიანობა ყოველგვარ ბერძნულ თამაშებში ხედავდა ძველი რელიგიის გადმონაშთს და მათდამი ქედმოხრას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ოლიმპიური თამაშები მივიწყებას მიეცა გვიანი ფეოდალიზმის ხანამდე, რადგან ოლიმპიადების შესახებ არაფერია ნათქვამი იმდროინდელი მოღვაწეების – მეფე–პოეტების თეიმურაზ პირველის, თეიმურაზ მეორის, დავით გურამიშვილის და სხვათა ნაწარმოებებში.

მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გაზეთებსა და ჟურნალებში ჩნდება ცნობები ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებზე, ბერძენთა ფიზიკური აღზრდის სისტემებზე, ანტიკური პერიოდის მოღვაწეთა შეხედულებებზე ბავშვთა ჰარმონიული აღზრდის შესახებ.

ქართველ მკითხველს XIX საუკუნის 90–იან წლებში ი. ფერაძე ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე აცნობს ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის აზრებს, რომელიც მოითხოვდა ჯეროვანი ყურადღების მიქცევას ბავშვთა ფიზიკური აღზრდაზე, ამ მიზნით კი „მშობლები და აღმზრდელები უნდა სცდილობდნენ დაბადებიდან სამ წლამდე ბავშვს განუვითარონ სხეულის ყოველი ნაწილი“. სამიდან ექვს წლამდე კი ბავშვების აღზრდაში უხვად უნდა ჩაერთოს თამაშობანი. „ბუნება ბავშვისა ისეა მოწყობილი, რომ თვითონ თხოულობს სათამაშოებს“. „ბავშვები თამაშობის დროს უნდა იყვნენ კეთილგონიერნი და მათ ზნეობით საიმედო გადიები უნდა ხელმძღვანელობდნენ“.

ექვს–ათ წლებში კი, ბავშვს უნდა ასწავლონ გიმნასტიკა და მუსიკა. ამ ორი საგნის სწავლება თანასწორად უნდა მიმდინარეობდეს.

აღნიშნულ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა 1893 წელს ჟურნალ „მწყემსში“ (№8) ი. ფერაძე მკითხველს აცნობს პლატონის ერთ–ერთ ახლებურ შეხედულებას – „არ უნდა დავივიწყოთ, ამბობს პლატონი, ის ჭეშმარიტება, რომ ჯანმრთელი სხეული კი არ შეიქმს სისრულეს სულისას, არამედ სიმშვენიერე სულისა წარმოშობს სხეულის სიმშვენიერეს, რადგან სული მაღლა სდგას სხეულზედ და იმაზე წინ არსებობს“.

აქვე გადმოგვცემს პლატონის შეხედულებას ქალთა ფიზიკური აღზრდის შესახებ, რომელიც მოითხოვს, „ისინი ვაჟების მსგავსად ჩაებან გიმნასტიკისა, მუსიკისა და სხვა სამეცნიერო საგნების სწავლებაში“.

შუა საუკუნეებში მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის მოღვაწე ცდილობდა ოლიმპიური თამაშების აუცილებლობის საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებას.

მათ რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი მათეო პალმიერი, რომელმაც 1450 წელს გამოცემული თავის წიგნში „სამოქალაქო ცხოვრებაზე“ საზოგადოებრიობას შეახსენა ანტიკური ოლიმპიური თამაშები და მოუწოდა მისი აღდგენის აუცილებლობისაკენ.

ძველბერძნულ ოლიმპიადებზე და მათ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს ფრანგი სწავლული პეტრეს ფაბერი თავის „აგონისტიკაში“, რომელიც პარიზში გამოიცა 1592 წელს. ოლიმპიზმის იდეების მომხრეთა რიცხვს მიეკუთვნება ინგლისელი სამეფო პროკურორი რობერტ დოვერი, რომელმაც XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისის მეფის იაკობ პირველის მხარდაჭერით, წმინდა სამების დღეებში თავის მამულში მოაწყო „ოლიმპიური თამაშები“. მის პროგრამაში შედიოდა: ჭიდაობა, ფარიკაობა, ბალახის ჰოკეი, ხტომები და მეტალის ტყორცნები.

ოლიმპიზმის იდეებს ქადაგებდნენ ცნობილი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი, ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და განმანათლებელი ჟან–ჟაკ რუსო.

იყო რამდენიმე მცდელობა ოლიმპიური თამაშების აღორძინების შესახებ, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება არ მოხერხდა.

ოლიმპიური თამაშების აღორძინება, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება, მოახერხა დაუღალავი შრომისა და მიზანმიმართული

მოღვაწეობით ფრანგმა განმანათლებელმა, საზოგადო მოღვაწემ, ისტორიკოსმა, ლიტერატორმა და სოციოლოგმა პიერ დეკუბერტენმა.

1894 წლის 16 ივნისს პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში ორიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. აღნიშნული შეკრება სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ოლიმპიური კონგრესი.

კონგრესზე გადაწყდა, რომ როგორც ძველბერძნული ტრადიცია, თანამედროვე ოლიმპიური თამაშები გაიმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რომ ოლიმპიური თამაშები იქნება თანამედროვე და საერთაშორისო, რომ მის პროგრამაში შევა XIX საუკუნეში კულტივირებული სპორტის სახეები და თამაშები ჩატარდება რიგრიგობით სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნებში.

პარიზის პირველი ოლიმპიური კონგრესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი შედეგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნა იყო. ეს იყო 1894 წლის 23 ივნისს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ინგლისის, აშშ–ს, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, შვეიცის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბელგიის, არგენტინის და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს ბერძენი დემეტრიუ ვიკელასი, გენერალურ მდივნად კი პიერ დე კუბერტენი.

განახლებული პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1896 წელს ათენში და მის შემდეგ ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. არ ჩატარებულა მხოლოდ პირველი და მეორე სამამულო ომის წლებში. რაც შეეხება ქართველთა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებზე, მისი ათვლა იწყება 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან, ამ პერიოდიდან 1996 წლამდე ქართველი სპორტსმენები გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის სახელით.

საქართველოს სპორტული მოძრაობის და ამასთან – ოლიმპიური სპორტის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ღამის შემდეგ, როცა ტალღასავით აზვირთდა ეროვნული მოძრაობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება უახლოეს მიზნად უქნა დასახული.

ცნობილია, რომ სპორტული დამოუკიდებლობა მსოფლიოს სპორტულ ორგანიზაციებში გაერთიანებითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიან წევრად გახდომით უნდა დაიწყოს.

1989 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თვეების მანძილზე ჩაატარა ყველა წიანსწარი მოსამზადებელი სამუშაო და იმავე წლის 6 ოქტომბერს შედგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია.

საქართველოს ეროვნული კომიტეტის პირველ პრეზიდენტად კონფერენციამ აირჩია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი.

არჩეული იქნა ოლიმპიური კომიტეტი 171 წევრის შემადგენლობით. ამავე დღეს გაიმართა ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელმაც აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 13 წევრის შემადგენლობით (პრეზიდენტი, 3 ვიცე–პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და 8 წევრი).

ვიცე–პრეზიდენტად აირჩიეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძლეოსნობაში ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად – დავით კინწურაშვილი, აღმასკომის წევრებად – ვ. კაჭარავა, ნ. გუგუშვილი, დ. კუპრეიშვილი, დ. სალუქვაძე, ი. ყიფიანი, ა. ციბაძე, ნ. ცხაკაია და ზ. წერეთელი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა იყო ახალი ფურცელი დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში, რომელმაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სპორტულ ფედერაციასთან და სპორტულ საზოგადოებასთან ერთად ყველაფერი გააკეთა საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახში შესასვლელად. მართლაც, დადგა ნანატრი დღე, ეს იყო 1992 წლის 9 მარტი, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დროებით, ხოლო 1993 წელს საქართველოს ეროვნული კომიტეტი მიღებული იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში.

1992 წელს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვების ნიშნად სამჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი და აფრიალდა საქართველოს დროშა.

1994 წლის თებერვალში ლილეჰამერში (ნორვეგია) ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებზე პირველად აფრიალდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა. საზეიმო მარშის მსვლელობისას საქართველოს სპორტულ დელეგაციასთან ეროვნული დროშით წინ მიუძღოდა სამთომეთხილამურე კახა

ვახტანგიშვილი, ხოლო ატლანტაში, 1996 წელს ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნაზე საქართველოს სპორტულ დელეგაციას წინ მიუძღვოდა ქ. გორის მკვიდრი, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის გიორგი კანდელაკი.

საქართველოში ოლიმპიზმის მოძღვრებამ უძველესი პერიოდიდან მოიკიდა ფეხი, რომელიც ამჟამად ხარობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალი თაობები ახალი წარმატებებით გაამდიდრებენ ქართული სპორტის სახელოვან ტრადიციებს.

ლიტერატურა:

1. გიორგაძე მ., ფიზიკური კულტურის ისტორია, თბ., 1965.
2. ციბაძე ა., ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბ., 1991.
3. ციბაძე ა., კინწურაშვილი დ., ოლიმპიზმი საქართველოში, თბ., 1996.
4. ოლიმპიური ენციკლოპედია, სამშობლო, თბ., 1997.
5. გაჩეჩილაძე თ., 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში, თბ., 1999.
6. ძაგანია გ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბ., 2004.
7. ოლიმპიური საქართველო, თბ., 2007.
8. იაშვილი ა., ოლიმპიზმი ძველ საქართველოში, სსიპ გორის უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №1, 2011.
9. იაშვილი ა., ქართული ოლიმპიური ანუ მესხური თამაშები, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“ №2, 2011.
10. ძაგანია გ., ქართული სპორტის მატიანე, თბ., 2012.
11. http://msy.gov.ge/

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, რომელსაც დასაბამი მიეცა უძველეს პერიოდში, რაც განპირობებული იყო საბერძნეთთან კულტურული ურთიერთობით. საქართველო იყო ერთ–ერთი ქვეყანა შავიზღვისპირეთში, სადაც ნოყიერი ნიადაგი დახვდა ოლიმპიურ მოძრაობას შემდგომი განვითარებისათვის, რადგან ძველბერძნული თამაშების მსგავს თამაშებს საქართველოში ატარებდნენ უძველესი პერიოდიდან ცხრა წყაროს მიდამოებში.

გარდა ამისა, ფიზიკურ ვარჯიშებს ჩვენს ქვეყანაში გამოიყენებდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სამხედრო ფიზიკური მომზადების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრა წყაროს მიდამოებში ჩატარებული თამაშებისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამა თითქმის იდენტური იყო.

ნაშრომში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ოლიმპიური იდეების დანერგვისა და განვითარების მნიშვნელობას ქართველ სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებებში.

საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1989 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა და მისი აღიარება 1993 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

თუ 1952 წლიდან 1992 წლამდე ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობდნენ საბჭოთა კავშირის სახელით, 1994 წლის ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებზე ლილეჰამერში (ნორვეგია) პირველად აფრიალდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე დასაბამი მიეცა დამოუკიდებელი საქართველოს მონაწილეობას ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

THE STEPS OF FORMATION AND DEVELOPMENT OF THE OLYMPIC MOVEMENT IN GEORGIA

Aleksandre Iashvili, Professor

RESUME

This article is about the stages of Olympic movement formation and development, that gets start in antic period, due to cultural relationship with Greece. Georgia was one o the countries in Black Sea area, where was good

background for Olympic movement development, because Georgians also held games like antic Greece games in the territory called‘ nine springs’.

Besides that, physical exercises were also used for health and physical prepare in military service.

It must be mentioned that the programmed of games ‘ nine spring’ games was identical to Olympic games.

Article emphasizes important part of Georgian sportsmen achievements in Olympic game development.

One of the most important achievement in Olympic game development can be considered the formation of Olympic committee on the 6th October 1989 and its acknowledgment by international Olympic committee in 1993.

I from 1952 until 1992 years Georgian sportsmen took part in Olympic games under the name of Soviet Union, in 1994 on the XVII Olympic games in Lillehammer (Norway)Georgian flag rose for the first time. In 1996 independent Georgia began participating in summer Olympic games.

კომპიუტერული პროგრამების ეფექტურობა უცხო ენების შესწავლისას

თინათინ მშვიდობაძე, ასოცირებული პროფესორი

ცივილიზებულ სამყაროში მიმდინარე პროცესების ფონზე მნიშვნელოვანია მიზნად დავისახოთ სწავლების ისეთი მეთოდიკის დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს დამოუკიდებლად გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა და ორიენტირება მოახდინონ სამეცნიერო და პოლიტიკური ინფორმაციის დიდ ნაკადში. სწავლების ასეთი მეთოდიკის დანერგვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ, უცხოური ენის სწავლებაში.

მსოფლიო ტენდენციების გაანალიზებისას შეიძლება გამოვყოთ უცხოური ენების სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის სამი ძირითადი მიმართულება: მულტიმედიის ტექნოლოგია, დისტანციური სწავლება, ელექტრონული სახელმძღვანელოების ტექნოლოგია.

- მულტიმედია იძლევა ყველა საშუალებას შემოქმედებითი სწავლებისა და თვითსწავლებისათვის. მულტიმედიას ავყავართ ინფორმაციის ათვისების ახალ თანამედროვე საფეხურზე. ეს იმითაა განპირობებული, რომ ერთმანეთთანაა შერწყმული ხმოვანი, ტექსტური და ვიდეო ინფორმაციები. გრაფიკულ და ანიმაციურ კლიპებს თან ერთვის ხმოვანი მეთოდიკური მითითებები და რჩევები.

მულტიმედიის ეფექტურობის შესახებ უცხოური ენის სწავლებაში მეცნიერებმა პირველი შედეგი მოიპოვეს ინტერაქტიური ვიდეოს კვლევის შედეგად, რომელმაც აჩვენა, რომ რაც უფრო ინტერაქტიურია ვიდეო სამუშაოები, მით უფრო მეტია სტუდენტის მახსოვრობა, კომპიუტერზე დაფუძნებული ჰიპერმედია ზრდის ლექციური მარაგის ათვისების პროცესს.

- დისტანციური სწავლების ტექნოლოგია ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ქსელურ Internet-სა და internet - ტექნოლოგიებს ემყარება. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებისას რეალიზებადი ხდება სწავლების სხვადასხვა საშუალებანი და მეთოდები: ელექტრონული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ბიბლიოთეკები, ვირტუალური ლაბორატორიები, სტუდენტთა და პედაგოგთა ტელეკონფერენციები. ამასთანავე, დისტანციური სწავლება გამოიყენება არა მხოლოდ როგორც დისტანციური მეთოდით განათლების მიღების საშუალება, არამედ როგორც განათლების ნებისმიერი ფორმის კომპიუტერული ტექნოლოგია, რომელიც მიმართულია სტუდენტთა მიერ დისციპლინების შესწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის აქტივაციისაკენ, ხარისხის ამაღლებისა და ატესტაციის პროცესის ობიექტურობისაკენ.

დისტანციური სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებში შეიძლება გამოვყოთ პროგრამების შემდეგი ტიპები: მმართველი პროგრამები, სასწავლო პროგრამები, დიაგნოსტიკური (ტესტების) პროგრამები, ცოდნის სხვადასხვა სფეროდან მონაცემთა ბაზები, საინფორმაციო პროგრამები, რომლებიც რეალობას ამა თუ იმ ასპექტის პარამეტრების შეზღუდული რიცხვით წარმოადგენენ მისი ძირითადი ან ფუნქციური მახასიათებლის შესასწავლად, თავისუფალი კომპოზიციის სამოდელო პროგრამები, რაც წარმოადგენს ძირითად ელემენტებსა და ფუნქციათა ტიპებს, რომელთა გამოყენება სტუდენტს შეუძლია გარკვეული რეალობის მოდელირებისათვის.

- ელექტრონულ სახელმძღვანელოებს დიდი პრაქტიკული ღირებულებები აქვთ როგორც მასწავლებლის, ასევე შემსწავლელისათვის. იგი გამოიყენება სტუდენტის პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის, კომპიუტერული წიგნიერების განვითარებისთვის, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებისათვის, ტექნიკურ საშუალებებთან ურთიერთობის ჩვენებისათვის.

უცხოური ენების კომპიუტერული სწავლების ზოგადმეთოდური საფუძველია დაპროგრამებული სწავლება, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მართვის პრინციპებზე აგებულ პედაგოგიურ შემოქმედებას.

კომპიუტერის დახმარებით უცხოური ენის სწავლების I ეტაპს განეკუთვნება ხაზოვანი პროგრამები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ძალიან მოკლე ნაბიჯები, ზედმეტი მრავალსიტყვიანობა და კარნახი, რაც მეტად აადვილებს კითხვას.

შემდგომში გამოჩენილი განშტოებული პროგრამები ახორციელებენ სწავლებას, რომელიც უკვე ადაპტირებულია შეცდომის ფაქტთან. ამ პროგრამის თავისებურებაა ის, რომ კითხვაზე სწორად გაცემული პასუხის შემთხვევაში სტუდენტი წინ მიდის, არასწორი პასუხის შემთხვევაში კი მას ეძლევა ცოდნის მაკორექტირებელი მასალა.

დიდაქტიკური ციკლის მომდევნო ეტაპზე გამოიყენება მაკონტროლებელი პროგრამა, რომელიც შეიცავს საკონტროლო დავალებათა სისტემას და რომლის შესრულება ავტომატურად ფასდება კომპიუტერის მიერ. სასწავლო ავტომატიზებული კურსების განვითარების ძირითადი ეტაპია კომპიუტერული სახელმძღვანელოები, რომელთაც გააჩნიათ დიდი შესაძლებლობა დისციპლინის დამოუკიდებლად შესწავლისა.

უცხოენობრივი ტექსტის კითხვის პროცესში ინფორმაციის გაგების მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ტრადიციულ ლექსიკონებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ ელექტრონულ ლექსიკონებს, რადგან ადვილია სიტყვის მოძებნაც და კითხვის ტემპის შენელებაც ნაკლებად შეიმჩნევა.

ინგლისური ენის ლექსიკის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მოტივირების თვალსაზრისით გამოყოფილია ლექსიკონის შემდეგი წყაროები: საერთაშორისო, მრავალმნიშვნელობიანი, წარმოებული, რთული, კონვერტირებული სიტყვები და ფრაზეოლოგიური ერთეულები.

საგულისხმოა, რომ კითხვის პროცესში ენობრივი მხედველობის კოეფიციენტი დიდადაა დამოკიდებული, თუ რამდენად აქვს შემსწავლელს შეთვისებული ინგლისური ენის სიტყვათწარმოების საშუალებანი. სწავლების პროცესში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ თუ შემსწავლელმა იცის ისეთი აფიქსების მნიშვნელობა, როგორიცაა er, able, re, ous, less, ment, y, en, და სხვა, ზუსტად ხვდება მის მნიშვნელობას ახალ ლექსიკურ ერთეულებში. ამ აფიქსების მნიშვნელობის გაგებისა და გამოყენების ჩვევა ყალიბდება კითხვის პროცესში.

სწავლების პროცესში სავსებით დადასტურდა, რომ წარმოებული სიტყვების გაგების წინაპირობას წარმოადგენს ბაზისური სიტყვისა და აფიქსების ცოდნა. წარმოებული სიტყვის ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა მოტივირებულია ბაზისური სიტყვიდან. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მრავალმნიშვნელიანობა, ანუ ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობის არსებობა.

კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის ეფექტურია სავარჯიშოების კომპიუტერული ვერსიის გამოყენება. ტექსტის პარალელურად სტუდენტს საშუალება აქვს თვალი ადევნოს ტექსტის მასალაზე შექმნილ გრაფიკულ ან ანიმაციურ კლიპებს, რომელთაც თან ერთვის ხმოვანი მითითებები და რჩევები.

კომპიუტერული დავალებები ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ტრადიციული, რადგან ისინი უზრუნველყოფენ დავალებათა უკუკავშირს, შეცდომების არა მარტო გასწორებით, არამედ მათი ახსნითაც. თითოეული შეცდომის დეტალური და სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე ხდება ამ შეცდომათა დროული კორექტირება.

ავთენტიკურ ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობისას წარმოქმნილი დაბრკოლებების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია დამხმარე და საცნობარო ინფორმაცია კომპიუტერული ლექსიკონების, ჰიპერტექსტისა და თარჯიმანი პროგრამების სახით, რაც აადვილებს მუშაობის პროცესს.

სურვილის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს წერილობითი ინფორმაციის აუდიო და ვიდეო მასალებიდან კომბინირებაც, რაც ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესების გაფართოებას, მუშაობას აძლევს შემოქმედებით ხასიათს.

კითხვის უნარ-ჩვევათა განმავითარებელი გაკვეთილების შესადგენად გამოიყენება Win Calis პროგრამული უზრუნველყოფა Win Calis Author, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული გაკვეთილების

შედგენის ინსტრუქციათა სისტემას. დავალებები მომზადებული უნდა იყოს იმ მოდელების საფუძველზე, რომლებიც ჩადებულია მოცემულ პროგრამულ უზრუნველყოფაში. დავალებები ოთხი სახისაა:

1. True/False - მცდარი/ჭეშმარიტი.
2. Multiple Choice - მრავალგზისი არჩევანი.
3. Short Answer - მოკლე პასუხი.
4. Close - გამოტოვებული ადგილების შევსება სათანადო სიტყვებითა თუ გრაფიკული ფორმებით.

შეკითხვები და უკუკავშირი წარმოადგენს Win Calis გაკვეთილების საფუძველს. ამ გაკვეთილებზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წარმოაჩინონ მიღებული ცოდნა, გააკეთონ ანალიზი მიღებული ცოდნის საკმარისობა-არასაკმარისობის შესახებ და დიალოგურ პროცესში საფუძვლიანად გააღრმაონ იგი.

Win Calis-ი საშუალებას იძლევა, სურვილის შემთხვევაში, ფართოდ ჩავრთოთ მულტიმედია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, გრაფიკული სქემები, ნახაზები, ნახატები, ფოტოსურათები და სხვა.

ნაშრომში შემოთავაზებულმა მეთოდიკამ პირველადი პრაქტიკული აპრობაცია გაიარა სტუ-ს მაგისტრატურის დეპარტამენტში ორგანიზებული პროექტის „ინგლისური ენა ტრანსპორტისა და მოგზაურობისათვის“ განხორციელებით.

სწავლება მიმდინარეობდა 10 თვის მანძილზე. სწავლების პროცესში ჩატარდა შემსწავლელთა ანკეტირება, რომელმაც გამოავლინა მათი განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება კომპიუტერული მეცადინეობებისადმი.

კითხვარის პასუხმა მოგვცა შემდეგი მონაცემები:

- კითხვის უნარ-ჩვევებს პროფესიული მოღვაწეობის რეალიზებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გამოკითხულთა 90%-მა.
- გამოყენებულ ხერხთაგან აუდიტორიაში კითხვა უფრო ეფექტურად მიიჩნია გამოკითხულთა 33%-მა, საშინაო კითხვა 8%-მა, კომპიუტერის დახმარებით კითხვა და სათანადო სავარჯიშოების შესრულება კი 83%-მა.
- კითხვის სწავლა კომპიუტერთან მუშაობის გზით ძალიან საინტერესოდ მიიჩნია შემსწავლელთა 86%-მა.
- კომპიუტერულ სავარჯიშოთაგან განსაკუთრებით სასარგებლოდ მიიჩნიეს: მრავალგზისი არჩევანის სავარჯიშო 42%-მა, დავალება მცდარი/ჭეშმარიტი – 36%-მა, გამოტოვებული ადგილების შევსება 12%-მა, სრული პასუხი – 10%-მა.
- კომპიუტერულ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტექსტების პროფესიული სარგებლიანობა დადებითად შეაფასა გამოკითხულთა 100%-მა.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული მეთოდიკით სწავლება ზრდის კითხვის სამეტყველო აქტივობას, აფართოებს შემეცნებით ინტერესებს, სრულყოფს ინფორმაციის გაგების უნარს, ხელს უწყობს უცხოურ ენაზე კითხვის გამოყენებას პროფესიული მიზნით და იძლევა ისეთი სპეციალისტების მომზადების საშუალებას, რომლებიც თავიანთ მომავალ მოღვაწეობაში შეძლებენ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას უცხოური ენის გაკვეთილზე შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. გოცირიძე რ., სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევათა სრულყოფა კომპიუტერის საშუალებით ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004.
2. Dams M. And Collins A. A schema-theoretic view of reading. In new directions in discourse processing, ed. Roy O. Freedle, Norwood, N.J. Ablex, 2002.
3. Ahmad K., Corbett G., Rogers M. and Sussex R: Computers, Language Learning and Language Teaching, Cambridge University Press, 2003.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, როგორც დამხმარე ტექნიკურ საშუალებათა ეფექტური გამოყენება უცხოური ენების სწავლების პროცესში.

შესწავლილია კომპიუტერული მუშაობის თავისებურებანი და გამოკვეთილია კომპიუტერული სწავლების უპირატესობანი დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

გამოკვლეულია კომპიუტერული სავარჯიშოების თავისებურებანი და ნაჩვენებია მათი გარკვეული უპირატესობა ტრადიციულ დავალებებთან შედარებით კითხვის უნარ-ჩვევათა ფორმირების გზაზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული მეთოდიკით სწავლება ზრდის კითხვის სამეტყველო აქტივობას, აფართოებს შემეცნებით ინტერესებს, ამაღლებს გონებრივ და სამეტყველო შესაძლებლობათა დონეს, სრულყოფს ინფორმაციის გაგების უნარს, რაც ხელს უწყობს უცხოურ ენაზე კითხვის გამოყენებას პროფესიული მიზნით და იძლევა ისეთი სპეციალისტების მომზადების საშუალებას, რომლებიც თავიანთ მომავალ მოღვაწეობაში შეძლებენ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას უცხოური ენის გაკვეთილზე შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით.

THE EFFICIENCY OF COMPUTER PROGRAMS FOR STUDYING FOREIGN LANGUAGES

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

RESUME

In the work it is discussed information technologies as a helper technical choice of effective using in teaching foreign language.

It’s definite independent working in teaching foreign languages and understanding the writing information It’s dear the preferences of computer technologies in the independent working.

It’s explained the computer exercises and it’s shown the preferences than the traditional methods.

Based on researches it’s shown that such method on reaches reading activation, expends perceptive interests, improves to understand information witch helps to use reading and teaching foreign language with professional level and makes to prepare such specialists who can use qualification for their future teaching technologies with the using of their taunt capacities and habits.

შეჯიბრთან დაახლოებული წვრთნის ოპტიმალური მეთოდების გამოყენება ახალგაზრდა გორელ მოჭიდავეებთან მუშაობის პროცესში

გიორგი მძინარაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

მოჭიდავის ოსტატად ჩამოყალიბება არის გონივრულად გააზრებული, რთული მრავალწლიანი პროცესი, რომელიც მოიცავს მოჭიდავის მომზადების სხვადასხვა მხარეს და ეტაპებს. ამ პროცესში დიდი როლი ენიჭება სპორტსმენის მიერ ჩატარებულ შეხვედრებს სხვადასხვა რეგლამენტით, იქნება ეს შეხვედრები ვარჯიშზე თუ შეჯიბრზე.

შეჯიბრების პირობებთან მიმსგავსებულ წვრთნას უწოდებენ ისეთ წვრთნას, როდესაც მოჭიდავეები ხვდებიან ერთმანეთს და შეუძლიათ ამ შეხვედრებში გამოავლინონ ყველა თავისი ოპტიმალური შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების გამოყენებით შეიძლება კარგი საფუძველი ჩაეყაროს ზოგად მომზადებას, მაგრამ საშეჯიბრო ჩვევების განვითარება შეიძლება მხოლოდ შეჯიბრებებსა ან ვარჯიშებზე, რომლებიც ტარდება შეჯიბრის პირობებში. ამ პირობებში ხდება მოჭიდავეთა ოსტატობის ჩამოყალიბება და ამაღლება, სპორტსმენის მოძრაობითი უნარ–ჩვევები ვითარდება ავტომატიზმის დონემდე.

შეჯიბრთან მიახლოებულ ფორმებს შორის ჩვენ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: სასწავლო–საწვრთნო შეხვედრები; საწვრთნო შეხვედრები; საშეჯიბრო ხასიათის საწვრთნო შეხვედრები. სასწავლო–საწვრთნო შეხვედრებში იგულისხმება ისეთი შეხვედრები, რომლებიც ტარდება შეჯიბრთან მიახლოებულ პირობებში. დავალებების არჩევა ხდება მწვრთნელის მიერ არჩეული და დამუშავებული

გეგმის მიხედვით. ეს დავალებები შეიძლება იყოს ორიენტირებული სპორტსმენის ამა თუ იმ თვისების განვითარებაზე ან ხდება მოჭიდავის სწავლება ტაქტიკური და სტრატეგიული აზროვნების მხრივ.

მეწყვილედ (პარტნიორად) ვირჩევთ მოჭიდავეს, რომელსაც ვაძლევთ სხვადასხვა დავალებებს, აუცილებელია პარტნიორებისა და დავალებების ვარიანტების შეცვლა. აღსანიშნავია ის, რომ დავალებებს უნდა ჰქონდეს საიერიშო და დაცვითი ხასიათი.

საწვრთნო შეხვედრა წარმოადგენს წვრთნის მეტად მაღალ საფეხურს, რომელიც დაახლოებულია შეჯიბრის პირობებთან. განსაკუთრებული დატვირთვა ხდება შეხვედრის დაწყებაზე. მსგავს შერკინებებში მოვარჯიშე მოჭიდავეების მოქმედებების არეალი არის შეზღუდული. სპორტსმენი იღებს სპეციალურ დავალებებს გარკვეული ტექნიკური და ტაქტიკური ილეთების ჩასატარებლად, ამავე დროს მისი პარტნიორიც ასრულებს მისთვის მიცემულ დავალებას. იქმნება შერკინების გარკვეული სიტუაცია, რომელიც პასუხობს დასახულ ამოცანას, რომლის შესრულება ხდება ტექნიკური და ტაქტიკური საშუალებებით. ამოცანის გადასაწყვეტად საშუალებებს ირჩევს თვითონ მოჭიდავე. შემდეგ შეიძლება მოხდეს შეხვედრის პირობებისა და დროის ვარირების შეცვლა. შერკინების მიმდინარეობისას მწვრთნელს შეუძლია შეწყვიტოს შეხვედრა, აკეთებს კომენტარს და ამეორებინებს მოჭიდავეებს შექმნილ სიტუაციას.

საწვრთნო შეხვედრებში შეიძლება ისეთი ილეთების გამოყენება, რომლებიც გამოიყენებოდა მეცადინეობის პროცესში. ახალბედა სპორტსმენი თვითონ ირჩევს, რომელი ილეთი ჩაატაროს შექმნილ სიტუაციაში. ის დამოუკიდებლად ირჩევს შეხვედრის წარმართვის მსვლელობას, ირჩევს ტაქტიკას. მწვრთნელი მხოლოდ დასაწყისში სთავაზობს და ურჩევს სპორტსმენს, როგორი მიმართულებით უნდა იმოქმედოს სპორტსმენმა და რა ილეთების გამოყენება არის ამ შემთხვევაში მეტად რაციონალური.

საწვრთნო შერკინებებში, როგორც სასწავლო–საწვრთნო შერკინებებში, აუცილებელია პარტნიორების ცვლის პროცესი როგორც წონის, ასევე მომზადების დონის მიხედვით. საშეჯიბრო ხასიათის საწვრთნო შეხვედრას წარმოადგენს არაოფიციალური შეჯიბრი.

აუცილებელია ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვა სასწავლო–საწვრთნო პროცესში. აღსანიშნავია ის, რომ სპორტსმენის გაზრდილი ტექნიკურ–ტაქტიკური არსენალის, მისი ამაღლებული ოსტატობის საფუძველზე შეხვედრების ჩატარების პირველი და მეორე საფეხური გარკვეულწილად სასწავლო–საწვრთნო პროცესში კარგავს დატვირთვას ვარჯიშის რანჟირებისას, მაგრამ მსგავსი მუშაობის ჩატარება აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებთანაც.

ლიტერატურა:

1. Алиханов И.И., Техника и тактика вольной борьбы. М., ФиС, 1986, 304 с.
2. Купцов А.П., „Спортивная борьба“, М., ФиС, 1978, 424 с.
3. Юргенс Д., Проблемы планирования тренировок и методы обучения юных борцов, „На борцовском ковре“, М., ФиС, 1970, с. 14-21.
4. Галковский Н.М., Катулин А.З., Спортивная борьба, М., ФиС, 1968, 584 с.
5. Ленц А.Н., Спортивная борьба. М., ФиС, 1964, 495 с.

რეზიუმე

ჭიდაობაში ტექნიკურ–ტაქტიკური მოქმედების ათვისება და სპორტსმენის ოსტატობის ჩამოყალიბება არის რთული და შრომატევადი პროცესი. ამ პროცესში სასწავლო–საწვრთნო მუშაობის დაგეგმვისას, ახალგაზრდა მოჭიდავეთათვის სასურველი და ეფექტური მეთოდების არჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მწვრთნელმა–მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ყველა არსებული პირობა და რაციონალურად წარმართოს თავისი შემოქმედება ამ პროცესში სხვადასხვა ხასიათისა და რეგლამენტის საჭიდაო შეხვედრების ჩართვით.

USING OLYMPIC METHODS OF TRAINING IN THE PROCESS OF WORKING WITH GORI WRESTLERS

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

Mastering of technical-tactical activities and forming sportsman's skills in wrestling is laborious and difficult process. Within this process, while planning learning and training activities, selecting desirable and effective methods for young wrestlers are very important. The trainer should consider all the existing conditions and conduct his work within this process rationally, including different characteristics and regulations of wrestling meetings.

სპორტის გაკვეთილი და მისი ხარისხის ამაღლების სასურველი პირობები

გიორგი მძინარაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს სასკოლო საგანმანათლებლო რეფორმებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში და შესაბამისად, ახალ სასწავლო პროცესში ფიზიკური აღზრდის ნაცვლად ჩართო ახალი სავალდებულო საგანი ახალი სახელწოდებით „სპორტი". სპორტმა საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა და თავისი დადებითი მრავალმხრივი მნიშვნელობით საზოგადოების მოვლენად იქცა.

მოცემულ პროგრამაში წარმოდგენილია სპორტის ოცდაექვსი სახეობა, აქედან ათი – სათამაშო სახეობა, ექვსი – ორთაბრძოლის სახეობა და ათი – ინდივიდუალური სახეობა.

ორთაბრძოლების სახეობებიდან სკოლებში შეისწავლება ქართული ჭიდაობა, ბერძნულ–რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, აღმოსავლური ორთაბრძოლები.

სათამაშო სახეობებიდან: 1) ფეხბურთი, 2) კალათბურთი, 3) ფრენბურთი, 4) ხელბურთი, 5) რაგბი, 6) ჩოგბურთი, 7) მაგიდის ჩოგბურთი, 8) ბადმინტონი, 9) ბალახის ჰოკეი, 10) ჭადრაკი.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სახეობებს, აქ წარმოდგენილია: 1) მძლეოსნობა, 2) სპორტული ტანვარჯიში, 3) მხატვრული ტანვარჯიში, 4) სპორტული აკრობატიკა, 5) სპორტული აერობიკა, 6) ცურვა, 7) სათხილამურო სპორტი, 8) ფიგურული ციგურაობა, 9) სპორტული ცეკვები, 10) თანამედროვე ცეკვები.

აღნიშნული სპორტის სახეობები წარმოდგენილია გზამკვლევების კრებულში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII–XII კლასები). კრებულში მოკლედ არის მოცემული სპორტის ყველა სახეობის შესახებ წარმოშობისა და განვითარების ისტორია, VII–დან XII–კლასელთათვის სასწავლო პროგრამა, მეთოდური მითითებები, ტექნიკური მომზადების სპეციფიკა, ტაქტიკური მომზადება, ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური მომზადება. ეს პროგრამა შეადგინეს აღნიშნული სპორტის სახეობებში კვალიფიციურმა მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა.

დაწყებით და საბაზო ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომლის ერთ–ერთი აუცილებელი პირობაა სპორტი და ფიზიკური განათლება.

ვითარდება მეცნიერებები, იხვეწება საგნებისადმი მოთხოვნები სკოლებში, მუშავდება სხვადასხვა საგნების სრულყოფილი მეთოდები, სისტემები. ამასთან ერთად, უნდა მოხდეს მოსწავლეთა სპორტული განათლების სრულყოფა და მათი ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება და ამაღლება საქართველოში, როგორც დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანაში. დღემდე მიღწეულია გრანდიოზული სპორტული შედეგები.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემებში სპორტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სპორტი არის ფიზიკური აღზრდის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალება და მეთოდი. სპორტი გამოირჩევა სხვადასხვა დონისა და მნიშვნელობის კავშირების სიფართოვით, პოპულარობით. სპორტი არის საუკეთესო საშუალება ადამიანმა, სპორტსმენთა გუნდმა, ქვეყანამ მოკლე დროის პერიოდში გაითქვას სახელი საერთაშორისო ასპარეზზე.

სპორტის საგნობრივ პროგრამაში რაციონალურად და თანამიმდევრულად წარმოდგენილია დასახული მიზანი და ამ მიზნის განხორციელებისათვის ეფექტური მეთოდები და საშუალებები. გააზრებულად არის ჩამოყალიბებული სპორტის საჭირო და სასურველი სახეობები მათი ჯგუფების მიხედვით.

სპორტისა და ფიზიკური განათლების საგნობრივი პროექტი არის კარგად მოფიქრებული და ჩამოყალიბებული. იგი წარმოადგენს პრაქტიკულ სამუშაო გეგმას. რა თქმა უნდა, დასახული მიზნის მისაღწევად, ჩვენი აზრით, აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა, რომელიც დღესდღეობით სამწუხაროდ ნაკლებადაა; მათ ჩვენ წარმოგიდგენთ რეკომენდაციების სახით.

1) სათანადო სპორტული ბაზები, რომლებიც უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით;
2) არჩეულ სპორტის სახეობაში სკოლას უნდა ჰყავდეს მოწვეული კვალიფიციური, პროფესიონალი კადრი;
3) სპორტული სახეობის არჩევა უნდა იყოს გათვლილი მოსწავლეთა დიდ პროცენტზე;
4) სასურველია გაიზარდოს 2–ჯერ სპორტის საათების რაოდენობა სკოლებში;
5) ხარისხიანი სასწავლო–საწვრთნო ეტაპების შემდეგ მოსწავლეები ინტენსიურად უნდა იყვნენ ჩართული სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში;
6) აუცილებელია მოსწავლეთა დასწრება, შედეგი და წარმატებები როგორც სასწავლო პროცესში, ასევე მის დასასრულს ჩათვლის ნაცვლად შეფასდეს 10 ქულიანი სისტემით.

ლიტერატურა:

1. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII–XII კლასები), თბ., 2010.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბ., 2007.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი II, თბ., 2004.
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი I, თბ., 2002.
5. Соколов А.И., Спортивная борьба в школе, В ежегодн. „Спортивная борьба“, М., ФиС, 1976, с. 43-44.

რეზიუმე

სპორტი ყოველთვის იყო საზოგადოების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ჩვენს ქვეყანაში ეტაპობრივად ჩატარებულმა რეფორმებმა თავისი დადებითი შედეგები გამოიტანა. ხდება მოსწავლე–ახალგაზრდობის დიდი აქტიურობით ჩართვა სასწავლო პროცესის სპეციფიკაში, რომელიც ტარდება ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

სკოლების აქტიური მუშაობით ხდება მოსწავლეთა დაინტერესება სპორტით, მაღლდება მათი დაოსტატება სპორტის არჩეულ სახეობაში, იზრდება ბავშვების მორფო–ფუნქციონალური შესაძლებლობები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი გვაქვს რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინება, ჩვენი აზრთ, ხელს შეუწყობს ამ პროცესის ეფექტურ წარმართვას.

SPORTS LESSON AND DESIRABLE CONDITIONS OF IMPROVING ITS QUALITY

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

A sport has always been one of the important priorities of a society. The phased reforms done in our country were effectual. Students and young people are actively involved in specifications of the learning process conducted in the comprehensive schools. With the active work of schools, students are more interested in sport, in addition, the students at schools become more skilled in their chosen kind of sport and child’s physical and functional abilities are increased.

In the conclusion of the paper, we present some recommendations. In case of considering these recommendations, we suppose that this process will be conducted effectively.

საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენის შესახებ (მეწყერები და ღვარცოფები)

ზურაბ ტიელიძე, პროფესორი

ბუნებრივ-სტიქიური მოვლენების შესწავლა-განხილვის აქტუალობა გამოწვეულია დღევანდელი გლობალური პრობლემებით. კერძოდ, უპირველესად კი კლიმატის ცვალებადობით, რომელიც აჩქარებს აღნიშნულ პროცესებს. ეს გარემოება კი უარყოფითად მოქმედებს გარემოს მდგრადობაზე და აჩქარებს ბუნების უარყოფით მოვლენებს, მ. შ. მეწყერებისა და ღვარცოფების, წარმოშობას, რაც მოსახლეობის მსხვერპლის, ნგრევის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბრუნვიდან ამოღების ფაქტების და ა.შ. საფუძველი ხდება. საინტერესოა, რომ რთული რელიეფის გამო საქართველოსთვის წყალდიდობები და ღვარცოფები უკვე წლებია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ქვეყანაში 2000-იან წლებში პროცესმა ექსტრემალური ხასიათი მიიღო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ პროცესმა სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მთიულეთის, აჭარის, მესხეთის, გურიის რეგიონებში, სამეგრელოსა და იმერეთის მთისწინეთში. კახეთის მთიან რეგიონებში კატასტროფული ხასიათიც კი მიიღო. გეოლოგიის საშიშროების საშუალო რისკის არეალში მოექცა შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიებიც. გეოლოგიური საშიშროების მაღალი რისკის არეში მოექცა უკვე 787 დასახლებული პუნქტი, შემოწმდა 11 000 მოსახლე, სხვადასხვა ხარისხით დაზიანებული აღმოჩნდა 6 432 საცხოვრებელი სახლი. ღვარცოფებით მოისილა, დაიმეწყრა, მდინარეებით გაირეცხა და დაიტბორა 12 515 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. საშიშროების ქვეშ აღმოჩნდა ტრანსკავკასიის გაზსადენი. მეწყერები განვითარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობმაგისტრალის ცალკეულ უბნებზე. საქართველოს ტერიტორიაზე 2006 წლისათვის დაფიქსირებულია 53 000-მდე მეწყრული სხეული, რომელთა საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰა-ს აღემატება. მათი 70% ურბანიზებული ტერიტორიების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საინჟინრო ობიექტების სივრცეშია. დაზიანებულია დიდი წყალსაცავების ნაპირების 25 და საავტომობილო გზების 30%. ამ პროცესების უშუალო საშიშროების არეალშია 3 000-მდე დასახლებული პუნქტი, დაახლოებით, 400 ათასი ოჯახით (2 მილიონამდე ადამიანი). საფრთხე ყველგანაა. აჭარა, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, მთიულეთი, კახეთი, ქართლი – საქართველოს ყველა რეგიონი მეწყერსაშიშ ზონაშია და თუ პროცესების პრევენცია არ მოხდა, ცხადია, რომ უახლოეს წლებში შედეგი კატასტროფული იქნება. ეს საფრთხე ემუქრება უკლებლივ ყველა რეგიონს და თუ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებები არ გაატარა, გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანაში ეკომიგრანტების რაოდენობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირების საერთო რაოდენობას გაუტოლდეს. ბოლო დროს გახშირებული ბუნებრივი კატასტროფების მიმართ შიში კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველოსთვის, რომელიც სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონში მდებარეობს, შიშის საფუძველი ნამდვილად არსებობს. მით უმეტეს, მოახლოებულია თოვლის დნობის პერიოდი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელია მეწყერების, ღვარცოფებისა და წყალდიდობების გარეშე არ ჩაუვლია. როგორც სააგენტოს გეოლოგიური საშიშროების დეპარტამენტში აცხადებენ, წლევანდელი გაზაფხული გართულებების გარეშე ვერ ჩაივლის. ამის მიზეზი დიდი თოვლია, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. მეწყერების საშიშროების თვალსაზრისით, საქართველო მთელს კავკასიაში უმაღლესი რისკის ზონად ფასდება. გეოლოგიური საშიშროების დეპარტამენტის უფროსის, ემილ წერეთლის განმარტებით, მეწყრული მოვლენები ჩვენს ქვეყანას მიწების განადგურებას უქადის. ასეთ უბნებზეა მოქცეული როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები და ისტორიული ძეგლები. „ქვეყნის ტერიტორიის მილიონნახევარ ჰექტარზე მეტი მეწყრულ უბნებზე მოდის, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 70% მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფება. მთელს კავკასიაში სულ 5 ათასამდე ღვარცოფსაშიში კერა და მდინარეა აღრიცხული, მათგან 3 ათასი კი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა. საქართველოს, დღეისათვის, სულ 53 ათასი მეწყრული უბანი აქვს, როცა აზერბაიჯანში მათი რიცხვი 8 ათას ხუთასია, სომხეთში კი მხოლოდ 3 ათასი. მეწყერების და ღვარცოფების საშიშროება თოვლის დნობის შემდეგ დაიწყება. დღეისათვის, ამის გეოლოგიური ფონი უკვე არსებობს, რადგან დიდი თოვლია როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ცოტა ხანში სპეციალისტები განსაზღვრავენ, რამდენი იქნება გაზაფხულზე თოვლის ნადნობი და რამდენად აიწევს მდინარეებში წყლის დონეები. თუ თოვლის დნობას ნალექი და ტემპერატურის მკვეთრი მატება დაერთო, დაბლობში წყალდიდობა, მთაში კი ღვარცოფია მოსალოდნელი. თუ თოვლის დნობა

გაჭიანურდა, ნადნობი გრუნტში ჭარბად ჩაიჟონება და შედეგად მეწყერს გამოიწვევს. ანუ დიდი თოვლის გამო წელს უარყოფით შედეგებს ვერ ავცდებით“, – აცხადებს ემილ წერეთელი. მისივე თქმით, ჩვენს ქვეყანაში მეწყერის საშიშროების ზრდას ხელს უწყობს მიწისძვრის მომატებული რისკიც. ბოლო პერიოდში, საშუალო რისკის დონიდან მაღალი რისკის ზონაში გადავიდა კახეთის რეგიონი. იქაურ მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა მეწყერმა და ღვარცოფმა. მეწყრული პროცესები კვლავ ემუქრება გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებს. მეწყერები გააქტიურებულია მდინარე ენგურის ხეობაში წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ამის მიზეზებად ატმოსფერული ნალექების გაზრდა და მიწისძვრების გააქტიურება სახელდება. მოსალოდნელ პროცესებზე გაფრთხილება ყველა შესაბამისმა უწყებამ მიიღო, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოს მთელი ტერიტორია, ე. წერეთლის მიხედვით, დაყოფილია 10 რეგიონად და მეწყერული და ღვარცოფული დაზიანებებისა და საშიშროებების რისკის მიხედვით შედგენილია საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუკა. ქვემოთ მოკლედ არის განხილული თითოეულ რეგიონში სტიქიური კატასტროფული მოვლენების სახეები და თავისებურებანი. აჭარის რეგიონში ტერიტორიის რელიეფი იცვლება საკმაოდ დიდ ფარგლებში - ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთიანამდე. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ლანდშაფტურ ზონაში ადგილი აქვს ეგზოდინამიკური პროცესების სპეციფიკურ გამოვლინებებს. კერძოდ, ზღვისპირეთში გაბატონებულ ადგილს იკავებს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების ინტენსიური გადარეცხვა, გორაკ-ბორცვიან ზონაში - მეწყერული პროცესები; მთიან ზონაში - მეწყერების, ღვარცოფების, ფერდობული ეროზიის და თოვლის ზვავების

კომპლექსური განვითარება. რეგიონში ბუნებრივ-ანთროპოგენური პროცესების არნახულმა გააქტიურებამ და მათგან გამოწვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა კრიზისული სახე მიიღო. მოსახლეობისაგან დაცარიელდა რიგი დასახლებული ადგილები, ეკონომიკურმა ზარალმა მილიონობით ლარს გადააჭარბა. ტერიტორიის უსისტემო ათვისებამ მრავალსპექტრიანი ლანდშაფტის ძლიერი ანთროპოგენიზაცია გამოიწვია, მოხდა გარემოს, რიგ შემთხვევაში, შეუქცევადი რღვევა და, ფაქტიურად, მთელი მთიანი აჭარა და იმერეთი მოექცა საქართველოში ბუნებრივ-ტექნოგენური კატასტროფების ხშირი განმეორებადობის ყველაზე მაღალი რისკის არეში, სადაც გამოყოფილია სტიქიური პროცესების განსაკუთრებით საშიში უბნები. ცხადია, კატასტროფული რისკის ზონაში, ზღვის სანაპირო ზოლთან შედარებით, უფრო მეტად არის მოქცეული მთიანი აჭარის, განსაკუთრებით შუახევისა და ხულოს რაიონები. საინჟინრო გეოდინამიკური პირობების მიხედვით, საკმაოდ რთულ რეგიონად ითვლება გურიის რეგიონი, სადაც გამოყოფილია სტიქიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბული უბნები. აქედან ჩანს, რომ ბუნებრივი სტიქიური პროცესები ფართის მიხედვით უფრო მეტად არის განვითარებული გურიის მაღალმთიან ჩოხატაურის რაიონში. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ლანდშაფტურ-გეომორფოლოგიური პირობები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის განსხვავებული. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია რეგიონში გავრცელებული მეწყერებისა და ღვარცოფების მოძრაობის მექანიზმი, აქტიურობა და სივრცობრივი განლაგება. კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე, სამეგრელოს სამხრეთ პერიფერიაზე მეწყერული პროცესების ტერიტორიის დაზიანების კოეფიციენტი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ხოლო საშუალო და მაღალმთიან რაიონებში ფორმირდება ტექტოსეისმოგენური და ეროზიული და გრავიტაციული პროცესების შედეგად წარმოშობილი მეწყერები და ღვარცოფები. სტიქიური პროცესების განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება მესტიის რაიონი. ჩვენი გამოკვლევით დავადგინეთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საწარმოო ბრუნვიდან გამოსული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 33% მეწყერებმა წარმოშვა (2).

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი მიეკუთვნება მთიან ზონას და ხასიათდება საკმაოდ რთული ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით. რეგიონში ეგზოდინამიკური პროცესების გააქტიურების მთავარი რისკ-ფაქტორებია: რთული რელიეფი, ქანების გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკური მოძრაობები, კლიმატური თავისებურებანი, ანთროპოგენური ზემოქმედება ბიოსფეროზე და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მიწისძვრებს შორის არსებული წონასწორობის პირობების

დარღვევა. სტიქიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბული რისკის უბნების არსებობა აღინიშნება ლენტეხის რაიონში 6 უბანზე, ცაგერის რაიონში 4 უბანზე, ამბროლაურის რაიონში 5 უბანზე და ონის რაიონში 3 უბანზე.

მთიულეთის რეგიონში უკანასკნელ წლებში გააქტიურდა მეწყერები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები.



მლეთა

ამ პროცესების განვითარება-გააქტიურების მთავარი ბუნებრივ-ანთროპოგენური ფაქტორებია რეგიონში რელიეფის მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური კონტრასტულობა, სადაც გამოიყოფა ყველა მორფოლოგიური ზონა ვაკე აკუმულაციური და მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ტერასული რელიეფით დაწყებული და მაღალმთიანი გლაციალურით დამთავრებული. მოვლენების გააქტიურება განსაკუთრებით თვალში საცემია საავტომობილო გზების და ტრანსკავკასიის გაზსადენი მაგისტრალების გასწვრივ. აღსანიშნავია ტექნოგენური გავრცელებული მეწყრული, ღვარცოფული, ეროზიული, კლდეზვაური, დატბორვითი, თოვლის ზვავების პროცესები. მათი სახეები და ინტენსივობა გამოწვეულია სეისმოტექტონიკური, გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური ანტროპოგენური ფაქტორებით. ეგზოდინამიკური პროცესების გააქტიურება გამოიწვია ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენის მაგისტრალის გასწვრივ, ხშირად არაკვალიფიციურად (გეგმაზომიერი გეოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევების გარეშე), ჩატარებულმა საინჟინრო სამუშაოებმა. უკანასკნელ წლებში საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება აღინიშნება კახეთის რეგიონში თოვლის ზვავებისა და სხვათა სახით. ღვარცოფული და მეწყრული მოვლენები ფართოდ არის განვითარებული მთიანი კახეთისა და ცივ-გომბორის სეისმოტექტონიკურ ზონებში. აქ განვითარებული მეწყერები და ღვარცოფები ხასიათდება მასშტაბებით და ხშირი განმეორებადობით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ღვარცოფების მასშტაბურობა და სიხშირე დურუჯის ხეობაში, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც ახლდა. ქვემო ქართლის რეგიონი ეგზოდინამიკური პროცესების, - ღვარცოფების, მეწყერების, ფერდობების ეროზიის, მდინარეთა ნაპირების გადარეცხვის, ხშირი, თუმცა შედარებით ინტენსიურობის მიხედვით საქართველოში მეწყრული პროცესებით გამოწვეული დაზიანების ხარისხისა და განვითარების რისკის მიხედვით გამოყოფილია სულ *7* რაიონი და *32* ქვერაიონი.

ეს რაიონებია: **1.** მეწყრებით ძლიერ დაზიანებული რაიონი. მოიცავს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინურ დეპრესიას, ზემო იმერეთის ზეგანს, აჭარა-თრიალეთის ქედის ნაწილს, შავი ზღვის სანაპიროს ზოლსა და მთიან აფხაზეთის ტერიტორიას. აღნიშნულ რაიონებში საშიშროების კოეფიციენტია 0.7-0.9. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინურ დეპრესიაში განვითარებულია ზედაპირული მეწყერები. გადაადგილების მექანიზმის მიხედვით გამოყოფილია: მეწყრული ნაკადები (ტოლა, გენდუში), პლასტიკური

გადაადგილების მეწყრები (ჩორჯო, ზნაკვა), მცოცავი მეწყრები (ბუგეული, ჟოშხა). ზედა-იმერეთის ზეგანზე მეწყრების ფორმირება ძირითადად ხდება გამოფიტვის ქერქში - ალუვიალურ-დელუვიალურ ნალექებში. **2.** მეწყრებით დაზიანებული რაიონი მოიცავს ძირითადად გურიას, აჭარას, სოჩა-ადლერის დეპრესიას, ოკრიბას, ცივ-გომბორის ქედს. აღნიშნულ რაიონში მეწყრული პროცესების განვითარების რისკია 0.5-0.7. გურიისა და აჭარის მთიანეთში განვითარებულია ძირითადად მცოცავი, შედარებით ნაკლებად პლასტიური ტიპის მეწყრები, მეწყრული პროცესები განვითარებულია მდ. ცხენისწყლის და მდ. რიონის აუზებს შორის. ცივ გომბორის მთათა სისტემაში <u>განვითარებულია 38 ძირითადად ღრმა და ზეღრმა ტიპის მეწყერი. **3.** მეწყრებით მნიშვნელოვნად დაზიანებული რაიონი,</u> სადაც მეწყრული პროცესების განვითარების ალბათობა საშუალოა (რისკ-ფაქტორი 03.-05.). განვითარებულია ძირითადად პლასტიური ტიპის მეწყრები. ისინი ფორმირდება კავკასიონის სამხრეთ ფერდზე (მდ. დიდი ლიახვის და მდ. არაგვის აუზებს შორის). ამავე ტიპის მეწყრებია განვითარებული ჩრდილო კოლხეთის ბორცვიან-ტერასულ მთისპირეთში, რომელიც იჭერს ფართს მდ. ენგურსა და მდ. ცხენისწყალს შორის. **4.** მეწყრებით საშუალოდ დაზიანებული რაიონი, სადაც მეწყრული პროცესების განვითარების ალბათობა შესამჩნევია (რისკ-ფაქტ4. მეწყრებით საშუალოდ დაზიანებული რაიონი, სადაც მეწყრული პროცესების განვითარების ალბათობა შესამჩნევია (რისკ-ფაქტორი ნაკლებია 0.3). იგი მოიცავს აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდს, სადაც მეწყრული კერები ფორმირდება ვულკანოგენურ-დანალექი ქანების გამოფიტვის ქერქში. ასპინძა-მანგლისის ტექტონიკურ ქვეზონაში მეწყერები ძირითადად განვითარებულია ტექტონიკური შეცოცებისა და რღვევების გასწვრივ და დაკავშირებულია ფლიშურ ნალექებთან. ასეთივე ტიპის მეწყერები ვითარდება ტირიფონ-მუხრანის ველზე მოლასურ და ნაწილობრივ ტერიგენულ ფორმაციებში და კავკასიონის სამხრეთი ფერდის აფხაზეთის ქვეზონის ტერიგენულ-მეტაფორფულ და ფლიშურ ნალექებში, აგრეთვე ცივ-გომბორის ქედზე სიონის წყალსაცავიდან სოფ. კაკაბეთამდე, კარდანახი-სიღნაღი-დედოფლისწყაროს ზოლში. ანალოგიური ინტესივობისა და რისკ ფაქტორების მეწყერები ფორმირდება გორის,

კასპის, გაჩიანის მიდამოებში მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების გასწვრივ სარწყავი არხებით დასერილ ტერასებზე. **5.** მეწყერებით მცირედ დაზიანებული რაიონი, სადაც მეწყრული პროცესების წარმოშობა და აქტივიზაცია ნაკლებად ალბათურია. იგი იჭერს დიდ ფართს კავკასიონის სამხრეთ ფერდზე, მცირე კავკასიონზე (ლოქისა და ხრამის მასივებზე), დასავლეთ საქართველოს შიდაკარსტულ ქანებში (კარბონატულ ტერიგენული ფორმაცია). ლოქისა და ხრამის მასივებზე კრისტალური

ფუნდამენტის ტერიგენულ მეტამორფული და ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციები ძლიერ დისლოცირებულია. მისი საკმაოდ ღრმა გამოფიტვის ქერქი პოტენციურად მეწყრულია და წონასწორობიდან ადვილად შეიძლება გამოვიდეს როგორც ბუნებრივი ეგზოგენური ფაქტორების, ისე ბუნებაზე ანტროპოგენური ჩარევით.

6. მეწყერებით ძალიან მცირედ დაზიანებული რაიონი, სადაც მეწყრული პროცესების წარმოშობის ალბათობა ძალიან მცირეა (რისკ ფაქტორი ნაკლებია 0.01). იგი მოიცავს კელასურის გრანიტოიდულ მასივს, ჯავახეთისა და ერუშეთის მთიანეთს, დეპრესიულ ზოლს მდ. მტკვრის, ალგეთისა და ხრამის გასწვრივ, მარნეულისა და გარე კახეთის მიდამოებს. **7.** მეწყრებით დაუზიანებელი ტერიტორია. აქ მეწყერი, როგორც ბუნებრივი გეოლოგიური პროცესი, რელიეფის სიწყნარის და ნაკლებად ეროზიულობის გამო, არ ფორმირდება. მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად (1), კავკასიაში, შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, დადგენილია და გამოვლენილია 5000-ზე მეტი ღვარცოფული აუზი. აქედან საქართველოზე მოდის თითქმის ნახევარზე მეტი. როგორც ვხედავთ, ისინი ინტენსიურად არის განვითარებული კავკასიონის სამხრეთი ფერდის მდინარეთა კალაპოტებში, აგრეთვე, აჭარა-თრიალეთის ზოლში. ღვარცოფების მიერ ჩამოტანილი მასალის შედგენილობა და სიმძლავრე რეგიონის გეომორფოლოგიური პირობებითა და მისი ამგები ქანების თვისებებით განისაზღვრება გრავიტაციულ-მეწყრული, მაღალმთიან რაიონებში გრავიტაციულ-ღვარცოფული პროცესები და ზვავები, ხოლო ალპურ ზონებში - გლაციალურ-ღვარცოფული პროცესები. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიზნებს წარმოადგენს და მიგვაჩნია მიზანშეწონილად მის მიერ არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე (მეწყერი, ღვარცოფი, თოვლის ზვავები, სეტყვა, ნალექების დეფიციტი და სხვ.). ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოების წარმოება და დასკვნების მომზადება.

ლიტერატურა:

1. ამილახვარი ზ., ეგზოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების გამოკვლევა საქართველოს ტერიტორიაზე ძიების გეოფიზიკური მეთოდებით. დისერტაცია, თბ., 2006.
2. ტიელიძე ზ., დასავლეთის ეკონომიკური რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხები, დისერტაცია, თბ., 1988.
3. საქართველოს გეოგრაფია, 9 კლ., თბ., 2007.
4. http://www.epn.ge/?p=68678
5. http://www.amerikiskhma.com/content/georgia-flooding-124198619/535507.htmlhttp://
6. qartulitv.com/?p=13987

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოსათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენების – მეწყერებისა და ღვარცოფების წარმოშობისა და განვითარების საკითხი, ასევე მათი მოქმედებით გამოწვეული შედეგები. გამოყოფილია რაიონები და გამოთქმულია მოსაზრება მათი მოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილებისათვის. ასეთი ღონისძიებები კი ესოდენ მნიშვნელოვანია ისეთი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, როგორიც საქართველოა.

ABOUT SOME OF THE GEORGIAN NATURAL DISASTERS (LANDSLIDES AND LANDSLIPS)

Zurab Tielidze, Professor

RESUME

Natural disasters, landslides. The article discusses natural disasters, tipical for Georgia, such as landslides and mudflows; their origin, development and effects. The paper also examines the damaged areas and suggests the ways of taking antilandslide measures.

СОВРЕМЕННАЯ ТЕОРИЯ СТРЕССА ИЛИ ОБЩЕГО АДАПТАЦИОННОГО СИНДРОМА

***Мариам Убирия**, доктор медицинских наук*

Учение о стрессе - один из ведущих разделов современной медицины. Основоположником этого направления является Ганс Селье (1907-1982),бывший студент Пражского университета, который в 1926 году опубликовал первые наблюдения о больных, страдающих самыми разными соматическими недомоганиями.

Современные определения стресса звучат так: Стресс-это неспецифическая реакция организма на любое требование извне (Г. Селье, 1974).

Стресс-это реакция организма на значимый раздражитель. А по своей природе стрессовая реакция является психофизиологической. Стресс одновременно является и способом тренировки защитных механизмов организма.

По мнению Селье, стресс-это врождённый защитный механизм, который на ранних этапах эволюции дал возможность человеку выжить в первобытных условиях; стрессовая реакция позволяет подготовиться организму к возбуждению.

Виды стресса. Различают стресс острый и хронический. В первом случае механизмы защиты включаются на короткое время – на момент действия раздражителя- стрессора, во втором случае стрессор действует длительно, и поэтому реакция на него, механизм защиты от этого стрессора имеет свои особенности,что потребовало введения понятия «хронический стресс».Различают физический стресс и эмоциональный(психогенный).

Г. Селье ввёл также понятия – эустресс и дистресс. Эустресс - это (дословно) – хороший стресс, защитная реакция протекает без потерь для организма, безболезненно; дистресс - (дословно) – это чрезмерный стресс, защита от повреждающего фактора происходит с ущербом для организма, с ослаблением его возможностей. Ясно, что чем выше интенсивность стрессорного воздействия, тем выше вероятность перехода эустресса в дистресс.

Стрессоры. В современной литературе под этим термином понимают все факторы внешней или внутренней среды, которые вызывают реакцию стресс, такие факторы, которые являются опасными для здоровья и целостности организма. К таким факторам относят следующие ситуации:
1)вредные стимулы окружающей среды (загазованность, высокий уровень радиации, неблагоприятный микроклимат и т.п.);
2)нарушение физиологических процессов в организме, например, при различных заболеваниях, в том числе – инфекционных, соматических и т.п.);
3)необходимость ускоренной обработки информации, т.е. работа в условиях дефицита времени;
4)работа в условиях риска для собственной жизни или жизни других людей;
5)осознаваемая угроза жизни;
6)изоляция и заключение;
7)остракизм (изгнание, гонение), групповое давление;
8)отсутствие контроля над событиями;
9) отсутствие цели в жизни;
10) депривация – отсутствие раздражителей.

Г. Селье считал, что стресс всегда есть, и на организм в любых условиях воздействуют стрессоры. Уровень физиологического стресса (эустресса) наиболее низок в минуты равнодушия, но он всегда выше нуля. Приятные и неприятные эмоциональные возбуждения сопровождаются возрастанием физиологического стресса. Селье считал, что отсутствие цели -один из самых сильных стрессоров, вызывающих развитие патологического процесса, например, язвы желудка, инфаркта, гипертонии.

Механизмы стресса. В реализации адаптационных реакций организма, направленных на противодействие повреждающему агенту, участвуют различные механизмы, которые объединены под термином «стресс» или «общий адаптационный синдром». В последние годы механизмы, участвующие в этом процессе, называют стресс-реализующими системами. А механизмы, которые препятствуют развитию стресс-реакции или снижают побочные отрицательные эффекты стресс-реакции, получили название «стресс-лимитирующие системы» или «системы естественной профилактики стресса».

Стресс – это неспецифический компонент адаптации, благодаря которому мобилизуются энергетические и пластические ресурсы организма для специфической адаптационной перестройки различных систем организма.

Раздражение, которое в конечном итоге вызывает стресс, вначале обрабатываются в мозге: информация от рецепторов поступает в неокортекс и одновременно в ретикулярную формацию, лимбическую систему и гипоталамус, оценивается с позиций эмоционального состояния. В неокортексе два потока – «нейтральный» и «эмоционально окрашенный» сходятся, на основании чего происходит оценка значимости информации для организма, и если раздражитель воспринимается как угроза, вызов или что-то крайне неприятное, то в ответ возникает сильное эмоциональное возбуждение, которое запускает дальнейшую цепь событий.

Таким образом, стрессор – это фактор, интерпретация которого в мозге вызывает эмоциональную реакцию. Профилактика стресса во многом связана с правильной оценкой ситуации. Не случайно существует представление о конфликтной личности – личности, которая многого хочет, но мало имеет.

Итак, сильное эмоциональное возбуждение вызывает прежде всего активацию высших вегетативных центров, в том числе эрготропных, в основном задних ядер гипоталамуса, и активацию симпатической нервной системы: это повышает функциональные возможности сердечно – сосудистой и дыхательной систем, скелетных мышц. Одновременно, как показывают исследования последних лет, происходит и повышение активности трофотропных ядер гипоталамуса, что повышает активность парасимпатической системы – это обеспечивает высокие возможности восстановительных процессов, направленных на сохранение гомеостаза в организме.

Итак, активация симпатической и парасимпатической системы – это 1-й этап в стресс- реакции или в системе общего адаптационного синдрома.

Если стрессор продолжает действовать, то возможности симпатической системы из – за ограниченности запасов медиаторов не позволяют противодействовать ему и тогда включается второй механизм или 2-й этап стресс – реакции, который получил название реакции «битвы – бегства». Эта реакция рассматривается как мобилизация организма, подготавливающая мышцы к активности в ответ на действие стрессора. Она позволяет организму либо бороться с угрозой, либо бежать от неё. Продолжительность этой реакции в 10 раз больше, чем 1-й, но если стрессор продолжает оказывать повреждающее воздействие, то наступает следующий этап в стресс – реакции.

Адренокортикальный механизм представляет собой центральное звено стресс – реакции. Главное в этом защитном механизме – это продукция глюкокортикоидов. Эти гормоны вызывают прежде всего значительное повышение энергетических запасов. Однако чрезмерное выделение глюкокортикоидов приводит одновременно и к нежелательным эффектам: резко снижается интенсивность иммунных механизмов. Это называют платой за адаптацию.
Многие авторы считают, что одновременно активируется соматотропный механизм: неокортекс →септально-гипокампово-гипоталамическое возбуждение→выделение соматолиберина гипоталамусом→выделение соматотропного гормона аденогипофизом.

Активация трёх эндокринных механизмов: адренокортикального, соматотропного и тиреоидного – представляет собой общий адаптационный синдром или стресс – реакцию. Согласно Г. Селье, в этой реакции следует выделять три стадии:

1) тревоги (боевой тревоги),
2) резистентности,
3) истощения.

Эти стадии отражают динамику ответа организма на длительно действующий стрессор.
1) Стадия тревоги(боевой тревоги, аларм) представляет собой встряску всего организма, призыв к оружию, мобилизацию всех защитных механизмов организма. Эта стадия длится 6 – 48 часов. Уже в эту стадию наблюдается выброс лимфоцитов из тимуса и лимфатических узлов, а в желудке могут образовываться язвы.

2) Если раздражитель продолжает действовать, то наступает вторая стадия – стадия резистентности, или устойчивости. В этой стадии происходит гипертрофия коры надпочечников и возрастает устойчивость организма к стрессору и другим агентам.

3) Эта стадия – стадия истощения, когда уменьшаются размеры коры надпочечников, снижается продукция глюкокортикоидов и вновь запускаются в реакцию соматотропный и тиреоидный механизмы и вновь организм возвращается в реакцию «боевой тревоги». В эту стадию происходит гибель организма

Итак, стресс – реализирующие системы – это симпатическая система, мозговой и корковый слой надпочечников, аденогипофиз (СТГ) и щитовидная железа.

Стресс – лимитирующая система.

В процессе эволюции в организме появились механизмы, которые препятствуют побочным эффектам действия участников стресс – реакции или снижают интенсивность их воздействия на органы – мишени. К этим механизмам относят: ГАМК – эргическую систему, эндогенные опиаты, простагландины, антиоксидантную систему и парасимпатическую нервную систему.

1. ГАМК – эргическая система: гамма-аминоасляная кислота под влиянием фермента прев- ращается в ГОМК, которая обладает способностью тормозить деятельность гипоталамуса. В результате не происходит запуск стресс – реакции.

2. Эндогенные опиаты – энкефалины, эндорфины, динорфины вызывают эйфорию, снижают болевую чувствительность, повышают работоспособность, снижают чувство тревоги. В целом, эти вещества снижают психогенные реакции человека на раздражители.

3. Простагландины – это преимущественно простагландины группы Е.Они снижают чувствительность ряда тканей к действию катехоламинов и, таким образом, снижают выраженность стресс – реакции.

4. Антиоксидантная система. При образовании в организме свободных радикалов начинается их «тушение» эндогенными антиоксидантами: витамином Е, цистеином, цистином.

5. Трофотропные механизмы. По мнению Эверли и Розенфельда, активация парасимпатической нервной системы во время стресс – реакции представляет собой важнейший механизм защиты от побочных эффектов глюкокортикоидов и других участников стресс- реакции. В частности, предлагается использовать такие факторы как умеренная физическая нагрузка, медитация, дыхательные упражнения.

Стресс и болезни. За счет чрезмерного выделения глюкокортикоидов возможны различные побочные эффекты(плата за адаптацию к стрессору). Так, известно, что длительное выделение глюкокортикоидов приводит к существенному снижению продукции тестостерона, что снижает половое влечение и ведет к импотенции. Развиваются различные соматические заболевания: язвы кишечника, желудка, неспецифический язвенный колит, гипертония, аритмия, болезнь Рейно, мигрень, астма, неврозы и депрессии.

Диагностика стрессовых состояний. Существуют множество методов диагностики стресса. Одним из них является метод определения гормонов в крови: чем выше уровень гормонов в крови, тем выраженнее степень стрессовых реакций. Среди других методов, позволяющих оценить интенсивность стрессового состояния – электромиография (чем выше активность мышц, тем выше интенсивность стресса. Очень большой популярностью пользуются и психологические тесты (Миннесотский и Тейлора).

Лечение и профилактика стрессовых состояний. Многие исследователи рекомендуют:
1)терапевтическое обучение пациента,
2)рациональное питание,
3)фармакологические методы,
4)различные методы релаксации,
5)физические нагрузки,
6) психотерапия, гипноз.

Адаптация к стрессорам. Организм способен адаптироваться к действию стрессоров. При этом возрастает мощность стресс – реализирующих и стресс – лимитирующих систем, одновременно повышается устойчивость организма к ионизирующей радиации, гипоксии, химическим факторам(повреждающих клетку), - возникает положительная перекрестная адаптация. В то же время тормозится функция половых желез как результат блокады продукции тестостерона (отрицательная перекрестная адаптация).

ЛИТЕРАТУРА:

1. Джеймс Бивэн Иллюстрированное руководство по анатомии и физиологии ВНЕШСИГМА,2005
2. Н.А. Агаджанян, Л.З. Тель, В.И.Циркин,С.А. Чеснокова Физиология человека СОТИС 1998
3. Ф.Блум,А.Лейзерсон, Л.Хофстедтер Мозг,разум и поведение Москва 1988
4. Д.Хьюбел и др. Мозг Москва 1984
5. Guze S.B.Psychosomatic medicine:A critique.Psychiatric Developments,2,23-30; 1984

სტრესის ანუ ზოგადი ადაპტაციური სინდრომის თანამედროვე თეორია

მარიამ უბირია, მოწვეული დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სტრესის თანამედროვე თეორია: სახეობები, სტრესების კლასიფიკაცია და ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმები.

ზოგადი ადაპტაციური სინდრომი თანამედროვე ადამიანისათვის ყველაზე გავრცელებული მდგომარეობაა, რომელიც იწვევს ორგანიზმის სხვადასხვა სახის პათოლოგიებს. ამ პათოლოგიების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დროული დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

MODERN THEORY OF STRESS OR GENERAL ADAPTATION SYNDROM

Mariam Ubiria, Doctor by contract

RESUME

The modern theory of stress, which was founded by Lia G. Selie is discussed in the paper. It also discusses different kinds of stress, classification of stressors, action mechanisms of stress, stress diagnostic and the stress as one of the most common condition causing different kinds of pathologies and its treatment and preventive measures.

დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვის მიზეზი

პაატა ქურდაძე, პროფესორი

ძალები, რომლებიც აბრუნებენ დედამიწას თავისი ღერძის გარშემო, ახსნილია სხვადასხვა ლიტერატურაში და ჰიპოთეზებში. მაგალითად კანტ-ლაპლასის შმიდტისა და ფრენკელის ჰიპოთეზაში. ამ საკითხს განიხილავენ თანამედროვე ავტორებიც. მაგალითად ა. ნოვოსელოვი. მისი აზრით, დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის მიზეზად გვევლინება მზის ენერგია, ხოლო ნ. კლიმენტოვიჩი თვლის, რომ დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის მიზეზია ის რომ დედამიწა სხვადასხვა დროს მზისგან დღე-ღამის განმავლობაში მის ნახევარსფეროებს სხვადასხვა ტემპერატურით ათბობს. ჩვენი აზრით, საინტერესოა ფრენკელის ჰიპოთეზა, სადაც დედამიწა წარმოდგენილია, როგორც დიდი ბუნებრივი „დინამო მანაქანა“, ამ აზრს იზიარებენ სხვა მკვლევრებიც, მაგრამ მათ ჰიპოთეზებში არის ბევრი შეუსაბამობა. ან უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ისინი ბოლომდე ვერ ხსნიან მოვლენას. პასუხგაუცემელი რჩება გარკვეული კითხვები. ეს კითხვები ძირითადში ეხება საკითხს, თუ რატომ უნდა წარმოვადგინოთ დედამიწა, როგორც ბუნებრივი ,,დინამო მანქანა“, ან დედამიწის მამოძრავებელი, პირვანდელი მოძრაობის ძალა როგორი სახისაა სისტემის შინაგანი თუ, სისტემაში არსებული ძალა.

განვიხილოთ ფრენკელის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დედამიწის სფერო წარმოადგენს ბუნებრივ ,,დინამო-მანქანას“. მისივე აზრით, დედამიწის მაგნიტური ველის წარმოშობის საკითხი უფრო ბუნდოვანი საკითხია, ვიდრე დედამიწის ელექტრული ველის წარმოშობა. მაგნიტური ველის წარმოშობის ახსნა შეუძლებელია მაგნიტური წიაღისეულის ერთ რომელიმე წერტილში დაგროვებით.

ჩვენი აზრით, დედამიწის მაგნიტიზმის ახსნა შესაძლებელია კარგად ცნობილი ,,ზეებეკის ეფექტის“ მეშვეობით. ე.წ. თერმოელექტრული მოვლენის საფუძველზე. სადაც ელექტრომამოძრავებელი ძალა შემოკლებით ე.მ.ძ.

$$E=j(T_1-T_2) \qquad (1)$$

ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზის მთავარ ნაწილს დედამიწის თავისი ღერძის გარშემო მაბრუნებელი ძალის შესახებ, სწორედ ,,ზეებეკის ეფექტიის“ მოვლენის გავრცელება წარმოადგენს დედამიწის აგებულებასა და ბრუნვაზე, სადაც შეიძლება ითქვას, რომ დედამიწა მართლაც ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, როგორც ,,დინამო მანქანა“, მაგრამ ხსენებული ,,დინამო მანქანის“ მოქმედების პრინციპი მიმდინარეობს არა ისე, როგორც ეს სხვა ავტორებს და, მათ შორის, ფრენკელს აქვს აღწერილი თავის ჰიპოთეზაში.

მაგალითად, ფრენკელის აზრით, იმისათვის, რომ დედამიწა წარმოვიდგინოთ, როგორც ელექტრული გენერატორი, პირველ რიგში, უნდა დავუშვათ, რომ დედამიწის გული, ბირთვი წარმოადგენს თხევად მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებას, რომელსაც აქვს უნარი გაატაროს ელექტრული დენი. ამ დაშვებაში არ არის არაფერი დაუჯერებელი, მაგრამ ისმის კითხვა საიდან წარმოიშობა გამტარი მასების მოძრაობა? ჩვეულევბრივ ,,დინამო მანქანაში“ ჩვენ ვაბრუნებთ ღუზას, აქ კი არა გვაქვს არავითარი გარე ძალა, რომელიც გამოიწვევდა დედამიწის ბრუნვას.

ფრენკელის აზრით გამოსავალი შეიძლება იქნეს მოძებნილი შემდეგი ახსნით. არამდგრადი ელემენტების რადიაქტიური დაშლის შედეგად ტემპერატურა დედამიწის გულის ცენტრში უნდა იყოს გაცილებით მაღალი, ვიდრე მის პერიფერიებში. ამ მოვლენის შედეგად წარმოიშობა კონვექცია: უფრო ცხელი მასები დედამიწის ბირთვის ცენტრიდან მიემართება ზემოთ, ხოლო ცივი მასები ეშვებიან ქვემოთ.

მაგრამ დედამიწა ბრუნავს და ამის შედეგად ზედაპირზე არსებული მასის სიჩქარე მეტია, ვიდრე მის სიღრმეში. ამიტომ ეს ელემენტები, რომლებიც მაღლა ამოდიან, ამუხრუჭებენ გარე მასების მოძრაობას, ხოლო ქვემოთ მოძრავი ელემენტები კი, პირიქით, ააჩქარებენ შიდა მასების მოძრაობას, რის შედეგადაც დედამიწის შიგა ნაწილი თამაშობს როტორის როლს, ხოლო გარე ზედაპირი სტატორის როლს. წარმოქმნილი დენი ფრენკელის ჰიპოთეზის თანახმად, წარმოშობს დედამიწის გარშემო მაგნიტურ ველს.

ფრენკელის ჰიპოთეზიდან ჩვენთვის მისაღებია კერძოდ ის, რომ დედამიწის ბირთვის მაღალი ტემპერატურა გამოწვეულია არამდგრადი ელემენტების რადიოაქტიური დაშლით. ხოლო რაც შეეხება იმ მომენტს, რომ მაღლა ამოსულმა მასებმა, რომლებიც ამუხრუჭებენ ზედაპირზე არსებულ მასებს, შემდეგ ცენტრისკენ ანუ ქვემოთ დაშვებისას სიჩქარე მოუმატონ იქ არსებულ მასებს, ჩვენი აზრით, ნაკლებად სარწმუნოა. მოცემულ ჰიპოთეზაში მისაღებად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ბირთვი და გარსი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ, ბრუნავენ (ამის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ).

რაც შეეხება კონვექციას, ცივ და ცხელ მასებს შორის შეიძლება ჰქონდეს ადგილი დედამიწის გარსის შიგნით, მაგრამ მხოლოდ ამით რომ ავხსნათ ელექტრული დენის წარმოქმნა, არ მიგვაჩნია რეალურად.

ელექტრული დენის წარმოშობას და არსებობას მიზეზი დედამიწის გულსა და ქერქს, ანუ ზედაპირს შორის ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ვხსნით ,,ზეებევის ეფექტის“ საფუძველზე.

აქ ჩნდება კითხვა: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დედამიწა თერმოწყვილის სახით? ვიცით, რომ დედამიწის ზედაპირი მცირე ხედვის არეში დაახლოებით 20-25 კილომეტრში შეიძლება წარმოვიდგინოთ ბრტყელი დიდი ზომის ფირფიტის სახით (როგორც ცივი) მისი გარე ზედაპირი, ხოლო მისი შიგთავსი პლაზმურ მდგომარეობაში მყოფი მეორე ფირფიტად (როგორც ცხელი). ამრიგად გვაქვს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული გარემო, რომელთაც აქვთ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული T_1 და T_2 ტემპერატურა.

ასეთი დაშვებით შეიძლება ვთქვათ, რომ დედამიწის ბირთვი თამაშობს ელექტროძრავის ღუზის როლს, ხოლო გარე ცივი გარსი სტატორის როლს. ან შეიძლება პირიქითაც წარმოვიდგინოთ. ცივი გარე გარსი როტორია, ცხელი კი სტატორი.

ე.ი. დედამიწა დენის წარმომქმნელი ბუნებრივი მანქანა კი არ არის, არამედ ის ელექტრომოტორის მსგავსად დენის მომხმარებელია.

ამ სისტემაში პლაზმურ-იონურ მდგომარეობაში ნივთიერება თავისუფალი სახით გამოიყოფა დედამიწის ცივი გარსის შიდა ზედაპირზე. ამრიგად, გამოდის რომ დედამიწის ბირთვში ადგილი აქვს დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონების გარკვეული მიმართულებით მოძრაობას. დადებითები მოძრაობენ ცენტრიდან გარეთ ცივი გარსის შიგა ზედაპირისკენ, ხოლო უარყოფითები ცენტრისაკენ. შემდეგ უარყოფითი ნაწილაკები მაგნიტური ველის მოქმედებით პოლუსებზე გამავალი წრფეების გასწვრივ დედამიწის ორივე მხარეს გამოვლინდებიან, რის შედეგადაც მათი უმეტესი ნაწილი მოხვდება დედამიწის გარსის (ცივ არეში), ანუ მის ზედაპირზე. მეორე მხრივ, ცენტრიდან წამოსული დადებითი იონები ილექება დედამიწის გარსის შიგა მხარეზე, რის შედეგადაც დედამიწის მკვრივი გარსი ეგრეთწოდებული ქერქი თანდათან იზრდება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დედამიწა ბუნებრივ ,,დინამო მანქანას“ კი არ წარმოადგენს, არამედ ის უფრო ზებეევის ეფექტის მიხედვით თერმოგენერატორია.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ დედამიწის ცივი გარსი მოძრაობს ერთ მხარეს, ხოლო ცხელი ,,პლაზმურ“ მდგომარეობაში მყოფი შიგთავსი მეორე მხარეს, აიხსნება ნიუტონის მესამე კანონით

$$F_1 = -F_2 \text{ ან } m_1 a_1 = m_2 a_2 \qquad (2)$$

ხოლო მბრუნავი სხეულების შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს

$$m_1 \frac{v_1^2}{z_1} = -m_2 \frac{v^2}{z_2} \qquad (3)$$

ამ შემთხვევაში რომელი ნაწილის მასაც მეტი იქნება (გარსის თუ შიგთავსის), ის მიიღებს ნაკლებ აჩქარებას და პირიქით. აქედან გამომდინარე დედამიწის ბირთვი ბრუნავს დედამიწის გარსის საწინააღმდეგოდ. რა თქმა უნდა, მისი ბრუნვის სიხშირე განსხვავებული იქნება გარე ქერქის ბრუნვის სიხშირისაგან (ანუ ერთი ბრუნი 24 საათში).

შეჯამებაში შეიძლება ვთქვათ, რომ დედამიწა ზებეევის ეფექტის საფუძველზე წარმოადგენს თერმოგენერატორს. ამ შემთხვევაში დედამიწის მაბრუნებელ ძალად გვევლინება ელექტრული დენი, რომელიც წარმოიქმნება ზეებევის ეფექტის მიხედვით ზემოთ ახსნილი მექანიზმით, რის შედეგადაც დედამიწის გარე გარსი მოძრაობს ერთ მხარეს, ხოლო მისი გული პლაზმურ მდგომარეობაში მეორე მხარეს.

ამრიგად, ის მსგავსია ბუნებრივი ელექტრული ძრავისა. ეს ძრავი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს პერპენდომობილის, რადგან აქ ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება სითბური ენერგია ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, შიგა და გარე გარსი ტემპერატორული სხვაობა, ამ ტემპერატორული სხვაობის წყაროს კი წარმოადგენს, როგორც ამას ფრენკელი აღწერს, არამდგრადი ელემენტების რადიოაქტიული დაშლა.

ლიტერატურა:
1. Григорьев В.И., Мякишев Г.Я., Силы в природе, М., 1973.
2. Зисман Г.А., Тодес О.М., Курс общей физики, М., 1978.

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია სამუშაო ჰიპოთეზა, რომელიც შემდგომ შეიძლება უფრო დაიხვეწოს. ჰიპოთეზა ეხება დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის მიზეზებს და მექანიზმს. ნაშრომში ასევე განხილულია მსგავსი ჰიპოთეზები, კერძოდ, ფრენკელის ჰიპოთეზა დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის შესახებ. ამ უკანასკნელიდან განსხვავებით ავტორის აზრით დედამიწა წარმოადგენს არა ბუნებრივ ,,დინამო მანქანას“, არამედ ბუნებრივ ელექტრო მანქანას, სადაც საწყისი პირვანდელი დენი, რომელიც გვევლინება ხსენებული ელექტროძრავის მამოძრავებელ ძალად, მიიღება ,,ზეებეკის ეფექტის“ საფუძველზე. ხოლო სითბური ენერგიის წყაროდ გვევლინება არამდგრადი ელემენტების რადიაქტიური დაშლა.

THE REASON OF THE EARTH'S MOVING AROUND THE AXIS

Paata Kurdadze, Professor

RESUME

Working Hypothesis is presented in the paper, which can be refined afterwards. The hypothesis is about the reasons and mechanism of rotation of earth around its axis. Similar hypotheses, namely, Frenkel's Hypothesis about earth rotation around its axis are also discussed in the paper. Unlike the latter, according to the author, the earth is not a natural "dynamo machine", but a natural electric engine, where the original current, being a driving force of the above-mentioned electrical engine, is got because of "Zeebek Effect". In addition, a radioactive decay of unsustainable elements appears as the source of thermal energy.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

განახლებადი ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით

ლია ბიბილაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

ეკონომიკაში განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების საჭიროება ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული. ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტს განიცდის. თუ კაცობრიობა მომავალშიც შეეცდება ამ ენერგოდეფიციტის შევსებას მხოლოდ არსებული ტრადიციული ენერგორესურსების წარმოების გაზრდით, ეს არათუ მიუღწეველი იქნება, არამედ მკვეთრად გაამწვავებს ეკოლოგიურ ვითარებას. ამას განაპირობებს ის

გარემოება, რომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგები, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტად აჭუჭყიანებს გარემოს. ბუნება ბინძურდება ენერგორესურსების არა მარტო მოპოვების, წარმოების და მოხმარების დროს, არამედ ასევე ირღვევა გარემოს სითბური წონასწორობაც.

განახლებადი ენერგეტიკის განვითარებისას, განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოს დაცვის პრობლემები ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების დროს. ცნობილია, რომ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი სჭირდება ენერგეტიკის, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკის განვითარებას. ეს საკითხი, პირველ რიგში, აქტუალურია მცირემიწიანი რაიონებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. ამჟამად, ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მოდის 1,43 ჰა მიწის საერთო ფართობი; 0,64 ჰა - სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,15 ჰა - სახნავი, ეს კი ძალიან მცირეა და, შესაბამისად, ყოფილი სსრ კავშირის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 17,1 % და 17,7% -ს შეადგენს.

მიწას კი ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს შრომის უმრავლეს საგანთა შექმნის წყაროს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწა არა მარტო საგანი, არამედ შრომის მთავარი საშუალებაა. დედამიწას, ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს თანამედროვე მდგომარეობამდე მოსაყვანად ათასწლეულები დასჭირდა. მათი დაბინძურებით კი უვარგისი ხდება ათასობით ჰექტარი მიწა. აკად. ს. სობოლევის მტკიცებით, ნიადაგის 2,5 სმ სისქის დარღვეული ზედა ნაყოფიერი შრის აღსადგენად საჭიროა 300-დან 1000 წლამდე. დაახლოებით ამავე აზრისაა აკად. ნ. კეცხოველი. მას მიაჩნია, რომ ნიადაგის ყოველი სანტიმეტრის აღსადგენად საჭიროა 100 წელი მაინც.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სამრეწველო წარმოებით განვითარებულ ქვეყნებში, ჰიდროენერგეტიკის განვითარების გამო, საგრძნობლად მცირდება მიწის ფონდები. ეს მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება. გეოგრაფ ი. ზაბელინის გამოანგარიშებით, ჯერ კიდევ 1963 წელს დედამიწაზე სრულად უვარგისი გახდა 50 მილიონი ჰექტარი მიწა; ახლა ყოველწლიურად სასოფლო- სამეურნეო ბრუნვიდან გამოდის ათასობით ჰექტარი მიწა.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით კი მიწის დიდი ფართობები იფარება წყლით და უვარგისი ხდება სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის. ზოგიერთ მათგანზე კი, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, შეიძლებოდა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება, მათ შორის ისეთების, რომელთა მოყვანა (ჩაის, ციტრუსების, იშვიათი ჯიშის ყურძენი) სხვაგან არ შეიძლება. ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებს უჭირავს დაახლოებით 8800 ჰა, მათ შორის - 6200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით, ხოლო 1800 ჰა - ტყე.

საქართველოს პირობებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების დროს უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება. ჩვენს მდინარეებს, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან, თან ჩააქვთ უამრავი ქვა, ღორღი, სილა და ამით წონასწორობას ამყარებენ ზღვისა და მდინარეთა ურთიერთობაში, მაგრამ, როცა მდინარე წყალსაცავში მოხვდება, ეს წონასწორობა ირღვევა. მდინარეებს ვეღარ ჩააქვთ ზღვაში მყარი ჩამონადენი და ზღვა ნელ-ნელა რეცხავს ნაპირს, თანდათანობით მიაქვს ხმელეთი.

მავნე გავლენა განსაკუთრებით დიდია მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს. მსხვილ ჰიდროელექტროსადგურებს, გარდა იმისა, რომ სჭირდებათ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი, მათ სხვა მხრივაც მავნე გავლენა აქვთ გარემოზე. ექსპერტთა შეფასებით, ისინი არღვევენ კლიმატურ-ეკოლოგიურ წონასწორობას, წარმოშობენ მიწისძვრისა და ზვავების ჩამოწოლის საშიშროებას. ეს კი პირდაპირ უკავშირდება დიდი წყალსატევებიდან მომატებულ აორთქლებასა და სხვა უარყოფით შედეგებს. სწორედ პასიური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარების გამო, აღნიშნული მოთხოვნები სრულიად არ იყო გათვალისწინებული საქართველოში მიმდინარე ჰიდროენერგომშენებლობაში. ამის მაგალითია ის, რომ მხოლოდ ფართო საზოგადოების აქტიური ჩარევის შემდეგ, 1989 წელს შეწყდა მდ. ენგურზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მაშინ როცა მშენებლობის დაწყებიდან უკვე გასული იყო 10 წელზე მეტი და დახარჯული იყო მშენებლობის საერთო ღირებულების დაახლოებით ნახევარი – 150 მლნ. მანეთი.

ჰესების, განსაკუთრებით კი მსხვილი ჰესების, მშენებლობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. როგორც 80-იანი წლების მოვლენებმა დაგვანახა, საქართველოში ჰესების მშენებლობის დროს აშკარად არ იყო დაცული მთელი რიგი აუცილებელი მოთხოვნები. ცნობილია, რომ ენგურჰესის მშენებლობა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დაამთავრებდნენ პროექტს. ნაჩქარევად დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. ამის გამო შეწყდა კიდეც ხუდონჰესის მშენებლობა. ახლა, როცა ლაპარაკია ხუდონჰესის მშენებლობის განახლებაზე, ბევრი საკითხია შესასწავლი და გასათვალისწინებელი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ჰესები აუცილებლად უნდა აშენდეს. ჩვენი მდინარეები დიდი ეროვნული სიმდიდრეა და მისი გამოუყენებლობა ყოვლად გაუმართლებელია. მსოფლიოს ყველა ცივილიზებული და განვითარებული ქვეყანა წარმატებით იყენებს ამ ენერგიას საკითხის კომპეტენტური გადაწყვეტისათვის ენერგეტიკულ-ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით. თითოეული ახლად ასაშენებელი ობიექტისათვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პარამეტრები. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადგილობრივი პირობების, ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებანი. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ მინიმალური ზიანის პირობებში მაქსიმალური ეფექტი მიიღოს. ამასთან, ყოველი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის საკითხი აუცილებლად წინასწარ უნდა იყოს გამოტანილი განსახილველად. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოს პირობებში ჰიდროენერგომშენებლობაში ადგილმდებარეობისა და ვითარების შესაბამისად, უპირატესობა უნდა მიეცეს მცირე და საშუალო სიდიდის ელექტროსადგურების გამოყენებას.

მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება ხელს შეუწყობს მაღალმთიან რაიონებში ტყის უსისტემო ჭრისა და ორგანული სათბობის წვის შეწყვეტას, შრომისა და ყოფის ელექტროფიკაციის ამაღლებას, რეგიონალურ-ეკონომიკურ გაჯანსაღებას, მთელი რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ამას ადასტურებს საზღვარგარეთის (შვედეთი, საფრანგეთი, აშშ) პრაქტიკა. ამ მხრივ კარგი ტრადიცია აქვს საქართველოსაც. 1925-1960 წლებში საქართველოში აშენდა 250-მდე მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 70 ათას კვტ-ს აღწევდა. შემდგომში აღნიშნული სადგურების უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის (დანადგარების ფიზიკური და მორალური გაცვეთა და სხვა) გამო ჩამოიწერა. დღესდღეობით მათი რიცხვი შემცირდა 50-მდე, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 150 მგვტ-ს შეადგენს, ხოლო წლიური გენერაციის მაჩვენებელი კი 700 მლნ. კვტ.-ს ტოლია.

ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარ საქართველოში შესაძლებელია აშენდეს 1200-ზე მეტი მცირე ჰიდროელექტროსადგური, 3700 მგვტ. ჯამური სიმძლავრით, რომელთა საშუალოწლიური გამომუშავება 16 მლრდ. კვტ. სთ-ია.

საქართველოში არსებობს თერმული წყლების მოპოვების გაზრდის პერსპექტივა, რასაც ადასტურებს ქვეყანაში თერმული წყლების არსებული მარაგი. თერმული წყლები, ძირითადად, შეიძლება გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა თბომომარაგებაში, აგრეთვე ნაწილობრივ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მზის ენერგიის გამოყენების გაფართოებას. ანალიზი გვიჩვენებს, რომ უახლოესი პერსპექტივისათვის საქართველოში მზის ენერგიის გამოყენებით შესაძლებელი იქნება წლიურად დაიზოგოს დაახლოებით 40-50 ათასი ტონა პირობითი სათბობი. ამისათვის აუცილებელია ამ მხრივ სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო-ორგანიზაციული სამუშაოების გაძლიერება და, რაც მთავარია, კერძო კაპიტალის მოზიდვა.

საქართველოში კარგი პერსპექტივებია ქარის ენერგიის გამოყენებისათვის. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ენერგეტიკული დანადგარების გამოყენება შედარებით ყველაზე უკეთეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს იძლევა იმ რაიონში,სადაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე წამში 5 მ-ია (ქუთაისი, ყაზბეგი, მამისონი, მთა-საბუეთი და სხვ.)

ბიოლოგიური გადამუშავების შედეგად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული გამოყენება შეიძლება მივცეთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო სექტორის ნარჩენებს. ასეთი გადამუშავებით მიღებული ბიოგაზი განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება გამოდგეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის. არის მაგალითები, როცა მეცხოველეობისათვის მოწინავე ფერმებში, თავიანთი ენერგეტიკული მოთხოვნილების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ნაკელის გადამუშავებით იკმაყოფილებენ.

ენერგიის არატრადიციული სახეების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყარო აუცილებელი მნიშვნელოვანი შენაკადია დამოუკიდებელი საქართველოს ენერგიის იმ დიდი მდინარისა, რომელმაც უნდა მოამარაგოს სახალხო მეურნეობა ტრადიციული სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან ერთად, მოხდეს მათი გამოყენების ოპტიმიზაცია.

ლიტერატურა:

1. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 2002.
2. კაპანაძე შ., მიკრო და მცირე ჰესები პრაქტიკულ მაგალითებში, თბ., 2000.

3. ბიბილაშვილი ლ., ჰიდროენერგეტიკის განვითარების ეკოლოგიური საკითხები, ჟურ. „ეკონომიკა“,№3, 2006.
4.http://bpi.ge/?option=com_content&task=view&id=23852&Itemid=186&layout=default&view=article&month=4&year=2014&fontstyle=f-smaller

სასარგებლო ინტერნეტ ბმული:
1. www.eecgeo.org. ენერგოეფექტურობის ცენტრი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადგილობრივი განახლებადი ენერგო რესურსების გამოყენების პერსპექტივები. განახლებადი ენერგორესურსების წილი ელექტროენერგიის მთლიან წარმოებაში 92%-ია.

PERSPECTIVES OF IMPROVING RENEWING ENERGETICS CONSIDERING THE REQUIREMENTS OF NATURE PROTECTION

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

The thesis discusses the prospects for the use of local renewable energy resources. The share of renewable energy in the total electricity production of 92%.

დროისა და სტრესის მენეჯმენტი

ლია ბიბილაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

სტრესი ყველა საზოგადოებაშია, სტრესი ყველგან და ყოველთვისაა, მცირე თუ დიდი ზომით.

სამსახურში არაკომპეტენტური მენეჯმენტი არის სტრესის ყველაზე დიდი მიზეზი. თანამშრომელთათვის ყველაზე სტრესულ ფაქტორს წარმოადგენს უშუალო ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. უფრო მეტიც, სტრესული სიტუაცია უარყოფით შედეგს იძლევა არა მხოლოდ თანამშრომლების, არამედ მენეჯერების საქმიანობასა და ქცევაზე.

აშშ-ში ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ათი მოსამსახურიდან ყოველი მეოთხე ასახელებდა თავის სამუშაო გარემოს, როგორც უკიდურესად სტრესულს. გამოკითხულთა 50 %-მა განაცხადა, რომ სამსახურთან დაკავშირებულმა სტრესმა შეამცირა მათი მუშაობის ნაყოფიერება. უფრო მეტიც, დაავადების ალბათობა უფრო მაღალი აღმოჩნდა მათში, ვინც აცხადებდა, რომ მუშაობდა სტრესულ გარემოში ან იმყოფებოდა სტრესის ქვეშ. ისეთი დაავადებები, როგორიცაა თავის ტკივილები, გამუდმებული ღელვა, გადაღლილობა და უფრო სერიოზული - მაღალი წნევა, გულისა და წყლულოვანი დაავადებები უფრო ხშირად გვხვდებიან ისეთ ადამიანებში, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან სტრესის ქვეშ.

სტრესის დინამიკა შეიძლება, წარმოვიდგინოთ, როგორც ,,ძალების ველის“ ნაყოფი. ნორმალურ მდგომარეობაში, ძალების ბალანსი გამოიყურება შემდეგნაირად: ყოველ მამოძრავებელ ძალას (იგულისხმება რომ ეს არის სტრესის ძალა) ეწინააღმდეგება შემაჩერებელი ძალა. ჩვეულებრივ ეს ძალები დაბალანსებულია. ბალანსი ირღვევა, როგორც კი მამოძრავებელი ძალა ბევრად აღემატება შემაჩერებელ ძალას, ან უფრო მეტი სიხშირით მოქმედებს. ამის შედეგად წარმოიშობა ცვლილება: შემაჩერებელმა ძალებმა შესაძლოა, ვერ მოახდინოს მამოძრავებელი ძალების კომპენსირება. ეს გამოიწვევს რიგ არასასურველ მოვლენებს, როგორიცაა ჯანმრთელობის გაუარესება, დეპრესიები და ა.შ.

ადამიანებმა ამის საწინააღმდეგოდ გამოიმუშავეს და განავითარეს გამძლეობა და ამით გააუმჯობესეს შემაჩერებელი ძალების მოქმედებისა და გავლენის უნარი. თუ არსებობს საკმარისი გამძლეობა, დიდი სტრესის მიღების დროსაც კი შესაძლებელია ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის აღდგენა.

სტრესი იწვევს როგორც უარყოფით, ასევე დადებით შედეგებს. რაიმე სტრესის გარეშე ადამიანები შესაძლოა თავს გრძნობდნენ მოწყენილად, არაადამიანურად და არ ჰქონდეთ რაიმე მოქმედების წამოწყების აზარტი და მოტივაცია.

არსებობს სტრესის ოთხი სახეობა:

1. **დროის ნაკლებობით გამოწვეული სტრესი**
   - დროის სიმცირე და სამუშაოთი გადატვირთულობა
   - კონტროლის არ ქონა
2. **პიროვნებათაშორის ურთიერთობით გამოწვეული სტრესი**
   - კონფლიქტები როლის შესახებ
   - კონფლიქტები საკითხების გარშემო
   - კონფლიქტები ქმედებებთან დაკავშირებით
3. **სიტუაციური სტრესი**
   - არახელსაყრელი სამუშაო პირობები
   - სწრაფი ცვლილებები
4. **არასასიამოვნო მოლოდინით გამოწვეული სტრესი**
   - არასასიამოვნო მოლოდინის მოლოდინი
   - შიში

დროის ნაკლებობით გამოწვეული სტრესი - წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი მცირე დროში. მენეჯერებისათვის სამსახურში ამ სახეობის სტრესის წყარო ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. ხანდახან უახლოესი ვადების არსებობა ხელს უწყობს საქმიანობის დროულად შესრულებას. თუმცა, თუ ადამიანები ყოველდღიურად განიცდიან დროის ნაკლებობას, დროსთან დაკავშირებული სტრესი საკმაოდ მავნე ფაქტორი ხდება. დროის ქრონიკულ ნაკლებობას (საქმეების დიდი რაოდენობის გაკეთება აუცილებელია დროის მცირე მონაკვეთში) დიდი ზიანი მოაქვს მმართველებისათვის და, ზოგადად, ადამიანებისათვის.

პიროვნებათაშორის ურთიერთობით გამოწვეული სტრესი - წარმოიქმნება პიროვნებათა შორის ურთიერთობის დროს. ყველამ იცის, როგორი დამთრგუნველია ახლობელ ადამიანებთან კონფლიქტი, ისეთ თანამშრომელთან ან ხელმძღვანელთან მუშაობა, რომელთანაც მას კონფლიქტური სიტუაცია აქვს. ისეთ გუნდში მუშაობა, სადაც არ არის ნდობა და ერთობა.

კონფლიქტების ეს სახეობა ძირითადად შედგება სამი ტიპისაგან:

1. კონფლიქტი ფუნქციების გადანაწილების გარშემო (როლების შეუსაბამობა);
2. კონფლიქტი საკითხების გარშემო (უთანხმოებები პრობლემის განსაზღვრისა და გადაწყვეტის გზების გარშემო);
3. ურთიერთობის კონფლიქტი (პიროვნული შეუთავსებლობა და ერთმანეთთან შეუგუებლობა).

სტრესის ეს სახეობა უარყოფითად მოქმედებს მუშაობის ნაყოფიერებაზე და იწვევს თანამშრომელთა უკმაყოფილებას. რა თქმა უნდა, ამ სტრესის ქვეშ იმყოფებიან უფრო მეტად ის მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანების წინაშე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გუნდის წევრებს შორის ნდობის ნაკლებობას უარყოფითი შედეგი მოაქვს არა მხოლოდ ეფექტურ კომუნიკაციაზე, ინფორმაციის გაცვლაზე, გადაწყვეტილების მიღებასა და პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობაზე, არამედ თვითონ პიროვნებებზე და მათ ურთიერთობაზე.

სიტუაციური სტრესი - დაკავშირებულია ადამიანის საცხოვრებელ გარემოსთან ან სამსახურთან. სტრესის ერთ-ერთი ფორმაა არახელსაყრელი სამუშაო პირობები; სწრაფი ცვლილებები აგრეთვე აძლიერებენ სტრესის ზემოქმედებას.

არასასიამოვნო მოლოდინით გამოწვეული სტრესი - მოიცავს არასასურველ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება განვითარდეს მომავალში. ორგანიზაციებში, სადაც ხშირად ხდება სტრუქტურული ცვლილებები, შემცირებები ან სწრაფი ცვლილებები, წარმოიქმნება ამ სახეობის სტრესი. ადამიანებს ეშინიათ, რომ დაკარგავენ სამუშაო ადგილებს, კოლეგებსა და მეგობრებს, არ იციან ახალ გარემოში რა ახალი სტანდარტები იქნება დადგენილი, როგორი ურთიერთობები ჩამოყალიბდება თანამშრომელთა შორის და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, დროსთან დაკავშირებული სტრესი წარმოიქმნება გადატვირთული სამუშაოს გამო, დროისა და კონტროლის ნაკლებობით. დროსთან დაკავშირებული სტრესის ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება დროის მენეჯმენტის შემოღებით. ყველაზე გავრცელებული მეთოდია დღიურების წარმოება, სადაც ყოველდღიურად იქნება ჩამოწერილი შესასრულებელი საქმიანობები და მითითებული იქნება დროის მონაკვეთები.

ამ მეთოდებთან ერთად შეიძლება ეფექტური დროის მენეჯმენტის შემოღება, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. დრო იხარჯება არა მხოლოდ სასწრაფოდ გასაკეთებელ საქმეებზე, არამედ მნიშვნელოვან საქმეებზეც;
2. სწორად არის განსაზღვრული, რა არის მნიშვნელოვანი და რა – სასწრაფო;
3. შედეგი და არა პროცესი არის დროის მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი თვისება;
4. არ უნდა მოხდეს საკუთარი საქმეების გადადება და ახალი ან სხვების თხოვნით სხვა საქმიანობის წამოწყება.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რა არის სასწრაფო და რა – მნიშვნელოვანი.

მნიშვნელოვანი საქმიანობა არის ის, რაც გვაძლევს სასურველ შედეგს. მათ მივყავართ დასახული მიზნის მიღწევამდე.

სასწრაფოდ შესასრულებელი (გადაუდებელი) საქმიანობა კი არის ის, რაც მოითხოვს დაუყოვნებელ ყურადღებას. ისინი წარმოადგენენ სხვის მიერ გამოთქმული საჭიროებების დაკმაყოფილებას ან ეხება პრობლემას, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ყველაზე რთული პროცესია იმის დადგენა, რომელი საქმიანობაა მნიშვნელოვანი და რომელი სასწრაფო, რადგან არ არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქმიანობების დაყოფა მნიშვნელოვნად და სასწრაფოდ განხორციელების კატეგორიის მიხედვით. თუ მენეჯერები თვითონ არ განსაზღვრავენ რა არის მნიშვნელოვანი და რა – სასწრაფო, ვერ მოახდენენ დროის ეფექტურ გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა მოვახდინოთ ჩვენი ფასეულობების, მიზნების დადგენა. აუცილებელია, ნათლად დავადგინოთ ჩვენი გრძელვადიანი მიზნები და პიროვნული პრიორიტეტები. ეს აუცილებელია პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის.

დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვები: რა არის ჩემი მიზანი? რისთვის მინდა რომ ვიცხოვრო? რა მაინტერესებს ყველაზე მეტად? რას მინდა რომ მივაღწიო?

ამ შეკითხვებზე პიროვნული პრინციპების ჩამოყალიბება საშუალებას მოგვცემს, დრო უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ და შევამციროთ არა მარტო სიტუაციური, არამედ მოვლენების მოლოდინით გამოწვეული სტრესის ფაქტორებიც.

ლიტერატურა:

1. პირმისაშვილი გ., ზოგადი მენეჯმენტი, 2009.
2. დავითაშვილი მ., სტრესის დაძლევის ჯანსაღი სტრატეგიები, 2012.
3. ელბაქიძე ნ., დროის მენეჯმენტი, 2013.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სტრესის სახეები, სტრესის დაძლევის ჯანსაღი სტრატეგიები. დროსთან დაკავშირებული სტრესის ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება დროის მენეჯმენტის შემოღებით. პიროვნული პრინციპების ჩამოყალიბება საშუალებას გვაძლევს, დრო უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ და შევამციროთ არა მარტო სიტუაციური, არამედ მოვლენების მოლოდინით გამოწვეული სტრესის ფაქტორებიც.

TIME AND STRESS MANAGEMENT

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

The thesis discusses the types of stress, The healthy strategies about stress reduction. Time - related stress factors can minimize the introduction of time management. Personal principles allows us to use time more efficiently and reduce not only the situation, but the expectation induced by stress factors.

ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფინანსური შედეგები

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. აღნიშნული რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ეკონომიკის დივერსიფიცირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

კოაბიტაციის დასრულების შემდეგ ეკონომიკური ზრდის პირველი პროგნოზი უკვე კეთდება. მსოფლიო ბანკის მიერ მოწოდებული პროგნოზის მიხედვით, 2014 წელს ეკონომიკური ზრდა 5-6%-იან მაჩვენებელს დაუბრუნდება. ასევე, საიმედო გათვლები კეთდება უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან დაკავშირებით.

მთავრობა საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგიას ამზადებს, რომელშიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხედვა იქნება ასახული. ამან ხელი უნდა შეუწყოს უფრო მეტი გრძელვადიანი ინვესტიციის შემოდინებას, რომლებიც მოხმარდება ეკონომიკის მოდერნიზაციას, ინოვაციური სერვისებისა და პროდუქტების გაჩენას, მეტ ძალისხმევას კვლევისა და განვითარების დარგში, ასევე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. აღნიშნულმა სტრატეგიამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს კერძო მეწარმეობის მეტად განვითარებას, მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოებას, რადგან ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამუშაო ადგილების შექმნაში.

მსოფლიო ბანკი მზადყოფნას გამოთქვამს, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას ახალი ეროვნული განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა, მსოფლიო ბანკთან ერთად, ინოვაციებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთობლივი მომზადების შესაძლებლობას განიხილავს. მინისტრის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკში გამოთქვეს მზადყოფნა, რათა დაეხმარონ საქართველოს მთავრობას როგორც ადამიანური რესურსებით, ისე კონკრეტული ინვესტიციებით ინოვაციური და IT-ტექნოლოგიების პარკების შექმნის მიმართულებით.

მინისტრის განცხადებით, საქართველო 2020 წლისათვის მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინდექსების მოწინავე პოზიციებზე უნდა აღმოჩნდეს, ამდენად, ამ მიმართულებით უმთავრესია ინტერნეტის შეღწევადობის ზრდა, კომპიუტერული წიგნიერების ამაღლება, ელექტრონული მთავრობის სერვისების განვითარება, აღნიშნული მიმართულებით ბიზნეს ინოვაციების მხარდაჭერა.

ღონისძიების მიზანია, მოხდეს ქვეყანაში ახალი IT ინოვაციური კომპანიების გაჩენის სტიმულირება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით, ქართველი სპეციალისტების ცოდნის დონის ამაღლება.

როგორც ცნობილია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მტკიცედ და განუხრელად დაცვა ინოვაციური ეკონომიკის საძირკველს, კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანეს ნაწილსა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამდენად რეალურია საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის აშენება?!

ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა ეს არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათანობით შედის, მაგრამ უცილობლად და სულ უფრო მზარდი ტემპებით. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ევოლუციის, მისი ეკონომიკური განვითარების პარადიგმას, ე.ი. მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების, ძირითადი კაპიტალის, ადამიანისეული კაპიტალისა და სხვა ექსტენსიური ფაქტორების არსებობასთან.

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ინოვაციები არის წინააღმდეგობების გადაჭრისა და კრიზისების დაძლევის მეტად მძლავრი ბერკეტი. ამიტომ თანამედროვე პირობებში საწარმოს ინოვაციური აქტიურობა კონკურენციულ გარემოში მისი გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლება.

ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოწინავე ქვეყნების (ფინეთი, ირლანდია, სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთი კორეა...) გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ ქვეყნებმა თვალში საცემ წინსვლას მეცნიერებასა და განათლებაზე დამყარებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით მიაღწიეს. გადაწყდა, რომ ამგვარი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს. ინოვაციათა შესწავლისა და განვითარების საბჭო პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა. საბჭო ყველა ინოვაციურ წინადადებასა და სამეცნიერო ნაშრომს განიხილავს.

ინოვაცია დანერგილი სიახლეა, რომელიც ხარისხობრივად აუმჯობესებს საწარმოო პროცესებს, პროდუქციის ხარისხს და რომელსაც ბაზარი ითხოვს. ინოვაციური ეკონომიკა კი ინოვაციების ნაკადს ეფუძნება - მუდმივ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას, მაღალტექნოლოგიური პროდუქციისა და თვით ტექნოლოგიების ექსპორტს. შემოსავლის უმეტესი ნაწილი ნოვატორთა და მეცნიერთა ინტელექტს მოაქვს და არა ინდუსტრიულ წარმოებებს ან კაპიტალის კონცენტრაციას. ამგვარი მიზნის დასახვა საკმაოდ თამამი და ამბიციური განაცხადია.

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად მიგვაჩნია. ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა. დაიზოგება წარმოების ხარჯები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება... საამისოდ საქართველოს ძალიან კარგი რესურსი აქვს, რომლის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია.

ბოლო წლებში საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე, სამწუხაროდ, აღარავინ ზრუნავს. ქართველი გამომგონებლების ნაშრომები დიდი წარმატებით ინერგებოდა და ინერგება საზღვარგარეთის ქვეყნებში. საქართველო ვერ იყენებდა ამ დიდ პოტენციალს და ავტორებიც იძულებული ხდებოდნენ, თავიანთი სიახლეები იდეის დონეზე, ძალიან იაფად გაეყიდათ. განვითარებულ ქვეყნებში კი ლიცენზიები იყიდება და ამით სახელმწიფოც დიდ სარგებელს ნახულობს. რა თქმა უნდა, დიდი სურვილია საქართველოში დადგეს დრო, როცა ქვეყანა თავისი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას შეძლებს.

საბჭოთა პერიოდში გამოგონებათა რიცხვი საქართველოში ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე 1990 წლის შემდეგ. ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაეცა, 2007 წელს თუ 250-მდე გამოგონება აღირიცხა, ახლა ეს რიცხვი 140-მდე დავიდა. კიდევ ერთი მაგალითი: აშშ-ში მხოლოდ უნივერსიტეტებში დაპატენტებული გამოგონებებით ამ სასწავლებლებს დაახლოებით $2,3 მილიარდის შემოსავალი აქვთ, ხოლო საწარმოებისთვის მოცულობა ასეულობით მილიარდს უტოლდება. საქართველოში კი უნივერსიტეტებს საერთოდ არ აქვთ პატენტები და განაცხადების 98% ფიზიკურ პირებზე მოდის... თუ საბჭოთა კავშირში პირველი ვიყავით, ახლა მხოლოდ ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს ვუსწრებთ.

სომხეთსა და აზერბაიჯანშიც უკეთესი მდგომარეობაა, არადა, ამ ქვეყნებს ყოველთვის ვუსწრებდით.

დღევანდელ მსოფლიოში ინდუსტრიული ეკონომიკა უკვე შეცვალა ინოვაციურმა. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. ამისთვის არსებობს შესაბამისი ფონდები. როგორც წესი, საინტერესო ინოვაციებს კერძო პირებიც აფინანსებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებიც. როცა პატენტი იყიდება, ამით სახელმწიფოც გვარიან მოგებას იღებს - იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და სხვ. ახლავე რომ დავიწყოთ ამ საკითხზე მუშაობა, ჩემი აზრით, სამ-ოთხ წელიწადში უკვე ვიგრძნობთ პირველ შედეგებს. ინოვაციური ეკონომიკა წყალივით და ჰაერივით გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ყოველთვის მაჩანჩალა ეკონომიკის ქვეყნად დარჩება.

ყველა მოწინავე ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ცოდნაზე, ახალ ხედვებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას განავითარებს. შეგახსენებთ, ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის საქართველოში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაახმიანა და მერე რატომღაც ამ იდეის განხორციელება ბენდუქიძეს გადაულოცა. თუმცა მთავარი ის არის, რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგშია აყვანილი. ეს გზა აირჩია ყველა ქვეყანამ, რომელთა მიღწევებიც შთამბეჭდავია, მათ შორის, ომის შემდგომმა იაპონიამ და კონსერვატიულმა ინგლისმაც. რაც უფრო ადრე დაიწყება ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მით უკეთესი. ვფიქრობ, ხუთი-ათი წელიწადია საჭირო ქვეყნის დასაფუძნებლად ინოვაციურ მიდგომებზე. ახლახან გამოქვეყნებულ გაეროს კვლევაში საქართველო, ადამიანური რესურსების მხრივ, განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს მიაკუთვნეს. ჩვენი მეცნიერების დონე ბოლო წლებში დაკნინდა და ქვეყნიდან უამრავი ნიჭიერი, პერსპექტიული ადამიანი წავიდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური შესაძლებლობები გაეროში აღიარეს. ჩვენი მეცნიერები თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ და დიდ

წარმატებებს აღწევენ, საქართველოს ნამდვილად აქვს რესურსი, რომ ინოვაციური ეკონომიკის გზას დაადგეს.

ლიტერატურა:

1. http://economy.ge
2. http://geostat.ge
3. http://mof.ge

რეზიუმე

როგორც ცნობილია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მტკიცედ და განუხრელად დაცვა ინოვაციური ეკონომიკის საძირკველს, კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანეს ნაწილსა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს.

ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოწინავე ქვეყნების (ფინეთი, ირლანდია, სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთი კორეა...) გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ ქვეყნებმა თვალში საცემ წინსვლას მეცნიერებასა და განათლებაზე დამყარებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით მიაღწიეს. გადაწყდა, რომ ამგვარი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს. ინოვაციათა შესწავლისა და განვითარების საბჭო პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა. საბჭო ყველა ინოვაციურ წინადადებასა და სამეცნიერო ნაშრომს განიხილავს.

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად მიგვაჩნია. ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა. დაიზოგება წარმოების ხარჯები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება... საამისოდ საქართველოს ძალიან კარგი რესურსი აქვს, რომლის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია.

INNOVATIVE ECONOMICS AND ITS FINANCIAL RESULTS

Davit Bidzinashvili, Professor

SUMMARY

As it is known the firm and constant protection of the intellectual property rights represents the most important part of the rules based international trading system of the innovative economics. The experience of the leading countries (Finland, Ireland, Singapore, Hong Kong, South Korea…) confirms that these countries have reached the substantial success based on the innovative economics development… Forming such kind of innovative economics has been decided to become one of the major directions in Georgia.

Innovation studying and development board was created by the parliament decision. The board will consider all the innovative proposals and scientific works. We consider moving to the innovative economics to be very necessary. New technology development and establishment are also very important. The production expenses will be saved and the labor productivity will be increased. So Georgia has a good resource for this and it will be crime not to be used it.

შიდა ქართლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები

გიული გიგუაშვილი, პროფესორი

საქართველოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორი რეგიონული პოლიტიკის შემუშავებასა და მის მიზანმიმართულ განხორციელებას, რაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს: რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესებას, რეგიონების დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას.

თითოეული რეგიონის რეალური ეკონომიკური პოტენციალის საფუძვლიანად შესწავლა, სიღარიბის აღმოფხვრა, დასაქმება, ინფრასტრუქტურის და აგრარული სექტორის განვითარება მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტებს წარმოადგენს, რომლებზეც ხელისუფლება მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მიმართავს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის მარტო 2013 წელს 200 მილიონი ლარი გამოიყო. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკის ლიბერალიზაციის კვალობაზე, მეტი მხარდაჭერა სჭირდება სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც ზრდის რეგიონის პროდუქტიულობას, სამუშაო ადგილებს, მოაქვს შემოსავლები და ეს ყველაფერი მთელი რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე აისახება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სამეწარმეო ბიზნესს, რომელსაც შეუძლია გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება და დამატებითი ღირებულების შემცველი პროდუქტის წარმოება; ასევე, ადგილობრივთან ერთად, მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინექციას ქვეყნის ეკონომიკაში.

რეგიონის ეკონომიკური რუკის განვითარება, მისი ეკონომიკის სტრუქტურის ძირეული ანალიზი საშუალებას იძლევა დაიდოს პირველადი დასკვნები რეგიონის ეკონომიკის პოტენციურად რენტაბელურ სეგმენტებზე და გამოკვეთოს ის ეკონომიკური აქტივობები, რომლის დაკავებაც პასუხობს როგორც შესაძლო უცხოური ინვესტიციების უშუალო ინტერესებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან იდენტიფიცირებულ ადგილობრივი მომსახურეობის პრიორიტეტულ საჭიროებებს.

რეგიონული განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული რეგიონის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. შიდა ქართლში რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა 2013 წლის თებერვალში დაიწყო. კვლევა ოთხი მიმართულებით წარიმართა - რეგიონული ეკონომიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებები, რეგიონული სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა, სოციალური განვითარება და ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა. სამუშაო ჯგუფში ჩართული ვიყავით გორის უნივერსიტეტის პროფესორებიც. პროცესს მონიტორინგს უწევდა რეგიონული განვითარების სამინისტრო. [1]

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. ტერიტორიის ფართობი - 6200 კვ. კმ (მათ შორის საქართველოს იურისდიქციის ქვეშაა 4807 კვ. კმ), რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9,2%-ს შეადგენს და თავს უყრის მოსახლეობის 7%. მოსახლეობის სიმჭიდროვე – 65.4 კაცი/კმ², ურბანიზაციის დონე – 38.7%.

შიდა ქართლის რეგიონს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთის, სამხეთ-აღმოსავლეთით - ქვემო ქართლის, სამხრეთ-დასავლეთით - სამცხე-ჯავახეთის, დასავლეთით - იმერეთის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონები. ჩრდილოეთი საზღვარი კი რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აქვს. რეგიონს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, კერძოდ დედაქალაქთან სიახლოვე, საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის განლაგება რეგიონში.

რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია: კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად თბილი ჰავითა და ზომიერი ტენიანიანობით, რაც სასურველ პირობებს ქმნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. რეგიონში წარმოდგენილი ხშირი ჰიდროქსელი მდინარე მტკვრის აუზს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რეგიონის მთავარი საწყლოსნო არტერიაა. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონები, ვერტიკალური ზონალობის ჩათვლით, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით და საკმაოდ მდიდარია ტყეებით, ფლორითა და ფაუნით.

ამჟამად, შიდა ქართლის რეგიონი მოიცავს 9 ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულს: 1 ქალაქი - ცხინვალი და 8 მუნიციპალიტეტი - გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, თიღვის, ერედვის, ქურთისა და ჯავის.

რეგიონის იმ ნაწილში, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამჟამად აკონტროლებს, 372 (2002 წლის მონაცემებით 390) დასახლებული პუნქტია, მათ შორის:

- საქალაქო დასახლება - 4: გორი, კასპი, ქარელი, ხაშური;
- დაბა - 2: სურამი, აგარა;
- სოფელი - 366.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებია: გორი, კასპი, ქარელი, ხაშური. ადმინისტრაციული ცენტრია - გორი.

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 300,000 კაცს აღემატება, რომელთაგან თითქმის ნახევარი (46 %) გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. დანარჩენი სამი მუნიციპალიტეტი კი მოსახლეობის თითქმის თანაზომად არის განაწილებული: ხაშურში მოსახლეობის 20 %, ხოლო ქართლსა და კასპში 17 % ცხოვრობს.

შიდა ქართლის რეგიონი უპირატესად რურალურია (სასოფლოა) და მისი ურბანიზაციის დონე 40%-საც ვერ აღწევს. ასეთი მაჩვენებელი არაინდუსტრიული, განვითარებადი რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი.

შიდა ქართლი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია, საიდანაც შესაძლებელია მოხვდე საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრს - ქალაქ გორსა და დედაქალაქ თბილისს შორის 75 კმ-ია. ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 93 კილომეტრი, რაც მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ამ მხარის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. შიდა ქართლზე გადის ამიერკავკასიის სარკინიგზო ცენტრალური მაგისტრალიც. რკინიგზის საშუალებით შიდა ქართლის გავლით იზრდება ყაზახეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან ევროპის ქვეყნებში ტვირთების გატანა-შემოტანა. საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირება ხდება რკინიგზის მეშვეობით. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია, ასევე ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, აფხაზები.

შიდა ქართლის ტერიტორია განთქმულია თავისი მრავალფეროვანი და არქიტექტურულად უმდიდრესი ძეგლებით. სამკურნალო მინერალური წყლები და კურორტები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხელსაყრელ პირობებს ქმნის შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის. უნიკალური საკურორტო მეურნეობის განვითარება და ქვეყნის ეკონომიკურ სამსახურში ჩაყენება საბაზრო ეკონომიკის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. მის მოსაწესრიგებლად და მოსაგვარებლად სახელმწიფოს, საზოგადოებასთან ერთად, განსაკუთრებული ძალისხმევა მართებს.

რეგიონის უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო ცენტრს, კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის აკადემია და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომლის მთავარი მიზანი შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაა. რეგიონში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი და მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული სამხედრო ჰოსპიტალი.

შიდა ქართლის რეგიონში ეკონომიკის განვითარების ძირითადი დარგებია: აგრო მრეწველობა, კომერცია, ტრანსპორტი, მშენებლობა (გზები, საზოგადოებრივი შენობები, ინფრასტრუქტურა), ტრანსპორტ-კავშირგაბმულობა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა მომსახურება. ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია: ხორბლის ფქვილი, საკონსერვო ნაწარმი, შაქარი, ალკოჰოლური სასმელი, ცემენტი, თიხის აგური, სპირტი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტი (ხილი, ბოსტნეული). მხარის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 5,9%-ია, მთლიანი რეგიონალური პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2073,5 ლარია.

2011 წელს რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი მრეწველობის სექტორს ეკავა - მთლიანი მოცულობის 22%, სხვადასხვა მომსახურებას - 18 %, სახელმწიფო მმართველობას - 17%, ხოლო სოფლის მეურნეობას – 15 %. დანარჩენი დარგების წილი 2-დან 5 %-მდე მერყეობს.

რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვიდან თვითდასაქმებულთა წილი 77% შეადგენს, რაც სოფლის მოსახლეობაში წვრილ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობებში დასაქმებულთა წილს ასახავს. ამის შედეგად შიდა ქართლის დასაქმების, აქტივობისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლები. [2]

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში

შიდა ქართლი	2006	2007	2008	2009	2010	2011
უმუშევრობის დონე (%)	10.2	8.1	16.3	16.6	12.7	8.9
აქტიურობის დონე (%)	62.3	62.0	59.5	61.9	66.0	70.7
დასაქმების დონე (%)	55.9	57.0	49.8	51.6	57.6	64.4

წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/

2012	შიდა ქართლი	საქართველო, საშუალო მაჩვენებელი
დასაქმების დონე	63.9 %	56.8%
აქტივობის დონე	71.5 %	66.9 %
უმუშევრობის დონე	10.6 %	15.01 %

წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/

შიდა ქართლში ინვესტიციების საერთო მოცულობის უდიდესი ნაწილი მრეწველობაზე მოდის. 2011 წელს მრეწველობის დარგში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ (20.8 მლნ. ლარი) მთლიანი მოცულობის 71% შეადგინა, 2010 წელს - 87%, 2009 წელს - 84% და ა.შ. ინვესტიციების დანარჩენი მოცულობა ნაწილდება ისეთ დარგებზე, როგორიცაა მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სხვ.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოქმედებს ეროვნული ბანკის გორის ფილიალი, 13 კომერციული ბანკის ფილიალი და საკრედიტო დაწესებულებები. ბანკებში დღითიდღე იზრდება რიცხული დეპოზიტების მოცულობა და შეთავაზებული საბანკო მომსახურების არეალი.

მიუხედავად რეგიონის ეკონომიკური განვითარების მაღალი პოტენციალისა, რეალური ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა. არსებული სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს მოვლენებმა. ომის შედეგად შიდა ქართლში მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა; საქართველოში სულ 250,658 დევნილია, რომელთაგან 14,298 შიდა ქართლში ცხოვრობს, რაც ქვეყანაში ყველა დევნილთა 5.7% და რეგიონის მოსახლეობის 4.5%-ს შეადგენს. დევნილთა უდიდესი ნაწილი (თითქმის 70%) გორის მუნიციპალიტეტში და საკუთრივ ქალაქ გორში ცხოვრობს. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, შიდა ქართლის ძირითად პრობლემებსაც უმუშევრობა, სიღარიბე, დევნილთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, ინფრასტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობა, საგზაო მეურნეობის მოწესრიგება და ა. შ. წარმოადგენს. გამოსავალი ერთია: არსებული რესურსების მაქსიმალური ჩართვა მეურნეობაში, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადაპტაცია ევროპულ ბაზართან, აგრარული სექტორის ტექნიკური აღჭურვილობის გადახალისება და დამატება, პრობლემების მოგვარება ირიგაციისა და ქიმიზაციის სფეროში, ადგილობრივი ბაზრის ორგანიზაციის გაუმჯობესება და სხვ.

შიდა ქართლის რეგიონის ერთიანი SWOT ანალიზი წარმოდგენილია 2014-2021 წლების სტრატეგიაში, რომელიც გასულ, 2013 წელს დამტკიცდა: [2]

S - ძლიერი მხარეები	**W** - სუსტი მხარეები
• ცენტრალური მდებარეობა კავკასიის რეგიონში, სიახლოვე თბილისთან. • მდებარეობა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე და რკინიგზაზე. • ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. • ნაყოფიერი ნიადაგები და მდიდარი წყლის რესურსები. • აგროწარმოების, განსაკუთრებით მეხილეობის, მდიდარი ტრადიციები. • ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. • ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა. • სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურის ნაწილობრივი მოწესრიგება, განსაკუთრებით ქალაქებში. • საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება რეგიონული პროექტების განხორციელებაში. • იაფი მუშახელი.	• კონფლიქტი და ოკუპირებული ტერიტორია. • დევნილთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მაღალი ხვედრითი წილი. • დაბალგანვითარებული ურბანული სისტემა. • ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია. • მოსახლეობის შემოსავლის დაბალი დონე. • ნატურალური სოფლის მეურნეობის სიჭარბე და აგროპროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა. • მიწების ძლიერი ფრაგმენტაცია და მცირემიწიანი მეურნეობების სიმრავლე. • აგროსაწარმოო ინფრასტრუქტურისა და სერვისების (რწყვა, ს-ს ტექნიკა, სასუქები და ა.შ.) სიმცირე და ხელმიუწვდომობა. • განათლებისა და ინოვაციური ცოდნის სიმწირე აგროწარმოებასა და სხვა ბიზნესებში. • სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების მაღალი რიცხვი. • შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს არარსებობა. • ცუდი კომუნალური მომსახურება და გაუმართავი სისტემები, განსაკუთრებით სოფლად. • საზოგადოებრივი ტრანსპორტის არქონა. • გარემოს დაბინძურების, ნიდაგების დეგრადაციის, ტყის ჩეხვის მაღალი ხარისხი; დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება. • ადგილობრივი/საკუთარი ფინანსური რესურსების სიმწირე.
O - შესაძლებლობები	• **T** - საფრთხეები
• მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების უფრო სრული და ეფექტიანი გამოყენება. • საქალაქო სისტემის განვითარება. • აგროსაწარმოო ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება. • იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. • ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვა. • მეწარმეთა/ფერმერთა ცოდნის ამაღლება. • ბიოლოგიურად სუფთა აგრო წარმოების განვითარება. • დასახლებებში კომუნალური სერვისების უზრუნველყოფა. • გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება მოსახლეობასა და ადმინისტრაციაში. • ადგილობრივი შემოსავლების ზრდა.	• კონფლიქტის გამწვავება. • მოსახლეობის მასშტაბური შემცირება. • არათანმიმდევრული პოლიტიკა ადგილობრივ მეწარმეთა დახმარების კუთხით (მაგ., დაუსაბუთებელი სუბსიდირება, გაუმართლებელი ჩარევა, არადიფერენცირებული მიდგომები და ა.შ.). • ადგილობრივი ფინანსური რესურსების სიმწირე. • არაეფექტიანი მართვა ადმინისტრაციის მიერ და მოქალაქეთა არ ჩართვა გადაწყვეტილების მიღებისას.

რეგიონის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემური განვითარება;
- აგროსექტორთან დაკავშირებული ბიზნესების განვითარება;

- რეგიონში არსებულ რესურსებზე ორიენტირებული სხვა (აგრარულის გარდა) ბიზნესების განვითარება;
- განვითარებისათვის აუცილებელი ადამიანური კაპიტალის არსებობა და ამისთვის აუცილებელი სერვისების მიწოდება;
- პრიორიტეტი: ეკოლოგიურად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს არსებობა.

საქართველოს მთავრობამ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა, კიდევ ბევრი ძალისხმევაა საჭირო შიდა ქართლის პოლიტიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების საპასუხოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საბიუჯეტო შემოსავლებისა და ტრანსფერების მიზნობრივი განაწილება და მიზნობრივი გამოყენება.

შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიული განვითარება მიმართული უნდა იყოს რეგიონული მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის სტრუქტურირებაზე. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წწ. სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტა, სტაბილური ეკონომიკური ზრდის საფუძველზე დასაქმებისა და მაღალი შემოსავლების გენერირება ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგენს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. http://shidakartli.gov.ge/index.php/ge/100-sida-qartlis-regionuli-ganvitarebis-sabwom-regionuli-ganvitarebis-strategia-daamtkica
2. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის http://www.mrdi.gov.ge/ge/news/rdevelopment/52b2e7170cf2f9b6fab6b470
3. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია
4. წყარო: საქსტატი http://www.geostat.ge/

რეზიუმე

რეგიონული განვითარების პოლიტიკის მთავარ უპირატესობად ამა თუ იმ რეგიონის სტრუქტურული სპეციფიკის ცოდნა და გარდაქმნის შესაძლებლობები მიიჩნევა. რეგიონების დიფერენცირება რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების მიხედვით, თითოეული რეგიონის სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება არა მხოლოდ რეგიონის მცხოვრებთა, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს და რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები ყველაზე მეტად შიდა ქართლზე აისახა. გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი. შედეგად, ამ რეგიონში შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი. საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ადგილობრივი მოსახლეობის და დევნილების პრობლემების გადასაჭრელად და ახალი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, კიდევ ბევრი ძალისხმევაა საჭირო შიდა ქართლის პოლიტიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების საპასუხოდ.

შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წწ. სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტა, სტაბილური ეკონომიკური ზრდის საფუძველზე დასაქმებისა და მაღალი შემოსავლების გენერირება ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგენს.

PRIORITIES OF SHIDA KARTLI STRATEGIC DEVELOPMENT

Giuli Giguashvili, Professor

RESUME

The Regional Development Policy of the main advantages of this or that region of the structural specificity of knowledge and transformation capabilities is considered. Resources and development opportunities regional differentiation according to the specifics of each region, the efficient use of not only the region's inhabitants, but also the overall national interest and regional development policy objective.

Georgia in August 2008 was reflected in the results of most of the Shida Kartli region. The number of internally displaced persons. As a result, this region's economic growth has slowed, the government, international organizations

and local communities are important steps to solve the problems of refugees and conflict prevention. However, there are still a lot of work is needed in the Shida Kartli political, security, economic and social challenges.

Shida Kartli region, Development Strategy 2014-2021, the objectives of the solution, based on stable economic growth, generate employment and higher incomes, living standards for the most important guarantee of improvement.

საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის მართვა - ბოლონიის პროცესის თანამედროვე გამოწვევები

თამარ მაკასარაშვილი, პროფესორი
ნინო ორჯონიკიძე, პროფესორი
ლია ნადირაძე, უფროსი მასწავლებელი

განათლების ხარისხის უზრუნველყოფას, შეფასებასა და მონიტორინგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის. საქართველოს მიერთება ბოლონიის დეკლარაციასთან და ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია დაკავშირებულია პროცესში მონაწილე მხარეების მიერ აღიარებული შემდეგი ძირითადი პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებასთან: იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სამსაფეხურიანი სისტემისა და კრედიტების სისტემის შემოღება; მობილურობის ხელშეწყობა; განათლების ხარისხის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების ევროპული განზომილებების დანერგვა; სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში; სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში. როგორც ცნობილია თუნინგმა („თუნინგი“ ანუ საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთშეწყობა ევროპაში) უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, ვინაიდან მის მიერ შემუშავებულმა მეთოდოლოგიამ ხელი შეუწყო ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელებას. [1]

უმაღლესი განათლების სისტემის პრინციპულად ახალი მიდგომები განპირობებულია მსოფლიო ტენდენციებზე რეაგირების აუცილებლობით, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების მოთხოვნებზე. უმაღლესი სკოლა გარდაიქმნა საბაზრო ურთიერთობების სრულუფლებიან სუბიექტად, რაც ხელს უწყობს მისი სტრუქტურის ტრანსფორმაციას, ცოდნისა და სწავლების ახალი მეთოდების ძიებასა და განვითარებას.

საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანია ევროკავშირში გაწევრიანება, ამდენად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობა ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებში, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთიანი, ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა.

ხარისხის ცნება, ისევე, როგორც ტერმინები “ხარისხის მართვა”, “ხარისხის კონტროლი” და “ხარისხის უზრუნველყოფა”, განათლებაში ბიზნესის სფეროდან შემოვიდა. ყოველდღიურ ცხოვრებასა და ბიზნესში ხარისხს პრაგმატული ინტერპრეტაცია აქვს და განიმარტება, როგორც რაღაცის გამოსადეგობა, აღმატებულება, სიკარგე - ეს ამ ტერმინის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ინტერპრეტაციაა. ბიზნესის სფეროში მრავალი განსხვავებული მექანიზმი და კონცეფცია იქნა შემუშავებული პროდუქტისა თუ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ისეთი, როგორიცაა Zero Defects (წუნის არარსებობა), ხარისხის ციკლი, TQM - ხარისხის ტოტალური მართვა, Theory of Constraints (TOC - შეზღუდვის თეორია), Quality Management Systems (ხარისხის მართვის სისტემები - ISO9000 და სხვ.) და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის კონტროლის, უზრუნველყოფისა და მართვის ცნობილი მეთოდების უშუალო გადატანა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვერ ხერხდება ამ დაწესებულებებში მართვის ამოცანების სპეციფიკურობის გამო. თანამედროვე უმაღლესმა სასწავლებელმა თავი უნდა სცნოს როგორც „ბაზრის სუბიექტმა“ და შესაბამისად აღიაროს საბაზრო

[1] თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, პროექტის ანგარიში, რედაქტორები: ლ. ბაქრაძე, თ. ჭანტურია, თბ., 2009.

ეკონომიკის კანონზომიერებები, აუცილებელი ხდება ISO 9000 სერიის სტანდარტებისა და ხარისხის ტოტალური მართვის (TQM) მეთოდოლოგიის საგანმანათლებლო სფეროსათვის ინტერპრეტირება, უმაღლეს სასწავლებელში ხარისხის მართვის სპეციფიკური ალგორითმებისა და საშუალებების დამუშავება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო სფეროში ხარისხის პროცესების დანერგვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ ხარჯების დაზოგვას და უფრო ეფექტურ გამოყენებას უწყობს ხელს.

დამოუკიდებლად იმისა, ხარისხის ცნებას პროდუქტს თუ პროცესს მივუსადაგებთ, მისი მიღწევა სერიოზული პრობლემაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. უმაღლესი განათლების კონსერვატული და ამავდროულად ტურბულენტური ხასიათი, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ტრადიციული და უკვე მოძველებული სისტემა, ანგარიშვალდებულების ტრადიციის არარსებობა, ძალიან ბევრი მონაწილე და დაინტერესებული მხარე (აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, სტუდენტები, დამსაქმებლები, სხვა სოციალური პარტნიორები, დამხმარე პერსონალი და სხვ.) მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად ართულებს ხარისხის უზრუნველყოფას.

საქართველოში ამას ემატება უმაღლესი განათლების რეფორმის სწრაფი ტემპი, მუდმივი ცვლილებები, უმაღლესი განათლების მართვის სპეციალისტების ნაკლებობა და, რაც მთავარია, ხარისხის კულტურის არარსებობა.

ტერმინი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ბიზნესის სფეროში გამოიყენება, მოიცავს ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, რომლებიც ზრდის ნდობას იმისადმი, რომ მოცემულ სტრუქტურას, სისტემას და ან სტრუქტურულ ერთეულს შეუძლია მომსახურების დამაკმაყოფილებელ დონეზე შესრულება.

ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს ხარისხის კონტროლს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის ფიზიკურ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს ამ მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის შესაბამისობას წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფა მრავალ ეტაპს მოიცავს. [1]

ბიზნესში არსებული ეს მიდგომა შეიძლება პირდაპირ იქნეს გადმოტანილი უმაღლესი განათლების სფეროში. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული პარადიგმა ხარისხის მართვაში არის ე.წ. PDCA მიდგომა, რომელიც ასევე ცნობილია Sovhartis ციკლის სახელით Shewhart cycle. P – plan- დაგეგმე; D – do- განახორციელე; C – check- შეამოწმე; A – act- მოახდინე რეაგირება.

ამ მოდელის გადმოტანა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში ნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა:

- დეტალურად დაგეგმოს საკუთარი სამუშაო - განსაზღვროს, საქმიანობის რომელი ასპექტები, სასწავლებლის რომელი სტრუქტურები, რომელი პროგრამები რა თანამიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული;
- განახორციელოს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;
- გააანალიზოს მიღებული შედეგები;
- განსაზღვროს ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში დასახოს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, რაც განპირობებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილით, ტრადიციით, ზომით (ფაკულტეტების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა), შეიძლება ითქვას, რომ PDCA ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის პრინციპი საერთო უნდა იყოს.

უმაღლესი განათლების სფეროში ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს, რომლის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს როგორც საგანმანათლებლო პროცესების, ასევე საგანმანათლებლო „პროდუქციის“ მაღალ ხარისხს.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 25) განმარტავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებს:

[1] ა. სამადაშვილი, შ. ჯაფარიძე, განათლების ხარისხის მართვა, ხარისხის პრემიები, თბ., 2007.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ასევე დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზურნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

ამასთანავე, კანონი ავალდებულებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შექმნას მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (თავი IV - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა); თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ფუნქციების მატარებელი სტრუქტურული ერთეული არსებობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე სასწავლებლებშიც - ამ უკანასკნელებს კანონის ძალით უფრო მეტი თავისუფლება აქვთ საკუთარი ორგანიზაციული დანაყოფების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრისას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები რამდენიმე ნაწილად იყოფა:

- უსდ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- პერსონალის პროფესიული განვითარება;
- აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადება.

ყველა ეს ფუნქცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. შეფასება ნაკლოვანებებისა და საჭიროებების გამოვლენის საშუალებას იძლევა; ნაკლოვანებების აღმოფხვრა თანამედროვე მეთოდიკის დანერგვისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებით ხორციელდება, ეს ყველაფერი კი თვითშეფასების ანგარიშში უნდა აისახოს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იქმნება როგორც უნივერსიტეტის, ასევე ცალკეული ფაკულტეტების დონეზე (მუხლი 31):

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზურნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზურნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურებისა და მექანიზმების ერთობლიობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას;
- პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად (სურ. 2).[1]

[1] www.gu edu.ge



სურ.2

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- „დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.[1]

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიისა და პროცედურების კუთხით აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და სტანდარტები. აგრეთვე განვითარებულ იქნეს კულტურა, რომელიც აღიარებს ხარისხის და მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობას უნივერსიტეტის მუშაობაში. სტრატეგიას და პროცედურებს უნდა გააჩნდეთ ოფიციალური სტატუსი და უნდა იყვნენ საჯარო. ისინი უნდა ითვალისწინებდნენ აგრეთვე სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები, ერთი მხრივ, წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომელშიც უნივერსიტეტი შეძლებს შეიმუშაოს და მონიტორინგი განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი დახმარებას გაუწევენ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას უნივერსიტეტის მიმართ.

ლიტერატურა:

1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ, ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბ., 2005.
2. ბერლინის კომუნიკე, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა, ბერლინი, 19 სექტემბერი, 2003.
3. თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. პროექტის ანგარიში, რედაქტორები: ლ. ბაქრაძე, თ. ჭანტურია, თბ., 2009.

[1] www.gu edu.ge

4. ბოლონიის დეკლარაცია, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, ბოლონია 19 ივნისი, 1999.
5. პრაღის კომუნიკე, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, პრაღა 19 მაისი, 2001.
6. სამადაშვილი ა., ჯაფარიძე შ., განათლების ხარისხის მართვა. ხარისხის პრემიები, თბ., 2007.
7. www.education.ge
8. www.mes.gov.ge
9. www.tpdc.ge
10. www.gu edu.ge

რეზიუმე

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და სტანდარტები. აგრეთვე განვითარებულ იქნას კულტურა, რომელიც აღიარებს ხარისხის და მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობას უნივერსიტეტის მუშაობაში. სტრატეგიას და პროცედურებს უნდა გააჩნდეთ ოფიციალური სტატუსი და იყვნენ საჯარო, უნდა ითვალისწინებდნენ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოფიციალური პოლიტიკა წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომელშიც უნივერსიტეტი შეძლებს შეიმუშაოს და მონიტორინგი განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე და მეორეს მხრივ, დახმარებას გაუწევს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას უნივერსიტეტის მიმართ.

QUALITY MANAGEMENT IN EDUCATION – MODERN CHALLENGES OF BOLOGNA PROCESS

Tamar Makasarashvili, Professor
Nino Orjonikidze, Professor
Lia Nadiradze, Senior Teacher

RESUME

While determining directions of university quality assurance service activities, quality assurance service should develop strategies and proper procedures to ensure high quality and standards of educational programs. It also is necessary culture, recognizing importance of quality and its assurance in university activities, to be developed. Strategies and procedures should have an official status and they should be public, students' and other stakeholders' inclusion should have been taken into account as well. The official policy of quality assurance service is the framework in which the university will develop and implement the monitoring of quality assurance system on one hand, and on the other hand, it will increase the confidence towards a university.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა

ნათელა მარტინენკო, *მოწვეული სპეციალისტი*

ინოვაციური პოლიტიკა არეგულირებს ინოვაციური სისტემის სამი ძირითადი მონაწილის - სახელმწიფოს, ბიზნესის და მეცნიერების ურთიერთობების საკითხებს. ინოვაციური პოლიტიკა ზოგადი სახით შეიძლება განისაზღვროს როგორც იმ სახელმწიფო ღონისძიებების სისტემა, რომლებიც მიმართულია ინოვაციური საქმიანობის ფორმირებაზე, განვითარებასა და საზოგადოების მიერ პრაქტიკულ ათვისებაზე. სახელმწიფო და მისი ინოვაციური პოლიტიკა სოციალური მოვლენაა, ისევე, როგორც ინოვაციური პროცესი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკის განსაკუთრებულ მდგომარეობას.

საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება კონკურენციას, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეიცავს საზოგადოებრივი მოთხოვნისადმი შეწყობის სტიმულებს, წარმოების სრულყოფის მოტივებს, მიუხედავად ამისა, თავად საბაზრო ეკონომიკა გადააქცევს კონკურენციას მონოპოლიად.

საბაზრო ეკონომიკას აქვს ციკლური ხასიათი, იგი პერიოდულად ვარდება კრიზისულ მდგომარეობაში, რომლის დაძლევაც გარეშე ძალის გარეშე არ შეუძლია.

საბაზრო ეკონომიკა, როგორც თავისუფალი კერძო მეწარმეობის სისტემა არაქმედითუნარიანია ინოვაციური თვალსაზრისით. ამიტომ სოციუმის მიერ ხდება დამატებითი ორგანიზაციული საშუალების ეკონომიკაზე, შესაბამისად მის ცალკეულ პროცესებზე (ინოვაციურის ჩათვლით) სახელმწიფო ზემოქმედების სისტემის ფორმირება. ასე ობიექტურად, თავად საბაზრო ეკონომიკის თვისებების ზემოქმედების ქვეშ სახელმწიფოსთან ერთად ფორმირდება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკაც, რომელიც ახასიათებს საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების მარეგულირებელი პირობებისა და საშუალებების სისტემას.

სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებების სისტემას, რომლის მიზანია არჩეული საზოგადოებრივი წყობის შენარჩუნება და განვითარება სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური ფაქტორების საფუძველზე. სოციალურ-ეკონომიკური წყობა მყარდება სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პროცესებით, ავლენს რა თავის კვლავწარმოებისა და განვითარების უნარს. მაგრამ ამ წყობის ნაკლოვანებები ასევე აისახება სამეცნიერო-კვლევითი, ინოვაციური საქმიანობის მდგომარეობასა და შედეგიანობაზე. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უუნარობა, მოახდინოს სამეცნიერო-ტექნიკური ნოვაციების ფორმირება, მიუთითებს მის ზოგად შეუმდგრადობაზე.

სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკურ, ინოვაციურ პოლიტიკას მიეკუთვნება ასევე ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ეკონომიკის სამეცნიერო, ინოვაციური სფეროს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოწყობასთან. სამეცნიერო, ინოვაციური საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების რეჟიმში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, საბაზრო და არასაბაზრო (არაკომერციული) ურთიერთობების პირობებში. სამეცნიერო და ინოვაციური სფეროებისათვის ეკონომიკური რეჟიმის არჩევა შეადგენს სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პოლიტიკის კონცეპტუალურ მომენტს.

სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პოლიტიკის საფუძველზე ხდება სამეცნიერო და ინოვაციური სფეროს სახელმწიფო რეგულირების ფორმირება: იქმნება ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ აღნიშნულ სფეროში, ფორმირდება მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ინოვაციური პროცესების მოწყობა, ყალიბდება ფუნდამენტური და საცდელ-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოებაში დანერგვის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი.

ამგვარად, სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პოლიტიკა „გადადის“ აღნიშნული პროცესების სახელმწიფო რეგულირებაში, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო წარმოების ამ ორი მომენტის: ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პრაქტიკული სტრუქტურულ-სისტემური ორგანიზაციისა და პოლიტიკის სინთეზზე.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფოს ეფექტური ზემოქმედება მეცნიერებაზე, მთელი ინოვაციური პროცესი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეროვნული ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების, როგორც თანამედროვე მსოფლიოში მისი შენარჩუნების უპირველესი პირობის, აუცილებლობის საზოგადოებრივი გაცნობიერებულობა. ამ გაცნობიერებულობის გამოხატულებად გვევლინება სახელმწიფოს სამეცნიერო-კვლევითი, ინოვაციური პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, გამოხატოს სამეცნიერო და ინოვაციურ პროცესებზე სახელმწიფო ზემოქმედების გენერალური მიზანი და, მეორე, განსაზღვროს და გამოიყენოს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებში მათი სტიმულირების საბაზრო და არასაბაზრო საშუალებები.

თავის სამეცნიერო-ტექნიკურ და მასთან დაკავშირებულ ინოვაციურ პოლიტიკას სახელმწიფო ახორციელებს მის მიერ შექმნილი მექანიზმის მეშვეობით. ასეთი მექანიზმი შედგება და ხორციელდება როგორც ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების საერთო მექანიზმის განსაკუთრებული ნაწილი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მექანიზმის, შესაბამისად ინოვაციური პროცესის სახელმწიფო რეგულირების ძირითად შემადგენელ მომენტებს წარმოადგენენ:

* ინოვაციური სახელმწიფო პროგნოზირება;
* სახელმწიფო ინოვაციური პროგრამირება, დაგეგმარება;

* სახელმწიფო ინოვაციური პროგრამების, გეგმების შესრულების ორგანიზაცია;
* მიღებული სახელმწიფო ინოვაციური პროგრამებისა და გეგმების შესრულებაზე კონტროლი;
* სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის კორექტირება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მექანიზმის ყოველ დასახელებულ მომენტს უკავია განსაკუთრებული ადგილი ინოვაციურ პროცესზე სახელმწიფო ზემოქმედების სისტემაში. ინოვაციური პროგნოზირების მიზანი მდგომარეობს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სამეცნიერო ჰიპოთეზის შექმნაში. ინოვაციური პროგრამირება, დაგეგმვა ახდენს შესაბამისი გადაწყვეტილებების ფორმირებას, რომლებიც განსაზღვრავენ ინოვაციურ სფეროში სახელმწიფოს კონკრეტულ ინოვაციურ ქმედებებს.

ინოვაციური პროგნოზირების, პროგრამირების, დაგეგმვისას სახელმწიფო განსაზღვრავს თავისი სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციას განსაზღვრული ვადით. მასში დასახელებულია სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის მიზნები, განისაზღვრება ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და თვით ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, განისაზღვრება სახსრები, რომლებიც საჭიროა დასახული ინოვაციური პოლიტიკის განსახორციელებლად, მათი გამოყენების პირობები. ამგვარად, ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია გამოხატავს არა მხოლოდ მის მიზნებს, მიმართულებებს, არამედ მისი რეალიზაციის მექანიზმსაც.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის საერთო მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი უკავია დასახული ინოვაციური გეგმების, პროგრამების შესრულების ორგანიზაციას. ინოვაციური პოლიტიკის დასაბუთებული და შინაარსობრივად დამუშავებული მიზნები და მიმართულებები დარჩება მხოლოდ გეგმებად და არ განხორციელდება, თუ სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათი მიღწევის ორგანიზაციას, არ ჩამოაყალიბებს ინოვაციურ პროცესში თავისი მონაწილეობის მკაფიო და ოპერატიული კორექტირების პრაქტიკას. ამ პოლიტიკის შედეგიანობა პირდაპირ განისაზღვრება მასზე საზოგადოებრივი გამოხმაურების მდგომარეობით.

ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება ავსებს საბაზრო მექანიზმს. ერთად ისინი გამოხატავენ არა ანტოგონიზმს, არამედ ურთიერთქმედებას. ერთიც და მეორეც აყალიბებენ მეურნეობრიობის განსაკუთრებულ რეჟიმებს, რომლებიც შეესაბამება ეკონომიკური ურთიერთობების მრავალფეროვნებას, იძლევიან ინოვაციური პროცესების სახელმწიფო სტიმულირების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას.

ეკონომიკის მსხვილმასშტაბიანი, დინამიური და „ჰარმონიული“ მოდერნიზაცია ითვალისწინებს სახელმწიფოს როლის გაზრდას კერძო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის მართვაში. ასეთი ზრდის საჭიროება განპირობებულია მიზეზების მთელი კომპლექსით.

უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს განსახორციელებული ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების სირთულე და მასშტაბების ზრდა, რის გამოც მათი რეალიზაცია ხშირად იქცევა დაუძლეველ ამოცანად კერძო ბიზნესისათვის და საჭიროებს უფრო მნიშვნელოვან და მრავალმხრივ სახელმწიფო მხარდაჭერას. შემდეგი მიზეზი გამომდინარეობს ინოვაციური ბიზნესის სხვადასხვა სუბიექტების ცენტრალიზებული კოორდინაციისა და ინტეგრაციის გაძლიერების საჭიროებიდან მათი ურთიერთქმედების გართულების პირობებში. მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება დასახელდეს ანტიმონოპოლიური რეგულირების სახელმწიფო სისტემის გაფართოებისა და გაძლიერების საჭიროება, რომელიც მოწოდებულია აღმოფხვრას ინოვაციების ბლოკირების, ზოგიერთი (განსაკუთრებით ბუნებრივი) მონოპოლიების მხრიდან ინოვაციური პროცესების დაბრკოლების ჩამოყალიბებული სისტემა. გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს, როგორც კერძო ინოვაციური ბიზნესის პოზიტიური აქტივობისა და სოციალური პასუხისმგებელის უმნიშვნელოვანესი რეგულატორის და მასტიმულირებლის როლი, როგორც ეროვნული ეკონომიკის და მისი წარმომადგენლების „დამცველის” როლი ინოვაციების ექსპორტისა და იმპორტის წარმოებისას და ა.შ.

იმისათვის, რომ ინოვაციური ბიზნესის სხვადასხვა სუბიექტების საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტების ეფექტიანი „ჩაშენება” ზოგადსახელმწიფოებრივი ინოვაციური სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში.

აღნიშნული ამოცანა შეიძლება ამოიხსნას ორი ხერხით. პირველი ვარაუდობს ინოვაციური ბიზნესის დირექტიულ-ცენტრალიზებულ „დამიზნებას“ ზოგადმნიშვნელოვანი ინოვაციების შექმნაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე, რომლებიც „მონიშნული“ და „ჩამოშვებულია“ ზემოდან. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოცემული ხერხი შეიძლება გამოყენებული იქნეს საკმაოდ

შეზღუდულ ფარგლებში. მაგალითად, სახელმწიფო სექტორის იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ქონებას იღებენ მესაკუთრისაგან (სახელმწიფოსგან) სამეურნეო წარმოებისა და ოპერატიული მმართველობის პირობით. ან ინოვაციური ბიზნესის იძულებითი სახელმწიფო კორექტირებისას, როდესაც ის „სცდება დაშვებულის ფარგლებს“, ქმნის და ავრცელებს რა რესურსმფლანგველ, ეკოლოგიურად მავნე და სოციალურად საშიშ ინოვაციებს, როდესაც ქმნის და ნერგავს ფულადი ნაკადების, საკუთარი ქონების მართვის „ჩრდილოვან“ ინოვაციურ სქემებს და ა.შ.

მეორე ხერხი ეფუძნება ინოვაციური ბიზნესის მოქნილ საბაზრო „ჩაშენებას“ ზოგადსახელმწიფოებრივ ინოვაციურ პროგრამებში და პროცესებში, მაკროეკონომიკური ინოვაციური სტრატეგიისა და პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ზოგადად უნარჩუნებს ინოვაციური ბიზნესის წარმომადგენლებს „შემოქმედებით" თავისუფლებას ინოვაციური განვითარების ვარიანტის არჩევისას. ამავდროულად, სპეციალური სტიმულები და ბერკეტები (გადასახადებით, სახელმწიფო დაკვეთებით, სუბსიდიებით, საამორტიზაციო ანარიცხებით და ა.შ.) უყალიბებს დასახელებულ წარმომადგენლებს დაინტერესებას ინოვაციური ქცევის ისეთი ვარიანტების რეალიზაციაში, რომლებიც შეესაბამება ზოგადსახალხო ინტერესებს და ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მეცნიერების განვითარების საკვანძო, პრიორიტეტულ მიმართულებებს.

წარმატებით შეიძლება ზემოთ ხსენებული ხერხების ურთიერთკომბინირება. როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, ასეთი კომბინირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ვარიანტს წარმოადგენს კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობა.

ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციისას მნიშვნელოვანია ბაზრის იმ კონკრეტული სუბიექტების საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინება, რომლებიც დაკავებულნი არიან ინოვაციების შექმნით, გავრცელებითა და გამოყენებით.

ყველაზე ძლიერ და აქტიურ „მოთამაშეებს“ ინოვაციური სისტემის ფარგლებში და ამავდროულად სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენენ კორპორატიული ტიპის მსხვილი საწარმოები. უპირველეს ყოვლისა, მათ გააჩნიათ დიდი რესურსული პოტენციალი და, შესაბამისად, როგორც შედეგი, ყველაზე მსხვილი, დანახარჯებრივი და მაღალტექნოლოგიური ინოვაციების გენერაციისათვის საკეთილდღეო შესაძლებლობები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინოვაციების გამოყენებაც (განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურის და ძვირადღირებულის), როგორც წესი, უფრო მიზანშეწონილი და ეფექტიანია მსხვილ კორპორატიულ წარმონაქმნებში, რომლებსაც გააჩნიათ წარმოებისა და გასაღების უფრო მაღალი მოცულობები, გაზრდილი სამეცნიერო-ტექნიკური მოთხოვნილებები და ინოვაციური დანახარჯების ამოგების დიდი სისწრაფე.

ამასთანავე, მსხვილი ინოვაციური ბიზნესი თავის მძლავრ პოტენციალს გამოიყენებს მხოლოდ თავისი ანგარებიანი მიზნების მისაღწევად, ივიწყებს საზოგადოების ინტერესებს, სოციალურ პასუხისმგებლობას, პატრიოტიზმს, სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. დიდი და ურთიერთწინააღმდეგობრივი როლი, რომელსაც თამაშობს მსხვილი ბიზნესი ინოვაციური სისტემის ფარგლებში, მისი მზარდი ზემოქმედება საზოგადოებრივ და ბუნებრივ პროცესებზე, განაპირობებენ სახელმწიფოს როლის ზრდას მსხვილი კაპიტალის ინოვაციური საქმიანობის რეგულირებაში.

მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შეხამებული სახელმწიფო მხარდაჭერის პირდაპირი და ირიბი მეთოდები. პირდაპირი მეთოდები ითვალისწინებენ უშუალოდ საბიუჯეტო დაფინანსებას სპეციალური ინოვაციური სუბვენციების, სუბსიდიების, სესხების მეშვეობით. ეს ყველაზე მიზანშეწონილია კრიზისების გამწვავების პერიოდში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი კორპორაცია მონაწილეობას იღებს მსხვილმასშტაბიან, რესურსმოცულობით და სოციალურად მნიშვნელოვან ინოვაციურ პროექტებში და როდესაც კორპორატიული კაპიტალი გაზრდილი ინოვაციური დატვირთვის ქვეშ განიცდის ობიექტურ ფინანსურ სიძნელეებს.

პირდაპირი მხარდაჭერის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ასევე სახელმწიფოს მიერ ინოვაციური პროფილის სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანიზაციების ქსელის შექმნა და დანერგვა ეკონომიკის მეცნიერმოცულობით, კაპიტალმოცულობით და მაღალტექნოლოგიურ დარგებში. მოცემული ორგანიზაციები ინოვაციური ციკლის სასტარტო სიძნელეების გადალახვისა და შექმნილი ინოვაციებით თვითამოგებაზე გადასვლის შემდეგ შეიძლება მიეყიდოს (სრულიად ან ნაწილობრივ) კერძო ინვესტორებს.

ირიბი სახელმწიფო მხარდაჭერა ითვალისწინებს ინოვაციური საქმიანობის ყველაზე აქტიური და „პოზიტიური“ მონაწილეების საგადასახადო დატვირთვის შემცირებას, ძირითადი კაპიტალის ინოვაციური თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ელემენტების დაჩქარებული

ამორტიზაციის ნორმების გამოყენებას, საიმპორტო და განსაკუთრებით საექსპორტო საბაჟო მოსაკრებლების შემცირებას სიახლეების შემოტანასა და გატანაზე, კერძო ბიზნესის მოზიდვას ინოვაციური სახელმწიფო დაკვეთების შესასრულებლად და ა.შ.

მხარდაჭერის პირდაპირი და ირიბი მეთოდების თავისებურ კომბინაციას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა კორპორაციების ინოვაციურ ბიზნესში, მათი საწესდებო კაპიტალის და მთელი ქონების ფორმირებაში. ასეთი მონაწილეობის მეშვეობით სახელმწიფო ასრულებს ინვესტორის ფუნქციებს, რომელიც სთავაზობს კორპორაციებს დამატებით რესურსებს მათი ინოვაციური საქმიანობისთვის. ამავდროულად იგი იღებს შესაძლებლობას კერძო ინვესტორებთან (აქციონერებთან) ერთად მიიღოს მონაწილეობა კორპორატიული ბიზნესის მართვაში, გააძლიეროს მისი ორიენტაცია ინოვაციური განვითარების ამოცანების და ზოგადსახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევაზე.

მაგრამ, აღნიშნული ორგანიზაციების განვითარებისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი არ გარდაიქმნენ ინოვაციურ მონოპოლისტებად, არ იქცნენ საბიუჯეტო რესურსების თავისებურ „ელიტარულ" მომხმარებლებად, არ მოგვევლინონ ქვეყნიდან ინოვაციების და მათი შემქმნელების იაფი ექსპორტის ორგანიზატორებად. დაუშვებელია, რომ აღნიშნულმა კორპორაციებმა ხელოვნურად გაზარდონ ინოვაციური ხარჯები და ფასები მათ მიერ წარმოებულ ინოვაციებზე, გაართულონ ინოვაციურ სფეროში სხვა სუბიექტების შეღწევადობა, ხელი შეუშალონ სიახლეების ფართო გავრცელებას, გამოიყენონ ინოვაციური ბაზრის უფრო წვრილი და სუსტი მონაწილეების შთანთქვის „ბინძური" ტექნოლოგიები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო კონტროლი ინოვაციური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების განაწილებაზე. მოცემული განაწილება უნდა იქნეს ყოველმხრივ დასაბუთებული, უნდა ითვალისწინებდეს კორპორაციებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, დადებით მოტივაციას უქმნიდეს არა მხოლოდ ინვესტორებსა და მესაკუთრეებს, არამედ სიახლეების შექმნაში, გავრცელებასა და გამოყენებაში მონაწილე ყველა პირს.

რა თქმა უნდა, აქ არ არის საუბარი უხეშ სახელმწიფო „ინტერვენციაზე" კორპორატიული ქონების მართვაში. მაგრამ სახელმწიფოს კორპორაციების ინოვაციური პოტენციალის ზრდის მიზნით შეუძლია მოახდინოს შემოსავლების ინოვაციურ საქმიანობაში რეინვესტირების სტიმულირება. ამისათვის მიზანშეწონილია მოხდეს შეღავათების დაწესება შემოსავლების გადასახადებით დაბევრისას იმ ნაწილში, რომლის რეინვესტირებაც მოხდება იმ ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც გამოიყენება სხვა მიზნებისთვის (მაგალითად დივიდენდების გაცემაზე, ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე, ვალუტის შესყიდვაზე და ა.შ.).

ანალოგიური მიზნებით სახელმწიფოს შეუძლია ასევე საკუთარ თავზე აიღოს იმ საბანკო კრედიტებისა და საბიუჯეტო სესხების პროცენტების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა, რომლების აღებულია კოპრორაციების მიერ იმ ინოვაციური პროექტების რეალიზაციისთვის, რომლებიც პრიორიტეტული და უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ასევე მცირე ინოვაციური ბიზნესი. აღნიშნულ ბიზნესს გააჩნია დამახასიათებელი თავისებურებები და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური მეწარმეობის სფეროში რეგულირების სპეციფიკური მექანიზმის გამოყენებას.

მცირე ბიზნესს, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რეზერვები და „მაკომპენსირებელი მექანიზმები", ობიექტურად ესაჭიროება სწრაფი და მუდმივი შემოსავლები. ამიტომ თვითგადარჩენის ინტერესებში იგი ხშირად გვერდს უვლის ინოვაციებს, რომელსაც გააჩნია ხანგრძლივი დანახარჯებრივი ციკლი.

მცირე ინოვაციური ბიზნესის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მისი გაზრდილი მობილობა და ინოვაციური ამთვისებლობა. მაგრამ მოცემულ ბიზნესს არ გააჩნია ის რესურსული შესაძლებლობები, რომლებიც აქვთ ამ სფეროს მსხვილ წარმომადგენლებს. აქედან გამომდინარე, წვრილ და საშუალო ინოვაციურ საწარმოებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ინოვაციების კვლავწარმოების სრული ციკლის განხორციელება და იძულებულები არიან მოახდინონ კონცენტრირება შედარებით ლოკალური ინოვაციური ამოცანების ამოხსნაზე. ერთნი დაკავებულნი არიან სამეცნიერო კვლევებით ან საკონსტრუქტორო შემუშავებებით, მეორენი აწარმოებენ ახალი პროდუქციის საცდელ ნიმუშებს და მათ გამოცდებს, მესამეები სპეციალიზდებიან ინოვაციურ მარკეტინგსა და სიახლეების გაყიდვებზე და ა.შ.

უკანასკნელ დროს ძლიერდება ასეთი მცირე ინოვაციური საწარმოების მსხვილ ინოვაციურ ბიზნესთან ალიანსის პროცესი. ამავდროულად მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს მსხვილი კორპორაციების მონოპოლისტური ქცევა. ამ უკანასკნელებს შეუძლიათ თავს მოახვიონ თანამშრომლობის დისკრიმინაციული პირობები (კაბალური გარიგებები), მოახდინონ მათი გამიზნული გაკოტრების (ზარალიანობის) ორგანიზება და შთანთქმა, დააკარგვინონ იურიდიული პირის სტატუსი, უკანონოდ მიითვისონ და მოახდინონ ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე უფლებების მონოპოლიზება.

მცირე ინოვაციური ბიზნესის განხილული თავისებურებები უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პროცესში. სახელმწიფო ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების მეშვეობით მხარს უნდა უჭერდეს მათ შორის ჯანსაღ კონკურენციას, აგრეთვე ხელს უწყობდეს მათ ქმედით ინტეგრაციას, რომელიც ტარდება რესურსების გაერთიანებისა და სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, საფინანსო-სამეურნეო და სხვა „დანაწევრების“ დასაძლევად.

აღნიშნული ინტეგრაციის კონკრეტულ ფორმებად შეიძლება იქცეს ურთიერთმონაწილეობა საწესდებო კაპიტალში და მმართველობაში, კლასტერების, მონათესავე და ურთიერთდამატებითი საწარმოების ქსელების შექმნა, ამხანაგობის ტიპის დროებითი სამეცნიერო-საწარმოო ჯგუფების (გაერთიანებების) ფორმირება განსაზღვრული ინოვაციური ამოცანების ერთობლივად ამოხსნისთვის, ინოვაციური (სარისკო) ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტების ერთობლივად შექმნა.

სასურველია, რომ განხილულ ინტეგრაციაში მონაწილეობას იღებდეს სახელმწიფო უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საწარმოების სახით, რომლებიც, ერთი მხრივ, შეასრულებენ მაკოორდინირებელ-მარეგულირებელ ფუნქციებს, მეორე მხრივ კი - მონაწილეობას მიიღებენ მოცემულ ინტეგრაციაში თავისი ქონებით.

ინოვაციური ციკლის მონაწილეების მხრიდან ურთიერთვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება, შუალედური ინოვაციური პროდუქტების ღირებულების არადროული ან არასრული გადახდა მათ გადასვლისას ინოვაციური კვლავწარმოების ყოველ შემდგომ ეტაპზე, შემცირებული დაინტერესება სასტარტო ინოვაციური ღონისძიებების ჩატარებაში, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მასობრივი ურთიერთდარღვევები და ა.შ. – ყოველივე ეს ერთობლიობაში ზემოთ განხილულ პრობლემებთან საჭიროებს უფრო ქმედით სახელმწიფო რეგულირებას.

საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს ინოვაციური საქმიანობის მონაწილეების საკუთრების უფლების ეფექტიანი დაცვა და ამავდროულად გამკაცრდეს მათი პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულებების დარღვევისთვის სახელმწიფოსა და ინოვაციურ ციკლში პარტნიორების წინაშე, შემოღებული იქნეს დიფერენცირებული გადასახადებით დაბეგვრა ამა თუ იმ საწარმოების რეალური ინოვაციური დატვირთვისა და შემოსავლიანობის გათვალისწინებით, შეიქმნას საკეთილდღეო ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები ინოვაციური ბიზნესის ყველა ფორმის ინტეგრაციისათვის მოცემულ სფეროში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პარალელური გამკაცრების პირობებში, იმოქმედოს „ჩრდილოვანი” ინოვაციური ბიზნესის წინაშე და მოახდინოს სოციალურად პოზიტიური ინოვაციური პროცესების დამატებითი სტიმულირება და ა.შ.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხები თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით სცდებიან არა მხოლოდ მსხვილი ან წვრილი ინოვაციური ბიზნესის ჩარჩოებს, არამედ მთლიანად ინოვაციური სისტემის ჩარჩოებს. ყოველივე ეს მეტყველებს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური და მრავალმხრივი მიდგომების საჭიროებაზე მის წინაშე მდგარი ინოვაციური განვითარების პრობლემების გადაჭრისას.

ლიტერატურა:

1. Экономика инновационного развития, Под ред. М. Кудиной, М., ИНФРА-М, 2014.
2. Шилов А., Инновационная экономика: наука, государство, бизнес// Вопросы экономики, 2011. №1.

რეზიუმე

ინოვაციური პოლიტიკა ზოგადი სახით შეიძლება განისაზღვროს როგორც იმ სახელმწიფო ღონისძიებების სისტემა, რომლებიც მიმართულია ინოვაციური საქმიანობის ფორმირებაზე, განვითარებასა და საზოგადოების მიერ პრაქტიკულ ათვისებაზე. სახელმწიფო რეგულირების ძირითად შემადგენელ მომენტებს წარმოადგენენ: ინოვაციური სახელმწიფო პროგნოზირება; სახელმწიფო ინოვაციური პროგრამირება, დაგეგმვა; სახელმწიფო ინოვაციური პროგრამების, გეგმების შესრულების ორგანიზაცია; მიღებული სახელმწიფო ინოვაციური პროგრამების და გეგმების შესრულებაზე კონტროლი; სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის კორექტირება.

INNOVATIVE POLICY OF THE STATE

Natela Martinenko, Specialist by contract

RESUME

Innovatory policy may be defined in generally as the system of state events, which are directed to formation, development of innovative activity and its practical study by society. The basic component moments of state regulation are: Innovatory state forecasting; State innovatory programming, planning; Organization of implementation of state innovatory programs, plans; Controlling over implementation of the received state innovatory programs and plans; Correction of formation and realization of the state innovatory policy.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ასპექტები

ლალი სადაღაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*
ნანული ქოქაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*
მარინე ბუზიაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი ჩაეყარა მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში და იმ ეკონომიკურ წყობილებას ემსახურებოდა, რომელშიც მოცემულ ეტაპზე ცხოვრობდა ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა. მის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები: მას უნდა დაეკმაყოფილებინა, როგორც სახელმწიფო ინტერესები, ისე თავისუფალი ბაზრის მოთხოვნები.

გეგმიანი ეკონომიკის მსხვრევას მოჰყვა წარმოების არნახული შემცირება, ექსპორტის და იმპორტის დაცემა, ეკონომიკის პარალიზება. იმ პერიოდის საქართველოს მთავრობა მიმდინარე პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული, არ არსებობდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რაიმე სტრატეგიული მიმართულებები. მთავრობა ვერ აკონტროლებდა თავის ფინანსებს, არაეფექტური საგადასახადო შეღავათების პირობებში გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგებოდა.

საქართველოში დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. იმ პერიოდში საგადასახადო სისტემის ძირითადი მარეგულირებელი ნორმატიული აქტი იყო საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“, რომელიც 1994 წლამდე მოქმედებდა. 1994 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი „საგადასახადო სისტემის მოწყობის ზოგადი პრინციპები, გადამხდელის უფლებები, ვალდებულებები და მოვალეობები“. დაწესდა გადასახადები გადამხდელების მოსაკრებლების და სახელმწიფო ბაჟის სახეები.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

- საგადასახადო ორგანოებს;
- საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს;

- გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის მექანიზმს;
- გადასახადით დაბეგვრის ობიექტს;
- საგადასახადო შეღავათებს;
- ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილებას;
- გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობას საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

1998 წლიდან სამოქმედოდ იქნა მიღებული საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- შემცირდა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების რაოდენობა;
- სრული სახე მიიღო გადასახადების დაწესებისა და გადახდევინების სამართლებრივმა საფუძვლებმა;
- აიკრძალა კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების ვინმესთვის დაკისრება და არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი საკითხების დარეგისტრირება, რომელიც დაკავშირებულია გადასახადებთან;
- განიმარტა გადასახადების ცნება;
- ჩამოყალიბდა საქმიანობათა სახეები: სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა, დაქირავებით მუშაობა;
- განიმარტა საწარმოს, ინდივიდუალური საწარმოს, ორგანიზაციის საბიუჯეტო, საქველმოქმედო, რელიგიური საქმიანობა, დაქირავებით მუშაობა;
- გადასახადების საკითხი საგადასახადო კოდექსში დადგა ყველა ნორმატიულ აქტზე მაღლა;
- განიმარტა საწარმოს, ინდივიდუალური საწარმოს, ორგანიზაციის, საბიუჯეტო, საქველმოქმედო, რელიგიური ორგანიზაციების ტერმინები, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კატეგორიები;
- შემოღებულ იქნა ერთობლივი შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვის მექანიზმი და საგადასახადო აღრიცხვის წესები;
- საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა-დარიცხვის მეთოდით;
- უცხოური ბიზნესის დაბეგვრა ისეთივე პრინციპებს დაექვემდებარა, როგორც ადგილობრივი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდიდან უნდა განვიხილოთ გარდამავალი პერიოდის და საბაზრო ეკონომიკის საგადასახადო სისტემები.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საგადასახადო სისტემამ ძირითადად სამი ტიპის ცვლილება განიცადა:

- პირველი, შეიცვალა სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება, გადასახადებისადმი რეფორმა წარიმართა იქითკენ, რომ საგადასახადო სისტემა არ განასხვავებს დარგებს, ე.ი. იგი ნეიტრალურია რესურსების განაწილებისადმი;
- მეორე ტიპის ცვლილება გამოიხატა თვითონ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლაში. საბჭოთა საგადასახადო სისტემა მოიცავდა ოთხი სახის გადასახადს: ბრუნვის გადასახადს, მოგების გადასახადს, საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებს. ბრუნვის გადასახადი შეიცვალა დამატებითი ღირებულების გადასახადითა და აქციზით, მოგების გადასახადზე ყველა დარგისათვის დაწესდა ერთიანი განაკვეთი, შეიცვალა საშემოსავლო და სოციალურ გადასახადთა განაკვეთები.
- მესამე, განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო ადმინისტრირების წესებში, რაც გამოიხატა საგადასახადო სამსახურების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების შეცვლაში და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებისათვის ჯარიმების და სანქციების დონის ცვლილებაში.

2005 წლის 1 იანვარს გამოცემულ საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები, რომლებიც ასახავენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. აღნიშნული კოდექსით დაწესებულია ექვსი საერთო-სახელმწიფოებრივი და ორი ადგილობრივი გადასახადი. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, სოციალური გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი, ხოლო ადგილობრივი გადასახადებია: ქონების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი. აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს და ადგენს:

- საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს;
- განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ადმინისტრაციის სამართლებრივ მდგომარეობას;
- ადგენს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას;
- საგადასახადო ადმინისტრაციისა და მის თანამდებობის პირთა არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს;

- აწესრიგებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

გადასახადი, ამ კოდექსის მიხედვით, არის საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადასახადის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრავს მხოლოდ გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას და არაფერს ამბობს ხელისუფლების ვალდებულებებზე, იმაზე, თუ რატომ უნდა გადაიხადოს გადასახადი.

2009 წლის 1 იანვარს გამოსულ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო სისტემა. საგადასახადო კოდექსით დაწესებულია ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, ხოლო ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი. ყველა, ვინც ამ კოდექსის თანახმად გადასახადის გადამხდელია, ვალდებულია დროულად გადაიხადოს კოდექსით დაწესებული გადასახადები. აკრძალულია კოდექსის დებულების დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულებების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე გადასახადის გადახდევინება საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაზე ადრე.

2011 წლის 1 იანვარს გამოსულ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია მისი შექმნის მიზანი, რომელიც გულისხმობს სანდოობის გაზრდას, ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობას, რათა კერძო სექტორმა თავი უფრო დაცულად და კომფორტულად იგრძნოს. გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო კოდექსი. რაც შეეხება თანხების დაბრუნებას, ეს ავტომატური რეჟიმით ხდება, ზედმეტი თანხები ბიზნესმენებს ავტომატიური რეჟიმით დაუბრუნდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადახდა წარმოებული იქნა ელექტრონული სისტემით, რომელიც გამოიწვევს ბიზნესმენისათვის ელექტრონული გადახდის მაქსიმალური მოტივაციის მიცემას. აღნიშნული კოდექსით ძალაში შევიდა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება გადასახადის გადამხდელთა უფლებების დასაცავად, ამ უფლებათა დარღვევის გამოსავლენად და დარღვეულ უფლებათა აღდგენის ხელშესაწყობად.

2011 წლის საგადასახადო კოდექსში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მომენტები და ცვლილებები:

- გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო კოდექსები;
- შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი;
- განიმარტა „მიკრო“ და „მცირე“ ბიზნესის ცნება, რომელშიც გამოიკვეთა მისი გადახდის პირობები, კერძოდ, მიკრო მეწარმე თავისუფალია გადასახადებისაგან, მცირე მეწარმე იბეგრება 5%-ით, იგი 3%-ით იმ შემთხვევაში იბეგრება, თუ ერთობლივი შემოსავლის 60% ხარჯი ექნება და შეძლებს ამის დოკუმენტურად დადასტურებას. თუმცა, დასაბეგრი შემოსავალი, მცირე ბიზნესის შემთხვევაში, გულისხმობს ჯამურ ერთობლივ შემოსავალს, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა და მას არ აკლდება გამოქვითვის თანხა.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს არ გააჩნია სალაროს აპარატის ფლობისა და გამოყენების ვალდებულება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მათი დიდი ნაწილი აქამდეც არ იხდიდა გადასახადს და საგადასახადო ცვლილებების ეს მუხლიც ამ ბიზნესის ლეგალიზაციისთვის იქნა შემოღებული.

- 30 000 ლარზე ნაკლები ბრუნვის მქონე ბიზნესმენებს გადასახადი აღარ მოეთხოვებათ, რათა მათ შეძლონ ბიზნესის გათეთრება და არ იყვნენ ჩრდილოვანი ბიზნესის ნაწილი.
- მათ, ვისაც 200 000 ლარზე ნაკლები ბრუნვა აქვთ, ტვირთბრუნვის გადასახადის გარდა, სხვა გადასახადი აღარ მოეთხოვება. ამ ცვლილებების მიზანია ბიზნესს გაუმარტივდეს საგადასახადოსთან ურთიერთობა და ეძლევა საშუალება ტვირთბრუნვის 5 ან 3 % გადაიხადოს. თუ ბიზნესმენი ბუღალტერიას გამართულად აწარმოებს, მას 3%-ის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში 5%-იანი გადახდა დაეკისრება.
- პირს, რომელიც დაბეგვრას ადმინისტრაციული ორგანოს მითითების შესაბამისად აწარმოებს, საურავი აღარ დაერიცხება.

საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: 1. საშემოსავლო გადასახადი, 2. მოგების გადასახადი, 3. დამატებითი ღირებულების გადასახადი, 4. აქციზი, 5. იმპორტის გადასახადი, ხოლო ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი.

ლიტერატურა:
1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2013 წ. 24 მაისის მდგომარეობით.
2. შესწორებები და კომენტარები საგადასახადო კოდექსში, 2012 წ. 20 დეკემბერი
3. სადაღაშვილი ლ., საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები, გორი, 2011.
4. http://geostat.ge/

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ასპექტები გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან დღემდე. განხილულია საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი „საგადასახადო სისტემის მოწყობის ზოგადი პრინციპები, გადამხდელების უფლებები და მოვალეობანი“. ასევე 1998 წელს და 2005 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი 2009 წლის 1 იანვარს გამოცემულ საგადასახადო კოდექსს და მის ანალიზს. ასევე 2011 წლის 1 იანვარს გამოცემული საგადასახადო კოდექსის ანალიზის შედეგად წარმოჩენილია მისი ყველა დადებითი მხარე, რაც ხელს უწყობს ბიზნესის ლეგალიზაციასა და განვითარებას, სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ნდობის ფაქტორის ამაღლებას.

ASPECTS OF THE GEORGIAN TAXING SYSTEM FORMATION

Lali Sadaghashvili, Associate Professor
Nanuli Kokashvili, Associate Professor
Marine Buziashvili, Specialist by contract

RESUME

In this work are described aspects of the Georgian tax system since 1990 year till now. There is overviewed the law Republic of Georgia “general principles of the Tax system” on December 21, in 1993, taxpayer’s rights and obligations. Also about tax code, which are accepted in 1998 and in 2005, its advantages and disadvantages. Great attention is paid to the law of 1 January, in 2009 and its analysis. There is analyze of tax code, which is published on 1 January, 2011 and presents its all positive aspects, which will help legalization and development of business, will increase trust between the government and society.

კვერცხის ბიზნესში აღრიცხვისა და გადასახადების საკითხები

ლალი სადაღაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*
ხალიანა ჩიტაძე, *ასოცირებული პროფესორი*
როინ ქობლიანიძე, *მოწვეული სპეციალისტი*

ბოლო დროს საქართველოში გაიზარდა კვერცხის იმპორტი, რაც გამოიწვევს ადგილობრივი წარმოების შეზღუდვას და კვერცხის მწარმოებელი ფაბრიკების სავარაუდო ლიკვიდაციას. საქართველოში დაახლოებით 400 მილიონი კვერცხი იწარმოება, 100 მილიონ ლარამდე ღირებულების, რაც შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 10,5%–ს. 10–12 წლის წინ, როცა ბიზნეს ჯგუფებმა ნელ-ნელა დაიწყეს ამ სფეროში ინვესტიციების ჩადება, კვერცხის ადგილობრივი წარმოება თითქმის ნულის ტოლი იყო. იმ დროს, როდესაც კვერცხზე მოთხოვნის 90% იმპორტით კმაყოფილდებოდა, ადგილობრივმა კვერცხმა მაინც მოახერხა იმპორტის ჩანაცვლება და მყარად მოიკიდა ფეხი. ბაზარზე ადგილობრივი ახალი კვერცხის გამოჩენას მომხმარებლის მხრიდან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. ფაბრიკებმა სასესხო ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ხარჯზე დაიწყეს წარმოების გაზრდა და 2007 წლისათვის ადგილობრივი მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილეს. მოწესრიგდა აღნიშნულ სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა. დასაქმდა ადგილობრივი მუშა-ხელი. ფაბრიკები უკვე მეტს აწარმოებდნენ, ვიდრე ბაზარი მოითხოვდა. კვერცხის ყოველი მცირე პარტიის იმპორტიც კი ადგილობრივ

მწარმოებლებში დიდ ვნებათაღელვას იწვევდა. გამძაფრდა კონკურენცია მოგების მაღალმა მარჟამ საშუალება მისცა ფაბრიკებს მოეწესრიგებინათ ინფრასტრუქტურული მეურნეობები, თუმცა, გარანტირებული მოგების მარჟის გამო მართვის სრულყოფისა და თვითღირებულების შემცირების აუცილებლობამდე არც კი მისულან, პირიქით, სასესხო ვალდებულებებს ზრდიდნენ, არც ბანკები იხევდნენ უკან მათი კარგი ფინანსური მდგომარეობის გამო და აფინანსებდნენ არაპროფილურ ბიზნესებს, რომელთა უმეტესობა წამგებიანი აღმოჩნდა. საბანკო ვალდებულებების მომსახურება კი კვერცხის ბიზნესის ხარჯზე ხდებოდა. მთავრობა შემწყნარებელია იმპორტის მიმართ და ადგილობრივ მწარმოებლებს მოუწოდებს, გასაყიდი ფასი შეამცირონ და იმპორტის კონკურენცია გაუწიონ. იმპორტზე ბარიერების შემსუბუქებით კვერცხის მწარმოებლები დაშინდნენ. მათ იმპორტის ექსპანსიის შიშით წარმოების მასშტაბები შეამცირეს და სასიკეთოს არაფერს ელიან. ადგილობრივ ბიზნესში შეიმჩნევა კვერცხის გაყიდვის შემცირება. ყოველივე ამას კი აქვს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები, რომელთა განხილვა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა არ მოხდეს ბიზნესის კრახამდე მიყვანა.

ასეთი მიზეზებია:

1) საგადასახადო წნეხი. დღევანდელი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კვერცხის დღგ-თი დაბეგვრა განსხვავებულია სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან შედარებით. 168-ე მუხლის „ჟ“ პუნქტის თანახმად, დღგ-სგან, ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა კვერცხისა) პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე.

ჩვენი აზრით, კვერცხი არ უნდა იბეგრებოდეს განსხვავებული რეჟიმით;

2) კვერცხი მალფუჭადია და შეუძლებელია მისი იმპორტი, თუმცა დიდი შიდა წარმოება აქვთ უახლოეს მეზობლებს: თურქეთს, უკრაინას, ირანს. ჩვენს მწარმოებლებთან შედარებით მეზობლებს რამდენიმე ძირითადი უპირატესობა აქვთ:

– ამ ქვეყნებში შიდა წარმოება წახალისებულია და კონკურენციის მოგების მარჟები შესაბამის ნორმამდე დაჰყავს;

– დიდი შიდა ბაზარი თვითღირებულების შემცირების საშუალებას იძლევა;

– მეზობლები შიდა ბაზარს იმპორტისაგან იცავენ;

– თურქეთსა და ირანში ხდება კვერცხის ექსპორტის სუბსიდირებით წახალისება;

– თურქეთს შეღავათიანი პირობები აქვს მიღებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას, რაც საშუალებას აძლევს, მაღალი საბაჟო გადასახადებით დაიცვას თავისი ბაზარი.

ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მეზობლების კვერცხის იმპორტის შემცირებას საქართველოში და ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს სამთავრობო გადაწყვეტილებები;

3) დემპინგი მეზობელი ქვეყნების მხრიდან. რამდენადაც კვერცხის მოხმარება სეზონურია, პერიოდულად დგება მომენტი, როცა კვერცხის წარმოება მოხმარებას აჭარბებს, მწარმოებელი დგება არჩევანის წინაშე: გაანადგუროს ჭარბი კვერცხი და იზარალოს შემდგომი მოგების იმედად, ან კვერცხი ნებისმიერ ფასად გაყიდოს. თუ გასაღების ასეთ ბაზრად უცბად აღმოაჩენს საქართველოს, სადაც უპრობლემოდ შეიძლება კვერცხის შეტანა, თუნდაც დაძველებულის, უარს არავინ იტყვის. ქართველი მწარმოებლები, ჭარბწარმოების პერიოდში, ვერანაირად ვერ მოახერხებენ შეტანას თუნდაც თურქეთში, ირანში და სხვა, რამდენადაც ყველა მეზობელს ბაზარი საგულდაგულოდ აქვს დაცული და იმპორტს არ დაუშვებს, თუ კვერცხზე შიდა დეფიციტი არ შეიქმნა;

4) ჩვენი მწარმოებლების მაღალი თვითღირებულება. მწარმოებლები იღებდნენ ბევრ სესხს და აფინანსებდნენ ბიზნეს პროექტებს, როგორც საკუთარი გადაწყვეტილებით, სავარაუდოდ, სახელმწიფო შეკვეთებით. პროექტების უმრავლესობა თავს ვერ ინახავს, ტვირთად კვერცხის წარმოებას აწვება.

5) კვერცხის იმპორტის დროს ადგილი აქვს ბიზნესში აღრიცხვის მოშლას, რასაც ჩრდილოვან ეკონომიკამდე მივყავართ.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ჩვენი საზღვრები ღია უნდა იყოს და კვერცხის იმპორტი წახალისდეს, ჩვენი აზრით, ეს გამოიწვევს შიდა წარმოების მინიმუმამდე დაწევას, დარჩება მცირე წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებს მცირე მოთხოვნას ახალ კვერცხზე. ბაზარი 80–90%–ით გაჯერდება სამეზობლოდან შემოტანილი, ძირითადად, ვადაგასული, იაფი კვერცხით. შედეგად მივიღებთ გაჩერებულ ფაბრიკებს, გაიზრდება უმუშევართა რიცხვი და ა.შ.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით მიგვაჩნია:

– იმპორტის პროცედურების გამკაცრება. კერძოდ, გამკაცრდეს სურსათის ხარისხის კონტროლი, რამდენადაც დიდია რისკი, შემოვიდეს ვადაგასული პროდუქცია;

– შემოღებული უნდა იქნეს კვერცხის ვადიანობის მარკირება;

– გამკაცრდეს ვეტერინალური კონტროლი;

– ებრძოლოს ფალსიფიკაციას. იმპორტული კვერცხი საქართველოში იყიდება ქართული წარწერით, მომხმარებლის შეცდომაში შესაყვანად;

– მაქსიმალურად წახალისდეს შიდა წარმოება, რათა გაჩნდეს ბევრი მცირე თუ საშუალო მწარმოებელი და შიდა კონკურენცია გაიზარდოს;

– შეუმსუბუქდეს საგადასახადო წნეხი ადგილობრივ წარმოებას, სულ ცოტა დღგ–სგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით არა მარტო კვერცხის, არამედ სხვა პროდუქციის პირველად მიწოდებაზე;

– მწარმოებლებმა ძალები უნდა გააერთიანონ, რათა გამოავლინონ ვადაგასული კვერცხის იმპორტის, ქართული წარწერებით კვერცხის უკანონო მარკირების, ბაზრებსა თუ მაღაზიებში ვადაგასული იმპორტული კვერცხის გაყიდვის ფაქტები;

– უნდა გამკაცრდეს აღრიცხვა, თუნდაც სხვადასხვა გზებით აღურიცხავი კვერცხის შემოტანასთან დაკავშირებით;

– მასმედიით მუდმივად ეცნობოს მომხმარებელს ადგილობრივი ახალი კვერცხის უპირატესობებზე იმპორტულ, საეჭვო წარმომავლობისა და დაბალი ხარისხის კვერცხთან შედარებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2013 წლის 24 მაისის მდგომარეობით.
2. www.pbo.ge
3. www.economists.ge
4. http://geostat.ge/

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოში კვერცხის ბიზნესში აღრიცხვისა და გადასახადების საკითხები. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის „ჟ“ პუნქტი. აღნიშნული მუხლის ანალიზის შედეგად, მოცემულია ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამოწვეულია აღნიშნული ბიზნესის მიმართ, დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებით პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე, რაც იწვევს კვერცხის დაბეგვრას განსხვავებული რეჟიმით. მოცემულია აღნიშნული ბიზნესის ხელშემშლელი მიზეზები, რომელთა ანალიზი გვაძლევს მთლიან სურათს ბიზნესის განვითარების პრობლემებისადმი. ამ პრობლემების აღმოფხვრისათვის გასატარებელი ღონისძიებები ხელს შეუწყობს შემდგომ კვერცხის ბიზნესის განვითარებას.

QUESTIONS OF ACCOUNTING AND TAXING IN EGG BUSINESS

Lali Sadaghashvili, Associate Professor
Khaliana Chitadze, Associate Professor
Roin Koblianidze, Specialist by contract

RESUME

The paper deals with Georgia in the egg business, accounting and issues. In particular, Code 168 of the tax code "J" point. The analysis of the article are given the negative attitude towards business due to the VAT-it offers to the right without releasing the primary supply to the industrial processing ,which causes the Egg to tax different taxation regime. The reason for the above mentioned, drawbacks to business. The analysis gives a clear picture of business development issues. Some measure must be taken to eliminate these problems, which will help to contribute the further development of the Egg business.

ბიზნესის განვითარების პრობლემები შიდა ქართლის რეგიონში

ლალი სრესელი, უფროსი მასწავლებელი

ბიზნესის განვითარება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი საქართველოს მთავრობისთვის. მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დიდწილად დამოკიდებულია ბიზნესის განვითარებაზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თემა ძალზე აქტუალურია საქართველოში არსებული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში. მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნებისმიერ ქვეყანაში. იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელსა და მომსახურებას და აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს. მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ქვაკუთხედია, მასზე მოდის კერძო სექტორის ნაწარმის თითქმის ნახევარი, მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის კერძო სექტორის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი და მასზე ახალი სამუშაო ადგილების 2/3-დან 3/4-მდე მოდის.

განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს ესაჭიროება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში იქმნება სამუშაო ადგილების 43-44%.

მცირე მეწარმეობას განვითარების გზაზე მდგომი საქართველოსათვის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. მის სრულფასოვან ფუნქციონირებას შესაბამისი სამეწარმეო გარემო ესაჭიროება. საქართველოში არსებულ სამეწარმეო გარემოს კი რიგი პრობლემები ახასიათებს.

საქართველოს სამეწარმეო სექტორი თითქმის მთლიანად ადგილობრივ და ქვეყნის შიდა ბაზარზეა ორიენტირებული. მეწარმეთა 84 % ადგილობრივ ბაზარზე ყიდის თავის პროდუქციას თუ მომსახურებას (აქედან 77% - მთლიანად), 21%- რეგიონის გარეთ ანუ საქართველოს სხვა ბაზრებზე (აქედან 10% - მთლიანად) და მხოლოდ 4% მუშაობს ექსპორტზე, (2%-ს საზღვარგარეთ გააქვს წარმოებული პროდუქციის 1/3-ზე ნაკლები, 1 %-ს--2/3-ზე მეტი, 1%-ს მთელი წარმოებული პროდუქცია.

საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისათვის გატარებული რეფორმების მიუხედავად ბიზნეს-სექტორი სწრაფი ტემპებით ჯერ კიდევ ვერ ვითარდება.

საქართველოში მოქმედი საწარმოების 1/3 ბოლო ერთი წლის განმავლობაში დინამიურად ვითარდება, 1/3 სტაგნაციის მდგომარეობაშია და 1/3-სთვის მდგომარეობა გაუარესდა.

საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის დომინირებს როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორები (მაღალი კონკურენცია, ეკონომიკური კრიზისი, გასაღების ბაზრის შეზღუდულობა და ა.შ.) ისე საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და სხვა ხასიათის პრობლემები.

მეწარმეობის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ვინაიდან არასტაბილურ გარემოში ბიზნესს ყველაზე მეტად უჭირს არსებობა და განვითარება. ბიზნესის განვითარების დინამიკა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. იმ საწარმოების წილი, რომლებმაც ბოლო წლებში ბიზნესის შეკვეცა და მომუშავეთა რაოდენობის შემცირება დააფიქსირეს, რამდენიმე რეგიონთან ერთად დიდი წილი შიდა ქართლის რეგიონზე მოდის. ასევე იმ საწარმოების წილი, რომელთა საქმიანობაში სტაგნაციაა, გამორჩეულად მაღალია შიდა ქართლში.

2013 წლის მონაცემებით მთლიანად საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 485 745 ათ. კაცი. დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება 717,7 ლარი. გამოშვებული პროდუქცია 4332,5 (მლნ. ლ-ში.)

შიდა ქართლის რეგიონში, ბოლო წლების მონაცემებით, დასაქმებულია რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 3,1 %. 1999 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში რეგიონის მოსახლეობის თითქმის 50% იყო დასაქმებული, ხოლო 2010 წელს - 20,1 %. 2011 წელს შიდა ქართლში ბიზნეს სექტორში დასაქმებული იყო 18 411 კაცი ხოლო 2012 წელს პირველ კვარტალში 17.411, მეორე კვარტალში – 19 326, მესამე კვარტალში – 20 032, მეოთხე კვარტალში – 21 246 კაცი. 2011 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულმა შიდა ქართლელებმა (9 737 კაცმა) ჯამში 52,8 მლნ. ლარი აიღეს.

ძირითადი სექტორები შიდა ქართლის რეგიონში, სადაც არსებობს დასაქმების დიდი პოტენციალი, არის კვების და სასმელი პროდუქტების წარმოება, მშენებლობა და ხის მასალების წარმოება. აღნიშნული სექტორებიდან კვებისა და სასმელების წარმოების სექტორი არის ყველაზე დიდი დამსაქმებელი და ბოლო წლებში ყველა სხვა სექტორზე უკეთ მოახდინა ძალების აღდგენა. გაცილებით უფრო მეტ კომპანიას ჰქონდა ზრდა, ვიდრე კლება. ეს დაკავშირებულია ადგილობრივ სოფლის მეურნეობის წარმოებასთან და, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში ფორმალურად ცოტა ადამიანია დასაქმებული, ამ სექტორში გაცილებით უფრო მეტი სამუშაოს და შემოსავლების გენერირება ხდება, ვიდრე რეგიონის ნებისმიერ სხვა სექტორში, სადაც ფორმალურად მეტი დასაქმებაა. კვებისა და სასმელების წარმოება ასევე ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე - ყველა სხვა სექტორთან შედარებით, წარმოებული პროდუქციის მეტი წილი იყიდება როგორც შიდა ქართლის, ასევე ქვეყნის გარეთ. და ბოლოს, გადამუშავებული კვების პროდუქტები და სასმელები არის იმპორტის ძალიან მსხვილი კატეგორია, რაც ნიშნავს, რომ არსებობს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ნაწილობრივ ჩანაცვლების შესაძლებლობა.

გადამუშავებული ვაშლის წარმოებას განსაკუთრებული პოტენციალი აქვს, რადგან შიდა ქართლზე მოდის საქართველოს ვაშლის წარმოების 65% და ასევე ვაშლისაგან წარმოებული პროდუქტების ექსპორტის 25%.

საქართველოში დიდია აშკარა და ფარული არასრული დასაქმებით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები. დაბალია დასაქმებულთა შრომის ეფექტურობაც. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 1/3-ია დაქირავებით მომუშავე, 2/3-ს კი თვითდასაქმებულები შეადგენენ. თვითდასაქმებულთა 85% სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, სადაც დასაქმება არასრული, არაფორმალური და დაბალეფექტურია. შესაბამისად, დასაქმების სფეროში სიტუაციის გაუმჯობესება ძირითადად სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაზეა დამოკიდებული.

შიდა ქართლის რეგიონში, დასაქმების მხრივ, სოფლის მეურნეობაშია სავარაუდოდ თავმოყრილი დასაქმებულთა ნახევარზე მეტი. შიდა ქართლში არის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება – აქ იწარმოება საქართველოში წარმოებული ხორბლის 35%, ბოსტნეულის 15% და ვაშლის 65%.

„დასაქმებულთა“ სტრუქტურაში სრულ განაკვეთზე მომუშავეთა რაოდენობა შედარებით მცირეა, შიდა ქართლში „დასაქმებულების“ 27% არის კლასიფიცირებული როგორც „დაქირავებული“, თითქმის ყველა დანარჩენი არის თვითდასაქმებული. რეგიონში არსებული რეგისტრირებული და აქტიური კომპანიებიდან თითქმის ნახევარი არის მცირე სავაჭრო მაღაზიები.

ბიზნესის განვითარება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისას, შიდა ქართლის რეგიონში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას აწყდება: ეს არის ბიზნეს გარემო ბაზრების ხელმისაწვდომობა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების გამოყენება, ადამიანური რესურსი.

შიდა ქართლში, ბიზნეს გარემოს განხილვისას, მაღალი გადასახადები რეგისტრირებული კომპანიების 10%-მა დაასახელა, როგორც პრობლემა.

ბიზნესის ზრდის ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება ის, რომ კომპანიების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. შიდა ქართლის გარეთ საქონლის გატანის დაბალი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სირთულეს წარმოადგენს ბაზრების ათვისება. კომპანიების საქმიანობის ისეთი სფეროები, როგორიცაა ვაჭრობა, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, რესტორნები, სასტუმროები, მშენებლობა თავისი არსით ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, თუმცა ისეთი სექტორები, როგორიცაა გადამამუშავებელი წარმოება და სოფლის მეურნეობა (სექტორები, რომელთაც შეუძლია ქვეყნის და უცხოურ ბაზრებზე გასვლა), კომპანიების მხოლოდ 19%-მა გაყიდა თავისი საქონლის 2/3-ზე მეტი შიდა ქართლის გარეთ და მხოლოდ 4%-მა ანუ სულ თორმეტმა კომპანიამ განახორციელა ექსპორტი. თორმეტიდან რვა არის კვების სექტორთან დაკავშირებული, აქედან ოთხი აწარმოებს ვაშლის პროდუქციას და მთლიანად გააქვს საზღვარგარეთ, ერთი აწარმოებს ღვინის ექსპორტს, ერთი აწარმოებს კონსერვებს, ხოლო დანარჩენ ორ კომპანიას ექსპორტზე გააქვს დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ოთხი კომპანიიდან, რომელიც არ არის დაკავშირებული კვების მრეწველობასთან, ორი აწარმოებს სამშენებლო მასალებს, ხოლო დანარჩენი ორი ხის წარმოებაზე მუშაობს.

ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების წინაშე დგანან სექტორები, სადაც დასაქმების პოტენციალი არსებობს. განსაკუთრებული სირთულის წინაშე დგანან კომპანიები

კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მხრივ. არის პროფესიები, რომლებზედაც დიდი დეფიციტია. გამოკითხული კომპანიების 15% აწარმოებს საკუთარი თანამშრომლების სისტემატურ ტრენინგს. კომპანიების უმეტესობა ტრენინგის არჩატარების მიზეზად ფინანსების ნაკლებობას ასახელებდა.

მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს ასევე კომპანიებმა ფინანსების ხელმისაწვდომობა, ხოლო ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვან წამახალისებელ ფაქტორად კომპანიების 77%-მა „სესხის გაიაფება“ დაასახელა.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს არსებული ბიზნეს გარემო და ის გამოწვევები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია. არსებული გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის შემდგომ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას.

მხარის განვითარების პერსპექტივა დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმს შორის პოლიტიკური შერიგების წინსვლაზე. შიდა ქართლის რეგიონის სამხრეთი ნაწილი საქართველოს ძირითადი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივ არის განლაგებული და მნიშვნელოვანი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია.

რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება დადებითად აისახება სამეწარმეო საქმიანობის ტენდენციებზე, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დასაქმების პრობლემის მოგვარებაში.

ლიტერატურა:

1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის კვლევა - დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, 2011 წ. ნოემბერი.
2. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა ფორმირება და განვითარება, 1 ნაწილი, თბ., 2008.
3. სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2011 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიში, თბ., 2012.
4. გიორხელიძე დ., სოციალური მდგომარეობა და პრობლემები", ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“, 2011 წ. 30 აგვისტო.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.economy.ge
2. www.bfm.ge
3. www.shidakartli.gov.ge
4. www.geostat.ge

რეზიუმე

განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს ესაჭიროება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის.

მცირე მეწარმეობას განვითარების გზაზე მდგომი საქართველოსათვის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. მის სრულფასოვან ფუნქციონირებას შესაბამისი სამეწარმეო გარემო ესაჭიროება. საქართველოში არსებულ სამეწარმეო გარემოს კი რიგი პრობლემები ახასიათებს.

საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის დომინირებს როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორები, ისე საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და სხვა ხასიათის პრობლემები.

ბიზნესის განვითარების დინამიკა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია შიდა ქართლის რეგიონში.

ბიზნესის განვითარება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისას, შიდა ქართლის რეგიონში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას აწყდება. ეს არის ბიზნეს-გარემო, ბაზრების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების გამოყენება, ადამიანური რესურსი.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს არსებული ბიზნეს გარემო და ის გამოწვევები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია. არსებული

გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის შემდგომ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას.

PROBLEMS OF BUSINESS DEVELOPMENT IN SHIDA KARTLI REGION

Lali Sreseli, Senior Teacher

RESUME

Georgia needs to have competitive, developmental environment in order to give rise to increasingly developing economics. This is the direct way to encourage small and medium-sized business.

Georgia standing on the way of development really needs to have its small business highly developed, as it has the crucial social-economic importance to the country. The relevant industrial environment is required to support the developmental process.

There are quite a lot of different political, economic, demographic, infrastructural and other problems in the industrial environment, not only in our country, but also in the global market economy. These given problems also prevent Georgia from the developing process.

Providing the developmental dynamics in regions, they are quite different from each other.

The present condition of Shida Kartli is really hard. Business development is essential to overcome the problem of unemployment that is really the greatest challenge in Shida Kartli region. Among the important problems that need to be tackled are the problems of business environment, market access, the usage of technologies and human resources.

The analysis allows us to assess the factors influencing the development of the business environment and the challenges that are relevant and really actual at the given stage. The coherent state policy is the solution of the given problems and challenges. It is also the guarantee of the reduction of unemployment, creation of new vacancies and rational usage of the country's labor potential.

ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები

გელა შაქარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში მთავარი როლი მის ბუნებრივ რესურსებს უკავია და მათ შორის მნიშვნელოვანია ენერგორესურსები. ამ თვალსაზრისით საქართველო თავისი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით მსოფლიოს ათეულში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს. ჰიდროენერგეტიკის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ქმნის სამრეწველო წარმოების განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საუკეთესო შესაძლებლობას.

ჰიდროენერგო რესურსის სეზონურობის მიუხედავად ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის საჭირო ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად სხვა ენერგორესურსების გამოყენებას, წყალმცირობის პირობებშიც კი, საქართველოში ისევ ჰიდროენერგორესურსების ათვისებაა მართებული და ამ მიმართებით მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო კვლევების ჩატარება, რის შედეგადაც ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პირველი ჰიდროელექტროსადგური 1898 წელს ბორჯომში მდ. ბორჯომულაზე აშენდა, რის შემდგომაც ინტენსიურად დაიწყო საქართველოს ჰიდრორესურსების პოტენციალის შესწავლა. ძირითადად კვლევები ამტკიცებდა, რომ კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემის პეტეროგენულ გეოტექტონიკურ ერთეულთა შორის გაგრა-ჯავის ზონები წარმოადგენს ჰიდრორესურსების გამოყენების საუკეთესო არეალს, რამაც გააღრმავა ამ რეგიონში ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარის – ენგურის – ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა და 1912 წლიდან უშუალოდ იწყება ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა. 1960 წლამდე ქვეყანაში ფუნქციონირებდა დაახლოებით 300 მცირე და მიკრო ჰესი, ხოლო ოთხმოციან წლებში დასრულდა დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის ენგურის და ვარდნილის ჰესები საერთო ჯამური სიმძლავრით 1,640 მეგავატი. მოცემულ კვლევებში წარდგენილი იყო აგრეთვე ხუდონისა და ტობარის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტი, რომელიც

N- 1



1978 წელს დამტკიცდა შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ. მის შემდგომ, 1980 და 1984 წლებში, სათანადო ორგანოების მიერ მიღებულ იქნა ის შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებდა ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებას და 1989 წლამდე მიმდინარეობდა მრავალი სამუშაოს შესრულება და ამ წელს, ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველომ შეაჩერა ჰესის მშენებლობა. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ საქართველოში შემოტანილი ჰესისთვის გათვალისწინებული აღჭურვილობის სრული კომპლექტაციაც საქართველოს ინიციატივით დაუბრუნდა მომწოდებელს. მას შემდგომ პროექტი ორჯერ გადაიხედა: პირველად – 2005 წელს CORE INTERNATIONAL IN-ის მიერ (ასევე მოიხსენიება, როგორც USAID-ის ანგარიში) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დახმარების ფარგლებში, ხოლო მეორედ – 2007 წელს კომპანია Stucky Colenco JV-ს მიერ მსოფლიო ბანკის ინიციატივითა და გრანტის საშუალებით. (i) CORE INTERNATIONAL INC (USAID) – საქართველოს მინისტრთა საბჭომ ჩამოაყალიბა სპეციალისტებისაგან შემდგარი ორი კომისია. კომისიების დასკვნების საფუძველზე, 1990-92 წლებში თბილჰიდროპროექტმა გადახედა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის თავდაპირველ ვარიანტს. განხილულ იქნა მდ. ენგურის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტი, ხოლო 2012 წელს CENN - **Caucasus Environmental NGO Network მიერ წარმოდგენილ იქნა** არატექნიკური რეზიუმეს წინასწარი ვარიანტი ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის (702 მეგავატი) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სადაც დეტალურადაა აღწერილი ხუდონჰესის პროექტი და მასთან დაკავშირებული როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური, ისე სოციალური და ეკოლოგიური მახასიათებლები.

წინასწარი ვარიანტი, ბუნებრივია, ცალსახად ვერ გადმოგვცემს მშენებლობის მიზანშეწონილობას, ვინაიდან რეზიუმე მხოლოდ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაა და არა პროექტის განხორციელების პროგრამა, ამდენად ხუდონჰესის პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია მასთან დაკავშირებული ყველა დეტალის შესწავლა-ანალიზი როგორც არსებულ ვითარებაში, ისე სამომავლო პროგნოზის შესაბამისად, ვინაიდან პროექტი მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს, მრავალ სხვა საკითხთა შორის აუცილებელია დადგინდეს შემდეგი:

- სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები;
- დაფინანსების წყაროები და პირობები;
- პროექტის განხორციელების ხარისხისა და სრულყოფის გარანტიები;
- ჰესის დაცვა, ფუნქციონირების უსაფრთხოება;

ენერგეტიკის მეცნიერ-ეკონომისტთა და შესაბამისი ექსპერტების მიერ ცალსახად ვერ იკვეთება ხუდონჰესის მშენებლობის მიზანშეწონილობა, არ გაგვაჩნია აგრეთვე ხუდონის ჰესების კასკადების ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასკვნა, ამდენად დღეისათვის მოცემული საკითხი მეტად აქტუალურია და იგი ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: პირველი, ხუდონის პირველადი სახის შესაბამისად კორექტირებული პროექტის განხორცილება ან უარყოფა და, მეორე, ხუდონის ალტერნატიული ვარიანტის ოპტიმალური პროექტის დადგენა და მისი განხორციელება, ხოლო საერთოდ ამ უბანზე ჰიდროელექტროსადგურის უარყოფა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას, ვინაიდან ქვეყნის ენერგობალანსის შევსება 700 მეგავატით მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

საწყის ეტაპზე 1984 წელს პირველი პროექტით დაგეგმილ მშენებლობას ალტერნატივა არ გააჩნდა, მისი განხორციელების მიზანშეწონილობაც არ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ, თავის პარამერტებით მსოფლიოს 9 საუკეთესო ჰესებს შორის იკავებდა სათანადო ადგილს და ახლაც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ პერიოდისთვის ქვეყნის ენერგეტიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა,

ამიტომ მშენებლობის შეწყვეტა თითქმის დანაშაულის ტოლფასი იყო, მაგრამ დღეისათვის მოცემულ ვითარებაში ჩნდება მრავალი კითხვა და სათანადო არგუმენტირებული პასუხის საძიებლად, მრავალ სხვა საკითხთა შორის, მართებულია განვიხილოთ საკითხი სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოებიდან გამომდინარე, როგორ განხორციელდება შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოები. წარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულება N-1 დან ნათლად ჩანს, რომ ჰესის მდებარეობა ენგურის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული, მთლიანი მდინარის სიგრძე 213 კილომეტრს შეადგენს და ჰესი სათავიდან 138 კილომეტრის დაშორებით არის დაპროექტებული. მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს დასახლებული პუნქტები და, რაც მთავარია, მოცემული უბანი საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს ზემოსვანეთის მთიანეთთან დაკავშირების სატრანსპორტო კომუნიკაციებისათვის, მეცნიერ-ექსპერტთა და ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ანალიზით, პროექტი მოითხოვს მოცემულ არეალში 1538 ჰა-ის ფართის გამოყენებას, მათ შორის დატბორვას ექვემდებარება 5,29 კმ^2 (კვადრატული კილომეტრი). მოცემულ ფართში შედის 154 ჰა, სადაც 416 მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელობაშია, ხოლო 138 ჰა მუნიციპალურ საკუთრებაში, ლიკვიდაციას ექვემდებარება 4 დასახლებული პუნქტი: ხაიში, გაღმა ხაიში, დაკარი და ტობარი. მოცემულ არეალში დასახლებულია 184 ოჯახი (770 ადამიანი) და საცხოვრებელი ბინების რაოდენობა შეადგენს 224 სახლს, ლიკვიდაციას ექვემდებარება აგრეთვე წინაპართა საფლავები (584) და ისტორიული ძეგლები, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მოცემული არეალის ლიკვიდაცია წარმოშობს მძაფრ სოციალურ პრობლემებს და მათი სათანადო გადაწყვეტისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსახლეობის განსახლებისა და კონპენსაციების უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილება იაპონიის, იტალიის, შვეიცარიის მაგალითებზე. საქართველოში ბოლო პერიოდის იძულებით გადაადგილებულთა ყოფა ძალზე მძიმეა, სახელმწიფოს მხრიდან მათზე გაცემული კონპენსაციები და ადგილზე დამაგრება-ინტეგრირების პროცესები ვერ უზრუნველყოფს ლტოლვილთა სამომავლო განვითარებას. ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება ძალზე სავალალოა და აუცილებელია უცხოური გამოცდილების გაზიარება. შვეიცარიაში ფუნქციონირებს 550 ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის 250 ჰესი წარმოდგენილია კაშხლიანი წყალსაცავით და მათთან არსებული გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. უპირველესად, უნდა განისაზღვროს ჰესის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მოსახლეობის გადასახლების პოლიტიკა, სადაც ძირითადად ორი მიმართულებაა განსახილველი: პირველი, ლტოლვილების გადანაწილება სხვა რეგიონებში ადგილებზე შერწყმა-ინტეგრირება და, მეორე, ჰესის მიმდებარე ტერიტორიების დასახლებული პუნქტების შესაბამისად იმავე რეგიონის სხვა უბნებზე ახალი დასახლების პუნქტების ფორმირება. პირველ მიმართულებაში აშკარაა დასახლებული პუნქტების ლიკვიდაცია, ხოლო მეორე მიმართულება შედარებით მომგებიანია სახელმწიფოსთვის, ვინაიდან აქ ვხვდებით ადგილმონაცვლეობას და რეგიონში ვინარჩუნებთ ურბანული განვითარების პერსპექტივას, ამდენად განსახლების პოლიტიკამ ლტოლვილები უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი პერიოდით, ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანშის სახით ოჯახური მეურნეობის განვითარების და ოჯახის მარჩენალთა შრომის ბაზარზე დამკვიდრების პარალელურად ეტაპობრივად მოახდინოს ფინანსური კონპენსაციის უზრუნველყოფა. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, მოცემულ შემთხვევებში ერთვება სხვადასხვა სერვისები და მიმდინარეობს მონაცვლე ადგილებზე სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, მათ შორის: ექიმები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, განათლების, კულტურის, ხელოვნების და სპორტის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული ლტოლვილების ახალ გარემოსთან შეგუების და ადაპტირების საქმეში, რასაც ვერ ვხვდებით საქართველოში ან ეს ხდება ცალკეული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ან ენჯეოების მხრიდან ხანმოკლე პერიოდითა და სიხშირით, რის გამოც ვერ ვიღებთ სათანადო შედეგს. ზემოაღნიშნული საკითხების სრულყოფისათვის აუცილებელია წინასწარ დაიგეგმოს განსახორციელებელი პროექტები და მათი შესწავლის ანალიზისა და კორექტივების შემდგომ განისაზღვროს ერთიანი განსახლების პოლიტიკა ხუდონჰესის მიმდებარე ტერიტორიებიდან.

საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი 2013 წლის

დასახელება	სულ
სულ გამომუშავება	**9140.810**
თბოსადგურები სულ	**1417.931**
- მტკვარი	**728.360**
- ჯიფაუერი	**17.181**
- თბილსრესი	**672.390**
- ტყიბულის თეს	**0.000**
ჰიდროსადგურები სულ	**7722.879**
მ.შ. მარეგულირებელი	**5014.551**
- ენგურჰესი	**3384.894**
- ვარდნილჰესი	**625.136**
- ხრამი-1	**163.472**
- ხრამი-2	**268.837**
- შაორჰესი	**91.373**
- ძევრულჰესი	**114.904**
- ჟინვალჰესი	**365.936**
მ.შ. სეზონური	**2399.628**
= ვარციხეჰესი	**801.760**
- რიონჰესი	**284.942**
- გუმათჰესი	**328.558**
- ლაჯანურჰესი	**428.924**
- აწჰესი	**74.022**
- ჩითახევიჰესი	**85.202**
- ზაჰესი	**159.825**
- ორთაჭალაჰესი	**78.119**
- საცხენჰესი	**17.934**
- ხადორჰესი	**140.343**
მ.შ. დერეგულირებული	**308.699**
- თეთრიხევიჰესი	**7.071**
- ბჟუჟაჰესი	**69.372**
- სიონჰესი	**17.827**
- მარტყოფჰესი	**0.000**
- ალაზანჰესი	**24.986**
- აბჰესი	**5.748**
- ალგეთაჰესი	**0.000**
- ჩალაჰესი	**4.863**
- ჩხორჰესი	**22.612**
- დაშბაში	**9.740**
- ინწობაჰესი	**5.844**
- კაბალჰესი	**6.398**
- მაშავერაჰესი	**1.946**
- მისაქციელი ენტო	**7.050**
- რიცეულაჰესი	**22.295**
- სქურჰესი	**4.979**
- ტირიფონჰესი	**3.397**
- ხერთვისიჰესი	**1.631**
- ბაკური(მაჭახელა)	**5.404**
- ყაზბეგიჰესი	**1.925**
- ენერგეტიკი	**0.883**
- იგოეთიჰესი	**2.000**
- სანალიაჰესი	**4.353**

დასახელება	სულ
- აჭიჰესი	**4.749**
- კინკიშაჰესი	**1.810**
- კახარეთიჰესი	**8.643**
- სულორიჰესი	**2.345**
- ოკამიჰესი	**3.034**
- ზვარეთიჰესი	**1.070**
- რუსთავჰესი	**2.942**
- ფშაველაჰესი	**1.289**
- მინი ჰესი „ხადორი1"	**0.000**
- ლოპოტაჰესი	**5.304**
- პანტიანიჰესი	**0.996**
- ხადორი 2	**27.294**
- ხანჰესი	**0.850**
- რაჭაჰესი	**8.269**
- დაგვაჰესი	**0.008**
- შილდაჰესი	**3.737**
- ალაზანი-2	**6.036**
იმპორტი სულ	**366.288**
- რუსეთიდან	**366.287**
- აზერბაიჯანიდან	**0.000**
- სომხეთიდან	**0.001**
- თურქეთიდან	**0.000**
სულ რესურსი	**9507.098**
სასადგ. დანაკარგ. და ს/მ	**169.997**
ქსელში მიწოდება	**9337.10**

დასახელება	სულ
მომხმარებლებზე მიწოდება	**8700.566**
მ.შ. სადისტრიბუციო კომპ.	**7257.769**
- აფხაზეთი	**1392.154**
- თელასი	**1832.780**
- კახეთის ენერგოდისტრიბუცია	**259.368**
- ენერგო-პრო ჯორჯია	**3773.466**
პირდაპირი მომხმარებლები	**1442.797**
- „ჯორჯიან მანგანეზი"	**1009.235**
- „თბილისის სატრ. ომპანია	**58.380**
- სინათლის ქალაქი	**44.268**
- ჯორჯ.უოთერ&პაუერი	**253.110**
- რუსთავის წყალი	**41.698**
- საქართველოს რკინიგზა	**17.169**
- ჯეოფერომეტალი	**4.846**
გაჩერებ ელ.სადგურების ს/მ	**14.090**
ექსპორტი სულ	**450.374**
- რუსეთში	**370.602**
- თურქეთში	**0.000**
- აზერბაიჯანი	**6.612**
- სომხეთში	**73.161**
სულ მოხმარება	**9150.940**
ტრანსპორტირების ხარჯი	**186.161**
სულ მოთხოვნა კარგვების გათვალისწინებით	**9337.10**

N-2



ხუდონჰესის საპროექტო გათვლებით, მისი ჯამური ღირებულება, დაფინანსების ხარჯების გარეშე, შეადგენს დაახლოებით 776 მლნ. აშშ დოლარს, სადაც არ არის განსახლების და ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურება რეაბილიტაციის ხარჯები, ამდენად პროექტის სრული დაფინანსების მოცულობა ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული და, რაც მთავარია, დამფინანსებლის პირობები, ანუ კონტრაქტორთა მოთხოვნები არაა დაკონკრეტებული, ამდენად განსახილველია, თუ რა სახის დაფინანსების წყაროებია და რა პირობებს წარმოშობს სახელმწიფოსთან ურთიერთობის მიმართებით. საქართველოში სამრეწველო დარგთა შორის უპირობო ლიდერია ელ. ენერგეტიკა, 2013 წლის ელექტრობალანსიდან (იხ. ნახ. N-2) ჩანს, რომ 50-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური ნორმალურად ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ შიდა მოთხოვნებს და გააჩნიათ აგრეთვე ელ. ენერგიის ექსპორტირების პოტენციალი. მოცემულ დარგში დიდ ინვესტიციებს სტრატეგიული მნიშვნელობები გააჩნია და დემოკრატიულ ქვეყანაში საბაზრო მოთხოვნათა შესაბამისად ბუნებრივია, რომ დაცული უნდა იყოს ინვესტიციების ძირითადი პრინციპები, არ უნდა იკვეთებოდეს პროტექციონიზმის ნიშნები, მაგრამ, როცა პროექტი არის გრანდიოზული მასშტაბის, შეიცავს სტრატეგიულობის მაღალ დონეს და პირდაპირ ზემოქმედებს გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ, ჰიდროკლიმატურ, ბიოლოგიურ პროცესებზე და მათ განვითარებაზე, აგრეთვე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, აუცილებელია ინვესტიციის ყველა პირობის დეტალური შესწავლა და ფარმაციული სიზუსტით გაზომვა შესაბამისი მეცნიერ მკვლევართა მხრიდან. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, ესკო-ს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, სემკ-ის და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ელექტრობალანსი (იხ. ნახ. N-2) ნათლად ასახავს ელ. ენერგიის მოხმარებას. 1989 წლის მაჩვენებლებთან შედარებით მოხმარება განახევრბულია და 2013 წელს ქვეყანამ მოიხმარა 9,15 მილიარდ კილოვატსაათის ელ. ენერგია, მაგრამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სატრანსპორტო (მეტრო, რკინიგზა) საჭიროებისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია, რაც ადასტურებს ქვეყანაში დიდი და საშუალო ენერგომოხმარების სამრეწველო დარგების მოშლას. ელ. ენერგიის გენერაციის მთლიანი დადგმული სიმძლავრე საქართველოში 3500 მგვტ-ს შეადგენს. ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის 85 პროცენტი ჰიდროენერგეტიკაზე მოდის და ფაქტიურად ქვეყანაში ენერგეტიკის გარდა არ ფუნქციონირებს სხვა სერიოზული სამრეწველო დარგები, ამდენად დღეისათვის ამ მიმართებითაც ჩნდება კითხვები ელ. ენერგეტიკაში გრანდიოზული ინვესტიციების მიზანშეწონილობაზე, მათ შორის, როცა არ გაგვაჩნია ინვესტორის პოზიციები და კონკრეტული პირობები. ამდენად, დაფინანსების რა სახის წყაროებია და რა პირობებს აყენებს ინვესტორი, მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის მატარებელია. როგორც წესი, მსოფლიო გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში მსხვილი ინვესტორი ითვალისწინებს ადგილობრივ სახელმწიფო პოლიტიკის და ბიზნესის კლიმატს, სხვა ნორმებს, წესებს, საკანონმდებლო ბაზას და, რაც მთავარია, ასევე აუცილებლად უწევს ანგარიშს თავის საბაზისო აქტივების, პასივების დისლოკაციას და ისე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამიტომ ინვესტორის შეფასების კრიტერიუმებში უნდა აისახოს ზემოაღნიშნული საკითხები. საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას დიდი ისტორია და გამოცდილება გააჩნდა. შესაბამისი დარგის მეცნიერ-მუშაკთა, ინჟინერ-მშენებელთა მიერ 1960 წლამდე საქართველოში ასეულობით მცირე და მიკრო ელექტროსადგური აშენდა, ხოლო მის შემდგომ 70-80 წლების პერიოდში აშენდა რამდენიმე ათეული დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ქართველი სპეციალისტები მსოფლიო მნიშვნელობის სტატუსს ატარებდნენ და ყოველთვის მოწინავეთა რიგებს იკავებდნენ დიგების

მშენებლობაში, მათ მიერ ჰიდროელექტროსადგურები წარმატებით დაპროექტდა არა მარტო საქართველოსა და პოსტკომუნისტურ სივრცეში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და უშუალოდ მშენებლობის პროცესებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული. 1950-1991 წლებში ქართველ სპეციალისტებს კონკურენციას ვერ უწევდნენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები და მსოფლიო რეიტინგის ათეულში სათანადო ადგილს იკავებდნენ, ხოლო დღეისათვის არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ სპეციალისტთა ნაკლებობის გამო მდგომარეობა საგანგაშოა და ხუდონჰესის მშენებლობის, ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგისთვის უცხოელი სპეციალისტების ჩარევაა საჭირო. ამდენად ამ თვალსაზრისითაც უკეთესი იქნებოდა, რომ ხუდონჰესი საწყის ეტაპზე იმ რეალობაში 34 წლის წინ აშენებულიყო და არა ამ ეტაპზე სრულიად განსხვავებულ ვითარებაში, როცა სახელმწიფო ეკონომიკურ კრიზისშია და მოცემული პროექტის განხორციელებისათვის არავითარი შიდა რესურსი არ გააჩნია. პასუხისმგებლობის დონე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ხარისხზე ძალზე მაღალია და ამ მიმართებით აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების არა მარტო გაზიარება, არამედ სასურველი იქნება თუ მოცემულ პროექტს განახორციელებენ იაპონიის, იტალიის, შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ან რუსეთის სამშენებლო კომპანიები და დაიცავენ რიხტერის შკალის 9 ბალიან სეისმომდგრადობას, ვინაიდან, როგორც მოცემული ჰესი, ისევე სხვა ნებისმიერი ჰესი არის ინდივიდუალური და ყველა განსხვავდება ერთი მეორისგან. ამდენად სადგურის შიდა ინფრასტრუქტურა და გარე არეალის მოწყობა სპეციფიკურია, მსოფლიოში არ არსებობს ორი ერთნაირი თაღოვანი კაშხალი, არც სატრანსფორმატორო და სატურბინე დარბაზი, ასევე არაა იდენტური არცერთ ჰესზე წყლის შიდა მაგისტრალები: წყალმიმღები და სადაწნეხო გვირაბები, ლეხერის სადერივაციო გვირაბები, პორტალები, მიწისქვეშა ნაგებობები, კატასტროფული წყალსაგდები ნაგებობები და ა.შ. ამდენად კაპიტალური მშენებლობის ამგვარი პროდუქტის ხარისხის გაზომვა და სათანადო ექსპლუატაციის გარანტია უნდა იქცეს მოცემული პროექტის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჰესების მშენებლობა სტრატეგიული ხასიათისაა და ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. გასული საუკუნის 30-60 იან წლებში აშენებული მცირე და მიკრო ელექტროსადურების 50% ლიკვიდირებულია, ხოლო დარჩენილის 70%-ში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ არის ჩატარებული, რადგან მათი უმეტესობის ფუნქციონირება არსებულ ეტაპზე არამომგებიანია და ინვესტორისთვის არასახარბიელო, ხოლო სამომავლოდ ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში მცირე ჰესები აუცილებლად შეიძენს მნიშვნელობას და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე მცირე ჰესები სათანადო ადგილს დაიკავებს ენერგობაზარზე. ამ თვალსაზრისით ხუდონჰესის ალტერნატიული პროექტი მეტად მნიშვნელოვანია და მის ირგვლივ ახლაც მიმდინარეობს განხილვები. ალტერნატიული პროექტით (იხ. ნახ. N-2) დაგეგმილია მოცემულ უბანზე კაშხლების კასკადის მშენებლობა და ფაქტიურად ვიღებთ დამოუკიდებელ ჰესებს სრული ინფრასტრუქტურით. ხუდონჰესის ძირითადი და ალტერნატიული პროექტების შედარებისას წინა პლანზე იწევს ჰესის დაცვის, უსაფრთხოებისა და ბუნებაზე ზემოქმედების საკითხები, სადაც ინვესტორი აუცილებლად პირველ ძირითად პროექტს მიანიჭებს უპირატესობას, ვინაიდან ეკონომიკური გათვლებით ძირითადი პირველი პროექტი უფრო ღირებულია, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით კვლევის საგანს წარმოადგენს რომელია უფრო მომგებიანი, რის მაგალითსაც ენგურჰესის მდგომარეობა იძლევა. ამდენად ძირითადიც და ალტერნატიული პროექტიც სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილშია განსახილველი. სახელმწიფოთა



ურთიერთობის მიზნებში ყოველთვის ფოკუსირდება გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობები, მათ შორის ძალზე დიდია ინტერესი ენერგორესურსების შესახებ. ჰიდროენერგო რესურსი განახლებადია, ამოწურვას არ ექვემდებარება და მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსების ჯგუფს წარმოადგენს, ამდენად შესაძლოა, რომ არა მარტო სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთის ფედერაციის ინტერესის საგანს აფხაზეთის ტერიტორია და მთლიანად კავკასიონის ქედი წარმოადგენს, არამედ ჰიდრო პოტენციალზე კონტროლის განხორციელებაც. კავკასიონის დაახლოებით 70% ფაქტიურად რუსეთის ფედერაციის მფლობელობაშია და ენგურის აუზის დასავლეთ ნახევარზეც ითხოვს კონტროლს, ამდენად პირდაპირ არ იკვეთება, რომ რუსეთის ინტერესებშია საქართველოს ჰიდრორესურსების პოტენციალზე კონტროლის დამყარება, მაგრამ ფაქტია, რომ კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემის პეტეროგენულ გეოტექტონიკურ ერთეულთა შორის გაგრა-ჯავის ზონები წარმოადგენს ჰიდრორესურსების გამოყენების საუკეთესო არეალს და ზუსტად ამ ზონებზე ახორციელებს კონტროლს, ხოლო რაც შეეხება სამხედრო-პოლიტიკურ თვალსაზრისს, რუსეთის ფედერაციამ ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით და ძალადობით მზაკვრულად შექმნა კონფლიქტის საფუძვლები, მოახდინა ტერიტორიების ეტაპობრივი ოკუპირება და, საბოლოოდ, 2008 წლის ომის შემდგომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღიარა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აღნიშნულიდან გამომდინარე ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე უბნებზე გრანდიოზული პროექტების განხორციელება და მისი დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რის გამოც ბუნებრივად იზრდება რისკები ინვესტორისთვის და იბადება კითხვები: პირველი, ვინ იქნება ხუდონჰესის პროექტის დამფინანსებელი; მეორე, ინვესტორი შესძლებს თუ არა რუსეთ საქართველოს დაძაბული ურთიერთობების პირობებში დააბალანსოს ვითარება და შეინარჩუნოს ჰესის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები და მესამე, გარანტიის რა საფუძვლები არსებობს, რომ სამომავლოდ ხუდონჰესი არ გახდება ქვეყნებს შორის ახალი დაპირისპირების და მანიპულირების საგანი. წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის უპირველესად აუცილებელია რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთსასარგებლო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგება, რომლის პერსპექტივა უახლოეს დროში ნაკლებად მოსალოდნელია და ხუდონჰესის მშენებლობის 34 წლიანი პერიოდი შესაძლოა კვლავ გაიზარდოს, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის წინსვლაზე.

ლიტერატურა:

1. არველაძე რ., საქართველოში ბაზისური ელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ, ენერგია №3, თბ., 1998.
2. სვანიძე გ., საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, თბ., 1999.
3. ქანდარია მ., ენერგეტიკული სტრატეგია, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი 2020 წლამდე პერიოდისათვის, თბ., 2000.
4. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 2002.
5. CENN-**Caucasus Environmental NGO Network** - „ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის (702 მეგავატი) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ არატექნიკური რეზიუმე წინასწარი ვარიანტი, Trans Electrica Ltd, **თბ.,** 2012.

ინტერნეტ-რესურსები: www.energy.gov.ge /www.esco.ge/ www.gse.com.ge/www.cenn.org www.coreintl.co/ www.transelectrica.com

რეზიუმე

წარმოდგენილი შრომა „ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები“ მოიცავს ხუდონჰესის პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენის კვლევას, რომელშიც ასახულია პროექტის წარმოშობის წინაპირობები, ისტორია, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები. ნაშრომში აგრეთვე გადმოცემულია ეკონომიკურ-ტექნიკური და პოლიტიკური ასპექტების შეფასება და პროექტის განხორციელების სამომავლო ტენდეციების დადგენის კვლევა.

კვლევის მიზნებიდან იკვეთება ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, დადგინდეს ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების საკითხების სრულყოფის ოპტიმალური

მიმართულებები და, მეორე, პროექტის განხორციელებისათვის განისაზღვროს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების მართებული ორიენტირები რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში.

ECONOMICAL AND POLITICAL ASPECTS OF KHUDONI HYDRO POWER PLANT PROJECT

Gela Shakarashvili, Associate Professor

RESUME

Scientific research - "Economic and political aspects of Khudoni HPS " presented research for exploring the feasibility the project Khudoni HPS, which describes the history of the project and factors ecological and social impacts, as well technical - economic evaluation of the project and assessment of the political aspects, trends Development of projects in future.

The goal of the research is two basic directions: First, to determine optimal directions improvement of ecological and socio - economic impacts, and second, to determine the correct position in the international political relationships, including the Russian Federation.

დაკრედიტების პრინციპებისა და მექანიზმის განსაზღვრისათვის

თეა ხორგუაშვილი, პროფესორი
თინათინ ტატულაშვილი, პროფესორი

ლიტერატურაში დაკრედიტების პრინციპები განისაზღვრება სხვადასხვანაირად. მაგალითად, როგორც ბანკების მიერ ფულადი სახსრების სესხად გადაცემის ძირითადი წესები, როგორც კრედიტის ეკონომიკური კანონების რეალიზაციის ხერხები, როგორც დაკრედიტების სისტემის მთავარი ელემენტი, როგორც დაკრედიტების ფუძემდებლური პირობები, რომლითაც გაიცემა კრედიტი მსესხებელზე, როგორც დაკრედიტების სისტემის საფუძველი, მთავარი ელემენტი, რამეთუ ასახავენ კრედიტის არსსა და შინაარსს, აგრეთვე ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში.

ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს საბანკო დაკრედიტების ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: მიზნობრივი გამოყენება, ვადიანობა, უზრუნველყოფა დაკრედიტების დამატებითი პრინციპების სახით გამოყოფენ: დიფერენცირებულობას, საფასურიანობას, ეფექტიანობას და სხვ.

ვინაიდან საბანკო დაკრედიტების პრინციპები წარმოადგენს ამოსავალ ელემენტს დაკრედიტების მექანიზმისა, რომლითაც იქმნება კონკრეტული პირობები კრედიტის ფუნქციონირებისათვის, მისი შესაბამის სფეროებში გამოყენებისათვის და ამით განისაზღვრება კრედიტის როლი მეურნეობაში, ამიტომ

აუცილებელია, რომ დაკრედიტების მექანიზმში განსახიერდეს კრედიტის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკური თავისებურებები. ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საბანკო დაკრედიტების პრინციპებს საფუძვლად დაედება კრედიტის კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემულმა კანონებმა შეიძლება არ მიიღონ მატერიალიზაცია საბანკო დაკრედიტების პრინციპებში. შედეგად, დაკრედიტების მექანიზმი აგებული იქნება კრედიტის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს მეურნეობაში საბანკო კრედიტის როლის შესუსტებამდე და სხვა ნეგატიურ მოვლენებამდე.

რომელი პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად საბანკო დაკრედიტებას, რომ დაცული იყოს კრედიტის კანონები?

კრედიტის წამყვან კანონს წარმოადგენს სახსრების დაბრუნებითობის კანონი. როგორაა შესაძლებელი, რომ დაბრუნებითობა, როგორც კრედიტის ატრიბუტი გადაიქცეს სპეციფიკურად აქტიურ თვისებად? ამის გაკეთება შესაძლებელია დაკრედიტების მექანიზმის საშუალებით, მაგრამ მანამდე დაკრედიტების პრინციპების საშუალებით, როგორც მისი ამოსავალი ელემენტი, ჩავრთავთ რა ამ პრინციპების შემადგენლობაში ისეთებს, რომლებიც უზრუნველყოფს გასესხებული სახსრების თავისდროულ დაბრუნებას. ამ მიზანს სავსებით პასუხობს ვადიანობის პრინციპი. ის მოწოდებულია განსაზღვროს როგორც კრედიტის გამოყენების დროითი საზღვრები, ასევე მისი დაბრუნების კონკრეტული ვადები.

უნდა განვასხვაოთ ორი ცნება: კრედიტით სარგებლობის ვადა და კრედიტის დაფარვის ვადა. ზოგჯერ ისინი შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს კრედიტის ობიექტების თავისებურებათა შედეგად. ეს შემთხვევები გვხვდება საბრუნავ საშუალებებზე დანახარჯების დაკრედიტებისას. სრულიად სხვაა ძირითად ფონდებზე დანახარჯების დაკრედიტება. კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის ვადა, როგორც წესი, არ ემთხვევა. მაგალითად, ახალი ტექნიკის დასანერგად კრედიტით სარგებლობის ვადა შედგება სამი ნაწილისაგან: დასაკრედიტებელი ღონისძიების მიხედვით სამუშაოთა დროისაგან, ათვისების პერიოდისა და დაკრედიტებული ხარჯების ანაზღაურების ვადისაგან. ეს კრედიტი იფარება ობიექტზე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხოლო თუ აუცილებელია, დანერგილი ტექნიკის ათვისების პერიოდის შემდეგაც. აქედან გამომდინარე, ძირითად ფონდებში დანახარჯებზე კრედიტის დაფარვის ვადა მნიშვნელოვნად მცირეა კრედიტით სარგებლობის ვადაზე. ამიტომ, დაკრედიტების ვადიანობის პრინციპი მოითხოვს კრედიტით სარგებლობის პერიოდის განსაზღვრას და არა უბრალოდ მისი დაფარვის პერიოდისა. ამ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს კრედიტით სარგებლობის ვადების, ასევე მისი დაფარვის ვადების ეკონომიკურად დასაბუთებული დაწესება.

ვადიანობის პრინციპი მიმართულია საგადასახდელო დისციპლინის განმტკიცებისაკენ. ბანკები ახდენენ ეკონომიკურ ზემოქმედებას საწარმოებზე, რომლებიც არღვევენ ამ დისციპლინას, კრედიტით სარგებლობისათვის დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენების გზით, აგრეთვე ზემოქმედების სხვა ზომების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში, მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მხოლოდ ვადიანობის პრინციპი არ არის საკმარისი კრედიტის ისეთი კანონის მოქმედების უზრუნველყოფისათვის, როგორიც სახსრების დაბრუნებაა. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, კრედიტი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ნებისმიერი დანახარჯის განხორციელებისათვის, რომლებიც მეურნეობის სხვადასხვა უბანზე წარმოიქმნება. მისი მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად მიზანშეწონილ ხარჯებზე, რომლებსაც აქვთ დაბრუნებითი საფუძველი. ამიტომ დაკრედიტების მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მისი მიზნობრიობა. ეს პრინციპი მოწოდებულია განსაზღვროს კრედიტის გამოყენების საზღვრები.

კრედიტის მეორე კანონს წარმოადგენს საკრედიტო სახსრების დაცულობის კანონი. ის გულისხმობს სასესხო სახსრების სრულ და თავისდროულ დაფარვას. პრაქტიკაში ეს კანონი რომ არ დაირღვეს დაკრედიტების მექანიზმში უნდა იყოს ჩადებული შესაბამისი პრინციპები. სასესხო სახსრების თავისდროული დაბრუნების მისაღწევად ბანკები იყენებენ ამ დაბრუნებითობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმას, აქედან ჩნდება აუცილებლობა გამოიყოს დაკრედიტების პრინციპის სახით კრედიტის უზრუნველყოფის პრინციპი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა გაცემული კრედიტი როდია დაკავშირებული უშუალოდ მატერიალურ უზრუნველყოფასთან. ამ შემთხვევაში კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი კრედიტუნარიანობა. ამიტომ საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებას ბანკების მიერ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

დასახელებული პრინციპები: ვადიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა - სავსებით უწყობენ ხელს კრედიტის კანონების უზრუნველყოფას და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საბანკო დაკრედიტების პრინციპების სახით. საბანკო დაკრედიტების ყველა პრინციპი ურთიერთშორის მჭიდროდაა დაკავშირებული, ნებისმიერი მათგანის შესრულების დარღვევა არახელსაყრელად აისახება სხვა პრინციპებზე.

ასე, მიზნობრიობის პრინციპის არასწორმა შესრულებამ შეიძლება მიგვიყვანოს კრედიტის გამოყენებამდე არარაციონალური მიმართულებთ. ნაკლოვანებები დაკრედიტების უზრუნველყოფის პრინციპის რეალიზაციაში გაართულებენ ვადიანობის პრინციპის შესრულებას

კრედიტის როლი ეკონომიკური ციკლის სხვადასხვა ფაზებში არ არის ერთდროული. ეკონომიკური აღმავლობის პირობებში, საკმარისი ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში კრედიტი გამოდის, როგორც ზრდის ფაქტორი. უდიდესი ფულადი და სასაქონლო მასების გადანაწილებით კრედიტი ასაზრდოებს საწარმოებს

დამატებითი რესურსებით, მაგრამ მისი ნეგატიური მოქმედება შეიძლება აღმოცენდეს საქონლის ჭარბი წარმოების პირობებში. უფრო შესამჩნევია მსგავსი ზემოქმედება ინფლაციის პირობებში. ახალი საგადასახადო საშუალებები კრედიტის მეშვეობით შესული ბრუნვაში ზრდიან უკვე ზედმეტ ფულად მასას, რომლებიც საჭიროა მიმოქცევისათვის.

კრედიტი, დამოუკიდებლად თავის სოციალური მხარისა, ასრულებს ფუნქციას, როგორიცაა: ფულადი ბრუნვის ერთობლივი მოცულობის რეგულირება, ფულადი საშუალებების გადანაწილება მათი მომდევნო დაბრუნების პირობით, დროებითი ფულადი სახსრების აკუმულაცია.

ლიტერატურა:

1. www.nbg.ge; (საქართველოს ეროვნული ბანკი)
2. www.republic.ge; (ბანკი რესპუბლიკა)
3. www.bog.ge; (საქართველოს ბანკი)
4. www.tbc.ge; (თი-ბი-სი ბანკი)
5. www.commersant.ge.

რეზიუმე

დაკრედიტების პრინციპები წარმოადგენს ამოსავალ ელემენტს დაკრედიტების მექანიზმისა, რომლითაც იქმნება კონკრეტული პირობები კრედიტის ფუნქციონირებისათვის, მისი შესაბამის სფეროებში გამოყენებისათვის და ამით განისაზღვრება კრედიტის როლი მეურნეობაში, ამიტომ აუცილებელია, რომ დაკრედიტების მექანიზმში განსახიერდეს კრედიტის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკური თავისებურებები. ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საბანკო დაკრედიტების პრინციპებს საფუძვლად დაედება კრედიტის კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემულმა კანონებმა შეიძლება არ მიიღონ მატერიალიზაცია საბანკო დაკრედიტების პრინციპებში.

FOR DEFINING PRINCIPLES AND MECHANISM OF CREDITING

Tea Khorguashvili, Professor
Tinatin Tatulashvili, Professor

RESUME

Debt issuance principals are the main points for crediting mechanisms that create special environment for credit functioning and then its usage in special spheres and due to all the above mentioned facts the role of debt issuance in the economy is defined. That’s why it is vitally important to figure out the specific peculiarities of credits in the debt issuance mechanism. The debt issuance can be reached perfectly by means of defining credit laws as the base point of the issue. Otherwise, the given laws may not receive materialization on the principles of bank debt assurance.

ფინანსური მენეჯმენტის სწავლების ბუღალტრული ასპექტები

თინა ჯოლბორდი, *მოწვეული დოქტორი*
მზია რამიშვილი, *მოწვეული დოქტორი*

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბევრი ახალი დისციპლინა შემატა სწავლების სისტემას, მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო დისციპლინაა ფინანსური მენეჯმენტი. ფინანსური მენეჯმენტი საწარმოს ფინანსების მართვის მეცნიერებაა და მიმართულია მისი სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების მისაღწევად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური მენეჯერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა საწარმოში. ამ პროცესმა მოითხოვა ახალი კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური მენეჯმენტის სპეციალობით. ამისათვის კი საჭიროა სათანადო საინფორმაციო ბაზა, კერძოდ კი სათანადო ეკონომიკური ლიტერატურით უზრუნველყოფა.

ფინანსური მენეჯმენტი შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა და განიცდის ცვლილებებს. ამიტომ მასში ბევრია ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც დღემდე სადისკუსიოა. ფინანსური მენეჯმენტი სწრაფად ვითარდება მსოფლიოში. წინსვლა შეინიშნება არა მხოლოდ თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. ამ ცვლილებების შედეგი არის ის, რომ კორპორაციის ფინანსური ხელმძღვანელობა ფოკუსირებას აკეთებენ სტრატეგიულ საკითხებზე ღირებულების გაზრდისთვის ბრძოლაში. ამ პროცესში ფინანსური მენეჯმენტის ტრადიციულ მეთოდებს უმატებენ ახალ მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარება გარკვეულ ვითარებაში გადაწყვეტილების მისაღებად. თანამედროვე ფინანსური მენეჯერი უნდა იყოს ისე მოქნილი, რომ შეეგუოს ცვალებად გარემოს თავისი კომპანიის გადასარჩენად. მომავალმა წარმატებულმა ფინანსურმა მენეჯერმა სამუშაოს ტრადიციული წარმართვა უნდა შეავსოს ახალი მეთოდებით, რომელიც დაეხმარება გაურკვევლობის და მრავალმიმართულებიანი ამოცანების გადასაწყვეტად. ამგვარად, აქტივების ეფექტიანი შეძენის დაფინანსებითა და მართვით ფინანსური მენეჯერი ხელს უწყობს კომპანიის და მთლიანად ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის ზრდას.

ფინანსური მენეჯმენტის ცოდნა საჭიროა არა მხოლოდ მენეჯერებისათვის, არამედ ბუღალტრებისათვისაც. ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორი ვან ჰორნი მიუთითებს, რომ ეს წიგნი გამოადგება არა მხოლოდ მენეჯერებს, არამედ სხვა სერტიფიცირებული პროგრამების მონაწილეებს, მაგალითად დიპლომირებულ ფინანსურ მენეჯერებს, დიპლომირებულ მენეჯერ ბუღალტრებს და ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტებს. ბიზნესში მიმდინარე ცვლილებებმა ახალი ამოცანები დაუსახა ბუღალტრებს: „დროება შეიცვალა და ბუღალტერია გახდა უფრო კომპლექსური ტექნოლოგიის, მთავრობის წესების, გლობალური კომერციის და ბიზნესის უმეტეს ნაწილში ინფორმაციის გადაცემის სიჩქარისა და მოცულობის გაზრდით დღეში 24 საათის და კვირაში 7 დღის განმავლობაში. შეიცვალა ასევე ბუღალტრული აღრიცხვის როლი კულტურაში. ეს ფაქტორები ჩვენგან მოითხოვს, რომ ამ კრიტიკული პროდუქციის მომხმარებლებმა გამოვიყენოთ საკუთარი აზროვნება, გამოცდილება და ძველმოდური საღი აზროვნება, როცა ვეცნობით ბუღალტრის მუშაობის შედეგებს“ [ვ. ჰორნი, 2008, გვ. 137].

დღეს გამოწვევების და შესაძლებლობების დროა. ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციისაკენ. დისკუსიას იწვევს ზოგიერთი მუხლის ცალკეული აღრიცხვის ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება. კომპანიების მიერ მუხლების სხვადასხვაგვარი აღრიცხვით ბუღალტრულ უწყისში კომპანიები აწყდებიან უდიდეს რისკს. ფინანსური მენეჯერები მიუთითებენ, რომ საჭიროა გაერთიანება და სპეციალური საერთო მიზნის არსებობა: „ჩვენ სტანდარტის სხვა დამდგენთან ერთად ვაღიარებთ იმ აუცილებლობას, რომ სპეციალური მიზნობრივი ერთეულები და გადარიცხვის სხვა ტიპები ასახულ იქნეს ბუღალტრულ უწყისში. ეს არის დაფარული მხარე. კომპანიები ავითარებენ იმ იდეას, რომ მოხსენება გაკეთდეს საბალანსო უწყისის გარეთ და საერთოდ არ გააკეთონ მოხსენება“ [ჰორნი, 2008, გვ. 138].

ფინანსური მენეჯმენტი ეყრდნობა რამდენიმე დისციპლინას: ფინანსებს, მენეჯმენტს, ფინანსურ ანალიზს, ბუღალტრულ აღრიცხვას და სხვ. ფინანსურ მენეჯმენტს მჭიდრო კავშირი აქვს ბუღალტრულ აღრიცხვასთან. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფინანსური მენეჯმენტის განხილვაზე ფინანსური ასპექტით, ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი მის განხილვას ბუღალტრული ასპექტით [ღუდუშაური, ცაავა, თეთრუაშვილი]. ფინანსური მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა უნდა ითვალისწინებდეს საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებას, ძირითადად, აშშ-ს,

ზოგიერთი საკითხი კარგადაა განხილული რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც. საზღვარგარეთის თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური მენეჯმენტის ბევრი საკითხი განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის და გადასახადების ასპექტით. მაგ., ჰორნი, ვაჰოვიჩი, სტოიანოვა და სხვ. რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სახელმძღვანელო იწყება ფინანსური ანგარიშგებით და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით. საინტერესოდაა წარმოდგენილი ასევე ფინანსური მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა, მასში ასახულია, ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგია და ტაქტიკა ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი ორგანულ მთლიანობაში. [სტოიანოვა, 1996]. მიგვაჩნია, რომ საკითხის ასე წარმოდგენა საკმაოდ საინტერესოა და ეს ასპექტი განხილულ უნდა იქნეს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც.

განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი, რომელიც კარგადაა წარმოდგენილი ამერიკულ ეკონომიკურ ლიტერატურაში.

საწარმოს ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება მინიმალური რისკის და მინიმალური დანახარჯების პირობებში. ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით ამორტიზაციის ანარიცხები არის გამოქვითვადი ხარჯები, რომლებიც ამცირებს გადასახადებს და ზრდის მოგებას. ამორტიზაცია ამცირებს საგადასახადო შემოსავალს, ამიტომ, რაც უფრო მეტია ამორტიზაციის გამოქვითვები, მით დაბალია გადასახადი.

არსებობს ამორტიზაციის სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდები, მათ შორის წრფივი და დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდები. ამორტიზაციის მეთოდები შეიძლება განსხვავებული იყოს საგადასახადო და შიდა ფინანსური ანგარიშგებისათვის. აშშ-ში ბევრი კომპანია იყენებს დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდს საგადასახადო მიზნებისათვის. ეს მეთოდი უზრუნველყოფს აქტივების სწრაფ ჩამოწერას ხარჯებში და შედეგად საგადასახადო შემოსავლის შემცირებას.

აშშ-ში 1986 წლის საგადასახადო რეფორმა უფლებას აძლევს კომპანიებს საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენონ დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი. ეს ცნობილია როგორც მოდიფიცირებული დაჩქარებული ამორტიზაციის სისტემა (MACRS „მაკერს“), რომლის მიხედვით დანადგარი, აღჭურვილობა და უფრო ძვირი ქონება იყოფა 8 კლასად, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მათი მოქმედების დრო, ანუ ღირებულების აღდგენის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი.

თითოეული კლასის აქტივისათვის განსაზღვრულია ამ აქტივის ღირებულების აღდგენის პერიოდი საგადასახადო მიზნებისათვის. მოქმედების ეს ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამისი აქტივების ვარგისიანობის ან სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით ძირითადი საშუალებები ამორტიზაციის ვადის მიხედვით იყოფა 5 კლასად. მეორე კლასს მიეკუთვნება სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა, კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერფორაციული მოწყობილობები და აღჭურვილობა, ელექტრონული მოწყობილობა. მესამე კლასს მიეკუთვნება სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები, ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები, თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელმანქანები, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის მოწყობილობები, მილსადენები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა მეორე და მესამე ჯგუფებზე, მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის ორმაგი ოდენობისა.

ამრიგად, საწარმოს ფინანსურ შედეგზე უშუალო გავლენას ახდენს ამორტიზაციის მეთოდი და მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ფინანსური მენეჯმენტისათვის.

მწარმოებელი კომპანიისათვის ამორტიზაციის ხარჯი განიხილება, როგორც წარმოებული საქონლის თვითღირებულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. სავაჭრო კომპანიისთვის ამორტიზაცია ძირითადად განიხილება ცალკე, როგორც პერიოდის ხარჯი და გავლენას ახდენს საერთო მოგებაზე.

ფინანსური მენეჯმენტისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები ძირითადად განხილულია „დაბეგვრიდან დაცვის“ კონტექსტში. მაგალითად, საწარმოები, რომლებიც იყენებენ ფინანსური ლევერიჯის ეფექტს, ჩვეულებრივ სარგებლობენ მოზიდული საშუალებებით სესხით. სესხზე პროცენტი არის გამოქვითვადი ხარჯი და ამცირებს საგადასახადო შემოსავალს, ამ პროცესს ეწოდება „დაბეგვრიდან დაცვა“, თუმცა ეს საკითხები საჭიროებს დამატებით კვლევას, რადგან სესხით სარგებლობის თანმხლები საგადასახადო სარგებელი ყოველთვის არ არის გარკვეული. თუ საგადასახადო შემოსავალი დაბალია ან უარყოფითი დაბეგვრიდან დაცვის სარგებელი სესხიდან მცირდება ან საერთოდ ქრება, უფრო მეტიც, თუ კომპანია კოტრდება ან ლიკვიდაციაზეა, სესხის თანმხლები დაბეგვრიდან დაცვა საერთოდ შეჩერდება. არსებობს არა მხოლოდ სესხის თანმხლები დაბეგვრიდან დაცვის სარგებლის გაურკვევლობა, არამედ

სხვა დაბეგვრიდან დაცვის თანმხლები გაურკვევლობა (მაგალითად ლიზინგის გადახდები). ეს მხოლოდ გაურკვევლობის დასაწყისია. ასევე არსებობს გაურკვევლობა, რომ მთავრობა შეცვლის საგადასახადო განაკვეთს. ამის გამო, სესხის დაფინანსების თანმხლები დაცვითი სარგებელი ხდება გაურკვეველი. როცა ფინანსური ლევერიჯი იზრდება, დაბეგვრიდან დაცვის სარგებელის პროცენტის უზუსტობა ხდება სულ უფრო მნიშვნელოვანი. შედეგად, ამან შეიძლება შეამციროს დაბეგვრიდან დაცვის სარგებელის

ღირებულება (ჰორნი, გვ. 501)

ფინანსურ მენეჯმენტში მნიშვნელოვანია ლიზინგის ბუღალტრული აღრიცხვა. რამდენიმე წლის წინ ლიზინგით დაფინანსება მიმზიდველი იყო, რადგან ლიზინგის ვალდებულება არ ჩანდა კომპანიის ფინასურ ანგარიშგებებში. შედეგად, იჯარა განიხილებოდა როგორც დაფინანსების „დამალული“ ან ბალანსგარე მეთოდი. თუმცა ბუღალტრული მეთოდები შეიცვალა იმგვარად, რომ ახლა ბევრი გრძელვადიანი იჯარა ასახული უნდა იყოს ბუღალტრულ უწყისში, როგორც „კაპიტალიზებული“ ასევე ნაჩვენები აქტივი თანმხლები ვალდებულებებით. ასეთი იჯარები ზეგავლენას ახდენენ მოგების ანგარიშგებებზე. სხვა იჯარები სრულად უნდა იქნეს გამოაშკარავებული ფინანსურ განცხადებაში. ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით, კომპანიას აღარ შეუძლია გაასულელოს ინვესტორი ან კრედიტორები ლიზინგის გამოყენების სესხით დაფინანსების საპირისპიროდ. საიჯარო ვალდებულებები დიდ გავლენას ახდენენ კაპიტალის ნებისმიერ მიმწოდებელზე, რომლებიც ცდილობენ წაიკითხონ ფინანსური განცხადებები. ამრიგად, იჯარა მიმზიდველი იყო ზოგიერთი კომპანიისთვის როგორც „ბალანსგარეშე“ დაფინანსების მეთოდი. არ იყო არანაირი სამხილი, რომ ასეთ დაფინანსებას ჰქონდა ხელსაყრელი გავლენა კომპანიის შეფასებაზე ყველა მსგავს პირობებში. მაინც ბევრი კომპანია ეთანხმებოდა იმ ვარაუდს, რომ „ბალანსგარეშე“ დაფინანსების მეთოდი იყო კარგი რამ. 1976 წელს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ მიიღო დადგენილება (ფასს13) რომელიც მოითხოვდა ზოგიერთი ლიზინგის ტიპის ბუღალტრულ უწყისშიკაპიტალიზაციას. ძირითადად ეს დადგენილება ამბობს, რომ თუ მოიჯარე შეიძენს საიჯარო საკუთრების მთლიან ეკონომიკურ სარგებელს და რისკს, მაშინ აქტივის ღირებულება შესაბამის საიჯარო ვალდებულებასთან ერთად ნაჩვენები უნდა იყოს მოიჯარის ბუღალტრულ უწყისში.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ფინანსური მენეჯმენტის საკითხები შესწავლილ უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით. ფინანსური მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა უნდა ითვალისწინებდეს საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებას. ჯერ ერთი, ფინანსური მენეჯმენტის საკითხები უნდა განიხილებოდეს როგორც სტრატეგიაში, ისე ტაქტიკაში, ანუ მთლიანობაში ურთიერთკავშირში.

მეორეც, ფინანსური მენეჯმენტის საკითხები განხილულ უნდა იქნეს ბუღალტრული ასპექტით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დაბეგვრიდან დაცვის“ თვალსაზრისით გამოვლენილი ხარჯები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადასახადების შემცირებაზე და შედეგად მოგების ზრდაზე. მესამე, ფინანსური მენეჯმენტის სწავლება აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტებისათვის, ამიტომ ფინანსური მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა უნდა ითვალისწინებდეს იმ თემატიკას, რაც მნიშვნელოვანია ბუღალტრებისათვის, მაგ., ლიზინგის აღრიცხვის საკითხები, დაჩქარებული ამორტიზაცია, სავალუტო კურსის ცვლილებები და სხვ.

მიგვაჩნია, რომ ფინანსური მენეჯმენტი თავისი მრავალფეროვანი თემატიკისა და სხვა დისციპლინებთან მჭიდრო ურთიერთობების გამო უნდა ისწავლებოდეს ყველა სპეციალობაზე, რაც სტუდენტს ჩამოუყალიბებს ოპტიმალური ფინანსური გადაწყვეტილებების უნარ-ჩვევებს და რომლებიც დადებითად წაადგება მათ სპეციალობას.

ლიტერატურა:

1. თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი მ., ქარდავა თ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 1997.
2. ღუდუშური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2008.
3. ჰორნი ჯ. ვ., ვაჰოვიჩი ჯ. მ., უმცრ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
4. Финансовый менеджмет, Учебник, Под ред. Стояновой, М., 1996.

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბევრი ახალი დისციპლინა შემატა სწავლების სისტემას, მათ შორისაა ფინანსური მენეჯმენტი. ამ პროცესმა მოითხოვა ახალი კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური მენეჯმენტის სპეციალობით. ამისათვის კი საჭიროა სათანადო საინფორმაციო ბაზა ეკონომიკური ლიტერატურის სახით.

ჩვენს ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური მენეჯმენტი ძირითადად წარმოდგენილია ფინანსური ასპექტით. საზღვარგარეთის ლიტერატურაში კი ფინანსური მენეჯმენტის ბევრი საკითხი წარმოდგენილია ბუღალტრული ასპექტით. მიგვაჩნია, რომ უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, ჯერ ერთი, ფინანსური მენეჯმენტი განვიხილოთ მთლიანობაში სტრატეგიის და ტაქტიკის ურთიერთკავშირში, მეორეც, ფინანსური მენეჯმენტი განვიხილოთ ბუღალტრული ასპექტით, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „დაბეგვრიდან დაცვას“, მაქსიმალური მოგების მიღებას მინიმალური დანახარჯების და მინიმალური რისკის პირობებში. საჭიროა ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, რაც დადებითად წაადგება ფინანსური მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას.

ACCOUNTING ASPECTS OF TEACHING FINANCIAL MANAGEMENT

Tina Jolbordi, Doctor by contract
Mzia Ramishvili, Doctor by contract

RESUME

The process of taking market economy enriched the system of study. Financial management is among them. This process requires preparing new stuff in the universities. We needed appropriate informational base including the economic literature for this purpose.

Financial management is presented by the financial aspect in our national economic literature. Though financial management is presented by the accounting aspect in the foreign literature. We consider that we should use their experience. First, financial management should be discussed as the union of strategy and tactic. Then financial management should be discussed according to the accounting aspect to pay special attention to “defense from taxation”, taking maximum of profit with minimal spendings and risks. The research towards this direction should be continued according to the Tax Law of Georgia to bring positive benefits to the theory and practice of financial management.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოში

იოსებ ბაინდურაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს დამოუკიდებელ მმართველ სუბიექტს, რომელსაც ძირითადად აქვს ისეთი სახის ფუნქციები, რომელთა განხორციელების უფლება სახელმწიფოს არ გააჩნია. მოქმედი თვითმმართველობის სისტემა საქართველოს მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. აღნიშნული ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე საზოგადოების მოთხოვნების/პრობლემების ეფექტურ გადაწყვეტას.

საქართველოში, ისევე, როგორც მრავალ ევროპულ ქვეყანაში (მაგალითად ჩეხეთის რესპუბლიკაში), თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება ეს არის თვითმმართველი ერთეულის მიერ ექსკლუზიურად, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელთა გადაწყვეტის დროსაც სახელმწიფოს არ გააჩნია ჩარევის უფლება. რაც შეეხება დელეგირებულ უფლებამოსილებას, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ უფლებებს, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ. შეიძლება ითქვას, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დროს თვითმმართველი ერთეული ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს როლს/ფუნქციებს.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობას გააჩნია გარკვეული ავტონომია, ცენტრალურ ხელისუფლებას მაინც აქვს მათი კონტროლის/ზედამხედველობის სხვადასხვა ბერკეტი. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ თვითმმართველობის ზედამხედველობა, რომელიც მიზნად ისახავს თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გადადგმული ნაბიჯების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ორგანო ან თანამდებობის პირი.[1]

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ მე-8-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად,[2] განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა უნდა ემსახურებოდეს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვას, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობა უნდა იყოს ადეკვატური და არ უნდა ახდენდეს თვითმმართველობის უფლებების შეზღუდვას.

საქართველოში მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი ზედამხედველობა და დელეგირებული უფლებამოსილების ზედამხედველობა.

სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა კი გულისხმობს მიზანშეწონილობის მოტივით ზედამხედველობას, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო ინტერესებისა და იმ მითითებების შესაბამისად, რომლებსაც სახელმწიფო (დელეგირების განმახორციელებელი ორგანო) იძლევა.[3]

სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის[4] ძალადაკარგული რედაქციის მიხედვით, თვითმმართველობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი სამართლებრივი დასკვნისათვის გადაეცემოდა იუსტიციის სამინისტროს, მაგრამ ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში 2011 წლის 19 აპრილს შეტანილი ცვლილების თანახმად, იუსტიციის მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება განესაზღვრა იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელზედაც არ არის საჭირო იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დასკვნის არსებობა. შესაბამისად, ზედამხედველობის ორგანო (სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი) უფლებამოსილი გახდა დამოუკიდებლად აწარმოოს თვითმმართველობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების ზედამხედველობა.

იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობის ორგანო თვითმმართველობის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს, მას უფლება აქვს აქტის გამოქვეყნებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში დასაბუთებული წინადადებით მიმართოს აქტის გამომცემ თვითმმართველ

[1] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი №4910–Iს.სსმ, 22, 19/06/2007

[2] ევროპის საბჭოს მიერ 1985 წლის 15 ოქტომბერს მიღებული ქარტია, რომლის რატიფიცირება საქართველომ 2004 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა პარლამენტის №515-IIს დადგენილებით.

[3] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი №4910 –Iს.

[4] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი 09.11.2009, №1876–IIს

ერთეულს და მოითხოვოს აქტის გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა. თუ თვითმმართველი ერთეული იზიარებს ზედამხედველობის ორგანოს მიერ წარდგენილ მოთხოვნებს, თხუთმეტი დღის განმავლობაში ცვლის ან აუქმებს გამოცემულ ნორმატიულ აქტს. მას ასევე უფლება გააჩნია დასაბუთებული წერილობითი უარი განაცხადოს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული ვადის გასვლიდან ათი დღის განმავლობაში, ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს აქტის შეჩერების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს) უფლება აქვს, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.[1]

დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში თვითმმართველი ერთეულის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ზედამხედველობა განსხვავებული წესით რეგულირდება, კერძოდ, თუ ზედამხედველობის ორგანო მიზანშეუწონლად თვლის თვითმმართველობის მიერ მიღებულ ნორმატიული აქტის არსებული სახით მიღებას, მას უფლება აქვს აქტის გამოქვეყნებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში დასაბუთებული წინადადებით მიმართოს აქტის გამომცემ თვითმმართველ ერთეულს და მოითხოვოს აქტის გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) მიღებიდან ათი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნას, ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს აღნიშნული ვადის გასვლიდან ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში მიმართოს საქართველოს მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმების შესახებ წინადადებით. საქართველოს მთავრობა ზედამხედველობის ორგანოს წინადადებას იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმება დაუშვებელია.[2]

თუ საქართველოში მოქმედ სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემას შევადარებთ ჩეხეთის რესპუბლიკაში მოქმედ ზედამხედველობის სისტემას, დავინახავთ გარკვეულ მსგავსებას. კერძოდ, საქართველოს მსგავსად ჩეხეთის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებსაც გააჩნიათ საკუთარი და სახელმწიფოსგან გადაცემული დელეგირებული უფლებამოსილებანი, რომლის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტი გამოდის როგორც სახელმწიფო.

ჩეხეთის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ზედამხედველობას, გარკვეული გამონაკლისების გარდა, ახორციელებს რაიონული ადმინისტრაცია, რომელსაც უფლება აქვს, კანონთან შეუსაბამობის მოტივით, შეაჩეროს მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების დროს მიღებული სამართლებრივი აქტები ან გადაწყვეტილებები. იმ შემთხვევაში, თუ უკანონო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კანონთან შესაბამისობაში არ მოიყვანს აღნიშნულ სამართლებრივ აქტს, რაიონული ადმინისტრაცია უფლებამოსილი ხდება აღნიშნული აქტის შეჩერებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში საკითხის განსახილველად მიმართოს ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს.

საქართველოში მოქმედი წესისგან განსხვავებით, ჩეხეთის რესპუბლიკის რაიონულ საბჭოს უფლება აქვს ბათილად გამოაცხადოს მუნიციპალიტეტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ნორმატიული აქტი.[3] საქართველოში თვითმმართველი ერთეულის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის უფლება მხოლოდ თავად საკრებულოს და სასამართლოს გააჩნია.[4]

---

[1] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი. სსმ, 22, 19/06/2007. დოკუმენტის № 4910.

[2] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.სსმ, 22, 19/06/2007. დოკუმენტის № 4910.

[3] ო. მელქაძე ზ. ეზუგბაია, „მუნიციპალური სამართალი“ 2002 წ. გვ. 179.

[4] „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. სსმ, 2, 09/01/2006 № 2304. მუხლი 44-ე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“[1] საქართველოს კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“[2] საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია თვითმმართველობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოცემული ნორმატიული აქტი გამოაცხადოს ძალადაკარგულად. ბუნდოვანია, რატომ არა აქვს უფლება საქართველოს მთავრობას ბათილად გამოაცხადოს თვითმმართველობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ნორმატიული აქტი. ამასთან, შესაძლებელია აღნიშნული ნორმატიული აქტი ზიანს აყენებდეს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა სახის ინტერესებს და საჭირო გახდეს ამ აქტით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ბათილად ცნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, თვითმმართველი ერთეული ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს როლს/ფუნქციებს, შესაბამისად უმჯობესი იქნება საქართველოს მთავრობას მიენიჭოს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, თვითმმართველი ერთეულის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის უფლება. აღნიშნული არ შეიძლება აღქმული იქნეს ისე, თითქოს ამ ქმედებით მოხდება თვითმმართველობის დამოუკიდებლობის შეზღუდვა, ეს იგივეა, რომ საქართველოს მთავრობამ ბათილად გამოაცხადოს რომელიმე მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი. ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობისათვის მინიჭების გზით შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ის სამართლებრივი პრობლემები, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კანონის არსებული რედაქციით.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გათვალისწინებულ ფაქტზე, რომლის თანახმადაც ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს), ცვლილება შეიტანოს ნორმატიულ აქტში ან გააუქმოს იგი, თუ ზედამხედველობის ორგანო ამ ნორმატიული აქტის არსებული სახით მიღებას **მიზანშეუწონლად** მიიჩნევს. ტერმინი „მიზანშეუწონლობა“ ბუნდოვანია, შესაბამისად, გაურკვეველია, რას გულისხმობს კანონმდებელი. იმისათვის, რომ ზედამხედველობის ორგანომ თვითმმართველობას მოსთხოვოს მიღებული ნორმატიული აქტის გაუქმება (ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება), საჭიროა არსებობდეს ამ აქტის ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **60[1]**-ე ან **61**-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რომლის არარსებობის შემთხვევაში, დაუშვებელი იქნება, სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება. ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების ფარგლებში, მიზანშეწონილია საკანონმდებლო სივრცის გამართულობისათვის, გავრცელდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთ ხსენებული მუხლები და გაუქმდეს ის გაურკვეველი რეგულაცია, რომელსაც გთავაზობს კანონი არსებული რედაქციით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობას და გამორიცხავს ზედამხედველი ორგანოების თვითნებურ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. შესაბამისად, ზედამხედველობის ორგანოს არ უნდა ჰქონდეს უფლება ზემოთ ხსენებული მუხლების გვერდის ავლით მოითხოვოს კანონმდებლობის დაცვით გამოცემული ნორმატიული აქტის გაუქმება მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას არ მოსწონს გამოცემული ნორმატიული აქტის შინაარსობრივი მხარე. მსგავსი სახის პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ზედამხედველობას, რადგან ზედამხედველობის საკითხის რეგულირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შეიცავს ნორმათა კოლიზიას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა კანონი განსხვავებულად არეგულირებს ერთი და იმავე საკითხს, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,[3] ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს გააუქმოს თვითმმართველი ერთეულის მიერ

[1] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი. სსმ, 22, 19/06/2007. დოკუმენტის№ 4910.

[2] „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. სსმ, 2, 09/01/2006 № 2304.

[3] „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი. სსმ, 22, 19/06/2007. დოკუმენტის №4910. მუხლი მე-9 პუნქტი მე-9.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მიზანშეუწონლობის მოტივით, ხოლო, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, ზედამხედველობის ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს თვითმმართველობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების უფლება, თუ აღნიშნული აქტი დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრებულია ზედამხედველობის ორგანოში და იგი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **60[1]**-ე მუხლის მოთხოვნებს. ყველა სხვა შემთხვევაში ზედამხედველობის ორგანო მოკლებულია უფლებამოსილებას თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეუწონლობის მოტივით გააუქმოს თვითმმართველობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, სახეზეა ნორმათა კოლიზია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთი და იმავე საკითხს სხვადასხვა კანონი განსხვავებულად არეგულირებს. მნიშვნელოვანია არსებობდეს საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა იმგვარად, რომ არც თვითმმართველობის დამოუკიდებლობა იქნეს დარღვეული და სახელმწიფო ზედამხედველობაც გამართულად ხორციელდებოდეს.

დღეს მოქმედ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული გარკვეული ბუნდოვანობის და ნორმათა კოლიზიის აღმოსაფხვრელად საჭიროა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა, რომელიც აღნიშნულ კანონს გახდის ადვილად აღქმადს, რაც თავისთავად დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობების ზედამხედველობის კუთხით არსებული სამართლებრივი პრობლემების დარეგულირებაზე.

ლიტერატურა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. ევროპის საბჭოს მიერ 1985 წლის 15 ოქტომბერს მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.
3. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი.
5. მელქაძე ო., ეზუგბაია ზ., „მუნიციპალური სამართალი“, 2002.

რეზიუმე

აღნიშნული სტატია ეხება საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან თვითმმართველობის კონტროლს როგორც საკუთარი, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე სტატიაში განხილულია ის სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოშვას საქართველოს მთავრობის ან სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მხრიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კონტროლის, ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის პროცესში.

STATE SUPERVISING OF THE LOCAL SELF GOVERNMENT IN GEORGIA

Ioseb Baindurashvili, Specialist under contract

RESUME

The above mentioned paper addresses the state regulatory control over the local self-government bodies, as within its own authority and as well as within the statutory authority. The paper also addresses the legal problems that may occur when the Government of Georgia or the State Regulatory bodies null or control the legal statutes of the local Self-Government Bodies.

საქმისწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში

ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

საქმისწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოებში გულისხმობს დოკუმენტების მიღების, აღრიცხვის, მომზადების, გაფორმების, მოძრაობის, შესრულებაზე კონტროლის განხორციელების, შენახვისა და გამოყენების პროცედურებს, რომელიც ხორციელდება როგორც ქაღალდზე შესრულებული, ისე ელექტრონული დოკუმენტების სახით. ამასთან, ინფორმაციის ავტომატიზებული (კომპიუტერული) დამუშავების მოქმედებისას სქემებში შეიტანება კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით დოკუმენტების დამუშავების ყველა პუნქტი. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების პირობებში დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს დოკუმენტების ტრადიციული და ავტომატიზებული დამუშავების ურთიერთშეთავსებას ამ საშუალებათა შესაძლებლობებთან.

როგორც წესი, საქმისწარმოების პროცედურების დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალიზებულ სამსახურს, რომლის მოვალეობაში შედის: ა) შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვა; ბ) დოკუმენტების გადაცემა ქვედანაყოფის უფროსისა და შემსრულებლისათვის; გ) დოკუმენტების შესრულების კონტროლი და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება; დ) გასული დოკუმენტების გაგზავნა; ე) საქმეთა მომზადება არქივისათვის ჩასაბარებლად; ვ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენა.

ადმინისტრაციულ ორგანოში საქმისწარმოებისათვის მნიშვნელოვანია მმართველობითი დოკუმენტების შედგენა და გაფორმება.

მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მმართველობითი საქმიანობის ფიქსაციას ქაღალდზე ან ინფორმაციის სხვა მატარებელზე. დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების დროს დაცული უნდა იქნეს დადგენილი წესები, რომლებიც უზრუნველყოფს დოკუმენტის იურიდიულ ძალას, მის შემდგომ გამოყენებას, აღრიცხვას, შემდგომ დამუშავებასა და შენახვას. დოკუმენტს უნდა გააჩნდეს დადგენილი რეკვიზიტები.

ადმინისტრაციული ორგანოს დოკუმენტები დგება შესაბამისი მოხელის მიერ ხელმძღვანელის დავალებით ან საკუთარი ინიციატივით. დოკუმენტის პროექტის ვიზირება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ა) იმ პირის მიერ, რომელმაც მოამზადა დოკუმენტის პროექტი; ბ) შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ; გ) იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ; დ) იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მიერ, რომელთა უფლებამოსილების სფეროს შეეხება პროექტით დადგენილი საკითხი.

დოკუმენტის პროექტის ვიზირების შემდეგ სავალდებულოა თანხმობის მიღება, რომელიც ხორციელდება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ. ვიზების შეგროვებისათვის პასუხისმგებელია ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც მზადდება დოკუმენტი.

ვიზირებული დოკუმენტის პროექტი გადაეცემა საორგანიზაციო განყოფილებას, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტის სწორად გაფორმებაზე და უზრუნველყოფს დოკუმენტის პროექტის ხელმოსაწერად გადაცემას დოკუმენტის ხელმოწერის უფლებამოსილი პირისათვის.

საქმისწარმოების საწყის ეტაპს შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და განაწილება წარმოადგენს. დაწესებულებაში შემოსული დოკუმენტები გადის პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას, რეგისტრაციას, ინდექსაციას, ხელმძღვანელობის მიერ განხილვას, შემსრულებლებისათვის კონკრეტული დავალების მიცემას, შესრულების ვადის განსაზღვრასა და შემსრულებელთათვის გადაცემას. თანამდებობის პირის სახელზე შემოსულ ოფიციალურ კორესპონდენციებს და მოქალაქეთა წერილებს იღებს და აღრიცხავს (რეგისტრაციაში ატარებს) ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილება. კონვერტები დოკუმენტებითურთ, მათ შორის შეკვეთილი, იხსნება, ამასთანავე მოწმდება ადრესატის სისწორე, პაკეტის სიმრთელე, კონვერტსა და დოკუმენტებზე მითითებული ნომრების შესაბამისობა. პაკეტის შემოწმებისას შენიშნული დარღვევების შემთხვევაში, დგება აქტი სამ ცალად. ერთი აქტი დაერთვის დოკუმენტს, მეორე ეგზავნება დოკუმენტის ავტორს, მესამე რჩება ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებაში. შემოსული დოკუმენტების (მათ შორის მოქალაქეთა წერილების) კონვერტები არ ნადგურდება იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ კონვერტით შეიძლება გამომგზავნის მისამართის, დოკუმენტების გამოგზავნისა და მიღების დროის დადგენა, აგრეთვე პირადი დოკუმენტების შემოსვლისას. შემოსულ დოკუმენტს პირველ გვერდზე მარჯვენა ქვედა

კუთხეში დაესმება შტამპი სარეგისტრაციო ნომრითა და შემოსვლის თარიღით, ფურცლების რაოდენობის მითითებით. რეგისტრაციას არ ექვემდებარება: სტატისტიკური კრებულები, წიგნები, გაზეთები, ჟურნალები და სხვა პერიოდული გამოცემები, სარეკლამო ცნობები, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები. არასწორი მისამართით გამოგზავნილი პაკეტი გადაიგზავნება კუთვნილისამებრ ან დაუბრუნდება ავტორს. პაკეტები წარწერით „პირადად“ აღირიცხება კონვერტზე აღნიშნული მონაცემებით და ადრესატს გადაეცემა გაუხსნელად.

შემოსული დოკუმენტების წინასწარი გარჩევა ხდება მათი განაწილების მიზნით, რათა განისაზღვროს ხელმძღვანელობის მიერ აუცილებლად განსახილველი და სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და პასუხისმგებელი შემსრულებლებისათვის უშუალოდ გადასაცემი დოკუმენტები. ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებაში წინასწარ გადაისინჯება დოკუმენტები, რომლებიც ეგზავნება დაწესებულების ხელმძღვანელობას ან რომლებშიც არ არის მითითებული კონკრეტული თანამდებობის პირი და სტრუქტურული ქვედანაყოფი.

დოკუმენტის რეგისტრაცია ნიშნავს დოკუმენტზე ინდექსის დასმას და სარეგისტრაციო ფორმებში დოკუმენტის შესახებ საჭირო ცნობების ჩაწერას. დოკუმენტის ინდექსი შედგება რიგითი ნომრისაგან, საქმეთა ნომენკლატურის, აგრეთვე კორესპონდენტების, შემსრულებლებისა და სხვა კლასიფიკატორების ინდექსებისაგან. ინდექსის შემადგენელი ნაწილები განცალკევდებიან ირიბი ხაზით. დოკუმენტის ინდექსი დგება შემდეგი თანამიმდევრობით: ა) რიგითი სარეგისტრაციო ნომერი; ბ) საქმეთა ნომენკლატურის ინდექსი; გ) გამოყენებული კლასიფიკატორის ინდექსი. დოკუმენტების რეგისტრაცია ცენტრალიზებულია. შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციას ახდენს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილება.

დოკუმენტი ერთხელ გადის რეგისტრაციას: შემოსული - შემოსვლის დღეს, შექმნილი - ხელმოწერის ან დამტკიცების დღეს. რეგისტრირებული დოკუმენტი ერთი ქვედანაყოფიდან მეორეში გადაცემისას ხელმეორე რეგისტრაციას არ საჭიროებს. დაუშვებელია დოკუმენტის ხელახალი რეგისტრაცია და სხვა სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება. რეგისტრაციაში გაუტარებელი ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი ან მოქალაქის წერილი, რომელსაც მიიღებს ქვედანაყოფის თანამშრომელი, აუცილებლად უნდა აღირიცხოს.

დოკუმენტების რეგისტრაცია წარმოებს ჯგუფების ფარგლებში მათი სახეობების დასახელების, ავტორისა და შინაარსის მიხედვით. რიგითი სარეგისტრაციო ნომრები დოკუმენტებს მიეკუთვნება თითოეული რეგისტრირებული ჯგუფის ფარგლებში.

დოკუმენტების სარეგისტრაციო რეკვიზიტებია: ა) ავტორი (კორესპონდენტი); ბ) დოკუმენტების სახეობის დასახელება; გ) დოკუმენტის თარიღი; დ) დოკუმენტის ინდექსი (დოკუმენტის შემოსვლის თარიღი და ინდექსი დაწესებულებაში შემოსული დოკუმენტებისათვის); ე) დოკუმენტის სათაური ან მისი მოკლე შინაარსი; ვ) რეზოლუცია (დავალების შინაარსი, ავტორი, თარიღი); ზ) შესრულების ვადა; თ) აღნიშვნა შესრულების შესახებ (საკითხის არსის გადაწყვეტის მოკლე ჩანაწერი, საპასუხო დოკუმენტის ფაქტობრივი შესრულების თარიღი და ინდექსი); ი) საქმე N. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი რეკვიზიტების შემადგენლობა შეიძლება შეივსოს შემდეგი მონაცემებით: ა) შემსრულებლები; ბ) შემსრულებლის ხელმოწერა დოკუმენტის მიღებაზე; გ) შესრულების მიმდინარეობა; დ) დანართები და სხვ.

ხელმძღვანელს განსახილველად გადაეცემა დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია საკანონმდებლო, სამთავრობო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, შეიცავენ ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის პრინციპულ საკითხებზე და რომელთა შესრულება მოითხოვს ხელმძღვანელობის პრინციპული ხასიათის გადაწყვეტილებას. დანარჩენ დოკუმენტებს წინასწარი განხილვის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილება გადასცემს შემსრულებლებს.

ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებაში დოკუმენტების დამუშავება და შემსრულებლისათვის გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს მათი შემოსვლის დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ დოკუმენტები შემოვიდა არასამუშაო დროს. დოკუმენტები, რომლებიც სრულდება რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ, გადაეცემა მათ რიგრიგობით ან ერთდროულად ასლების მეშვეობით. დოკუმენტების გამრავლების აუცილებლობასა და ასლების რაოდენობას განსაზღვრავს დოკუმენტის შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი. კორესპონდენციები გადაეცემა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამსახურებრივი დოკუმენტების მოვლასა და მათში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

დოკუმენტის დაკარგვის თაობაზე თანამშრომელმა უნდა განუცხადოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს და ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებას. ასეთ შემთხვევაში ტარდება სამსახურებრივი მოკვლევა.

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გასაგზავნი დოკუმენტები რეგისტრირდება, მრავლდება, კონვერტებში თავსდება, საფოსტო გზავნილებად ფორმდება და გასაგზავნად ბარდება ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილების მიერ. კონვერტში ჩალაგების წინ მოწმდება დოკუმენტების გაფორმების სისწორე, დანართების არსებობა, ეგზემპლარების რაოდენობის შესაბამისობა ადრესატების რაოდენობასთან. გაუფორმებელი ან არასწორად გაფორმებული დოკუმენტები უბრუნდება შემსრულებელს საბოლოო დასამუშავებლად. ელექტრონული სახით დოკუმენტების გაგზავნა წარმოებს თანდართული წერილით, რომლის ასლიც საქმეში იკერება საერთო წესით. გასაგზავნად შემოსული დოკუმენტები უნდა დამუშავდეს და გაიგზავნოს იმავე დღეს ან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა. სასწრაფოდ გადასაცემი დოკუმენტი იგზავნება შემოსვლისთანავე. გასაგზავნი დოკუმენტების რეესტრს აწარმოებს ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილება.

კონტროლს ექვემდებარება შესასრულებელი დოკუმენტები. შესრულების კონტროლი მოიცავს: ა) დოკუმენტის კონტროლზე აყვანას; ბ) შემსრულებლისათვის მისი დროული მიწოდების შემოწმებას; გ) შესრულების მიმდინარეობის შემოწმებასა და რეგულირებას; დ) დოკუმენტების შესრულების კონტროლის შედეგების აღრიცხვასა და განზოგადებას; ე) ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

შესრულების კონტროლის ორგანიზაცია უზრუნველყოფს დოკუმენტის დროულად და ხარისხიანად შესრულებას. კონტროლს ახორციელებენ ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილება, აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი შემსრულებლები.

დოკუმენტის შესრულების ვადები გამოითვლება კალენდარული დღეების მიხედვით დოკუმენტის ხელმოწერის (დამტკიცების) თარიღიდან, ხოლო სხვა დაწესებულებებიდან შემოსული დოკუმენტისათვის - მისი შემოსვლის თარიღიდან. შესრულების ვადებს განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი დოკუმენტების გამომგზავნი დაწესებულებების მიერ ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადებიდან გამომდინარე. შესრულების საბოლოო თარიღი მიეთითება დოკუმენტის ტექსტში ან რეზოლუციაში. დოკუმენტებზე წინადადებების მომზადების ვადა როგორც წესი განისაზღვრება 1-დან 3 დღემდე, თუ დოკუმენტი მოითხოვს დასმული საკითხის დამატებით შესწავლას - 10 დღემდე. თუ დავალების შესრულების ვადის გაგრძელება აუცილებელია, ამის შესახებ დავალების შესრულების ვადის გასვლამდე 3 დღით ადრე წერილობით უნდა მოხსენდეს იმ თანამდებობის პირს, ვინც გასცა დავალება. შესრულების ვადის გაგრძელება რეგისტრირდება ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებაში. დოკუმენტების შესრულების შეჩერების, აგრეთვე მათი გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის ზემდგომ თანამდებობის პირს.

დოკუმენტი შესრულებულად ითვლება და კონტროლიდან იხსნება დავალებების შესრულების, დაინტერესებული დაწესებულებებისა და პირებისათვის შედეგების შეტყობინების ან სხვა სახის დოკუმენტურად დადასტურების შემდეგ. შესრულების შედეგების შესახებ მზადდება მოკლე ცნობა, რომელიც ერთვის დოკუმენტს. დოკუმენტების შესრულების კონტროლი ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციებს: ა) დაქვემდებარებული დოკუმენტების კარტოთეკის ფორმირებას; ბ) დოკუმენტის შესრულებაზე დავალების (რეზოლუციის) შედგენას; გ) დოკუმენტის შესრულებაზე დავალების (რეზოლუციის) რეგისტრაციას; დ) შემსრულებელი ქვედანაყოფისათვის შესრულების ვადის შეხსენებას; ე) შესრულების მიმდინარეობასა და შედეგებზე ინფორმაციის მიღებას; ვ) შესრულების შესახებ ხელმძღვანელებისათვის ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას; ზ) თათბირებსა და კოლეგიური ორგანოების სხდომებზე დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ მოხსენებას; თ) კონტროლიდან დოკუმენტების მოხსნას; ი) შესრულებული დოკუმენტების საინფორმაციო ბაზის ფორმირებას. დოკუმენტების საინფორმაციო ბაზის სისტემატიზაცია ხორციელდება დოკუმენტების შესრულების ვადების, შემსრულებლების, დოკუმენტების სახეთა ჯგუფების მიხედვით.

შესრულების მიმდინარეობის შემოწმება ხორციელდება ყველა ეტაპზე შემდეგი წესით: ა) შემდგომი წლების დავალებების - წელიწადში ერთხელ მაინც; ბ) მიმდინარე წლის შემდგომი თვეების დავალებების

- თვეში ერთხელ მაინც; გ) მიმდინარე თვის დავალებების - ყოველ ათ დღეში, ხუთი დღით ადრე შესრულების ვადამდე.

საქმისწარმოების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საქმეთა ნომენკლატურის შედგენა. საქმეთა ნომენკლატურა დგება დაწესებულების საქმისწარმოებაში საქმეების ფორმირებისა და აღრიცხვის წესის უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ საქმეთა სათაურების დადგენილი წესით გაფორმებულ სისტემატიზებულ ნუსხას, რომელშიც მითითებულია საქმეთა შენახვის ვადები. ნომენკლატურა განსაზღვრავს საქმეებში შესრულებული დოკუმენტების დაჯგუფებას, საქმეთა სისტემატიზაციას, ინდექსაციასა და შენახვის ვადებს. იგი წარმოადგენს მუდმივად და ხანგრძლივად (10 წელზე მეტხანს) შესანახ საქმეთა აღწერილობის შედგენის საფუძველს და საქმისწარმოებაში ძირითად სააღრიცხვო დოკუმენტს. საქმეთა ნომენკლატურის შედგენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებას.

საქმეთა ნომენკლატურა ადგენს საქმეთა ტიპობრივ შემადგენლობას და აწესებს საქმეების ერთიან ინდექსაციას. საქმეთა ნომენკლატურა არის ნორმატიული ხასიათის დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

ნომენკლატურაში დოკუმენტების დაჯგუფება ხდება საქმეთა სათაურების მიხედვით, რომლებიც ასახავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობის ყველა დოკუმენტირებულ საქმიანობას. იმ საკითხთა საქმეების სათაურები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში არ გადაწყვეტილა, „გარდამავალია“ და იმავე ინდექსით შეიტანება ადმინისტრაციული ორგანოს მომდევნო წლის საქმეთა ნომენკლატურაში. საქმეთა ნომენკლატურაში არ შეიტანება ბეჭდურ გამოცემათა სათაურები.

ნომენკლატურაში შეტანილი საქმის სათაური შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ა) საქმის სახეობის ან დოკუმენტების ნაირსახეობის სახელწოდება; ბ) დაწესებულების ან სტრუქტურული ქვედანაყოფის (დოკუმენტის ავტორის) დასახელება; გ) იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც გაეგზავნება ან რომლისგანაც მიიღება დოკუმენტები (დოკუმენტის ადრესატი ან კორესპონდენტი); დ) საქმის დოკუმენტების მოკლე შინაარსი; ე) საქმის დოკუმენტების შინაარსთან დაკავშირებული ადგილმდებარეობის (ტერიტორიის) სახელწოდება; ვ) თარიღები (პერიოდი), რომლებსაც განეკუთვნება საქმის დოკუმენტები; ზ) საქმის დოკუმენტების ასლებზე მითითება.

რეზიუმე

ადმინისტრაციულ ორგანოში საქმისწარმოებისას მნიშვნელოვანი როლი უკავია ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სპეციალურ განყოფილებას, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს გამართული მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური განყოფილების მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში შესული დოკუმენტების დამუშავებას და შემსრულებელ ადრესატამდე მის სწორ დაყვანას ისე რომ პირველ ეტაპზე არ მოხდეს ხელმძღვანელის სპეციალური მითითებების მიცემა. ამ საერთო წესიდან, რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისებიც, როგორიცაა მაგალითად, შემოსული წერილები ზემდგომი ორგანოებიდან. დასახელებული წესით დოკუმენტების განაწილებას მნიშვნელობა ენიჭება საქმისწარმოების მნიშვნელოვნად გაადვილებისა და დროული რეაგირებისათვის.

BUSINESS PROCESSING AT ADMINISTRATIVE ORGAN

Ivane Balakhashvili, Senior Teacher

RESUME

Significant role in the proceedings of an administrative agency administrative body authorized for this special section, which is greatly dependent on the functionality of the administrative body. It should be noted that the administrative bodies is of great importance for the effective operation of the administrative authority duly authorized by a special section of the document processing and administrative body of the performer receives from its proper ordering of the head so that the first stage will not be giving special instructions. Of course there are exceptions to this general rule, such as the superior authorities received letters from. Indicated by the distribution of documents to facilitate case management and timely response to the importance.

საპროცესო ძირითადი უფლებები

კარლო გზიშვილი, მოწვეული დოქტორი

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი ინდივიდის კეთილდღეობისა და მათი ინტერესების დაცვაა. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უზენაეს ფასეულობებად გვევლინება: გამომდინარე აქედან, სამართლებრივი სისტემის მთავარ ფუნქციას სწორედ პირის უფლების დაცვის რეალური გარანტიების განსაზღვრა და დარღვეული უფლების ეფექტურად და სწრაფად აღდგენის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მიზეზების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზების დადგენა.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი გარანტიების არსებობის გარეშე. მათი უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალურ გარანტიას კი სასამართლო წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო წესით დაცვის უფლება ადამიანის უფლებაცაა და მისი დაცვის გარანტიაც.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის 1.3 პუნქტის თანახმად „ყოველი ადამიანს უფლება აქვს თავისი უფლებითა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. დაცვის უფლება გარანტირებულია“. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველო ორგანული კანონი ადგენს: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს (მე–3 მუხლი). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე–2 მუხლი).

ზემოაღნიშნული საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილნი არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ იურიდიული პირებიც. საქართველოს კონსტიტუციის 45–ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“.

მაშასადამე, ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს თავისი უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლობის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირის საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. (კონსტიტუციის 42–ე მუხ. მე–2 პ.). საერთო სასამართლოების სისტემა საშუალებას იძლევა პირის მიერ გასაჩივრებული იქნას სასამართლო გადაწყვეტილება საპროცესო ან საკასაციო წესით. ადამიანს აქვს უფლება და ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს სასამართლოში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობათა პირების ქმედებები.

უფლების შესახებ დავა ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების ინდივიდუალურ კონფლიქტებს წარმოადგენს, რომელიც მათი ინტერესებით შელახვის გამო წარმოიშობა. იურიდიული კონფლიქტი კი სასამართლო წესით უნდა გადაწყდეს.

საყურადღებოა, რომ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების – იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის კანონმდებლობით ყველა პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია 1999 წელს გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი და იგი პირდაპირ გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების, განსაკუთრებით სასამართლოების მიერ. ფიზიკური და იურიდიული პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კონვენციით გათვალისწინებული უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტათ. ევროპის კონვენციას საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის კონსტიტუციასა და კონსტიტუციების შეთანხმების შემდეგ მესამე იერარქიული ადგილი უკავია. შემდეგ საფეხურებზეა: ორგანული კანონები, კანონები, პრეზიდენტის ბრძანებები და სხვ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის I პუნქტის თანახმად „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან ან საჯარო მოსმენაზე“. კონვენციის აღნიშნული პუნქტი ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე. სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები მოიცავს ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართალწარმოებას, რომელსაც უპირატესად კერძო სამართლებრივი ნიშნები გააჩნია.

ზემოთქმულიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა თითქმის შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. აღნიშნულის ნათელსაყოფად ვნახოთ სასამართლო პრაქტიკა. საქმეზე „დონაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა „იმის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ მოისმინეს ინჟინერ დონაძის არგუმენტები სამუშაოდან მისი უსაფუძვლოდ განთავისუფლების შესახებ, საქმის განხილვის დროს ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა მიერ დაუდევრობის და უპატივცემულო მოპყრობას, სახელმწიფომ არ უზრუნველყო დონაძისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლება, აღნიშნულით დაირღვა კონვენციის მე–6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც სახელმწიფოს დონაძის სასარგებლოდ დაეკისრა 3500 ევროს გადახდა. სისხლის სამართლის საქმეზე „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ დაადგინა, პირველი ინსტანციის განხილვისას გორგილაძეს მსჯავრი დასდო იმ სასამართლომ, რომელიც კონვენციის მე–6 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდეგ საქმე ხელახლა არსებითად არ განხილულა, მორალური ზიანისათვის სახელმწიფოს გორგილაძის სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ევროს გადახდა. ანალოგიური სისხლის სამართლის საქმის „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ განხილვა მოხდა კანონის შეუსაბამოდ შექმნილმა სასამართლომ, რის გამოც თითოეული მსჯავრდებულის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2000 ევროს გადახდა.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლო განხილვის საჯაროობა. სასამართლო განიხილავს საჯაროობის პრინციპს რეალური მოქმედება მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებაში. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ძირითადი უფლების ამ მოთხოვნას და ადგენს, რომ სასამართლოში ყველა საქმე განიხილება სხდომაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93–ე მუხლი.

დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლით.

სისხლის სამართლის საქმეში ზეპირი მოსმენა არის სამართლიანი სასამართლოს განხილვის ძალზე მნიშვნელოვანი გარანტია. როგორც წესი, განსასჯელი ყოველთვის უნდა ესწრებოდეს პირველადი ინსტანციის პროცესს. პიროვნებას შეუძლია უარი თქვას საკუთარ უფლებაზე დაესწროს ზეპირ განხილვას სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეზე. სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება კი ყველა შემთხვევაში საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლება ვრცელდება როგორც სამოქალაქო (ორი თვე, რთულ საქმეებზე ხუთი თვე), ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. აღნიშნულის მიზანი არის ის, რომ მოხდეს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის დაცვა პროცესის გაჭიანურებისგან და რომ ხაზი გაესვას მართლმსაჯულებათა მნიშვნელობას ყოველგვარი დაუსრულებლად გაგრძელების გარეშე, რაც ხელყოფს მის ეფექტურობასა და უტყუარობას.

ხარატიშვილის სამოქალაქო საქმეზე ევროპის სასამართლომ დაადგინა: ხარატიშვილის სამოქალაქო საქმეზე 8 წლისა და 11 თვის განმავლობაში არ მოხდა არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ე.ი. საქმე არ იქნა განხილული კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა კონვენციის მე–6 მუხლის I პუნქტის მოთხოვნები, რის გამოც სახელმწიფოს ხარატიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 3200 ევროს გადახდა. ანალოგიურად უსაზღვროდ გაჭიანურდა კობელინის სისხლის სამართლის საქმე სამივე ინსტანციის სასამართლოში და გაგრძელდა 6 წელი, 9 თვე და 25 დღე.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მხარეთა შორის სამართლიანობის ბალანსის დაცვის არსით არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მთავარი ნიშან-თვისება და შეჯიბრებითობის პროცესის თანდაყოლილი უფლება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი ნიშნავს მხარეთა პროპორციულად თანასწორუფლებიანობას. ეს პრინციპი ეხება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებს.

მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონის და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე (სამოქ. საპროცესო კოდექსის მე–5 მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–9 მუხლის თანახმად კი სისხლის სამართლის დევნის დაწყებამდე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. თანასწორობის პრინციპი დაცული უნდა იყოს არა მარტო სასამართლოში, არამედ წინასწარი გამოძიების მთელ სტადიაზე.[1]

[1] მ. ლომიძე, სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2012, გვ. 36.

სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვაზე აპელირება შეუძლია ყველა იმ პირს, რომელიც ჩივის, რომ არ მიეცა ამ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, რომელსაც გააჩნია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების განხილვა და სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. ეს უფლება თანაბრად ვრცელდება როგორც სამოქალაქო დავის მონაწილე მხარეებზე, ისე სისხლისსამართლებრივ ქმედებებში. ეჭვმიტანილ პირებზე საფეხბურთო კლუბში „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ ევროპის სასამართლომ დაადგინა ს/კ „მრეტების“ წარმომადგენლობა საქართველოს სასამართლოების ვერცერთ ინსტანციაში ვერ წარმართა სამოქალაქო საქმის განხილვა, რადგან უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა ბაჟისგან განთავისუფლების მოთხოვნაზე. აღნიშნულ საქმეზე ევროპის სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანაზე ბაჟის გადაუხდელობის გამო უარის თქმა არის დაუსაბუთებელი, რითაც დარღვეულია კონვენციის მე–6 მუხლის I ნაწ. მოთხოვნა ანალოგიურია მოქ. აპოსტოლის სამოქალაქო საქმე, რომელშიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის გამო, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ვერ აღასრულა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე–6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნა. სახელმწიფოს დაეკისრა დაუყოვნებლივი აღსრულება. ევროპის სასამართლომ განიხილა: აღსრულების პროცესის სასამართლოების ნაწილია და უფლება სასამართლოზე თანაბრად ვრცელდება აღსრულებაზეც. ანალოგიური კვიციანის, შპს „იზას“ და მაკრახიძის სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის გამო. ევროპის სასამართლომ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე–6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნის დარღვევები და სახელმწიფოს აპლიკანტების სასარგებლოდ დააკისრა სხვადასხვა თანხის გადახდა. მიმაჩნია, რომ სასამართლო დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობაზე. სწორედ აღნიშნულის თაობაზე ევროპის სასამართლომ არაერთხელ მიუთითა საქართველოს სასამართლოებს, რომ ერთი ან ორივე მხარეს გადაუხადოს გაუნაწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა სახელმწიფომ შეამციროს ხარჯების ოდენობა.

მართებულად მიგვაჩნია პროფესორ კონსტანტინე კორკელიას მოსაზრება, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სასამართლო უნდა იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ სასამართლო საქმეთა განხილვისას, არამედ ასევე სამართალშემოქმედებით პროცესში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სასამართლოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არა მხოლოდ ეროვნულ სასამართლოების პრაქტიკაზე, არამედ სახელმწიფოს კანონმდებლობაზე. მას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ეროვნული კანონმდებლობის დახვეწაში.[1]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ძირითადი მიზეზია ის, რომ სასამართლოები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებით, არ იყენებენ ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სასამართლოს.

რეზიუმე

ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების და თავისუფლებების დარღვევის ძირითადი მიზეზებია ის, რომ სასამართლოები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციით და მისი ოქმების სტანდარტებით, არ იყენებენ ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

PROCESSING GENERAL RIGHTS

Karlo Bzishvili, Doctor by contract

RESUME

We can conclude that the main cause of the violation of the rights and freedoms of natural persons and legal entities that are not properly guided by the courts of the European Human Rights Convention and its protocols, standards, do not use the European Court’s case to court.

[1] კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004, გვ. 333

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება

იოსებ გაბარაევი, მოწვეული სპეციალისტი

დემოკრატია (ბერძნ. δῆμος „დემოს“ — ხალხი; κράτος „კრატოს“ — კანონი, ძალა) — სახელმწიფო მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია – არჩევითობა და მოკლევადიანობა. დემოკრატიის უნივერსალური განმარტება არ არსებობს, თუმცა თანასწორობა და თავისუფლება მიიჩნევა მის ორ ძირითად მახასიათებლად. გარდა ამისა, ცნება დემოკრატია მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა.

დემოკრატიული მმართველობის ფორმა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს იყვნენ თანასწორნი, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე. დემოკრატია განისაზღვრება როგორც პროცესი და არა – როგორც ფიქსირებული სისტემა. დემოკრატიული სახელმწიფოები ვითარდება განსაზღვრული მიზნებისა და იდეალების გათვალისწინებით. დემოკრატიის განვითარება უნდა ხდებოდეს შემდეგი ფასეულობების, ღირებულებების გათვალისწინებით: თავისუფლება, თანასწორობა, ტოლერანტობა, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, სამართლიანობა, პატრიოტიზმი, კანონმორჩილება, თავისუფალი მედია, ძალთა თანაბარი გადანაწილება და ა.შ.

დემოკრატიული სამყარო თავისუფალი, თანასწორი და დაცული სამოქალაქო საზოგადოებაა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლარი დაიმონდი გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოების ათ დემოკრატიულ ფუნქციას:

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის „სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა“. ამ ფუნქციას აქვს ორი განზომილება: დემოკრატიულ სახელმწიფოში – სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეზღუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში – მათი დემოკრატიზება.

მეორე – საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტივობა ავსებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება, და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. როგორც ტოკვილი აღნიშნავდა, ნებაყოფლობითი „ასოციაციები შეიძლება განვიხილოთ დიდ საყოველთაო სკოლად, რომელსაც ესწრება ყველა მცხოვრები გაერთიანების ზოგადი თეორიის შესასწავლად.“

მესამე – სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების ადგილი, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა. ეს ღირებულებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოიქმნება გამოცდილებიდან, და სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა.

მეოთხე – სამოქალაქო საზოგადოება ემსახურება დემოკრატიას იმით, რომ ქმნის პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულ არხებს ინტერესების გამოსათქმელად, დასაბალანსებლად და წარმოსაჩენად. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ჯგუფებს – როგორებიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატიას, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

მეხუთე – პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, ამცირებს კლასობრივი კონფლიქტისა და პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხეს, ვინაიდან იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი ინტერესების წარმოქმნას. რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, უფრო სავარაუდო ხდება მათი ურთიერთობა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან. ამ ურთიერთგადამკვეთმა

ზემოქმედებამ უნდა შეამციროს მათი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიულობა და ხელი შეუწყოს უფრო ვრცელი და მრავალმხრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტოლერანტობასა და მეტ მზადყოფნას კომპრომისებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების მეექვსე ფუნქცია არის ახალი პოლიტიკური ლიდერების რეკრუტირება და სწავლება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში მათი ლიდერები და აქტივისტები იძენენ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკას, რომელიც საჭიროა მთავრობაში და პარტიულ პოლიტიკაში მოღვაწეობისათვის. ისინი სწავლობენ, თუ როგორ მოახდინონ ადამიანების მობილიზება და მოტივირება, საკითხების განხილვა, ფონდების მოპოვება და მართვა, ბიუჯეტების შედგენა, პროგრამების გამოქვეყნება, პერსონალის მართვა, შეთანხმებების მიღწევა და კოალიციების შექმნა.

მეშვიდე – არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება პირდაპირი როლი ითამაშონ დემოკრატიის გამტკიცების საქმეში. გარდამავალ პერიოდში მათ შეიძლება თვალყური ადევნონ არჩევნებს, იმუშაონ საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით, შეიმუშაონ ხელისუფლების დეცენტრალიზების და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზების გეგმები და ა.შ. დემოკრატიული გარდაქმნების წარმატების შემდეგ ადამიანთა უფლებების დამცავი ორგანიზაციები აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას სამართლებრივი რეფორმების ჩატარებაში, ციხეებში ადამიანთა უფლებების დაცვასა და უმცირესობების ინტერესების წარმოჩენაში.

მერვე – სამოქალაქო საზოგადოება ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში. თავისუფალი პრესა არის ინფორმაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მიაწოდონ საზოგადოებას ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას აცხადებს მთავრობა საკუთარი საქმიანობის თაობაზე.

მეცხრე – ახალი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არსებითია დემოკრატიის პირობებში ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად. როგორც წესი, ეკონომიკის სტაბილიზების პროგრამები უნდა განხორციელდეს სწრაფად, ძალისმიერად და ერთბაშად არჩეული ხელისუფლების მიერ კრიზისულ სიტუაციაში. მათგან განსხვავებით, უფრო სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები – პრივატიზება, ეკონომიკური და სავაჭრო ლიბერალიზება – იმ შემთხვევაში იღებენ უფრო მდგრად და სრულყოფილ ფორმას, თუ ისინი მიიღწევა დემოკრატიული პროცესის ჩარჩოებში. ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის აუცილებელია ფართო მხარდაჭერა, რაც საჭიროებს სპეციალური მუშაობის ჩატარებას. მართლაც, იმ ინტერესებს, რომლებისთვისაც რეფორმებმა შესაძლოა არასასურველი შედეგი მოიტანონ, როგორც წესი, ბევრად უფრო ორგანიზებული სახე აქვთ, ვიდრე იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთათვისაც რეფორმები პოტენციურად მოგების მომტანია. ამ ჯგუფში შესული ადამიანები – ფერმერები, წვრილი მეწარმეები, მომხმარებლები – როგორც წესი, გათიშულები და ცუდად ინფორმირებული არიან.

მეათე ფუნქცია დამოკიდებულია პირველი ცხრა ფუნქციის წარმატებულ განხორციელებაზე. პოლიტიკური სისტემის პასუხისმგებლური ხასიათის, მისი ეფექტურობის, მასში ადამიანების ჩართულობის გაზრდით და ამდენად სისტემის ლეგიტიმურობის ხელშეწყობით სამოქალაქო საზოგადოება ამკვიდრებს მოქალაქეებში სახელმწიფოს პატივისცემას. ის აუმჯობესებს სახელმწიფოს მმართველობით პოტენციალს და ზრდის მის შესაძლებლობას დაეყრდნოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით მორჩილებას.

მთავარი, რაც შეიძლება აღინიშნოს, არის ის, რომ ლიბერალურ დემოკრატიებს, როგორც წესი, ახასიათებთ სიცოცხლით სავსე სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. თუმცა ეს, პირველ რიგში, ეხება დასავლურ დემოკრატიებს; მათგან განსხვავებით, მაგალითად, იაპონიაში, მიუხედავად ამ ქვეყანაში ნდობის მაღალი დონისა, არასამთავრობო ორგანიზაციები წევრების მცირე რაოდენობას ითვლიან. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა უწყობს ხელს დემოკრატიას. სამოქალაქო საზოგადოება განხილულ უნდა იქნეს არა უბრალოდ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლიობა, არამედ როგორც საზოგადოების გარკვეული ტიპი, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიის საზოგადოებრივ საფუძვლებს და ანიჭებს დემოკრატიას მის ჭეშმარიტ ხასიათს.

ამდენად, ლარი დაიმონდი საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ამა თუ იმ დოზით შეიძლება არადემოკრატიულ ქვეყნებშიც არსებობდეს (და დემოკრატიზაციასაც უწყობდეს ხელს).

ამ კონტექსტიდან გამოცალკევებით სამოქალაქო საზოგადოების განხილვა ასოციაციების ერთობლიობის სახით ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საკუთრივ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა არის დემოკრატიის განმსაზღვრელი ელემენტი. ეს, თავის მხრივ, ხშირად ხელს უწყობს იმგვარი არაჯანსაღი პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებას დამახინჯებული, იდეოლოგიზირებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოება არ აძლევს ძლიერ სახელმწიფოს შესაძლებლობას დაამყაროს დიქტატი საზოგადოებაზე. მაგრამ თუ სახელმწიფო სუსტია, მისი გაძლიერება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე ლაპარაკი მისი შეზღუდვის თაობაზე. ძლიერი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა, რომელთა დამცველად სამოქალაქო საზოგადოება გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება უკავშირდება სახელმწიფოს გაძლიერებას და არა პირიქით, მის დასუსტებას.

თუ სამოქალაქო საზოგადოებას განვსაზღვრავთ ტრადიციული გაგებით, როგორც „ისტორიულ წარმონაქმნს, რომელშიც ერთობები, ინდივიდთა შორის კავშირები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ეროვნული კულტურა იქმნება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და მდგრადი ხდება პოლიტიკური ძალაუფლების ყველაზე მძლავრი ზეწოლის მიმართ“, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამგვარი სამოქალაქო საზოგადოება ხელის შეწყობის მაგიერ დაბრკოლებებს უქმნის დემოკრატიზების პროცესებს, ვინაიდან ეს პროცესები შეიძლება სწორედ ისტორიულად დამკვიდრებული კავშირების და ინსტიტუტების გარდაქმნას მოითხოვდნენ.

გადაჭარბებული ყურადღება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ასევე შეიძლება გადაიზარდოს სახელმწიფოს და პოლიტიკის იგნორირებაში, რაც გამოიხატება დემოკრატიულ პროცესში პოლიტიკური პარტიების როლის დაკნინებაში. მაგალითისათვის, შეიძლება აღინიშნოს, ჩრდილოეთ იტალიაში მრავალი საზოგადოებრივი ასოციაცია შეიქმნა სწორედ პოლიტიკური პარტიების ინიციატივითა და მფარველობით. ამასთან, ხშირად ზღვარი პოლიტიკურ პარტიასა და ინტერესთა ჯგუფს შორის არის საკმაოდ ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანი. ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იღებდნენ მცირე პარტიების ფორმას, რომელთა პროგრამები ერთ პრიორიტეტულ საკითხზეა ორიენტირებული (მაგალითად, ეკოლოგიური მოძრაობა) და იღებდეს მონაწილეობას არჩევნებში ტაქტიკური მიზნით - საკუთარი იდეების პოპულარიზებისთვის.

ამავე დროს პოლიტიკის და სახელმწიფოს იგნორირება სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ ხშირად გამოიხატება თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა არაა სამოქალაქო საზოგადოების საქმე. იგი უნდა იყოს დეპოლიტიზირებული და არ ერეოდეს პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც მხოლოდ პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეების სამოქმედო ასპარეზია. ასეთი დეპოლიტიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას ხდებიან მეტისმეტად დამოკიდებულნი პოლიტიკოსების შეხედულებებზე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სივრცისთვის - განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნებისგან, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრად უფრო კარგად ახერხებენ სწორედ პოლიტიკაზე და სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმას. იმ შემთხვევაში, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს სამოქალაქო საზოგადოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკეთეს შემთხვევაში ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას ხელისუფლება - ხალხი, მაგრამ ვერ ასრულებენ სხვა ფუნქციებს ხალხი - ხელისუფლება და ხალხი - ხალხი. პოლიტიკური დღის წესრიგი დემოკრატიულ ქვეყნებში ნაწილობრივ მაინც მასმედიის გავლენით ყალიბდება, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. პოლიტიკური იდეები და ღირებულებები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა იღებდნენ სათავეს, თუკი ლაპარაკია დემოკრატიის ხელშეწყობაზე სამოქალაქო საზოგადოების მიერ. დეპოლიტიზირებული სამოქალაქო საზოგადოების ფონზე მასმედია ვერ იტვირთავს მეოთხე ხელისუფლების ფუნქციას.

სამოქალაქო საზოგადოების დეპოლიტიზების სურვილი ხშირად განპირობებულია იმით, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივი კონფლიქტი პოლიტიკური სფეროს მახასიათებლადაა წარმოდგენილი, რაც შორს დგას სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომელიც ხშირად უნდათ წარმოიდგინონ თბილი, უკონფლიქტო ურთიერთობების სფეროდ. სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნის თავიდათავი სწორედ კონფლიქტის არსებობაა (პირველ რიგში ეკონომიკურის). თუ საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა კონფლიქტების (კონკურენციის) პირობებში ერთობლივი მოქმედების კულტურა, ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა ავტომატურად გადაინაცვლებს სახელმწიფოს კომპეტენციის სფეროში, რაც ასუსტებს და არ აძლიერებს დემოკრატიას, ზრდის სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშიშროებას.

ჩემი აზრით, დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოთა უპირატესობა ტოტალიტარულ რეჟიმებთან შედარებით, გამოიხატება ხელისუფლებასა და მოსახლეობის ფართო ფენებს შორის ინტერესების თანხვედრის მეტი შესაძლებლობებით, როდესაც მოქალაქეებს შეგნებული აქვთ, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილება მიმართულია მათ საკეთილდღეოდ. ამავდროულად, სახელმწიფოს ამოცანების შესრულებას აქვს არა იძულებითი, არამედ შეთანხმებითი ხასიათი.

დემოკრატია ჩემთვის კეთილდღეობის, საკუთარი თავის რწმენის, თავისუფლებისა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის ყველაზე ალტერნატიული გზაა. ვიცხოვრო დემოკრატიულ სამყაროში, ჩემთვის ნიშნავს, რომ ვიყო თავისუფალი, ძლიერი, ეკონომიკურად აყვავებული სამყაროს ნაწილი, სადაც დაცულია როგორც ცალკეულ პიროვნებათა უფლებები, ისე ყველა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფების ინტერესები, მათი ტრადიცია და ღირებულებები.

ლიტერატურა:

1. ბოროესი გ., რუხაძე ზ., დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011.
2. მუსხელიშვილი მ., სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი, ბროშურა, თბ., 2000.
3. Larry Diamond, Promoting democracy in the 1990s, Cambridge University Press, 1997.
4. Larry Diamond, Developing Democracy: Toward Consolidation, The Johns Hopkins University Press, 1999.

რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია ახალი ფეხადგმული ბავშვია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძვრები, რომლებიც ემსახურება დემოკრატიის განვითარებას და ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ინტერესდებიან დემოკრატიული სახელმწიფოს შენებით, იმედს იძლევა, რომ უახლოეს მომავალში უფრო მეტად დემოკრატიული სახელმწიფო ვიქნებით.

სწორედ აღნიშნულის ხელშეწყობას ისახავს მიზნად მოცემული ნაშრომი, რომელშიც განხილული და გაანალიზებულია დემოკრატიის არსი და მისი კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან. მეტი თვალსაჩინოებისთვის, სტატიაში მოყვანილი მაქვს დემოკრატიის სწავლების სფეროში ამერიკელი თანამედროვე მეცნიერის, ლარი დაიმონდის შეხედულებები, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება და რა ძირითადი დემოკრატიული ფუნქციები უნდა გააჩნდეს მას.

წარმოდგენილი სტატია განკუთვნილია და საინტერესო იქნება როგორც ყველა დაინტერესებული მოქალაქისათვის, ისე ამ საკითხით დაინტერესებული სტუდენტებისთვისაც.

DEMOCRACY AND CIVIL SOCIETY

Ioseb Gabaraevi, Specialist by contract

RESUME

Democracy in our country is a baby, who Now started to walk. However, shifts in the development of democracy and people who are more interested in building democracy state, gives hope that in the near future we will be more democratic state.

That’s why the aims of this study, which reviewed and analyzed the essence of democracy and its relation to civil society. For further reference, the article I cited studies in the field of democracy, American Modern scholar Larry Diamond’s views of what should be a democratic civil society and what it should have the basic democratic functions.

The article is intended for all interested citizens and will be interesting as well as the students interested in this issue.

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები

მარიამ ინდუაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ადამიანის უფლებათა დაცვა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და დემოკრატიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. ასეთ საზოგადოებაში, განსხვავებით დიქტატორული რეჟიმისგან, ადამიანის უფლებების დაცვაზე სამოქალაქო კონტროლია დაწესებული.

ადამიანის უფლებათა რეალიზაციისთვის საჭიროა ეროვნულ დონეზე სპეციალური მექანიზმების ჩამოყალიბება, ორგანოები, რომლებითაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სოციალური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება „ქვევიდან“, საზოგადოებიდან. ნებისმიერ ადმინისტრაციულ სისტემას აქვს ადამიანის უფლებათა იგნორირების მიდრეკილება. იგნორირება ხდება იმ ზომამდე, რამდენადაც ეს დაშვებულია საზოგადოებრივი აზრით, იმ ზღვრამდე, რამდენადაც გასაქანს მისცემენ მოქალაქეები, სადამდეც ასეთ დარღვევებს მოითმენს საზოგადოება. უახლოესი პერიოდის მოვლენები ახლო აღმოსავლეთში (ეგვიპტე, ლიბია და სხვ.) ცხადყოფენ, რომ მოქალაქეებს აღარ ძალუძთ მოითმინონ უფლებების უხეში და სისტემატური დარღვევა ხელისუფლების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს შორის განასხვავებენ სასამართლო და არასასამართლო მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სასამართლო გარანტიებია. საქართველოს მოქალაქეებს აქვს კონსტიტუცია, რაც აძლევს სასამართლოს დაცვის გარანტიებს. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს ანუ ადამიანს აქვს უფლება და ეძლევა შესაძლებლობა, გაასაჩივროს სასამართლოში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თანამდებობის პირების ქმედებები.

ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმები არსებობს, მაგრამ დაცვის წესი სხვადასხვა ორგანოში განსხვავებულია. განვიხილოთ რამდენიმე:

საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა, მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით. იგი განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს, მომართვის უფლება აქვს პირადად საქართველოს მოქალაქეს, რომელიც თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, აგრეთვე, სახალხო დამცველსაც, თუ ის ჩათვლის, რომ ნორმატიული აქტები არღვევენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

სახალხო დამცველი. უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმს მიეკუთვნება ომბუდსმენის ინსტიტუტი. ,,ომბუდსმენი" შვედური სიტყვაა და სხვა პირის ინტერესების წარმომადგენლობას ნიშნავს. სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ: სახალხო დამცველი - საქართველოში, ომბუდსმენი - სკანდინავიის ქვეყანაში, შუამავალი - საფრანგეთში, ხალხის დამცველი - ესპანეთში, ბუნდესტაგის სამხედრო რწმუნებული - გერმანიაში და სხვ.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით 5 წლის ვადით ირჩევს. სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებასა და საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის:

ა) საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას;

ბ) სასამართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებების, თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას;

გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას;

დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას;

ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ჩატარებულ ან ჩასატარებელ არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა, სახალხო დამცველი მოქმედებს დამოუკიდებლად და პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში, წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ყველა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია, ყოველმხრივ დაეხმაროს სახალხო დამცველს, დაუყონებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც დასჭირდება სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს სახალხო დამცველს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ:

ა) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას;

გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სასამართლომ სცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ე) დაიკავა ან უკავია საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ვ) ნებაყოფლობით გადადგა;

ზ) გარდაიცვალა.

პარლამენტი. ქვეყნის უმაღლესი წამომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებებს. პარლამენტში შექმნილია კომიტეტები, საგამოძიებო კომისიები, ბიუროები, რომლის მეშვეობითაც შეისწავლიან თუ როგორ იცავს აღმასრულებელი ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კანონებს, შეისწავლიან დარღვევის ფაქტებს და აქვთ ლეგალური უფლება მოითხოვონ ასეთი ფაქტების აღკვეთა.

აღმასრულებელი ხელისუფლება. მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. აღმასრულებელ ხელისუფლებას ანუ მთავრობას აქვს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მინიჭებული უფლება, რომ კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს სამინისტროებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო საქმიანობას, უზრუნველყოს მოქალაქეთა სოციალური დაცვა და ა. შ.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვას საერთაშორისო დონეზე, მინდა აღვნიშნო, რომ მოქალაქეს, რომლის უფლებებიც დაირღვა ეროვნულ დონეზე, საშუალება ეძლევა, თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს საერთაშორისო სასამართლოებს.

საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმომწერი სახელმწიფოები საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტების იმპლემენტაციას საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში ახდენენ. ეროვნულ დონეზე პარლამენტში კანონპროექტის განხილვას მისი ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით განიხილავენ, დგინდება მისი თანხვედრა საერთაშორისო დონეზე ნაკისრ ვალდებულებებსა და სახელმწიფოს სხვა ეროვნულ ნორმატიულ აქტებთან. თუ კანონი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, მისი გამოყენება შესაძლებელია.

ადამიანი, რომელიც თვლის, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები დარღვეულია ეროვნულ დონეზე, შეუძლია, თავისი უფლებების აღსადგენად საერთაშორისო ორგანოებს მიმართოს. საერთაშორისო სამართალი მეტად მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან არჩევანს გვთავაზობს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავდა სახელმწიფოების ზედამხედველობის სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სახელმწიფოს მოქმედება ადამიანის დაცვის საკითხებში უფრო გამჭვირვალე გახდა, ყველა სახელმწიფო გადის საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგს და მისი დამოკიდებულება ადამიანის უფლებების საკითხებთან საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრშია. სახელმწიფო, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, განიცდის საერთაშორისო თანამეგობრობისგან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას.

მსოფლიოში არსებობს ადამიანის უფლებათა უნივერსალური და რეგიონალური სისტემები. უნივერსალურ სისტემებს მიაკუთვნებენ გაეროს სისტემას, ხოლო რეგიონალური სისტემები იქმნება კონკრეტული რეგიონების მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სისტემა, რომელიც მოქმედებს ევროპაში, ინტერამერიკული სისტემა - მოქმედებს ამერიკის კონტინენტის ქვეყნებისთვის და აფრიკული სისტემა - აერთიანებს აფრიკის ქვეყნებს.

ზოგადად შევეხებით უნივერსალური სისტემის ანუ გაეროს სისტემის მიმოხილვას. გაერომ, თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, არაერთი ორგანო და პროცედურა ჩამოაყალიბა, რომლებითაც ზედამხდველობას უწევს მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვას, პატივისცემას და უზრუნველყოფას. განსაკუთრებით დიდია ხელშეკრულებით შექმნილი, ანუ სახელშეკრულებო ორგანოთა როლი.

სახელშეკრულებო ორგანოები საერთაშორისო ნორმატიული აქტების საფუძველზე იქმნება და მათ ფუნქციას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში ხელშეკრულებაში მონაწილე წევრ სახელმწიფოთა ზედამხედველობა შეადგენს.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს გაეროს და მის ორგანოებს თავის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, გაეროს სახელშეკრულებო 9 ორგანოდან შვიდი ორგანო იხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებულ დავებს. 1994 წელს საქართველო მიუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტსა და მის პირველ დამატებით ოქმს, რითაც აღიარა ადამიანის უფლებათა კომიტეტის იურისდიქცია.

ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლება აქვს არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ იმ პირსაც, რომელიც არ არის მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქე, მაგრამ მისი უფლებები დაირღვა სწორედ ამ სახელმწიფოში. (მაგ., ჩინეთის მოქალაქე უკანონოდ დაკავებულია ავსტრალიაში. ჩინეთის მოქალაქეს აქვს უფლება, განაცხადი შეიტანოს ავსტრალიის წინააღმდეგ, რადგანაც მისი უფლებები დაირღვა. როდესაც ის იმყოფებოდა ავსტრალიის იურისდიქციის ქვეშ.)

სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ხდება რატიფიცირების ან მიერთების გზით, საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, არა მარტო შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არამედ დაიცვას სახელშეკრულებლო ორგანოების მიერ დადგენილი პროცედურები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რომელსაც სახელშეკრულებლო ორგანოები ადგენენ, წევრ სახელმწიფოს მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშებია. სახელმწიფოს მიერ წარდგენილ პერიოდულ ანგარიშებში ასახულია სამართლებრივი, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ზომები, რომლებიც გაატარა სახელმწიფომ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ანგარიშში სახელმწიფო მიუთითებს იმ სირთულეების შესახებ, რომელთაც ის აწყდება ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. ადამიანის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე იღებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების შესახებაც წევრმა სახელმწიფომ მოგვიანებით უნდა აცნობოს შესაბამის კომიტეტს.

რაც შეეხება რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვას, ამაზეც მოგახსენებთ შემდეგს... ადამიანის უფლებათა ევროპული სისტემა, რომლის საყრდენი არის 47 სახელმწიფოსაგან შემდგარი ევროპის საბჭო, განსხვავებით გაეროს სისტემისაგან, რეგიონალური სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში უფრო მოქნილია, გარდა ამისა, მექანიზმებს, რომელთაც ევროპული სისტემა იყენებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქეების უფლებათა დაცვისათვის.

ადამიანის უფლებები დაცულია როგორც ევროსაბჭოს, ისე ევროკავშირისა და ეუთოს ფარგლებში.

1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს სრულფასოვანი წევრი გახდა, 2000 წელს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია. ამ ნაბიჯით საქართველო თვალნათლივ და საჯაროდ აცხადებს, რომ ეთანხმება ევროპის საბჭოს წესდების მოთხოვნას: ,,ევროპის საბჭოს ყოველმა წევრმა უნდა აღიაროს კანონის უზენაესობა და მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის პრინციპები და ითანამშრომლოს კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად საბჭოს პირველ თავში აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის“ (ევროპის საბჭოს წესდება, მუხლი 3).

ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას საქართველომ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები, ამავე ვალდებულებებიდან გამომდინარე, ევროპის საბჭომ თავისი რეზოლუციით განაცხადა, რომ აწარმოებს მონიტორინგს საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მისი ევროსაბჭოში გაწევრინების დღიდან.

ევროპის საბჭოში გაწევრიანებამ საქართველოს მოქალაქეებს ადამიანის უფლებათა სასამართლოს მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა მისცა, ევროპის საბჭოს სტრუქტურებში საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ხელმისაწვდომი გახადა. საქართველოს მოქალაქენი მოექცნენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დაცვის ქვეშ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ევროსაბჭოს პირველი და უძველესი დოკუმენტია, რომელიც იცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს და ამის პარალელურად ქმნის ადამიანის

უფლებათა დაცვის ქმედებით მექანიზმს საზედამხედველო ორგანოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით, რომლის გადაწყვეტილებები წევრი სახელმწიფოებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

ევროპის კონვენცია საქართველოში მოქმედებს უშუალოდ, როგორც საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი და თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საერთაშორისო ხელშეკრულება კონვენციით აღიარებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს.

მინდა მოგახსენოთ, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ შესული და განხილული საქმეები მეტად მრავალფეროვანია და უფლებათა ფართო სპექტრს მოიცავს. ისინი ეხება სიცოცხლის უფლების დარღვევას, წამების, სამართლიანი სასამართლოს, საკუთრების, სიტყვის თავისუფლების საკითხებს და ა.შ.

ყველას აქვს უფლება, საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს დამოუკიდებელ, სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. მართლმსაჯულება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თანასწორობის გარანტია კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ძირითად და ამომავალ პრინციპად უნდა იქცეს.

ლიტერატურა:

1. ბოროუსი გ., რუხაძე ზ., დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011.
2. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2010.
3. ორგანული კანონი ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, თბ., 1996.
4. საქართველოს კანონი ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“.
5. ევროპის საბჭოს წესდება, მუხლი 3.
6. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

რეზიუმე

ჩვენი საზოგადოება ისტორიის განვითარების ყოველ საფეხურზე გადის გარკვეულ ურთიერთბრძოლას იურიდიულ მექანიზმების დახვეწასა და სრულყოფაზე, დარღვეულ უფლებების აღდგენა ადამიანისგან გარკვეულ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვს, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლისაც კი იწვევს. ამის შედეგი კი ის არის, რომ ყოველი თაობა უფრო მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე წინა თაობები.

ჩემი დაკვირვებით, მოქალაქემ, რომელმაც არ იცის, თუ რა უფლებები აქვს და როგორ მოითხოვოს მათი დაცვა-აღდგენა, მოსალოდნელია, უფრო გახდეს უფლებათა დარღვევის მსხვერპლი, ვიდრე ის, ვინც იცის თავის უფლებების არსი და იცის ის, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს მის წინააღმდეგ მიმართულ უსამართლობას.

წარმოდგენილი სტატია, ზუსტადაც რომ სახელმძღვანელო პრინციპია იმისა, რომ საქართველოს აბსოლუტურად ყველა მოქალაქე ვალდებულია, რომ იცოდეს, მის ქვეყანაში არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური მექანიზმები, რაც აძლევს არჩევანის უფლებას იბრძოლოს თავის დარღვეული უფლებების აღსადგენად და იყოს საზოგადოების აქტიური წევრი.

MECHANISMS OF HUMAN RIGHTS PROTECTION

Mariam Induashvili, Specialist by contract

RESUME

Our society, on every step of its development, has discussion about improvement and perfection of juridical mechanisms. Rehabilitation of violated rights requires specific desire and work from people, in addition it can cause changes in court and administrative practice. Result of all these is that every next generation profits by more rights than previous ones.

From my observation, Georgians who do not know their rights and do not know how to demand their defense-rehabilitation are more expected to become avictim of violation of rights, than those who know essence of rights and can resist any unfairness against them.

Presented article is exactly manual principle for every Georgians. People must know that in Georgia there are fundamental mechanisms of protection of rights. That gives people choice to demand restoration of their violated rights and to become active member of society.

ხელისუფლების დანაწილება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპი

დავით კვერნაძე, მოწვეული სპეციალისტი

სახელმწიფოში ხელისუფლების განხორციელება და ამ მიზნით სახელმწიფოს ორგანოთა სისტემა ყოველთვის იქცევდა დიდ ყურადღებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორაა დანაწილებული სახელმწიფო ხელისუფლება და არის თუ არა სახელმწიფოში ორგანოთა ერთი ჯგუფი ორგანოთა სხვა ჯგუფებისაგან დამოუკიდებელი. იქ, სადაც ხელისუფლება არაა დანაწილებული სახელმწიფო ორგანოთა სისტემებს შორის, ხელისუფლების სხვადასხვა განშტოება ისე არ არის ორგანიზებული, რომ მათ ერთმანეთი შეზღუდონ და მთელი ხელისუფლება უზურპირებულია ერთი ორგანოს ხელში, ასეთ სახელმწიფოში დემოკრატიაზე ლაპარაკი შეუძლებელია. იქ მხოლოდ დიქტატი და ძალადობა მეფობს. ამიტომ, როდესაც დემოკრატიაზეა საუბარი, მხედველობაშია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები, სადაც ხელისუფლება დანაწილებულია და არ არის მოქცეული ერთი პირის ხელში.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების (Separation of Power) პირველი ჩანასახები გვხვდება ჯერ კიდევ ანტიკურ და შუასაუკუნეების სწავლულთა ნაშრომებში. არისტოტელე (ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნე) ნაშრომში ,,პოლიტიკა“ აღიარებდა ხელისუფლების დაყოფას სამ ნაწილად: საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელ ხელისუფლებად, მმართველობით ხელისუფლებად და სასამართლო ხელისუფლებად. იგი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელ ხელისუფლებას მიაკუთვნებდა არა მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობას, არამედ ისეთი საკითხების გადაჭრასაც, როგორიც იყო ომის გამოცხადება, ზავის დადება, სამშობლოდან გაძევება და სხვ.

ხელისუფლების დანაწილების საკითხი ბევრი მოაზროვნის მსჯელობის საგანი გახდა XVII-XVIII საუკუნეებში. კონსტიტუციური სახელმწიფოს პირველი თეორეტიკოსი იყო ინგლისელი მეცნიერი ჯონ ლოკი (1632-1704). მისი ფუძემდებლური დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების განაწილება განპირობებულია არა მხოლოდ ორგანიზაციულ-ტექნიკური მოსაზრებებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობით. იგი თავის ნაშრომში ,,ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“ სახელმწიფო ხელისუფლებას ყოფდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად, თუმცა შესაძლებლად თვლიდა მესამე სახის ხელისუფლების არსებობას, რომელსაც ფედერაციულ ხელისუფლებას უწოდებდა და რომელშიც საგარეო დიპლომატიურ ურთიერთობას გულისხმობდა.[1]

ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულია ფრანგი ფილოსოფ-განმანათლებლის შარლ ლუი მონტესკიეს (1685-1755) შემოქმედება. მონტესკიეს მიხედვით პოლიტიკურ თავისუფლებას განაპირობებს მხოლოდ ხელისუფლების გონივრული დანაწილება, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს. ის ერთმანეთისგან განასხვავებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. ამასთან აღმასრულებელი ხელისუფლება განსახორციელებლად უნდა გადასცემოდა მეფეს, საკანონმდებლო – პარლამენტს, სასამართლო კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. მონტესკიეს აზრით საკანონმდებლო ხელისუფლება მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ, ვინაიდან ხალხს უშუალოდ არ შეუძლია განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლება, საჭიროა სახალხო წარმომადგენლობა,

[1] იხ. ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბ., 1992.

რომელიც ორი პალატისაგან უნდა შედგებოდეს. საზოგადოებაში ყოველთვის არიან შეძლებული ადამიანები, რომელთათვისაც მონობა იქნებოდა თანაბარი უფლება, რომელსაც ისინი არ დაიცავენ საკანონმდებლო ორგანოში. რომ დავაინტერესოთ ისინიც თავისუფლების დაცვაში, საჭიროა მათთვის შევქმნათ ცალკე პალატა, რომელსაც შეეძლება შეაჩეროს ხალხის წარმომადგენლობითი პალატის გადაწყვეტილებები, მაგრამ ვერც თვითონ გადაწყვეტს ვერაფერს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. ეს არის ძალთა გაწონასწორების საშუალება, რაც თავისუფლების დაცვის გარანტიაა.

სასამართლო ხელისუფლება სადამსჯელო უფლებამოსილების გამო ყველაზე მეტად ემუქრება მოქალაქეთა თავისუფლებას. ამიტომ ეს ხელისუფლება უნდა ჩაბარდეს არა მუდმივად დანიშნულ, არამედ ხალხისაგან გარკვეული ვადით არჩეულ პირებს. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, მას უნდა ჰქონდეს სწრაფი მოქმედების შესაძლებლობა და საჭიროებს ერთპიროვნულ ორგანიზაციას. აღმასრულებელი ხელისუფლება მეტისმეტად ძლევამოსილი რომ არ აღმოჩნდეს, საჭიროა მას დაუპირისპირდეს სპეციალურად შექმნილი სასამართლო ორგანოთა სისტემა, რომელიც ალაგმავს თანამდებობის პირთა თვითნებობას.[1]

ამრიგად, ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და ფუნქციონირების ისეთი წესების ერთობლიობაა, რომელიც გამორიცხავს თვითნებობას მმართველთა მხრიდან და ანარქიას მართულთა მხრიდან.[2]

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად პირველად გვხვდება პენსილვანიის შტატის კონსტიტუციაში (1776), შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში (1787) და საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში (Declaration des Droits de l'Homme), რომელიც მიმართული იყო მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. აღნიშნული დეკლარაცია საფუძვლად დაედო 1791 წლის საფრანგეთის პირველ კონსტიტუციას. მათ გარდა კიდევ მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდა სამი ხელისუფლება – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება სახელმწიფოები, რომელთა მმართველობის ფორმას აბსოლუტური მონარქია წარმოადგენს. მაგ., ბრუნეი, საუდის არაბეთი, სვაზილენდის სამეფო და სხვ. ამ შემთხვევაში ეს ხელისუფლებები თავს იყრიან ერთპიროვნული მმართველის ხელში. ცხადია, როცა ერთი ადამიანის ხელშია მოქცეული ყველაფერი ეს, ასეთ საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლება ნაკლებად რეალიზებადია. აქ გამორიცხული არ არის ისეთი სახელმწიფოებიც, რომელთა მმართველობის ფორმა რესპუბლიკურია. ამის ნათელი მაგალითებია ყოფილი სსრ კავშირისა და სხვა თანამედროვე ქვეყნების - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, თურქმენეთის, ჩინეთის, ვიეტნამისა და სხვათა მაგალითები.

ყოფილ სსრ კავშირში მმართველობის სადავეები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ეპყრა ხელთ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს სახით. კომუნიზმი უარყოფს ხელისუფლების დანაწილებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ ხელისუფლება სახელმწიფოში გაბატონებული კლასის ხელშია, რომელიც ნებაყოფლობით არავის არ უნაწილებს ხელისუფლებას. ახალი ტიპის სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა განუყოფლად უკავშირდებოდა პარლამენტარიზმის მოსპობასა და სახალხო წარმომადგენლობის ახალი ორგანოების მშენებლობას, რომელთა ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის სხვაობის ლიკვიდაცია და კანონმდებლობის მმართველობასთან შერწყმა იყო. ასევე პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში, ხელისუფლება ეკუთვნის პროლეტარიატსა და მის პარტიას, რომელიც არავის არ უნაწილებს ხელისუფლებას, პირიქით, ხელისუფლება მიმართულია სხვა კლასების დასათრგუნად და სახელმწიფოშიც ხელისუფლება არ ნაწილდება ორგანოებს შორის, არამედ ხორციელდება ნებისმიერი ორგანოს მეშვეობით პროლეტარიატის სურვილისამებრ. ასეთ სახელმწიფოში ადგილი აქვს არა ხელისუფლების დანაწილებას, არამედ შრომის განაწილებას სახელმწიფო მოხელეებს შორის. ეს შეხედულება შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას. მართლაც, კომუნისტები საბჭოთა სახელმწიფოში არავის უნაწილებდნენ ხელისუფლებას და ასეთი სახელმწიფოც უსამართლო იყო. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოში ორგანოები დამოუკიდებელი არ იყვნენ და სისტემატიურად განიცდიდნენ პარტიული ორგანოების ჩარევას. ეს სახელმწიფო არ იყო სამართლებრივი.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ნაკლებადაა გატარებული ზოგიერთ საპარლამენტო სახელმწიფოებში, რამდენადაც მათში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე ფორმალური უზენაესობა პარლამენტს ეკუთვნის.

---

[1] იხ. შ. ლ. მონტესკიე, *კანონთა გონის შესახებ (თარგმანი), თბ., 1995, გვ. 23-168.*

[2] იხ. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008, გვ. 186

ხელისუფლების დანაწილება მიზნად არ ისახავს მხოლოდ ხელისუფლების ორგანიზაციულ დანაწილებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებზე. ის მიმართულია ერთპიროვნული მმართველობის საფრთხის თავიდან აცილებისკენ. ხელისუფლების უზურპაციის საფრთხე მინიმუმამდეა დასული, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს არა ერთი პირი, ერთი სახელმწიფო ორგანო, არამედ როდესაც სახელმწიფო ფუნქციები განაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის. ხელისუფლების ორგანიზაციული დანაწილებისას სახელმწიფოს ფუნქციები განაწილებულია სხვადასხვა ორგანოებზე ისე, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ლეგალურად მოიპოვოს კონტროლი მთელ სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ამასთან, ერთი ხელისუფლების წარმომადგენელს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა ხელისუფლების თანამდებობა. (მაგ., შეერთებული შტატების კონსტიტუცია სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის წევრებს უკრძალავს ნებისმიერი ანაზღაურებადი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას).

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიზანია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხელისუფლების სამ სხვადასხვა განშტოებას შორის ,,შეკავებისა და წონასწორობის“ მექნიზმის (cheks and balances) შექმნა. აღნიშნული მექანიზმი პირველად ამერიკის კონსტიტუციის ,,მამა დამფუძნებლებმა“ (The founding fathers) დაურთეს ამერიკის კონსტიტუციას. ძირითადი იდეა ამ სისტემისა ის არის, რომ ხელისუფლების თითოეული განშტოება აღჭურვილი უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული უფლებამოსილებით და ნებისმიერი განშტოების გადაძალვის შემთხვევაში მეორე განშტოებამ უნდა შეძლოს მისი განეიტრალება. აშშ-ის კონსტიტუციის მიხედვით ფედერაციისა და შტატების დონეზე არსებობს სახელმწიფოს სამი შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, ესენი შეფარდებით ურთიერთდამოუკიდებელნი არიან, ამასთან გააჩნიათ უფლება მოახდინონ ერთმანეთის შესაძლო ბოროტად გამოყენების, შეცდომების, ანტიკონსტიტუციური ქმედებების ნეიტრალიზაცია. კონგრესმა მიიღო უფლება უარყოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ვეტო, უარი უთხრას ფედერალურ თანამდებობებზე დანიშვნებს, იმპიჩმენტის წესით პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. თავის მხრივ, პრეზიდენტს გააჩნია დაყოვნებითი ვეტოს უფლება, რომლის დაძლევა საკმაოდ ძნელია, მას ასევე უფლება აქვს დანიშნოს ფედერალური დონის თანამდებობის პირები. პრეზიდენტის და სენატის მიერ ერთობლივად დანიშნული უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი თავიანთ საქმიანობაში სრული დამოუკიდებლობით და დიდი უფლებამოსილებით სარგებლობენ.[1]

ხელისუფლების დანაწილებას საქართველოში დიდი საკანონმდებლო ისტორია არ აქვს. მონარქიულ საქართველოში იყო მეფის წარმომადგენლობითი ორგანოთი (კარავი) შეზღუდვის მცდელობა, თუმცა ეს მაინც ხელისუფლების დანაწილების მოდელის მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანი იქნებოდა. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გარკვეულწილად შეინიშნებოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, თუმცა იქ პირდაპირ არ იყო აღიარებული იგი. 1921 წლის კონსტიტუცია მაინც ითვალისწინებს შეკავება-გაწონასწორების ზოგიერთ პროცედურას მაგ., პარლამენტის საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, დამოუკიდებელი სასამართლო და სხვ.[2]

1990-1995 წლების გარდამავალი ეტაპის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმა იყო გამოყენებული, მაგრამ ზოგში ხელისუფლების დანაწილება მხოლოდ დეკლარაციის დონეზე არსებობდა, ზოგში საერთოდ არ არსებობდა, ხოლო ,,სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილ მოდელში ხელისუფლების დანაწილების ნაცვლად ერთი პირი ერთდროულად საკანონმდებლო ხელისუფლებასაც ფლობდა და როგორც სახელმწიფოს მეთაური აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აკონტროლებდა. (სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენდა, რომელიც ხალხის მიერ მანამდე არჩეული იყოს პარლამენტის თავმჯდომარედ).[3]

საქართველოში პირველად ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აღიარებულ იქნა 1995 წლის კონსტიტუციაში.

პირველ მუხლში დადგენილია მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და მისი განხორციელების დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი: ,,საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

---

[1] იხ. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1999, გვ. 29-44

[2] იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1999 გვ. 93-97

[3] იხ. იქვე გვ. 104

ძალზე მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების პირველწყაროს, სახელმწიფო ხელისუფლების ბუნებას, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების პრინციპს:

,,1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.“

საქართველოს კონსტიტუცია იზიარებს ხელისუფლების დანაწილების ამ ძირითად იდეას და ქმნის შეკავებისა და წონასწორობის სისტემას. კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების დანაწილების აზრი მდგომარეობს არა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების გაყოფაში, არამედ იმაში, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები ერთმანეთს აკონტროლებენ და ზღუდავენ, რათა გაწონასწორდეს სახელმწიფოს ძალაუფლება და დაცულ იქნეს პიროვნების თავისუფლება. აღნიშნული სისტემა გამოხატულებას ჰპოვებს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში, მაგალითად, კონსტიტუციის 48-ე მუხლი განსაზღვრავს საკანონმდებლო განშტოებას: ,,საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.“ კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებლი ორგანო: ,,1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.“ (2004 წლამდე მთავრობა, როგორც კონსტიტუციური ორგანო არ იყო რეგლამენტირებული). სასამართლოები (საერთო სასამართლოები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) კონსტიტუციის მიხედვით ახორციელებენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების აქტების კონტროლს კანონებსა და კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით, თავის მხრივ, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობს პრეზიდენტი ვეტოს უფლებით, ამავე დროს ძალაში შესასვლელად ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.[1]

შეკავებისა და წონასწორობის სისტემაში ძირითადად ერთი ხელისუფლების ორგანო ნიშნავს ან ირჩევს სხვა ხელისუფლების თანამდებობის პირებს და პირიქით. საქართველოს კონსტიტუციის 80-ე მუხლის შესაბამისად, მთავრობის შემადგენლობას ამტკიცებს პარლამენტი, 90-ე მუხლის შესაბამისად კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.[2]

ზოგიერთ შემთხვევებში, ხელისუფლების სპეციფიკური ამოცანები შეიძლება აღსასრულებლად გადაეცეს სამართლებრივად დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილი იქნება მოაწესრიგოს შესაბამისი ურთიერთობები საკუთარი შეხედულებისამებრ. ასეთ ორგანოებად საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელთა დამოუკიდებლობის გარანტიები და უფლებამოსილებები აღწერილია კონსტიტუციის 95-ე და 97-ე მუხლებში. აღნიშნული მუხლებით განსაზღვრულია, რომ ეროვნული ბანკი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელნი არიან. მათთვის გადაცემული სახელმწიფოებრივი ამოცანების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსა და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის თანამდებობებზე პირთა გამწესებაში მონაწილეობს პრეზიდენტი და პარლამენტი.[3]

ამრიგად, ხელისუფლების დანაწილება ნიშნავს არა მხოლოდ ხელისუფლების დემონოპოლიზაციას, არამედ, ასევე რეალურ გაწონასწორებას, რომლის დროსაც არც ერთს ამ სამი ხელისუფლებიდან არ შეუძლია შელახოს ან დაიქვემდებაროს სხვა და იძულებულია

[1] საქართველოს კონსტიტუცია, №786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995
[2] საქართველოს კონსტიტუცია, N786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995
[3] საქართველოს კონსტიტუცია, N786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოებში იმოქმედოს. სახელმწიფო ხელისუფლების სამი შტოს ურთიერთქმედება მიზნად ისახავს სახელმწიფო ინტერესების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ლიტერატურა:
1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, №786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1999.
3. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1999.
4. მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონის შესახებ (თარგმანი), თბ., 1995.
6. აბაშმაძე ვ., ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბ., 1992.
7. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008.

რეზიუმე

აღნიშნული სტატია ეხება დემოკრატიული სახელმწიფოს ისეთი ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილება. მასში განხილულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის ჩანასახი, ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ჩამოყალიბება და ხელისუფლების დანაწილების დამკვიდრება სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში. სტატიაში განხილულია ხელისუფლების დანაწილების ძირითადი იდეა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნეს დაშვებული ერთ-ერთი შტოს გაძლიერება მეორის ხარჯზე, იგი ასევე მიმართულია მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო შეცდომები მმართველობაში, არ დაუშვას გადასაწყვეტი საკითხებისადმი ცალმხრივი მიდგომა.

AUTHORITY SHARING AS THE FUNDAMENTAL PRINCIPLE OF DEMOCRATIC STATE

David Kvernadze, Specialist by contract

RESUME

This paper deals with the fundamental principles of a democratic state, such as the separation of powers. It discusses the power separation theory germ, drafting of doctrine of separation of powers and putting it into practice. This article confers the basic idea of division of powers, to be more precise: to avoid strengthening of one branch at the expense of other, it also aims at minimizing the possible errors in ruling the state as well as preventing biased approach to resolve the issues.

საკასაციო გასაჩივრება სისხლის სამართლის პროცესში

მალხაზ ლომსაძე, პროფესორი

<u>საკასაციო გასაჩივრების თავისუფლება.</u> საკასაციო გასაჩივრება შეუზღუდავი ხასიათისაა, თავისუფალი ხასიათი აქვს, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში გასაჩივრების თავისუფლებას უწოდებენ.

საკასაციო სამართალწარმოების წესით გასაჩივრების თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ამ უფლების პროცესში მონაწილე მხარეებისათვის მინიჭებაში.

პროცესის მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობისა და ინტერესების მიხედვით ხდება მათი მხარეებად დაყოფა: ბრალდებისა და დაცვის მხარედ.[1]

[1] სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2002, გვ. 45.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს პროცესის ის მონაწილეები შეადგენენ, რომელთაც საქმეში თავისი, გარკვეული საპროცესო ინტერესი გააჩნიათ, ე.ი. დაინტერესებული არიან საქმის შედეგით.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა შემოიფარგლება მხოლოდ დაინტერესებული მხარის ცნებით. კანონი კონკრეტულად, ამომწურავად ჩამოთვლის საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს. ესენი არიან: ბრალმდებელი, ზემდგომი პროკურორი მსჯავრდებულისა.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე.

რაც შეეხება პროცესის დანარჩენ მონაწილეებს, ისინი არ სარგებლობენ საკასაციო გასაჩივრების უფლებით.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს უნდა შეადგენდნენ მხოლოდ ის პირები, რომელთა უფლებები და კანონიერი ინტერესებიც დაირღვა სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენით.

სწორედ კასაციის ძირითადი დანიშნულება, მისი მიზანი განაპირობებს, რომ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს უკანონო განაჩენი, თუ დარღვეულია მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

საკასაციო გასაჩივრების უფლების თავისუფლად განხორციელების ერთ-ერთ პირობას ამ უფლებით მოსარგებლე პირთათვის გასაჩივრების უფლების განმარტება წარმოადგენს. ამ უფლებას მოსამართლე განმარტავს განაჩენის გამოცხადებისთანავე და იგი წერილობით აისახება განაჩენში.[1]

ადვოკატს უფლება აქვს, შეიტანოს საკასაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) ან მსჯავრდებული არასრულწლოვანია;

ბ) ან მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას;

გ) ან მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

საკასაციო გასაჩივრების უფლებას პირი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს. მას უფლება აქვს ან ისარგებლოს, ან უარი თქვას გასაჩივრების უფლებით სარგებლობაზე. თუ პირი არ წარმოადგენს საკასაციო საჩივარს კანონით დადგენილ ვადაში, ჩაითვლება, რომ მან არ ისარგებლა გასაჩივრების უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პირმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო უფლების დადგენილ ვადაში განხორციელება.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ უარი საკასაციო გასაჩივრებაზე და უარი წარმოდგენილ საჩივარზე, რასაც საჩივრის გამოთხოვებას უწოდებენ.

თუ პირველ შემთხვევაში საქმე ეხება უარის თქმას თვითონ უფლებაზე, მეორე შემთხვევაში საუბარია გარკვეული საპროცესო მოქმედების ანულირებაზე ამ მოქმედებით წარმოშობილი საპროცესო შედეგების თავიდან აცილების მიზნით.[2]

საკასაციო საჩივრის გამოთხოვა დაიშვება, ვიდრე სასამართლო გავა სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად. ასეთ შემთხვევაში პირი კარგავს უფლებას - ხელმეორედ წარადგინოს იგივე საჩივარი.

საკასაციო გასაჩივრების უფლება პირის დამოუკიდებელი უფლებაა. პირს უფლება აქვს წარადგინოს საკასაციო საჩივარი, იმის მიუხედავად, წარადგინა თუ არა იგი პროცესის სხვა მონაწილემ.

პირს არ შეეზღუდება გასაჩივრების უფლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას იღებდა იგი საქმის განხილვაში.

საკასაციო გასაჩივრების თავისუფლებაზე მიუთითებს აგრეთვე საკასაციო გასაჩივრების საგანი. სახელდობრ, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.

საკასაციო გასაჩივრება დაუშვებელია, თუ სისხლის სამართლის საქმემ არ გაიარა სააპელაციო წარმოება.

მოქმედი კანონმდებლობლობის შესაბამისად, პირს საშუალება ეძლევა წარადგინოს საკასაციო საჩივარი. მიუხედავად იმისა, თუ რა სახის დანაშაულზე იქნა გამოტანილი განაჩენი, სასჯელის რა ზომას ითვალისწინებს იგი, გამოტანილია გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.[3]

---

[1] Хисматуллин Р.С. Апелляционное производство по делам о несовершеннолетних, Уфаб, 2001, ст. 92.

[2] Уголовный процесс зарубежных социалистических государств Европы, Ред. Чугунов В.Е. Москва, 1967, ст. 306.

[3] Уолкер Р., Английская судебная система, Москва, 1980.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველს საკასაციო საჩივარი წარმოადგენს. მისი არსებობა აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც საქმე არ განიხილება საკასაციო წესით.

საკასაციო საჩივრის შემტანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

<u>საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები.</u> ბრალმდებელი და ზემდგომი პროკურორი, კანონის თანახმად, სარგებლობენ საკასაციო გასაჩივრების უფლებით.

ბრალმდებელში იგულისხმება პროკურორი, რომელიც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას ბრალდების მხარეა, ხოლო ზემდგომ პროკურორში კი იგულისხმება საქმის მონაწილე ბრალმდებლისათვის ზემდგომი პროკურორი.

ბრალდების მხარდაჭერისას პროკურორი სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გაგებული ცალსახად. მოქმედებს რა სახელმწიფოს სახელით, ბრალმდებელს სასამართლოში საკუთარი პოზიცია უკავია, რასაც იგი შინაგან რწმენაზე დაყრდნობით გამოიმუშავებს.

ბრალმდებლის მიერ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება უნდა განვიხილოთ როგორც ბრალდების ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი ხერხი, საშუალება. ისევე, როგორც მსჯავრდებულის ასეთივე მოქმედება განიხილება, როგორც დაცვის უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა.[1]

მსჯავრდებულს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული აქვს საკასაციო გასაჩივრების უფლება. მსჯავრდებულის ადვოკატი აღნიშნული უფლებით სარგებლობს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებული ან არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი.[2]

მსჯავრდებულის მიერ საჩივრის შეტანის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა, თუ საჩივარი არ შეუტანია პროცესის სხვა მონაწილეს. ეს წესი მოქმედებს აგრეთვე მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანისას.

ადვოკატისათვის საკასაციო გასაჩივრება არის მისი უფლება.

მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადების მომენტიდან 1 თვის ვადაში.

<u>საკასაციო გასაჩივრების საგანი.</u> საკასაციო გასაჩივრების საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.

საკასაციო გასაჩივრებას ექვემდებარება როგორც გამამატყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენი. შესაძლებელია განაჩენის როგორც მთლიანად, ისევე მხოლოდ ნაწილის გასაჩივრება.

განაჩენი უკანონოა, თუ:

ა) არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის სასამართლოს;

ბ) არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია სააპელაციო სასამართლოს;

გ) პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევა;

დ) სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევა;

ე) მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა;

ვ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას;

ზ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

საკასაციო გასაჩივრების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს განაჩენის მხოლოდ კანონიერება.

საკასაციო სასამართლომ საჩივრის მიღების შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს მისი დასაშვეობის საკითხი. საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

---

[1] ი. გაბისონია, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002, გვ. 282

[2] УПК Федеративной Республики Германии, Перевод Филимонова Б.А., Москва, 1994, ст. 132.

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

<u>საკასაციო გასაჩივრების ვადები.</u> გასაჩივრების უფლება გარკვეული დროით განისაზღვრება, რომელიც არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ, ან ხელი შეუშალოს სასამართლო გაჭიანურების, ან სასამართლო შეცდომის გამოსწორების პროცესს, მაგრამ არც იმდენად ხანმოკლე, რომ გასაჩივრების სუბიექტმა ვერ შეძლოს აღნიშნული უფლების რეალიზება. მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეთ გაეცნონ განაჩენის შინაარს, უნდა დარჩეთ მოსაფიქრებელი დრო - შეიტანონ თუ არა საკასაციო საჩივარი, ჩამოაყალიბონ გასაჩივრებული დებულებანი, მათი მცდარობა და საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს საკასაციო გასაჩივრების 1 თვიან ვადას, რაც საკასაციო გასაჩივრების ყველა სუბიექტისათვის ერთია. გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება განაჩენის გამომტან სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან.

საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, საკასაციო გასაჩივრების ვადის ათვლა, პარაქტიკულად, განაჩენის გამოცხადების მომდევნო დღიდან დაიწყება. ამავე მუხლის თანახმად, გასაჩივრების ვადაში შედის არასამუშაო დროც, დასვენების და უქმე დღეებიც. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი - ამ თვის ბოლო დღე-ღამეს.

შესაძლებელია, პირმა უშუალოდ არ წარადგინოს საჩივარი და ისარგებლოს ფოსტით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით. ასეთ შემთხვევაში საჩივარი ვადის ამოწურვამდე უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

საკასაციო სასამართლოში შეაქვთ საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი სასამართლომ გადასცეს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელსაც მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია.

საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ეს ვადა აითვლება საკასაციო სასამართლოში საქმის და საჩივრის შეტანის მომენტიდან.

საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა კოლეგიურად 3 მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო დიდ პალატაში - 9 მოსამართლის შემადგენლობით.

<u>შესაგებელი საჩივარი.</u> საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დამატებითი საკასაციო საჩივრის შეტანას. ხომ შეიძლება საკასაციო საჩივრის შეტანის შემდეგ პირს გაუჩნდეს ახალი მოსაზრებები, ანდა ჩათვალოს, რომ მან არასაკმარისად დაასაბუთა საკუთარი პოზიცია? ჩვენი აზრით, ეს უნდა ჩაითვალოს კანონის ხარვეზად, რაც უნდა გამოსწორდეს დროულად.

ი. კორენევსკი მიუთითებს, რომ დამატებითი საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაში, რაც უზრუნველყოფს დამატებითი საკასაციო საჩივრის პირდაპირი დანიშნულების შესაბამისად გამოყენებას და თავიდან აგვარიდებს საკასაციო გასაჩივრების ვადაში „ბლანკეტური“ საჩივრის წარდგენას, ხოლო დმატებითი საჩივრის სახით კი ძირითადი საჩივრის შეტანას. [1]

სიტყვა დამატებითი ნიშნავს იმას, რაც უკვე არსებულს ემატება, ხოლო ძირითადი არის ის, რასაც დანარჩენი ემყარება.[2] დამატებითი საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება არა დამოუკიდებლად, არამედ მას შემდეგ, რაც უკვე შეტანილია ძირითადი და იგი კი არ უცვლის, არამედ ავსებს ძირითადის შინაარსს.

საჩივარზე დამატებითი საჩივრის შეტანა უნდა შეეძლოს მხოლოდ იმ პირს, რომელმაც ძირითადი საჩივარი შეიტანა.

თუ პირი შეიცვლის პოზიციას, ანდა საჭიროდ ჩათვლის ისეთი დებულებების გასაჩივრებას, რაზედაც არ მიუთითებია საჩივარში, ხოლო საჩივარში მითითებულ დებულებებს კი კანონიერად მიიჩნევს, მას უფლება უნდა ჰქონდეს შეცვალოს საჩივარი და მის მაგივრად წარადგინოს ახალი, მხოლოდ საკასაციო გასაჩივრების კანონით გათვალისწინებულ საერთო ვადაში. ჩვენი აზრით, ამ დებულებამაც უნდა ჰპოვოს ასახვა კანონმდებლობაში.

[1] Кореневский Ю.В, Как обжаловать приговор суда, Москва, 1998, ст. 34.

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 393, გვ. 1181.

საპროცესო კანონი ითვალისწინებს საჩივრის შესაგებლის ინსტიტუტს. სასამართლო საკასაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი.

შესაგებლის შეტანის უფლებით მეორე მხარე სარგებლობს საკასაციო გასაჩივრების უფლებისაგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მას განაჩენის გასაჩივრება, ანდა უკვე შეტანილი აქვს თუ არა საკასაციო საჩივარი.

შესაგებელი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი საკასაციო საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

კასატორს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს საჩივრის შესაგებლის ასლი.

საკასაციო საჩივრის გამოთხოვის შემთხვევაში ამ საჩივარზე შეტანილი შესაგებელი ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღარ არსებობს საფუძველი, რასაც იგი ემყარება.

შესაგებლის შეტანით სამართლისათვის ცნობილი გახდება მხარეთა პოზიცია, რაც ხელს უწყობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

<u>საკასაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი.</u> საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება წერილობითი ფორმით, რომელშიც აღინიშნება საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლში ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

უდავოა, რომ სამართლებრივად გამართულად შედგენილი, მოტივირებული საჩივარი უადვილებს მეორე მხარეს - მის აღქმას, ხოლო საკასაციო სასამართლოს - განაჩენის კანონიერების ყოველმხრივად შემოწმებას. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში გასაჩივრების სუბიექტად გვევლინება სპეციალური იურიდიული განათლების არმქონე პირი, რომელიც ძნელად თუ შეძლებს ზემოთ აღნიშნული მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რადგან შეუძლებელია ამგვარმა პირმა სწორად ჩამოაყალიბოს გასაჩივრებულ დებულებათა მცდარობა, საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი და სხვ. იგი შეიძლება მხოლოდ შეეცადოს მიუთითოს, თუ რას არ ეთანხმება განაჩენში და გამოხატოს საკუთარი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლი ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს აყენებს საკასაციო საჩივრის ფორმასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, აღნიშნული მოთხოვნების გამარტივება არ შეუშლიდა ხელს საქმეზე საკასაციო წარმოების კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით წარმართვას. საკასაციო სასამართლო თავის საქმიანობას წარმართავს სარევიზიო საწყისების საფუძველზე და არ იზღუდება საჩივარში მოყვანილი დასკვნებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონით გათვალისწინებულ იქნეს კასატორის მიერ მხოლოდ იმ ფორმალური ხასიათის მოთხოვნათა აუცილებელი შესრულება, რომელთა შეუსრულებლობაც აფერხებს საკასაციო სამართალწარმოებას, ხოლო გასაჩივრებული დებულებანი, მათი მცდარობა და მცდარობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი კასატორმა ჩამოაყალიბოს საჩივარში საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისად.

საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც საკასაციო გასაჩივრების ყველა სუბიექტს თანაბრად შეეხება, კიდევ ერთ ურთიერთწინააღმდეგობას წარმოშობს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, საკასაციო საჩივარში კასატორმა უნდა განმარტოს, რა მოცულობით ასაჩივრებს განაჩენს და მის რა მოცულობით გაუქმებას ან შეცვლას ითხოვს, ასევე უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი განსახილველად არ მიიღება. ამავე დროს, საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის ფორმისა და შინაარსის მიმართ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების წაყენება მიუღებელია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში მას ეკისრება თავისი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი.[1]

იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას არ ექნება სავალდებულო ხასიათი, აღმოიფხვრება ის წინააღმდეგობაც, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი. საკასაციო საჩივრის ფორმა, ჩვენი აზრით, სავალდებულოა დაიცვას ბრალმდებელმა (ზემდგომმა პროკურორმა) და ადვოკატმა. კანონის თანახმად, საკასაციო საჩივარში აღინიშნება:

ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;

ბ) მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);

გ) გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

დ) მომჩივანის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს ამას;

[1] Победкин А. В. Апелляценое производство в уголовном процессе России, Москва, 2001, ст. 49

ე) დამატებით წარმოდგენილი მასალა.

საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სააპელაციო სასამართლოში. საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი სააპელაციო სასამართლოდან იგზავნება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

რეზიუმე

კასაციის ინსტიტუტი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში სიახლეს არ წარმოადგენს.

საკასაციო ინსტიტუტის შესახებ არსებობს ლიტერატურა, მაგრამ მაინც გარკვეული სირთულეები ექმნებათ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს.

წარმოდგენილ ნაშრომში საკასაციო სამართალწარმოების არსი, ამოცანები, დანიშნულება და მისი განხორციელების სხვა პრობლემური საკითხებია გაშუქებული.

CASSATION APPEAL IN CRIMINAL LAW PROCESSING

Malkhaz Lomsadze, Professor

RESUME

Institute of cassation in not a news in Georgian Criminal law.

There are much literature about cassation institute, but there are some difficulties for lawers of cassation court.

This work will show the main point of cassation law, its realization and other problematic cases.